ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

მოლოცავთ ახალ წელს!

1

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რას ვპირდებით მკითხველს 1990 წელს?

„ცისკარი“ კვლავაც გააგრძელებს თავის შარშანდელ რუბრიკას „ეროვნული თვალსაზრისი“. ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი თავიანთ გულახდილ მოსაზრებებს გაგვიზიარებენ დღევანდელი საქართველოს მტკივნეულ ეროვნულ პრობლემებზე, იმ საღღეისო და სამომავლო საკითხებზე, რომელთა გადაჭრა-გადაწყვეტაზე-დაც უშუალოდაა დამოკიდებული ხვალინდელი თავისუფალი საქართველოს გზდილბალი.

რუბრიკით „ისტორიის თეთრი ფურცლები“ ვაქვეყნებთ აბდურახმან ავტორხანოვის ვრცელ ისტორიულ — ნარკვევს „სტალინის სიკვდილის საიდუმლო“.

დასასრულებთ ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნს „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“. გამოვაქვეყნებთ ემიგრანტული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

ვიწყებთ ნიკო სამადაშვილის პროზაული თხზულების „შეხვედრები და სინანული“-ს გეთდვას.

სარედაქციო კორთფოლიო გვიდევს ბევი მაღულარისს ახალი რომანი, რომელიც ეხება დიქტატორული რეჟიმის მხატვრულ ანალიზს.

მკითხველი უთუოდ ინტერესით შეხვდება ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსის ზაზა ენუქიძის დებიუტს „ცისკრის“ მეორე ნომერში. გამოვაქვეყნებთ რეზო ჰვეშვილის, ნაირა გელაშვილის, გიორგი კეჟაღლაძის, მამუკა დოლიძის, გიგა თუთბერიძის, გულო კოზიაშვილისა და სხვათა პროზაულ თხზულებებს.

„ცისკარი“ ასევე დიდ ადგილს დაუთმობს ჩვენი ცნობილი და ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტების ახალ ლექსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი

390

გამოცემის ოცდამეთორმეტე წელი

1

იანვარი

1990

თბილისი

სკკ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

კოეზია და პროზა

3. მორის ფოცხიშვილი — ლექსები
6. რევაზ ჯაფარიძე — ღვთის კაცი. მოთხრობა
39. ზოთა ნიშნიანიძე — ლექსები
41. ლადო სულგბერიძე — ლექსები
44. ოვარ თურგანული — მოთხრობები
56. გეს�d ხარანული — მრავალწერტილი... ლექსი
60. რევაზ მიშველაძე — ნოველები
71. მთავარეპისკოპოზი თადეოზი (იორამაშვილი) — ლექსები
73. ანზორ აგულაშვილი — ლექსები
77. ლაშა ხეცურიანი — ვინ არიან ისინი. ნოველა
83. გივი ალხაზიშვილი — ლექსები
88. ჯანგულ ჯიქია — შემეცნების პრაქტიკუმი. რომანი. გაგრძელება
102. ნინო სიხარულიძე — ლექსები

პუბლიცისტიკა

104. აკაკი გაჭრაძე — მიზოლოგია

ეროვნული თვალსაზრისი

113. მამუკა ფიალური — იერიშები უკანასკნელ იმპერიაზე. დასაწყისი

წერილები

123. ზურაბ ნარმანია — „არ შეიძლება ასე ცხოვრება, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ“

დაბრუნებული სახელები

133. გრიგოლ რობაქიძე — ზეინაბ
140. ალექსანდრე სულხანიშვილი — მოგონებები შეფიცულთა რაზმზე. გაგრძელება

ისტორიის თეთრი ფურცლები

152. აბდურაშიდან ავტორსანოვი. — სტალინის სიკვდილის საიდუმლო. დასაწყისი. თარგმნა **ზურაბ ნარმანიამ**

მთავარი რედაქტორი
იორამ ქედარტლიძე

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თადო გეკოშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო გაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი სულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერბაინი
ბარიელ ფანტურია
მაკა ჯოხაძე

პასუხისმგებელი მდივანი
ავთანდილ ჩხეიკვიშვილი

მორის ფოცხიშვილი

ირმის წუხილი

წუხელ ირმებმა ტყე მიატოვეს.
ტყე მიატოვეს წუხელ ირმებმა,
წუხელ ირმებმა თვითონ დაიწყეს
ბღავილით ჩემი მონადირება...
ტყე მიატოვეს წუხელ ირმებმა.

ძილში ჩამესმა მათი ფეხის ხმა,
სუსხი იდგა და სუნთქავდნენ მძიმედ,
იმედი ჰქონდათ ჩვენთან შეყრისა
და ბალახივით ეძებდნენ იმედს...
ტყე მიატოვეს წუხელ ირმებმა.

ო, რაღაც ჰქონდათ ალბათ სათქმელი,
მე კი უბრალოდ ვერაფერს მივხვდი, —
შეჭირხლულიყო ჩემი სარკმელი
მათი ფილტვების სოველი ჭირხლით.

გაოგნებული, ღია თვალებით,
ვიწექ ლოგინში
და აზრს ვიკრებდი, —
სულით და ხორცით ნათესავები
ჩემს კარ-ფანჯრებთან იდგნენ
მშივრები...
წუხელ ირმებმა ტყე მიატოვეს.

პური მთხოვეს და არ მქონდა პური,
წყალი მთხოვეს და
წყალი არ მქონდა,
ცრემლით ვუკლავდი
მწყურვალ ჯოგს წყურვილს,
ხორცს ვიგლეჯდი და
გარეთ გამქონდა...
წუხელ ირმებმა ტყე მიატოვეს.

ჩატეხილ მინას ქარი ცახცახით
აზანზარებდა ფრენით დაღლილი,
და სული ჩემი, როგორც ბალახი
ირმებს მიჰქონდათ ტყეში ბღავილით.
ტყე მიატოვეს წუხელ ირმებმა.

რა იწყება, რა ხდება

რა იწყება, რა ხდება,
რა იცვლება, რა წყდება, —
ჩაბნელებულ ოთახში
ჩიტი სარკმელს აწყდება.

ვითხოვ თავისუფლებას,
როდი ვამბობ საწყენად, —
ვაი, როგორ დავწუევლო
ვინც მე ერთხელ დამწყევლა...

დასრულებას რა უნდა,
მთავარია დაწყება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცად აწონილი ლეკნი

მე უკვე მაღრჩობს სევდა — ბაწარი.
ცისფერი, როგორც მელანქოლია.
მაგრამ ვლოცულობ და ეს ტაძარი
სწორუპოვარი რომის ტოლია.

კრისტალდებიან წლები გიშრებად
და ცივ ჩარჩოში თოვლის ფონია,
არ დაშლილა და არც დაიშლება
სულის ქართულის პოლიფონია.

იმედს, ვითარც ხავსს, ხელი გავუშვი,
ცა იდუმალი მადლის დონეა.
ყიდვა-გაყიდვის ამ დიდ ხმაურში
სულს ვინ რად ავდებს,
ხორცად მწონიან.

შემართულია წკიპზე დამბაჩა,
და თერმომეტრში უკვე ნოლია, —
სულ აქ დავტოვე, თუ რამ გამაჩნდა,
ცეცხლი საფლავში არ ჩამყოლია.

განალური ბაროკამერა

მარილწასაყრელი წყლული,
ფიქრი გასამხელი კვნესით,
სისხლში ჩაგდებული გული,
გულში ჩაბანგული ლექსი.

ღიად დარჩენილი კარი,
ქარი აჭრიალებს კარებს, —
პეშვით დასალევი მტკვარი,
მტკვარში დასახრჩობი მთვარე,

შფოთი, ყაყაჩოთა შფოთი,
ჟინი, ნაკვერჩხლების ჟინი, —
ღვინით გავსებული ბოთლი,
ბოთლში ჩამწყვდეული ჯინი.

ფრე, ანუ მეფეთა სამშვიდოგო ზავი, საჰადრაკო დაფაზე გამართული სისხლისღვრის შემდეგ

მიყარ-მოყარეს ჰაიკები,
მიფანტ-მოფანტეს ოფიცრები,
მსხვერპლად გაიღეს კუ და მხედარი.
არ დაიტოვეს ლაზიერები
და ბოლოს, როცა
მარტონი დარჩნენ,
მიხვდნენ,
ვერაფერს გააწყობდნენ
ერთურთთან დავით, —
მამლაყინწებმა
შესთავაზეს ერთმანეთს ზავი.

„ცისფერ ლოგინში“

მეხსიერებას დრო აშარი
სულ მთლად როდი შლის,
დედა გვაწვენდა როგორც ჩიტებს,
სუფთა ლოგინში.

დაღლილს, დაქანცულს
მოსვენების მაქვს მოლოდინი,
ახლა მიწაა თურმე ჩემი
სუფთა ლოგინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
დავიწყოლიტერატურა

ცივი მეგობა,
არ ყოფილა ცივი სამარე,
ღმერთო, მომხედე
და ცა საბნად გადამფარე!

ჯერ ვიძინო, ფრთები გულზე უნდა
არ გამაღვიძო, გაზაფხულო, არ
გამაღვიძო!

მთვარის მეტაფორა

მთვარეს თითს ვაჭერ და
წკრიალებს ზარი,
ეულ მგზავრს არავინ არ მიღებს კარს,
იქნებ საუფლოშიც არავინ არი
და მე ჭირისუფლად არავინ მყავს?!

სინათლე ჭარბი და საღამო წყნარი,
დუმილი, რომელიც სასტიკად მძაგს, —
მთვარეს თითს ვაჭერ და
წკრიალებს ზარი
და მაინც არავინ არ მიღებს კარს.

ერთხელ იქნება

ერთხელ იქნება,
ცა გაიხსნება
და ღმერთი იგი
ჩემთან იქნება.

ერთხელ იქნება,
ერთურთს მოვწყდებით
ლამაზ ბგერებად, ფრთებად, სიზმრებად,
მომაკითხავენ ანგელოსები
მწუხრისა ჩემის გასაბრწყინებლად.

უცად ითქმება ყველა სათქმელი,
აელერდებიან წლები სიმებად ,
ერთხელ მოხდება ეს ყველაფერი,
ეს ყველაფერი ერთხელ იქნება.

ზღვა შეიძვრება რაღაც ერთ წამში
გზა გაიჭრება, დრო გარდიქმნება, —
ნისლები, როგორც თეთრი აფრები,
აიშლებიან ზღაპრულ ზვირთებად.

ერთხელ იქნება და დაიწყება
სულის ტანჯულის შუქად დინება, —
წყენათა წყენის გადავიწყება,
დარდისა დარდის გადაბინდება.

ერთხელ იქნება, არ შევშფოთდებით,
აღარ გადაგვრევს ტახტი, დიდება, —
არ დაგვჭირდება ლეღვის ფოთლები,
არც ედემ-ბაღი არ დაგვჭირდება.

გულს ამომძიძგნის ფიქრი კოდალა
და ასპარეზი ამიოხრდება, —
ეს ყველაფერი ჯერ არ მომხდარა,
ეს ყველაფერი ერთხელ მოხდება!

ერთხელ იქნება,
ცა გაიხსნება
და ღმერთი ჩემი ჩემთან იქნება!

აშლილ სუფრაზე გამთენიის ჟამს

ვეღარ ჰკადრებ სიკვდილს უარს,
თუმც კვლავ გიდგას ყალყზე ლექსი,
რა გამღერებს ყველა ყრუა,
შენი აფრაფერი ესმით.

ალბათ უკვე წასვლის დროა,
დაეკარგა სუფრას ფასი, —
შენი დასალევი თუა,
დალიე და დადგი თასი!

რევაზ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის კაცი

მოთხრობა

საგანგაშო ცნობა, აკუშოში რუსის ჯარი მოვიდაო, ნუზლის ჩამოსატანად ხახმატს აგზავნილმა ბაადურ ბადურაშვილმა, შეფიცულთა რაზმში წლოვანებით ყველაზე უმცროსმა, ახლად წვერულვაშწამოშლილმა, ოცი-ოცდაორი წლის თვალმახარა ბიჭმა, და მისივე კბილა ხევსურმა ხვთისო წიკლაურმა სწორედ მაშინ შეიტყვეს, როცა მშრალად მოხარშული ხორცით, გუდის ყველით, ახალი გამომცხვარი ქერის პურებით, ფქვილით, ერბოთი და სხვა სანოვაგით პირამდე გატენილი ჭრელი ხურჯინები ტანმორჩილ ცხენებს აჭიდეს და ბარისახოსაკენ დაშვებას აპირებდნენ.

ახლად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების რეგულარული ჯარის აკუშოში შემოსვლა, რისაც ეოსა და ბერს ასე ეშინოდა, იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ორწყალში გამაგრებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რომელსაც ზურგს სამთავე ხევსურეთში — პირაქეთ, პირიქით და არხოტში შეკრებილი რჩეული ვაჟკაცები უმაგრებდნენ, ადგილმდებარეობის ჩინებულად მცოდნე ჩეკისტების, მილიციელებისა და პარტიულების დახმარებით, მტერმა გვერდი აუქცია, ხევსურეთში აკუშოს ხეობით შევიდა, ოღრონოღრო გზებზე ამოგორებული ზარბაზნები აამოქმედა, დიდსა და პატარას თავზარი დასცა და ჩოლოყაშვილს ალაყში მომწყვდევის გარდაუვალი საფრთხე შეუქმნა.

არც თვით აკუშოში და არც სხვაგან, ხევსურთ სოფლებში, ქალ-რძლისა, უსუსური ბალღებისა და სიბერისაგან დაუძლურებული მოხუცებულების გარდა, არავინ ჰაჰანებდა. ქალი თუ კაცი, ვისაც კი მუხლი ერჩოდა და თოფიარაღის მოხმარება შეეძლო, წინასწარ დათქმული პირობის თანახმად, ბარისახოში შეგროვდა და უთანასწორო საღვთო ომში ქაქუცას ახლდა; ახლა კი, თუ აკუშოში მოულოდნელად შემოჭრილი პირშავი მტერი ცეცხლითა და მახვილით სოფლებს მოედებოდა, ჯეროვან პასუხს ვერავინ გასცემდა და მასაც შეეძლო ქვა ქვაზე აღარ დაეტოვებინა.

მრავალი ფიცხელი ბრძოლის გადამტან, მცირე ძალებით რიცხვობრივად ჭარბ მტერზე არაერთხელ გამარჯვებულ, ამჟამად კი ხაფანგში გაბმულ ქაქუცას ხსნის სხვა გზა აღარ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ მხარში ამოსადგომად ოთხივე კუთხივ მოსული უკლებლივ ყველა ხევსური შინ გაეშვა, თავად კი გუდა-ნაბადი აეკრა და იმავე გზით, რომლითაც აჰ ამოვიდა, ბარისაკენ დაშვებულიყო.

ბაადურს სწორედ ამ ხევსურებმა მოუტანეს ქაქუცას დანაბარები სიტყვა, წამო, ნუზლს თავი დაანებე, მაგისთვის ვიღასღა სცხელი, დღე იქნება თუ ღამე, ფშავში სადმე დაგვეწიეთ.

კეკნაობაში და მეზობელ მთიელ ტომებთან მიხტომ-მოხტომაში სახედაჩეხილმა ძველმა მეომრებმა, ხახმატელმა ბერიაკაცებმა, ხურჯინები რომ თავისი ხელით გატენეს და ორად ორ ჯელ ბიჭს, — ბაადურსა და ხვთისოს, ცხენებზე გადააკიდებინეს, გაიოცეს და შეიცხადეს, როცა საგანგებოდ გამოგზავნილმა კაცებმა ქაქუცას დანაბარე-

ბი მოიტანეს. ეგ როგორ იქნება, ვეეჟო, მაშ, ამდენი ტუილად ვიწვალეთო? მაგრამ ბელადის ბრძანებას ვერ გადავიდნენ, ძმიმე საპალნით წელში გადრეკილი ცხენები, სიპი ქვით მოგებული ხელისდადება ეზოში მოუსვენრად რომ ფრუტუნებდნენ და ფეხებს წამდაუწუმ ინაცვლებდნენ, აღვირებით სახლის ბოძზე გამოაბეს და თვალზე ხელმოჩრდილებულმა მანამ უყურეს ჩოხაამოკალთავებულ, მხარზე თოფგადდებულ, თავშიშველ ბაადურს, სანამ მან წინაღამინდელი წვიმით ატალახებული თავდაღმართი არ ჩაათავა და ახლად დადგმული თივის ზვინების უკან თვალს არ მიეფარა. ხვთისო აღარ გაჰყოლია. ბაადურმა თვით არ მოინდომა მისი გაყოლა. ხიფათში რაღად ჩაგგდო ახალი ჯვრდაწერილი კაცი, ბარემ დარჩი, გზას უშენოდაც კარგად გავიგნებო. მზე უკვე შემაღლებული იყო და იმედოვნებდა, თუ გზაში დაბრკოლება არაფერი შეხვდებოდა და უცაბედად მტერს არსად გადაეწყდებოდა, კარგა დაღამებამდე ფშავის არაგვის ხეობის პირველ სოფლებამდე ჩაალწევდა. იქ საკუთარ ალღოს უნდა მინდობოდა, ვინმე სანდო კაცი ეპოვნა და ქაქუცას რაზმის ამბავი ეკითხა.

ბინდდებოდა, წყალში რომ გავიდა. რიყეზე, მოფარებულნი, ქვაზე ჩამოჯდა, ქალამნები და ხახმატის ხატის დღეობაზე ხევსური გოგოს ნაჩუქარი ჭრელი ჰაჭიჭები გაიხადა, გაიძრო წინდებიც, გაწურა, ისევ ჩაიცვა და, დრო რომ არ დაეკარგა, მაშინვე ზეზე წამოვარდა. სიარულში სველი ქალამანი გაიწელა. ფეხი შიგ წამდა-უკეფმა ცურავდა და სიარულს უშლიდა. მე უბედურს, გაღმა უნდა გამეხადა და წყალში ფეხშიშველი შევსულიყავიო, გაიფიქრა და ისევ შეათვალიერა მყუდრო ადგილი, ჩამოჯდა, თოფი გვერდზე მოიდო, ქალამნები ხელახლა გაიხადა, თასმებით ერთმანეთზე გადააბა, მხარზე გადაიკიდა და გზა წინდებისამარა განაგრძო.

ხეობაში აცივდა. მდინარის კალაპოტის მხრიდან ჩანჩქერის გაავებული შხუილი ისმოდა, ნესტიანი ქარი ფანტავდა და ეს ქარი ძველ-რბილში ატანდა. ისე ჩამობნელდა, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ უკვე აღარაფერი ჩანდა, ცაც მოღრუბლული იყო, მხოლოდ წინ ხედავდა თეთრი ხვინჭკით თითქოსდა საგანგებოდ მოკირწყლული ბილიკის ვიწრო ზოლს და მას ალალბედად მისდევდა. ღმერთმა ნუ ჰქნას და იესო მაცხოვარმა, თვალმა მღელატოსო, ფიქრობდა გზადაგზა, ანდა სადმე ტბრის საფარს გადავაწყდე, ხრამში ჩავიჩეხები და ეს დალოცვილი არაგვი, აქაურობას რომ იკლებს ღრიალით, იგრე ხათქახუთქით წამიღებს, ჩემი კვალიც აღარსად დარჩებაო. აფსუს, ბადურა, რა ბიჭი იყავი! — ფიქრში საკუთარ თავს მოეფერა და სიამოვნებისაგან ღიმილი მოერია. — შვილი და ძირი მაინც დაგრჩენოდა, შე ცხვირა, ბადურაშვილების გვარი არ გადადგეშენებინა. ყველა ყველა და, მამაშენს რაღა პასუხს აძლევ, შე ბიშაკაკო?! თავისი ხელით მაინც არ მიეყვანე ქაქუცასთან, წინანდლის ტყეში და მთელი რაზმის თანდასწრებით არ ეთქვა, აი, ჩემი პირმშო შვილი, ქაქუცავ, სამშობლოსათვის შემომიწირნია, დაიტოვე და ამსახურე, დღეს პატიოსანი კაცის ადგილი ტყეშია, შენს გვერდით; თუ ბელატოს, მოჰკალ, მოღალატეს მე შვილად მაინც აღარ მივიღებო. შე საწყალო მამაჩემო, ხომ ვიცი, ამას როცა ამბობდი, გული როგორ გიდღიდა! ვისა ჰყავს ასეკვდილოდ გასამეტებელი შვილი, ძალზე რომ არ გაგგიჩვენებოდა! ახლა რაღას იტყვი, შენი თავმოსაწონებელი ბადურა-ბიჭი ბნელ ღამეში დათვებმა რომ შეგიჭამონ, ან არაგვმა დაგიხრჩოს? ეჭვიანი კაცი ხარ და იქნებ ისიც კი იფიქრო, რომ ქაქუცას განზრახ ჩამოვრჩი, ვუღალატე, მისი ღალატი ხომ სამშობლოს ღალატია, და აქ სადმე უსირცხვილოდ ვიმალები? ჩეკაში ისევ გამოგიძახებენ, ჩემი ცოდვით სავსე კარაკოზოვი, წინანდლის ჩეკა, არც დღე მოგასვენებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ღამე, მილიციასა და პარტიულებსაც მოგისევს, ჩოლოყაშვილთან გასული შვილის მოყვანას და ჩაბარებას მოგთხოვს, იმასაც კი აღარ დაგიჯერებს, რომ აღარა ვარ, უსახელოდ დავიღუპე, დიდი ხანია, რაც ჩემი სული ხორცს გაეყარა!..

ჩუ! ეს რა ხმა იყო? ნუთუ ძაღლები ყეფენ? თუ მგელი ყმუის? არა, ყმუილს ნამდვილად არა ჰგავს, მაშ, ძაღლის ყეფაა? თუ ასეა, სადმე ახლოს სოფელი უნდა იყოს, ან მწყემსის ბინა. მაგრამ შუაღამისას ძაღლი რისთვის აყეფდება, თუ ვინმე უცხო არ შენიშნა? ეტყობა, აქ მარტო არა ვარ, კიდევ ვიღაცა არის ჩემს გარდა და, ძაღლებიც სწორედ იმას უყეფენ!

ალღოს არ მოუტყუებია. მართლაც ძაღლების ყეფა იყო, მაგრამ ისე შორიდან და ყრუდ ისმოდა, ერთობ მახვილი სმენის პატრონი უნდა ყოფილიყავი, რომ გაგეგონა. გზა მთლად ფეხაკრეფით განაგრძო. დროდადრო ჩერდებოდა, სულს ნაბავდა და აყურადებდა. ძაღლები ისევ ყეფდნენ, მაგრამ ამჯერად უკვე ნაკლები გააფთრებით, რაც იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რომ უცხო მგზავრები უკვე დიდი მანძილით დაშორდნენ მათ, ციცაბო ალმართი ამოიარეს, ანდა ქოხის კარს ნამძინარევი მასპინძელი მოადგა, მყეფარებს გაუწყრა, დაიფრინა და ნაგვიანევად მოსული დაუპატიჟებელი სტუმრები შინ შეიწვია.

ბაადურისათვის ერთიც ავის მაუწყებელი იყო და მეორეც. თუ უცხო მგზავრებმა აღმართი ამოიარეს და კიდევაც ამოვაკეს, კიდევ რამდენიმე წუთიც და, ისინი მას უნდა შეხვედროდნენ, რადგანაც აქ სხვა გზა არ იყო, ხოლო თუ ძაღლების პატრონს მიაკითხეს და ახლა მის ცეცხლს ეფიცხებიან, ბაადურს თავისი არსებობა არამც და არამც არ უნდა გაემეღავნებინა. ხომ შეიძლებოდა, რომ ისინი ჩეკისტები, ან ადგილობრივი პარტიულები ყოფილიყვნენ, რომელთაც ხევსურეთში ცეცხლითა და მახვილით შეჭრილ თავიანთ სიარნებისაკენ მიეჩქარებოდათ?

ბაადურმა კიდევ გაიარა ორმოცოდე ნაბიჯი, გაჩერდა, პირში ვაზნამიეცემული კარაბინი ღონივრად ჩაბღუჯა და გაინაბა, იქნება რამე გავიგონო. გზაზე სრული სიჩუმე სუფევდა. ღამის მდუმარებას მხოლოდ მისივე გულის გამალებული ბგაბაუგი და არაგვის ყრუ შხუილი არღვევდა. ამან გამბედაობა შემატა. მხრიდან სველი ქალამნები ჩამოიღო, გადახსნა, ჯერ ერთი ამოიცვა, მერე მეორე, თასმები მარყუჟად გადაკვანძა და ბილიკს, რომელიც აქ ერთბაშად ფართოვდებოდა, მონადირის მოზომილი ნაბიჯით გაჰყვა. ქვემოდან მომავალს, თუ მართლა ვინმე მოდიოდა, ის სროლას აუცილებლად დაასწრებდა, რადგანაც საამისოდ მომზადებული იყო, მაგრამ ყიამეთში მტერსა და მოყვარეს, შარაგზის ყაჩაღსა და უბრალო, მშვიდობიან მგზავრს ერთმანეთისაგან როგორ გაარჩევდი?

ამ ფიქრში იყო, სადღაც ქვემოთ, ჭალაში, განათებული სარკმელი რომ დაინახა. სარკმლიდან გამომავალი მოყვითალო შუქი, სიბნელეს შეჩვეულ კაცს თვალს რომ ჭრიდა, მკრთალად ანათებდა მესერშემოვლებული ეზოს ზედა ნაწილს და დიდრონ, დაბერტულ ხეებს, კაკლებს თუ ცაცხვებს, სახლის ჩამუქებული სახურავიდან კი ნაპერწკლებგარეული კვამლი ამოდიოდა და დამწვარი ნედლი შეშის სუნი აქამდეც კი აღწევდა.

ბაადურმა კარგა ხანს იყოყმანა. როგორ მოქცეულიყო, განათებული სახლისათვის, რომლის დანახვასაც მთელი ღამე ნატრობდა, გვერდი შეუმჩნევლად როგორ აევლო. ერთი პირობა უკან დაბრუნება და წყლის პირზე ჩაბობღებაც გადაწყვიტა, მაგრამ. სრულ სიბნელეში ამის მოქმედება, ისიც სრულიად უცნობ ადგილზე, მოუხერხებელ საქმედ ეჩვენა და არჩევანი ისევ სახლის წინ უჩუმრად ჩავლაზე შეაჩერა. ეზოს ზედა კუთხემდე სუნთქვაშეგუებებული ჩავიდა და იმედი დაებადა.

გზის დარჩენილ მონაკვეთსაც, ფერდობზე შემოფენილი ეზო-კარმიდამოს ჩასწვრივ რომ ეშვებოდა, ასევე უხმაუროდ და უფათერაკოდ ჩავივლიო. კიდევაც ჩაივლიდა და სამშვიდობოსაც გავიდოდა, სულ უკანასკნელ წამს სველ ქალამანში ფეხი რომ არ ასცურებოდა, ქუსლი ქვაზე არ წამოეკრა და ის მოჯადოებული ქვაც ნაიღვარის ნავალ შუროში ხტუნვა-ხტუნვით არ ჩაგორებულიყო.

— ახლა კი დავიღუპე!.. ქრისტე-ღმერთო, ღვთისმშობელო დედა... თქვენ შემეწიეთ!.. — აღმოხდა ბაადურს. პირჯვარი ნაჩქარევად გადაიწერა დ არც კი დაფიქრებულა, თითქმის ორი ნაბდის გაშლა შუროს ნახტომით თავზე გადავევლო. მიწაზე ფეხის დაკარების უმალვე კოჭის სახსარში მწვავე ტკივილი იგრძნო, ჩაჯდა და მუხლმოკვეთილმა მწარედ დაიკვნესა. სადღაც ძაღლმა შეჰყეფა და მერე ყველა ერთად ყეფით მოვარდა მესერს. ტკივილისაგან და ძაღლების მძვინვარე ყეფისაგან ღონემიხდილმა და დაყრუებულმა ბაადურმა ისღა შენიშნა, რომ ძაღლები, ფარის მცველი ქოფაკები, სამნი იყვნენ. ორი მესერს აწყდებოდა და ზედ გადმოხტომას ლამობდა, მესამე კი გულდაგულ დაეშვა ქვემოთ, სადაც, ალბათ, ჭიშკარი ან ალაგე იყო და გზაში გამოსავარდნად მას ხელს აღარაფერი შეუშლიდა.

ბაადურმა ხელისგული მოუფათურა მიწას. კარაბინს ეძებდა. თუ გააფორებული ძაღლი ზედ მოაწყდებოდა, სხვა საშველი არ იყო, იარაღი უნდა ეხმარა, თუნდაც პატრონს შვილად საღირალი ძაღლის მოკვლის გულისათვის თავადაც იმ ქვეყანას გაესტუმრებინა. ხელში არაფერი მოხვდა. დაცემისას, ეტყობა, თოფი ხელიდან გაუვარდა და შუროში ჩაცურდა. კოჭში ისე მწვავედ გრძნობდა ტკივილს, სახსარი ისე უღვთოდ ტეხდა, განძრევა არ შეეძლო, ბოლოს მაინც მოახერხა, თოფს მისწვდა და დაითრია. უეცრად ქოხის კარი გაიღო და ეზოს, მესერსა და გზას, სადაც ბაადური უღონოდ ეგდო, შუბივით გაკ[illegible] მოწვდილი სინათლის გრძელი [illegible] დაეცა.

— ვინა ხარ მანდ? ჰეი!..

ხმა ბერიკაცისა იყო, მყივანა და ხრინწიანი. ის ღია კარში იდგა, ხელში სანათური ეჭირა და სიბნელეს აკვირდებოდა, ცდილობდა, რაიმე დაენახა.

— ხმა ამოიღე, კაცო, თუ მართლა ვინმე ხარ, რა ენა ჩაგივარდა?!

— აქეთ, აქეთ, ძიაკაცო, — ბაადურს თავადვე გაუკვირდა, საკუთარი ხმა რომ გაიგონა.

— აქეთაო? ვინა ხარ, სად მეპატიჟები? გაჩუმდი, ძაღლო, დამეკარგე აქედან, შე ტიალო! — ბაადურის გულის გასახარად ბერიკაცმა სანათური სახლის დირეზე დადგა, ჯოხს დასწვდა და ქოფაკებს შეუტია: — რა ეშმაკი გეცათ, კაცია, მგელი ხომ არა! გამაგებინეთ, რას იძახის!

— მგზავრი ვარ, ფეხი გადამიბრუნდა და ზეზე ვეღარ ვდგები!

მასპინძელი ეზოს თავდაღმა დაჰყვა იქ ალაგეზე გადმოამბიჯა და შუკაში გადმოვიდა.

— ეს რა არის, შენ თოფიც გქონია? — წამოიძახა მან, როდესაც ბაადურს მოუახლოვდა და ხელში ლულაბზნებული კარაბინი დაუნახა. — მოიტა ეგ თოფი აქ, თუ არა მილიციას დავუძახებ!

ტკივილისაგან გაწამებულმა ბაადურმა კბილი კბილს დააჭიანა, წამოიწია და კარაბინი უყოყმანოდ გაუწოდა. ამან მოხუცებულს გული ერთბაშად მოუღბო. ეს ვიღაცა რომ საავკაცოდ ყოფილიყო მოსული და კოჭის ღრძობა სიტყვის მსაალად მოეგონა, თოფს არასდიდებით არ დასთმობდა.

— ხანჯალიც შევიხსნა? — შეფარული დაცინვით ჰკითხა ბაადურმა.

— აბა, მაშ, ახლავე შეიხსენი ხანჯალიც, თუკი გაქვს!

— მძიმეა, ვერ ათრევ, თუ არა, მე რა მენაღვლება! — ამ სიტყვებით ბაადურმა სარტყელში ჩაკეცილი მოკლე ჩოხის კალთა ამოუშვა, შეიხსნა ქამა-

რი, რომელზედაც ქაქუცას ნაჩუქარი სატევარი ეკიდა და ასასვივით თავზე წამომდგარ ბერიკაცს მისცა. ამასობაში ძას შინიდანაც მოეშველნენ. ეს ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა, საშუალო ტანის, თვესფერით თმაგაკრული, მარჯვე და ღონიერი. ის ბაადურს მხარში ერთგულად შეუდგა. მისი მარჯვენა ხელი კისერზე გადატარა და მამის თუ მამამთილის დახმარებით, დაშავებული ზეზე წამოაყენა. ბაადურს ტკივილისაგან თვალთ დაუბნელდა, ერთი კიდევაც გულგამგმირავად დაიკვნესა, მაგრამ ქალისა შერცხვა და პირზე კლტე დაიდო, ტკივილს უხმოდ იტანდა.

— ცოტა შენც მოგვეხმარე, შვილო, — დაიჩივლა ბერიკაცმა, რომელსაც ბაადურის ქამარ-ხანჯალი, სანოვაგით გატეხილი გუდა და კარაბინი მოჰქონდა. — მძიმე ყოფილხარ!

ქალს პურის ჩასაცხობად გაფიცხებული თორნის სუნი ასდიოდა. ბაადური მთელი არსებით გრძნობდა ამ დამთრობელ სუნს და თავბრუ ეხსმოდა. მას უნდოდა, ეს განუსაზღვრელი ნეტარება, ქალის სიახლოვე რომ ანიჭებდა, უსასრულოდ გაგრძელებულიყო და ტკივილს თუნდაც ასწილად მეტს გაუძლებდა. ქალს ძალუმად უძაგებდა გული. ჯანსაღი გულის ეს ღონიერი ფეთქვა ბაადურზეც უჩინარი არხით გადმოდიოდა და მას ცეცხლივით ეკიდებოდა ზეადმტაცი გრძნობა, რისთვისაც ღიმს გაჩნდე და იცოცხლო ამ ცოდვა-მადლით სავსე ქვეყანაზე. ბაადურს უნდოდა კრიჭა გაეხსნა, რაღაც ღრმა და სათუთი ეთქვა ქალისათვის, რომელს ღონიერ და ამავე დროს საკვირვლად რბილ მხარს სხეულის მთელი სიმძიმით აწვებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს არ შეეძლო, რადგანაც მეორე მხარში მისი მამა თუ მამამთილი ჰყავდა შემდგარი, ქალის შეუბღალავ ნამუსს იმ სამი ქოფაკი ძაღლივით რომ დარაჯობდა, ბაადური რომ კინაღამ დაგლიჯეს და ცოცხლად შეჭამეს.

სახლს საპყრობილის თუ ძველებური ციხე-სიმაგრის სქელი კედლები ჰქონდა და სამი თუ ოთხი ოთახისაგან შესდგებოდა. უკანა ოთახში, ეარომეტლიც, ალბათ, ერთი მხრივ არაგვის ქალას გაჰყურებდა, ხოლო მეორე მხრივ ხევსურეთის მთებისაკენ იყო მიპყრობილი, ვიღაცები ისხდნენ და მასპინძლის მოლოდინში ხმადაბლა მასლაათობდნენ. წინკარში რომ არეული ფეხის ხმა გაისმა, მასლაათი შეწყდა და სახლი სრულმა სიჩუმემ მოიცვა. ქალი დაწინაურდა, ისე, რომ მხარზე გადადებული ბაადურის ხელი არ მოუშორებია და კევრის სიფართე მძიმე კარი მუხლით შეაღო.

ბაადური ნეტარების ბურუსიდან მაშინ გამოვიდა, როდესაც კუთხეში მიდგმულ ფარდაგგადაფარებულ ტახტზე დასვეს და ქალმა მისი მკლავი, თავზე ფრთხილად გადაიტარა, სახეში პურის ჩასაცხობად გაფიცხებული თორნის მხურვალება შემოაგზნო და ლამპას მოუკიდა.

ბაადურმა დაინახა, რომ კარგა მოზრდილ ოთახში იყვნენ, რომლის ერთ კედელთან, ტახტსა და მაგიდას შორის, თაჯის ღუმელი იდგა. ოთახი შუაზე გადაატიხრათ კედლიდან კედლამდე გამწყდომი ჩითის ფარდით. ქალმა ფარდა გადასწია და მის უკან გაუჩინარდა. იქ ერთხანს ჩურჩული ისმოდა. ჩანდა, ფარდის მიღმა ვიღაც იწვა, იქნება მოხუცებული დედა ან დედამთილი ამ ქალისა და ამანაც მისი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა, სახლში უცხო კაცის შემოყვანის ამბავი მიუტანა. მალე ისევ გამოჩნდა, ღუმელის კარი გამოაღო, ნაცარში ჩახვეული ნაკვერცხლები მოჩხრიკა, გააღვივა, ზედ კვარის პაწია წკირები დაანწყო, ჩაიჩოქა, ნაკვერცხლებს სული რამდენჯერმე შეუბერა და ოთახში ის სასიამოვნო სული დააყენა, ეკლესიაში რომ დგება ხოლმე გახურებული მღვდელმსახურების დროს.

სანამ ქალი ფუსფუსებდა, ბერიკაცი, რომელსაც მოკლედ "შეკრეჭილი, ნიკოტინით შეეღებულები თეთრი წვერი ჰქონდა და ტანთ ახალთახალი დალიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგებული ჭურთუკი ეცვა, ოთახიდან გავიდა, ბაადურის ქამარ-ხანჯალი და კარაბინი წინკარში გაიტანა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა. ბაადურს არ უკითხავს, სად წაიღო მისი თოფ-იარაღი. მიხვდა, უთუოდ საიმედო ადგილას გადამალა და მოსალოდნელი ავკაცობისაგან ამით თავი და თავისი ოჯახი დაიზღვია. ბერიკაცი რომ გავიდა, ბაადურს ერთხელ კიდევ შემოაწვა მწველი სურვილი, ქალს გამოელაპარაკებოდა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო რამ ეთქვა, მაგრამ, წეღანდლისაგან განსხვავებით, როცა ხელიხელგადახვეულნი აქეთ მიდიოდნენ, ახლა გაურკვევლობა ბოქავდა, არ იცოდა, ვინ იწვა იმ საიდუმლოდ ჩამოფარებული ჩითის ფარდის უკან.

ამასობაში ბერიკაცი ისევ შემობრუნდა.

— სახელი რა გქვია, ვაჟო?

— ბაადური. შინაურობაში ბადურას მეძახიან.

— აბა, ბაადურ, თუ შეგიძლია, ასწი ფეხი, აი, აქ შემოდგი, — ბერიკაცმა ტახტის კუთხეზე უჩვენა. — ვნახოთ ერთი, რა გჭირს.

— სამი ძაღლი რად გინდა, ერთი არ კმარა?

— რატომაც არ მინდა, შვილო, მეცხვარე კაცი ვარ, ფარა უძაღლოდ ვის გაუგონია, ხომ დაგვიჭამა ცხვარი მგელმა! სამი მყვანდა, სამიც ამ არეულობამდე და ქვეყნის დაქცევამდე დუშეთში ვიყიდე. თათარს ჩამოეყვანა ბორჩალოდან. მინდოდა ცხვარში გამეგზავნა. ახლა ვისა სცალია, ვის გინდა გაატანო. მე კიდევ მოვხუცდი, მუხლი ძველებურად აღარ მომდევს, ვერც სალსა ვტოვებ უპატრონოდ. შენცა ხედავ, გზაშარაზე ვცხოვრობთ!..

ბაადურმა სისველისაგან დარბილებული ქალამანი წაიძრო, მერე წინდაპაჭიები გაიხადა და მტკივანი ფეხი გაჭირვებით მითითებულ ადგილზე შემოსდო.

— ოო, ეს მართლა ძალიან გიტკენია, ჩემო ბაადურ. აგრე არა გქვია? — ისე გასივებულა, კოჭი აღარც კი ეგმარნევა. რა ვქნათ, ჰა?

— ესეც ჩემი ბედი! რომ გადავტეხ ფეხი დამისხლტა და გადამბრუნდა. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი საქმე კარგა არ იყო, მაგრამ რაღას მოვეწეოდი.

— ვოგო, თამრო, მოდი, ნახე, რა დღეშია ეს საცოდავი. მე კი მეგონა, იგონებს, ჩემი მოტყუება უნდა-მეთქი.

— ეჰ, — ამოიოხრა ბაადურმა და გულიც თან ამოაყოლა.

ქალი მოვიდა. რუმბივით გასივებული ფეხი რომ დაინახა, შეწუხებულმა ყბაზე ხელი შემოიდო, ამას რასა ხედავს ჩემი თვალებიო, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— შენ, გეტყობა, წყლის გათბობას აპირებ, შვილო. დაისხმე: ნაღრძობს და შეშინებულს სითბო არ უყვარს. ტილო უნდა დავასველოთ ცივ წყალში, გავწუროთ და ფეხზე შემოვფინოთ. ფეხი ცხელია, უჰ, ძალიან უხურს. გეგონება, მტრისა და ავისას, ცეცხლი უკიდიაო. აი, გასინჯე! ცივი ტილო უნდა დავადოთ. გათენდება და მერე იქნებ ღმერთმა უკეთესი ჩაგვაგონოს. გტკივა ძალიან, ბაადურ?

—მტკივა.

— მერე როგორ უძლებ? გეტყობა, მაგარი ბიჭი ხარ!

— ვუძლებ, რა ვქნა, — თქვა ბაადურმა და აილეწა, ქება ესიამოვნა, მით უფრო ის, რომ თამროს წინაშე აქებდნენ. ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით ქალს შეხედა და ტუჩებზე გატანჯული ღიმილი გაუკრთა.

— საიდან მოდიხარ და სად მიდიხარ?

— გუდანში მოჯამაგირედ ვუდექი ხევსურს. ცხვარს ვმწყემსავდი. ფარაში ჭირი გაჩნდა, ცხვარი გვეზარალა. პატრონმა მე დამაბრალა, ვერ მოუარეო და დამითხოვა.

— შენისთანა ბიჭი აგრე ადვილად არ იშოვნება და არც უნდა გაემეტებინე.

— გამიმეტა და რა ვქნა, — ბაადურს ყურები კი წამოუწითლდა, მაგრამ ისე

დაწყობილად, წინასწარი მოფიქრების გარეშე ტყუოდა, თავადვე უკვირდა, ნუთუ ეს მართლა მე ვარო.

— ანგარიში ხომ გაგისწორა?

— როგორ არა, რაც კი მერგებოდა, ყველაფერი უკლებლივ მომცა. კარგი კაცი იყო, არ ვემდური.

— არც შენა ხარ ცუდი, ამაგს რომ არ უკარგავ! ახლა აქეთ საით მიეჩქარები?

— სამუშაოს ვეძებ, ძიაკაცო. იქნება მადლი მოისხას ვინმემ და დამიყენოს. მეცხვარეობაში ცოტა რამ მეც შესმის. ბევრ ჩემზე უკეთესს ტოლს არ დავუგდებ. ჩემგან, ღვთის მადლმა, პატრონი გულნაკლული არ დარჩება. არც ბატკანს დავაკლებ, არც მატყლს, არც ყველ-კარაქს, ყველაფერს მისხალ-მისხალ მივუწონი!

— აგრე იქნება. შენნაირი ბიჭი იგრე ადვილად არ იშოვნება, როგორც იმ შენს გუდანელ პატრონს ჰგონებია.

ბაადურმა შეატყო, რომ ბერიკაცი ღრმად ჩაფიქრდა. ყალიონი ვაიწყო, მაგრამ კვეს-ამედის გაკვრას და მოკიდებას არ ჩქარობდა, თავისთვის რაღაცას ანგარიშობდა, გონების სასწორზე სწონდა. ბაადურმა შეატყო ეს და გაჩუმდა, ყურადღება თავის მოშიშლებულ, გავარვარებულ კოჭზე გადაიტანა, რომელზედაც სწორედ ამ დროს იგრძნო სველი სიგრილე. შეკრთა, მთელ სხეულში ნაცნობმა კრუანტელმა დაუარა.

ქალი, ხატის წინაშე აღთქმადადებულივით, უბრად მუშაობდა. გარდა გასივებული კოჭისა, ვერავის და ვერაფერს ხედავდა, სხვა რამე საზრუნავი თითქოს არც არა ჰქონდა რა და, თუმცა მისი თლილი, შრომაში ოდნავ გაუხეშებული თითების ყოველი შეხება ბაადურს ჯოჯოხეთურ ტკივილს აყენებდა, მაინც გვრიტივით განაბული იყო და სულით ხორცამდე ქალს მინდობილი, ენით აუწერელი ნეტარების ბურუსში დაცურავდა.

საქმეს რომ მორჩა, ბაადურის წინ ჩაცუცქული თამრო წამოდგა, ღაწვი ხელის ზურგით მოიფხანა, ერთხელ კიდევ მუშტრის ოვალით ახედ-დახედა სახვევით შეფუთნილ ფეხს, ხომ ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც საჭიროაო, მერე აიღო მომინანქრებული ჯამი, რომელშიაც ტოლოს წურავდა და ოთახიდან იმ კარით გავიდა, რომლითაც აქ შემოვიდნენ და საიდანაც ბერიკაცმა ბაადურის ქამარ-ხანჯალი და კარაბინი გაიტანა.

— ვეთაზმოთ, შვილო, ბაადურ, — მამობრივი მზრუნველობით უთხრა მოხუცმა. — ლუკმას რომ გადაყლაპავ, მერე უკეთ დაგეძინება. შენ იქნებ დილას აქეთ არაფერი გიჭამია?

ბერიკაცი არ ცდებოდა. მას შემდეგ, რაც ხვოისო წოკლაური ხახმატში დატოვა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის კვალის საძებნელად წამოვიდა, ბაადურს ხემსიც არ გაუსინჯავს, თუმცა ზურგზე ნოყიერი სანოვაგით პირამდე გატენილი გუდა ეკიდა. შიმშილს სრულებით არ გრძნობდა და იქნება საკმელი არც მოჰგრძნებოდა, მოხუცებულს რომ არ გაეხსენებინა.

— ჰა, რას იტყვი? — ჰკითხა ბერიკაცმა. — აგერ, ტახტზე გავაშლევინებ, შორს კი არსად წაგიყვანთ, მერე აქავე გაგიშლით ქვეშაგებს და დაიძინე. ჯერ გათენებამდე დიდი დროა, მამალმა ახლა იყივლა.

ბაადურს თავპატიჟი არ გაუდვია, უფრო იმის გამო, რომ თამროს ახლო ყოფნის, მისი მალულად მზერის კიდევ ერთი საშუალება ეძლეოდა, ოღონდ სტუმართმოყვარე მასპინძელს ის კი სთხოვა, ჩემი გულისთვის მაინცდამაინც თავს ნუ შეიწუხებთ, რადგანაც გუდაში ღვთის მოცემული ყველაფერი მაქვს, პატრონმა იმდენი გამომატანა, მარტო მე კი არა, მთელ მაყრიონს დანაყრებსო.

ტახტის კიდეზე, სადაც ბაადური ფეხებაკრეფილი იჯდა, თამრომ თეთრად გატკიცინებული, ორად გაკეცილი სუფრა გაშალა. სუფრა მთლად ეხმარი უნდა ყოფილიყო და ახალგაზრდა დიასახლისს უცხო სტუმრის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემოდ ამოეღო სკივრიდან, რაც შეეძრნეველი არც ოჯახის უფროსს დარჩენია და გულში ქალს მოსაზრებულობას უწონებდა. გაჩნდა ორი თეფში, ორი ჭიქა, ორი დანა, ორი ჩქიფი, მარილი, სქლად დაჭილი, მომწვანომოყავისფრო გუდის ყველი, წყაროზე გახარჩაბული ნორჩი მწვანილი. რადგანაც სტუმარი არ იშლიდა და სარწმუნო არგუმენტებსაც იშველიებდა, თამრომ შემოსასვლელ კართან ზურგით კედელზე მიყუდებული მძიმე გუდა ტახტთან მიიტანა და თავი ისე ადვილად და სწრაფად მოხსნა, თითქოს ორიოდე წუთის წინ თავადვე გაეკვანძოს. სუფრა დაამშვენა შებრაწყლმა ცხვრის ბარკალმა, მრგვალად მოხარშულმა დედალმა, შოთებმა, ერბოთი გაზაზინებულმა ყველიანებმა.

— ეგ რაღა გამოვიდა, — თქვა ყოველივე ამის დანახვით ერთობ ნასიამოვნებმა ბერიაკაძმა. — ჩემ ოჯახში ხარ და შენ აქეთ გვიმასპინძლდები?

— სულ ერთი არ არის, ძიაკაო? შესაჭმელი უნდა შეიჭამოს, დასალევი უნდა დაილიოს! — ბაადურმა საქმეში გართული ქალს ქვეშ-ქვეშ გახედა და ამით თითქოს უთხრა, პატრონს ჩასაბარებელი კიდენი პატრონს უნდა ჩაბარდესო.

— თამრო, სიკვდილსაც დავიწყებიხარ, შვილო, სტუმრის საკადრისი მწარე არაყიც მოგვართვი, თითო-ოროლა ჭიქას პირს წავუქცევთ.

— აჰ, არა! — გადაჭრით იუარა ბაადურმა და თავის ჭიქას ხელი დაიფარა. მაგარი სასმელის მიღება, თუნდაც ცოტაოდენისა, რაზმში ქაქუცას აკრძალული ჰქონდა და ხანდახან თვე ისე გაიელიდა, ადგილ-მამულის პატრონი, ვახის ძირში გაზრდილ-დავაჟკაცებული და გაკალარავებული ქართლ-კახელი გლეხები, შეფიცულთა რაზმის წევრები, პურის ჭამა ღვინის დაუყოლებლად რომ არ შეეძლოთ, პირში წვეთსაც ვერ ჩაუშვებდნენ. რაზმელები ხალისით ასრულებდნენ საყვარელი ბელადის ბრძანებას, რადგანაც უკლებლივ ყველას მიაჩნდა, რომ საზედაშე ღვინიანზე უარის თქმა და თავშეკავება იმ ჭეშმარიტლიშვილური მოვალეობის განუყოფელი ნაწილი იყო, რომლის მოსახდელადაც ზამთარ-ზაფხულ კლდესა და ღრეში იღამებდნენ და ღამესაც იქვე ითენებდნენ. — ახლა მე რამე დამელევნება? ნუ შეაწუხებ!

— ეგეც სწორია. შეიძლება ფეხზე გაწყინოს. შენ მართალი კარგი ბიჭი ყოფილხარ. მე მოვკვდე. თეფში და სკამი მოიტანე, შვილო, თამრო და ჩვენთან დაჯექი. მთელი ღამე ფეხზე ტრიალება და შენც ხომ მოგშივდებოდა!

თამროს არაფერი უპასუხნია. სახელდახელოდ გაშლილ სუფრას ერთხელ კ-დევ დაკვირვებით გადახედა, როგორც წეღან გაწურული საფენებით შეფუთულ კოკს, ხომ არაფერი აკლიათო და კაცებს უჩუმრად გაეცალა. კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. სტუმარი და მასპინძელი უხმოდ და საქმიანად შეეკნენ. ერთი ანდაზისა არ იყოს, მადა ჭამაში მოუვიდათ. ნავახშვევს ბერიაკაძა პირჯვარი გადაისახა, ისევე როგორც ჭამად დაჯდომის წინ, საზრდელის ბოძებისათვის მაღალ ღმერთს მადლობა შესწირა, პურის ნამცეცები აკრიფა, მუშში მოაგროვა, თავის თეფშზე დაყარა და, თამრო რომ არ შეეწუხებინა და გაესარჯა, ჭურჭლის ალაგება თავად დაიწყო. თამროს თვალი და ყური აქეთ ჰქონოდა. თეფშების წკრიალი გაეგონა და ფეხისწვერებზე გამოგოგმანდა ფარდის უანდან, მოხუცს სიტყვის უთქმელად ჩამოართვა საქმე, ჭურჭელი იქვე, მაგიდაზე დაწყო, მონარჩენი ხორცი, ყველი, კვერცხები და პური თახჩაში შეალაგა, სუფრა აკეცა, სკამის ზურგზე გადაჭიდა და ტახტის ფეხთან წეღანდებურად ჩაიჩოქა.

ეს იმის ნიშანი იყო, რომ დაძინების წინ ბაადურს ფეხი უნდა ეჩვენებინა და მანაც არ დაეყოვნა, მტკივანი ფეხი ქუსლით ტახტზე შემოდგა, თან ფიქრობდა: „ღმერთო, დიდებულო, ნუთუ მუნჯია? ნუთუ გამჩენმა ღმერთმა ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიმეტა, რომ სიტყვის ამოთქმის უნარი წაართვა? დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი!“

სფენები ისევ ნოტიო და გრილი იყო, გამოცვლას, ახლით შეცვლას ჯერ არ საჭიროებდა.

ბაადურს ერთხელ კიდევ დასჭირდა ბერიკაცის მხარში შედგომა, — როდესაც იმავე ტახტზე თამრო, ცოტა არ იყოს, დანეცხანებულ სასტყვრო ლოგინს უგებდა. შემდეგ ლამპას დაუწიეს, მშვიდობის ღამე უსურვეს, თუმცა არაგვის ჭალებისაკენ გამავალ ვიწრო სარკმელში უკვე განთიადი იჭვრიტებოდა, ჭურჭელი გაიძღვანეს და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდნენ. სახლი სრულმა სიჩუმემ მოიცვა. ეტყობოდა, იმ სტუმრებსაც, ბაადურის მოსვლამდე მეზობელ ოთახში რომ ისხდნენ და ტკბილად მასლაათობდნენ, უკვე ეძინათ. ვინ უნდა ყოფილიყვნენ, ვინთან ჩეკისტები ან მილიციელები? თუ მართლა ისინი იყვნენ და მოხუცმა მათ სახლის კარი გაუღო, ბაადურის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მას აღარც თოფი ჰქონდა და აღარც სატევარი, რომ, სანამ ძაღლივით ჩაჰკლავდნენ, თავი დაეცვა და მტერს მისი სიცოცხლე არცთუ ისე იაფი დასჯდომოდა. ბებერი აშკარად არ ჰგავდა ხელისუფლების ორგანოებთან, მით უფრო ჩეკასთან და მილიციასთან შეკრულ კაცს, თუმცა თოფ-იარაღი კი აჰყარა და ცარიელ-ტარიელი დასტოვა. სხვა განზრახვა რომ ჰქონოდა, ამდენს არ დაადყოვნებდა. ჩეკისტების აქ შემოცვენას და მის ცოცხლად შეპყრობას წინ სრულებით არაფერი უდგა!

ბაადური ამ ფიქრებში იყო გართული, კარი რომ ფრთხილად გაიღო და ოთახში თავისებური უხმაურო ნაბიჯით თამრო შემოვიდა. ბაადურს ყვრიმალები წამოეხურდა, სისხლი სახეში მოაწვა, გულმა გამალებით დაუწყო ცემა და ის მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო, პირველად რომ დაეუფლა, როცა ქალი მხარში შეუდგა და მისი მძიმე ხელი კისერზე გადაიტარა. ახლა რა აუცილებელი საქმის გამო უნდა შემობრუნებულიყო? ნუთუ უცდიდა, ნამ სახლში ყველა ძილს მიეცემოდა და ახლა მასთან, ბაადურთან მოვიდა?

ეს ვარაუდი ისე დამაჯერებელი ჩანდა, რომ ბაადურის მთელი არსება სულმოუთქმელმა მოლოდინმა მოიცვა. მან, თავისდა უნებლიეთ, კედლისკენაც კი ჩაიწია, რომ თამროსათვის ადგილი დაეთმო. ვითომ მოვა, საწოლზე ჩამოუჯდება, ჩურჩულით რასმე ეტყვის?

ქალმა ლანდად გაიარა ტახტსა და ფარდას შორის, ტახტისაკენ არც კი გამოუხედავს, ფარდა მსუბუქად გადაწყო, მის უკან გაუჩინარდა და მერე აქეთ აღარ გამოსულა. ნუთუ იქ ეძინა? ერომანეთისათვის უცხო ახალგაზრდა ქალი და ვაჟი, გაღვივებული ნაკვეცხალი და თოფისწამალი, ერთ ოთახში მარტო მოათავსეს? მართლაც უცნაური და გაუგებარი რამ იყო. იქნებ ფშაური სჩვეოდათ ეს? აკი ხევსურეთში სწორფრობა ჯერ კიდევ არ გადავარდნილა. იქნებ არც ფშაველებისთვისაა უცხო ეს ძველისძველი ჩვეულება? მშობლიურ კახეთში ხომ მსგავსი რამ ყოველად წარმოუდგენელია! თამროს აგერ, ამავე ოთახში, ამავე ქერქვეშ, ამ სიფრიფანა ფარდის უკან ეძინა და მის თვალი როგორღა უნდა მოეხუჭა? მაგრამ უეცრად წელანდელი ჩურჩული გახსენდა, გაახსენდა ვახშმიც, თამრომ რომ იქ ვიღაცას შეუტანა და თავადაც მასთან ერთად შეექცა და გული ჩასწყდა. თამრო იქ, ფარდის უკან, მარტო არ იყო. მის გარდა, ვიღაც სხვაც იწვა, მოხუცებული დედა თუ დედამიცალი, რომელიც მთელ ღამეს მოუთმენლად ელოდა, მუგუზალივით ცხელი თამრო ფეხებში როდის შეუწვებოდა და სალეს ქვასავით გაცივებულ ფეხებს გაუთბობდა.

ბაადურს დაღლილობამ სძლია და არ გაუგია, ძილმა როგორ წაართვა თავი, როგორ ჩაეძინა. თვალი რომ გამოახილა, ოთახი დღის სინათლით იყო გაკაშკაშებული. ფარდის უკან ბაიბური არ ისმოდა.

ბაადურმა მტკივანი ფეხი მოხარა, გასივებულ კოჭს ხელით მისწვდა. სიმსივნეს თითქოს ოდნავ დაეკლო, ოდნავ დაამებულიყო ტკივილიც. ბაადურს უნდოდა წამომჯდარიყო, საბანი გადაეხადა, უკეკ გამშრალი სფენები მოეხსნა და ფეხი გულდაგულ გაესინჯა, მაგრამ შიშობდა, ვითუ უცაბედად ოთახში თამრო შემოვიდეს და ასე ნიფხავ-პერანგის ამარა დამინახოსო.

კარსუკან, წინკარში, მძიმე ფეხის ხმა გაისმა, ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმაზე მთელი სახლი ზანზარებდა. ეს კი ნამდვილად არ იყო თამრო. მას უჭუსლო ჩუსტები ეცვა და ისე უხმაუროდ დადიოდა, გეგონებოდა, მიწაზე ფეხს არც კი ამბიჯებსო. ბაადურმა ბერიკაცის ფეხის ხმას მიამსგავსა. მოხუცმა მართლაც შემოალო კარი. ორივე ხელში გულზე მიხუტებული უნაგირი ეკავა და შიგნით არ შემოსულა, თავაზიანი მყივანა, ხრინწიანი ხმით იქიდანვე შემოსძახა:

— გაიღვიძე, ბაადურ, შვილო? დილა მშვიდობისა! რასა იქ, როგორა გვყავს შენი თავი? ფეხი არ დაგიცხრა. ისევ გაწუხებს? თამრო ახლავე მოვა, ძროხებს წველის, საფენებს გამოგიცვლის, წუხელ აღარ შეგაწუხა და, დღეს თუ არა, ხვალ უსიკვდილოდ ფეხზე დაგაყენებს!

— რას ამბობ, ძიაკაცო, აქ ხვალამდე თოკითაც რომ დამაბა, მაინც ვერ გავჩერდები!

— გვიწუნებ განა მასპინძლობას? არ მოგეწონეთ? შენგან მაგას სწორედ არ მოველოდი!

— დაწუნებით როგორ გიწუნებთ, ეგ რა სათქმელია, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— სირცხვილია. ისედაც მთელი ღამე ფეხზე გაგათენებინეთ!

— შენ მაგას ნუ დარდობ, ბაადურ. ჩვენც ხალხი ვართ, ღმერთი გვწამს, პირჯვარს წაღმა ვიწერთ. ამა, ქრისტიანი კაცი მაგ გაშეშებული ფეხით ახლა გარეთ გაგიშვებს? წავწყდებით საცოდაობით. თამრო ახლავე მოვა, მეც ახლავე მოვბრუნდები. უნაგირს ამბრენდი აწყვეტია...

ო�oდე წუთის შემდეგ ერთნაირად მოვიდნენ. თამრომ ჯამით ცივი წყალი შემოიტანა, შიგ ტილო ჩაასველა, გაწურა, ტახტთან ჩვეულებისამებრ ჩაცუცქდა, კალთა ჩაიბიმა და ბაადურს უსიტყვოდ ანიშნა, ფეხი გამოყავიო. დოინჯშემოდგმული ბერიკაცი ქალს თავზე ადგა და მისი მადლიანი ხელების მოძრაობას, თითქოს პირველად ხედავსო, სასოებით აკვირდებოდა. თამრო, მიუხედავად ძილნაკლულობისა, დღეს კიდევ უფრო მიმზიდველად და სანდომიანად გამოიყურებოდა. გაქთქათებულ თეთრ პირისკანზე ალმური ასდიოდა. მაგრად გაკრულ ჭრელ თავსაფრიდან ინით შეღებული ჯიუტი კულული გამიშლოდა და თავის ყოველ გაქნევაზე უზადო თეთრ შუბლს ის კულული მოუსვენრად ელამუნებოდა.

„ღმერთო ჩემო, რა ლამაზია! — ფიქრობდა ბაადური. — ღვთისმშობელია, ღმერთო, ნუ დამსჯი!“.

ფეხი რომ გაშიშვლდა და თამრომ თავისი ტკბილი ხელი ფრთხილად მოუსვა საკმაოდ დამცხრალ კოჭს, ბერიკაცი ბაადურს მიუბრუნდა:

— მომილოცავს, შვილო, ბაადურ, ორი-სამი დღე კიდევ, წამოდგები და ოთხივე კუთხე გზა ხსნილი გაქვს!

ეს იმისათვის არ თქმულა, რომ ბაადურს რაიმე ეპასუხა და მასაც სიტყვა არ დაუძრავს. თამრო სწრაფად და გულდანდობილად აკეთებდა თაღის საქმეს. ისე ჩქარობდა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, სანამ აქედან გავიდოდა და კაცებს მარტო დასტოვებდა. როცა მან სველი ხელები ჯამში ჩაიწურა, ბაადურს ფეხზე საბნის ყური გადაფარა, ქვემოდან მზრუნველად შემოუკეცა, წყლით ძრომოფარული ჯამი აიღო და ოთახიდან გავიდა, ბერიკაცმა სკამი ახლოს მოსწია, დაჯდა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქოს ამოწმებს, ხომ არავინ გვისმენსო და მისი ამ საქციელით გაკვირვებულ ბაადურს თვალი თვალში გაუყარა:

— მართალი მითხარი, ბაადურ, ტყუილი არ გამიბედო: ქაქუცას კაცი ხარ?

ბაადურს დასცხა. მოხუცის მიბრჯნით შემოხედვას ვერ გაუძლო, თვალები დახარა. ყველაფერი შეეძლო წარმოედგინა, ამგვარ როიეო შეკითხვას კი ვერ წარმოიდგენდა. დარწმუნებული იყო, რომ მოხერხებულად შეთხზული ზღაპარი, თითქოს სადღაც, ხევსურეთში სხვის ცხვარს მწყემსავდა და პატრონსმა უსამართლოდ დაითხოვა, მოხუცმა ადვილად დაიჯერა და ამ მხრივ საზრუნავი აღარაფერი ჰქონდა. ახლა ირკვეოდა, რომ ჯვეიანი მასპინძელი თავს იკავებდა, თითქოს სტუმრის ნაამბობში ნატამალი ეჭვიც არ შეჰქონდა, ისე კი ჩუმ-ჩუმად ზვერავდა, აბა, ერთი ვნახოთ, რას იზამსო, და აქამდე არაფერს ამბობდა.

ბაადური მიხვდა, ტყუილზე ტყუილს მიმატებას არავითარი აზრი არ ჰქონდა და პასუხის გაცემის მაგიერ თავის კეთილისმყოფელ მასპინძელს თვალი აარიდა, მაპატიე, წუხელ რომ ისე უსინდისოდ მოგატყუე, მოგატყუე კი არა, მოტყუება დაგიპირე და თავი სულ სხვა ვინმედ შემოგაპარე.

— ამ დილას თამრომ შენი ქამარ-ხანჯალი გამოიტანა გასაწმენდად, ტარზე ქაქუცას სახელი ამოიკითხა და მე დამიძახა, მოდი, მამა, ნახე, რა წერიაო. მივხედით, ვინც იყავი. წუხელ არ გვენდე და რაღაცა მოჩმახული ამბავი მოგვიყევი. მართალი ხარ, შვილო, სიფრთხილე გმართებს. ახლა ყოველი ბუჩქის უკან გამცემი და დამბეზღებელი იმალება. რა იცი, ვინ გამოგჭრის ყელს, ვინ გაგაყიდის იუდასავით. მეც არ გავკვირდი? როდის იყო, დათხოვნილ უვარგის მოჯამაგირეს პატრონი ამისთანა საგზლით ისტუმრებდა?! მოჯამაგირეები მეცა მყავს, შვილო, ღარიბ-ღატაკი კი არ გეგონო, ცხვარსა და ჯოგში დამდიან. მარჯვენა შემახმოს ღმერთმა მაშინ და მზე დამიბნელოს, თუ ვინმეს რამე დავაკლო, მაგრამ ერთი რომელიმემ ის გამიბედოს, რაც მისგან არ მეკუთვნის, ყურსა და ყურს შუა თავს ამოვაყოფინებ, კინწისკვრით გავგდებ და საგზლად ცხვრის ბარკალსა და ... ლიანებს კი არა, მამაჩვესა აქვს ... ნება, (ცეცხლსა და ღაბარს გავაბან! შენ რაზე გაჩუქდი? არ მოგწონს ჩემი ნაუბარი? რაზმს რად ჩამორჩი?

— ნუზლის ჩამოსატანად ვიყავით გაგზავნილი ხახმატში. ის იყო, ცხენებიც დავსასაალნეთ და წამოსვლასაც ვაპირებდით, რომ აკუშიში რუსის ჯარის შემოსვლის ამბავი და ქაქუცას ბრძანება მოგვივიდა, ნუზლი მანდვე ღამოვეთ და წამოდით, დღე იქნება თუ ღამე, სადმე ფშავში დაგვეწიეთო.

— შენ მარტო იყავი?

— ხევსურო მახლდა ერთი, ხვთისო, მეგზურად გამაყოლეს.

— მერე რა იქნა?

— დავტოვე ხახმატში ისიცა და ცხენებიც, რაღაში მჭირდებოდა!

— გზა როგორღა გამოაგენი?

— გამომასწაელეს. ერთი ხანობა არაგვს წყალ-წყალ მოვყვებოდი. იქნება არაგვი არც კი იყო, რა ვიცი.

— ძაან გადარჩენილხარ! აქედან მიმავალი არავინ შეგხვდა?

— შეგხვდა, როგორ არ შემხვდა, მაგრამ გზას ვუქცევდი, ვიმალებოდი, არ მინდოდა, თავი სადმე უბრალოდ წამეგო.

— ახლა საით აპირებ წასვლას?

— რაც უნდა დამეშართოს, რაზმი უნდა ვიპოვნო და შევუერთდე. მე იმათ ახლა, ალბათ, მოკლული ან ტყვედ წაყვანილი ვგონივარ. ჩემს ჯავრს გადაყვება საცოდავი მამაჩემი!

— მაშ, დედ-მამა გყოლია?

— მამა მყავს, დედა ადრე მომიკვდა, არც მახსოვს. ჩემს შშობიარობას გადაჰყოლია საწყალი.

— ღმერთმა სულ ნათელში ამყოფოს! — მოხუცებულმა ისევ აჰხედა ცას და პირჯვარი ერთხელ კიდევ გადაიწერა. — სადაური ხარ, ბიჭო?

— კახელი. განა არ მეტყობა? სოფელი წინანდალი გაგეგონება. მამას შაქრო ჰქვია. ბადურაშვილები ვართ გვარად. ვინ იცის, ახლა ცოცხალიც

ადარ არის, სადმე კედელზე მიაყენეს. ჯერ არავინ მიუყენებიათ?!

— ღმერთო, წყალობა ჰქენ, კეთილი ყურით გაიგონე! აგრე რატომ გგონია, შვილო?

— კარაკოზოი გადაეკიდა, ის სულაძაღლებული, წინანდლის ჩეკას უფროსი. მილიცია და პარტიულებიც ალმაცერად უცქერიან. იცინან და დანამდვილებით მაინც ვერ შეუტყვიათ, შეფიცულების რაზმში რომ თავისი ფეხით მიმიყვანა და ჩემი თავი პირდაპირ ქაქუცას ჩაბარა, სამშობლოსთვის შემომიწირია, შენ იცოდე და ამანო!

— აი, ვაქკაციც ეგა ყოფილა და ქუდიც მაგას ჰხურებია! — ეს რომ თქვა, მოხუცს თვალები დაენამა და მერე მსხვილი კუოცხლებით აევსო. — ვენაცვალე მის ვაქკაცობას! მიტომაც თავიდან მომეწონე. ეგეთი მამის შვილი ცუდი როგორ გამოხვიდოდი. რა დაგიმალო, არ მინდოდა, ხელიდან გამეშვი. ეფიქრობდი, მადლიანი ბიჭია, ძალ-ღონე და სამარჯვე არ აკლია, ცხვარს მომინათლავს-მეთქი.

— ეს არის, ყველაფერი გულახდილად გითხარი, არაფერი დამიკლია. შენს ხელთა ვარ, ძიაკაცო, ახლა გინდ მომკალი და გინდ მაცოცხლე!

— მინამ ნურაფერი გეტკინება ნურც შენ და ნურც ჩემი ოჯახის კეთილის მდომელს, სანამ ჩემგან რაიმე საწყენი არ შეგხვდეს! მრისხოს მაშინ სამას სამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ! ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩვენი ღმერთია, ჩვენი იმედი და სალოცავი. ყოველ ცისმარე დღე სანთლებს ვუნთებთ და მის გამარჯვებას მამაზეციერს ვევედრებით. აგრე უთხარ, როდესაც ნახავ. დიდი მოკითხვა გადაეცი და პირზე კოცნა. ქაქუცას კაცი ჩვენთვის ღვთის კაცია. ღვთის კაცს, ჩემო ბაადურ, არ ეღალატების!

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს და ეს წელიწადს კიდევ გაცოცხლოს, ძიაკაცო. თუ ჩეკისტებს არსად გადავაწყდი და დღე უდროოდ არ შემიმოკლეს, ისე ღმერთმა ნუ წამახდინოს, სიკეთე სიკეთით არ გადაგიხადო!

მოხუცი ადგა, წელში გაიმართა, [illegible] რისაკენ თავისი ასაკისათვის შეუფერებელი მტკიცე ნაბიჯით წავიდა. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ოთახში თამრო შემოვიდა და ხონჩით საუზმე შემოიტანა. ქვეშაგებზე მხართეძოზე წამოწოლილ და ყვრიმალქვეშ ხელისგულამოდებულ ბაადურისათვის ახლაც არ შეუხედავს, სწრაფი ნაბიჯით მომავალს თვალები დაეხარა და ძირს იყურებოდა, თითქოს ეშინოდა, ემანდ ფეხი არსად წამოვკრა და არ წავფორხილდეო. გემრიელი და სურნელოვანი ნამზადით დატვირთული ხონჩა მან ჯერ მაგიდაზე დადგა, ხელი მოინაცვლა, ავადმყოფის სასთუმალთან ტაბურეტი გამართა, ზედ გახამებული თეთრი ხელსახოცი გადააფარა და ხონჩა მხლოდ ამის შემდეგ გადმოიტანა.

„როდის გააკეთა? როდის მოასწრო ამდენი რამის მომზადება? აკი გამთენიისას დაწვა და დაიძინა?“ — ფიქრობდა ბაადური და გული ენით აუწერელი მადლიერებითა და აღტაცებით ეგსებოდა. ის ახლა უფრო გაბედული იყო, ვიდრე წუხელ, თვალს არ აშორებდა ქალს, მაგრამ იმის შიშით, რომ ჩითის ფარდის მიღმა ვიღაც იწვა და სულგანაბული ყურს უგდებდა, ამბა, იქ ვინ რას იტყვის და რა მოხდებაო, ხმა ვერ ამოეღო.

ბაადურმა მზერა ქალის მარჯვენა ხელის არათითზე შეაჩერა, რომელზედაც ჯვარდაწერილი ქალები საქორწინო ბეჭედს იკეთებენ, ოქროს ბეჭედი დაინახა და ელდა ეცა. ოქროს მრგვალი საყურეები, ყურის ბიბილოებს ქვეშ რომ ეცაცუნებოდა და ეს ბეჭედი თითქოს წუხელვე შენიშნა, ბუნდოვნად ახსოვდა, რომ შენიშნა, მაგრამ როგორღაც არ შეუმჩნევია, არ დაფიქრებულა, თუ ეს რას ნიშნავდა. არ აძლევდა, ალბათ, არავითარ მნიშვნელობას. ახლა სქმე სხვაგვარად იყო და მას საკუთარი თავის წინაშე ამის დამალვა არ შე-

---

რევაზ ჯაფარიძე
ღვთის კაცი

ეძლო. მაშასადამე, თამრო ჯვარდაწერილია, გათხოვილია. აბა, ცალად ვინ დატოვებდა! მაგრამ ვინა ჰყავს ქმარი? ვის უწევს მკლავზე? სტუმრად მოსული ქალიშვილია ამ ოჯახისა, თუ რძალი?

ყველაფერი რომ თავის ადგილზე დაეწყო და დარწმუნდა, ვგონებ არა აკლია რაო, თამრომ კვლავ მარტო დატოვა და ახლა ბაადურს განუსაზღვრელი დრო ჰქონდა, თავისი ვარაუდები გამოეთქვა.

არც საუზმეზე და არც შემდეგ ბერიკაცი აღარ გამოჩენილა. სადღაც, შორს უნდა ყოფილიყო წასული, აბზინდაწყვეტილი ძველი უნაგირიც უთუოდ ამ მიზნით მოისაკლისა და გვიანობამდე მისი მოლოდინი აღარ უნდა ჰქონოდათ.

ბაადური ჩაბეირებულმა ხველებამ და გაურკვეველმა ბუზღუნმა, გინებამ თუ წყევლამ, შეაკრთო. არც ერთსა და არც მეორეს მისი ყურადღება შეიძლება სულაც არ მიექცია, ხველება და ბუზღუნი ფარდის უკანიდან რომ არ გაეგონა.

„ვინ არის? ვაითუ უჭირს რამე და ჩემი დახმარება სჭირდება?“ — გაუელვა ბაადურს და წამოჯდა, თვალით მოზომა მანძილი, რამდენი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდებოდა ფარდამდე მისაწევად, მაგრამ ისევ იმის შიშმა და რიდმა შეაჩერა, თამროს საცვლებისამარა წამომდგარისათვის რომ არ შემოესწრო.

ხველება შეწყდა, გაურკვეველი ბუზღუნი, გინება თუ წყევლა კი ისევ ხაშულ-ხაშულ ისმოდა. ხმა მამაკაცისას მიამსგავსა. არა, ეს შეუძლებელი იყო! იქ მამაკაცს რა უნდოდა! ბაადურს ფარდის უკან დედაბერი, თამროს მოხუცებული დედა ან დედამთილი ეგულებოდა. სხვა ვინ უნდა ყოფილიყო? გვერდი იცვალა, კედლისკენ გადაბრუნდა და მეტი რომ აღარაფერი გაეგონა და არც დაენახა, ყურები თითებით დაიცო. მაინც იგრძნო, როგორ გაიღო მძიმე კარი, როგორ შემოვიდა თამრო, შემდეგ უკან როგორ გაბრუნდა, ... შემოვიდა, ისევ გაბრუნდა... ... ...

ლი მამის თუ მამამთილის ნება-სურვილს ეწინააღმდეგებოდა?

შუაღამემ ისე მოაწია და ნაგვიანევი მთვარეც ისე ამოვიდა, ბაადურს თვალზე რული არ მიჰკარებია. ასე რატომ იგვიანებდა სადღაც წასული ბერიკაცი? რა დაიბარა, სად მივდივარ და როდის დავბრუნდებიო? რად არ ჩანდა თამრო? მოხუცს აღარ მოუცადა და უკვე დაიძინა? მერე აქ რომ არ შემოსულა? ამის გაფიქრებაზე კარმა გაიჭრიალა და ბაადურმა ოთახში შემოსული ქალი დაინახა. თამრო ტახტს ფეხაკრეფით მოუახლოვდა, იმ ადგილას, სადაც ტახტრეტს დგამდა, წყაროდან ახლად მოტანილი წყლით სავსე დოქი დადგა, ლამპას ფრთხილად დაუწია, ისე რომ მთლად არ ჩაექრო და, თითქოს ქარმა დაპბერა და ხმელი ფოთოლივით მოიტაცო, მსწრაფლ ფარდის უკან გაჩნდა.

ბაადურს სუნთქვა შეუგუბდა, გული ისე ძალუმად შეუფრთხიალდა, კინღამ ბუდიდან ამოუვარდა. თამროს გულმავიწყობა თუ გაუფრთხილებლობა გამოეჩინა, ფარდა სანახევროდ გაწეული დარჩენოდა და მან ბინდბუნდში თავისი ორთავე თვალით დაინახა, როგორ გაიძრო ქალმა ტანთ, როგორ დარჩა ქობაშემოქარგული მოკლე პერანგის ამარა, მერე წინდები და ეს პერანგიც გაიხადა, განუყრელი ჭრელი თავსაფარი მოიხსნა, ინით შეღებილი წითური თმა შიშველ მხრებზე ჩამოიშალა, ტანსაცმელად და წინდები იქვე სადღაც დაუდევრად დაყარა, ბეჭედი და ოქროს საყურეები ჯორკოზე დაეწყო, პირჯვარი ნაჩქარევად გადაწერა, ლოცვაც წაბუტბუტა, ბუმბულივით მსუბუქი საბანი ისწია და იქ მწოლარეს, პირით კედლისკენ რომ იყო გადაბრუნებული, დედაშობილა ლოგინში შეუსრიალდა.

ღრმად ჩაძინებულს უცაბედად დამოეღვიძა თუ რა იყო, მწოლარემ, როგორც კი ზურგზე ქალის მიკარება იგრძნო, ერთი ცხოველურად დაიზმუვლა, შეკუშშულ ზამბარასავით გაიშალა, გულაღმა გადმოტრიალდა, ნიდაყვი ღონივრად მოიქნია და ქალი ლოგინიდან გადმოაგდო.

ბაადურმა თვალები დახუჭა და ინება გაახილა. ღმერთო ჩემო, ეს რა ხდებოდა? სიზმარი იყო თუ ცხადი? ვინ იწვა იქ, ლოგინში, ადამიანი თუ ნადირი? მარილაც სანახევროდ სისხლგამშრალი დედაბერი, როგორც მას აქამდე ეგონა, თუ ლოგინად ჩაგრძნილი სნეული ქმარი, რომლის არსებობაში დარწმუნება არასაზნით არ უნდოდა?

თამროს ტანზე ფარდა შემოეხვია, საბარალობლად მოკუნტული და თაჭაქინდრული იატაკზე იწვა და ტიროდა, გულამოსკვნილი სლუკუნებდა.

— გადი! გაეთრიე! თვალით აღარ დამენახო!.. — ბრდღვინავდა კაცი და საბანში იფუთნებოდა.

ბაადური თითებს იჭამდა, შამფურივით ტრიალებდა, ლოგინში ადგილი ვეღარ ეპოვნა. „მოვკლავ, დავახრჩობ მაგ მამასულძაღლს! რას ერჩის? ამის ფასი რა დაუშავა? არ უნდა, თავი გაანებოს, სხვა გამოუჩნდება პატრონი! მაგან იწუხოს, მაგ დამპალმა, თორე... ღმერთო, ეს რა ენახე! სხვას რომ ეთქვა, ამას როგორ დავიჯერებდი! შხამად შეგერგოს, შე საპყარო, შენ მაგისთანა ბროლივით ქალი ვინ მოგაშავა! პატრონი არა ჰყავდა? თუ სიმდიდრით აუბი თვალები და სამუდამო სატანჯველში ჩაგდე?“

თენდებოდა, სამგლე ნაგაზებმა რომ გამაყრუებელი ყეფა ატეხეს და თავპირის მტვრევით თავდაღმა დაეშვნენ. ძაღლების გაავებული ყეფა ქვემოდანაც ისმოდა. იქ, ეტყობოდა, სოფლის უბანი იყო. ბაადური გაისუსა და ყური მიუგდო. ქვედა უბანში ძაღლების ყეფა იმას მოასწავებდა, რომ ბარის მხრიდან ვიღაც მოდიოდა. ვინ იყო, მტერი თუ მოყვარე? მალე გაავებული ყეფა ზარმაც ღავღავში გადაიზარდა, მოხუცის ნაგაზებიც ერთბაშად დაცხრნენ, მიყუჩდნენ და ეზოს ბოლოზე ვიღაცას ლაქუცით მიეგებნენ. ვინ იქნებოდა პატრონის გარდა! მაშ, ბერიკაცი, როგორც იქნა, მოხანხალდა და მის ტყვე-

ობასაც, ადრე თუ გვიან, ბოლო მოეღება!

ბაადური კვლავ თავს იმძინარებდა, მაგრამ არ შეეძლო არ დაენახა, რომ ოთახში თამრომ გაიობინა ოჭროს საყურეების ციმციმთა და განუყრელი ბრელი თავსაფრის სწორებით. მამამთილს მისაგებებლად და ცხენის ჩამოსართმევად თუ მორბოდა.

— რასა იქ, ბაადურ, შვილო? ეტყობა, ძაღლებმა ძილი გაგიფრთხეს. ადვილი არ არის მაგთან ყეფის შეჩვევა. მეზობლები სულ მაგას შემომჩივიან, როდის წაიყვან, როდის მოგვაშორებ, ყურები როდის დაისვენებენო, — შემოსვლისთანავე დაიწყო ბერიკაცმა, ის ტაბურეტი გამოსწია, რომელსაც თამრო ტაბაკად იყენებდა, დაჯდა და მაშინვე ჩიბუხის გაწყობა დაიწყო. — რას გიშვრება ფეხი, შესძლებ კი ფეხზე წამოდგომას?

— უნდა შევძლო, სხვა რა ღონეა, ბიძაჩემო! — ბაადური უკვე მიმხვდარი იყო, თამროსთან ჩემი განშორების უკანასკნელმა წუთმა დაჭკრაო და გული მოეწურა.

— ქაქუცა აღარც ფშავშია და აღარც ქართლში, კახეთში უნდა იყოს გადასული.

— ეგ სად შეიტყვე? — ბაადურს ქაქუცას სახელის ხსენებაზე მოუთმენლობა დაეუფლა, წამოჯდა და, თითქოს ამ წუთში მის საძებრად წასვლას აპირებსო, ლოგინიდან ფეხები გადმოჰყარა.

— სანდო ხალხი მყავს საგურამოსა და ჰოპორტში. იმათ მივაკითხე, შვილო, და ამბავიც იმათ მითხრეს. აქედან ჩავლილს, ღამე ჩარგალში გაუთენია. ხალხი, — ქალი, კაცი თუ ბავშვი, მოხუცებული და ახალგაზრდა, — გზაში პურ-მარილით ხვდებოდა, ფეხქვეშ ფინდაზს უგებდა. რუსის ჯარი, რაკი ქაქუცა დ. მისი რაზმი ხელში ვერ ჩაუგდია, ხევსურეთს შესვენია, როგორ თუ აჯანყება. გაბედეთო, ჯერ შატილში გადასულო., პირიქითა ხევსურეთში და როცა შეუტყვიათ, ქისტები იარაღს ისხამენ და გუშინდელი მოსისხლე ხევსურების დასახმარებლად ემზადებიან. ქისტეთში შეჭრილან და გზადაგზა ყველა ურჩი სოფელი გადაუწვავთ, მოსახლეობა კი ტყვედ წაუტეკიათ. ამბობენ, იქიდან უკან აღარ მობრუნდებიან, ან კახეთში გადავლენ პანკისის ხეობით და ქაქუცას მოუხელთებელ რაზმს ახლა იქ დაუწყებენ დევნას, ანდა პირს ჩრდილოეთ კავკასიისაკენ იზამენო. იქ თურმე ინგუშები და ყაბარდოელები აღმდგარან. ახლა მე ასე გადავწყვიტე ჩემი მოკლე კუთხი: რადგანაც შენი აქ ყოფნა შენთვისაც და ჩემთვისაც ერთობ საშიშია, აქამდეც ღმერთმა შეგვინახა, მთაში აგიყვან ჩემს მწყემსებთან და იქ დაგმალავ. სანამ ქაქუცას ადგილსამყოფელს ზუსტად შევიტყობდეთ, თავს იქ შეინახავ. შევიტყობთ თუ არა, კაცის პირით შემოგითვლი და მერე შენ იცოდე და შენმა საქმემ!

— მწყემსები კი სანდონი არიან? ბოლშევიკებს ახლა ყველგან ჰყავთ თავისი ხალხი. ხომ არ აჯობებდა, ძიაკაცო, ახლავე კახეთის გზას გავდგომოდი? რაც უნდა იყოს, იმ კუთხის შვილი ვარ. ჩემ მშობელ კუთხეში, ასე მგონია, არც ხე გამწირავს და არც მიწა!

— ეგ აგრეც რომ იყოს, გზებია შეკრული, შვილო, ბაადურ. ყოველ გზაჯვარედინზე რუსის სალდათები გამვლელებს აჩერებენ, ჩხრეკენ, საბუთებს უსინჯავენ, არკვევენ, ვინ ვინ არის, საიდან მოდის, სად მიდის, რით სუნთქავს. ვაი იმის ბრალი, ვინც თვალში არ მოუვათ! დაეშვება და ჩეკაში წაყვანა ერთია. სოფლებში, დაყოლებაზე, უარესი ამბავია. ყველგან დამსჯელი რაზმებია ჩაყენებული. მცხოვრებლებს შინ უხტებიან, ართმევენ, თუ ვინმეს რამე აბადია, ქალებს და ჯერ უწლოვან გოგუთს ყველას თვალწინ იჭერენ და უკაცრავად პასუხია... აღარც შიშია, აღარც მორიდება. მარტო ჩარგლიდან, რაკიღა ქაქუცამ ღამე იქ გაათია, თოთხმეტი კაცი და ათი ქალია წაყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგე ახლა, ვინ არის მათ შორის ბრალეული და ვინ არა! დაღამებამდე, ჩემო ბაადურ, დროა. ამ ერთ დღეში ფეხი კიდევ უფრო მოგიშუშდება. თუ უცაბედად ვინმე დაგეეცა, ძაღლები, მადლობა ღმერთს, ფხიზელი მყავს, ეზოში ადვილად ვერავინ შემოუვათ. ამასობაში ისე არ წავხდებით, სადმე არ დაგმალოთ. კარგად რომ დაღამდება, შეეკაზმოთ ცხენები მე და შენ და ვახსენოთ ღმერთი! მთვარე გვიან ამოდის. ჰა, რას იტყვი?

— როგორც შენ მიბრძანებ, ბიძაჩემო!

— ჰოდა, აგრე, — საქმე რომ სწორედ ისე გაიჩარხა, როგორც მას უნდოდა, მოხუცებული გახალისდა. მას, ეტყობოდა, თავისი ლეტური ანგარიშები ჰქონდა. ამა, ან ღმერთს რად უნდა სწყენოდა და ან კაცს, თუ შემოკვდლებულ ახალგაზრდას, ვისი სიკეთე და მოსისხლე მტრის ხელში ჩავარდნისაგან თავის დაღწევა გულით ეწადა, უქმად ჯდომისა და ლოდინის მაგიერ რაიმე ღვთის სარგო საქმეს გამოუჩენდა და ამ საქმეში თავადაც ცოტაოდენ სარგებელს ნახავდა. აკი უბრძანებიათ ძველებს, უქმად ჯდომას უქმად შრომა სჯობიაო. ცხვარში მწყემსები არ უჩერდებოდნენ, გასამრჯელოს მამასისხლად ითხოვდნენ, ამ არეულ დროში გული ყველას შინისაკენ მიუწევდა. ამის გამო, საცა სამართალია, ვერც ვერავის გაამტყუნებდი და ერთი ერთგული მეცხვარის ყოლა, თუნდაც ერთი-ორი თვით, სწორედ რომ მისწრება იყო.

ბაადური მიუხვდა მოხუცს განზრახვას, ან, შე წუწურაქო, შენო, გულში კიდევაც გამოლანძღა, გარეგნულად კი, რომ არ ეწყენინებინა და უმადურობა არ გამოეჩინა, ეს არ შეიმჩნია და შემოთავაზებული წინადადება მადლიერებით მიიღო. ის თავსაც ვერ უმხელდა, რომ ერთადერთი რამ, რაც ყველაფერზე უფრო უმძიმდა, თამროსთან განშორება იყო, განშორება ქალთან, რომელსაც ჯერ არც კი დალაპარაკებოდა. უმძიმდა მეტადრე მას შემდეგ, რაც წუხანდელ ღამეს საკუთარი თვალითაც ნახა და ყურით გაიგონა. ვიდრე თავი სასთუმალზე ედო და ძილ-ღვიძილში თვალები დახუჭული ჰქონდა, გონებაში, მისდა დაუკითხავად, ათასი რამ წინაუკუმო უტრიალებდა. ისიც კი წარმოიდგინა თუ წარმოუდგა, რომ თამარო დაიმარტოხელა და გამოუტყდა, მიყვარხარო, შენს იქით გზა არა მაქვსო, გინდ დამკალი და გინდ უარი მითხარიო, გაუტყდა და, თავისდა საბედნიეროდ, აღფრთოვანებული თანხმობაც მიიღო. მომავალი ცხოვრების გეგმა სასწრაფოდ დაწყეს. უპირველეს ყოვლისა, მარჯვე დრო უნდა შეერჩიოთ და აქედან გაქცეულიყვნენ. ჩუმად მოემზადნენ. შეიგულეს დრო, როცა ბერიკაცი შინ არ იყო. თამრომ შალი შემოიხვია, გარეთ გაილალა, ავი მყეფარები გომურში დაამწყვდია, ბაადურს თავისი მონატრებული, გახეხილ-გაკრიალებული თოფ-იარაღი მოუტანა, არიქა, ბერიკაცმა არ მოგვიწროს, მდევარი არ დაგვადევნოსო, ცხენებს მოახტნენ, მთელი ღამე იარეს და სადღაც, მატნის თუ მუკუზნის ტყეში ქაქუცას რაზმს ეროთად მიადგნენ.

„შენ ხომ იცი ჩვენი წესი? — შუბლშეკრულად უთხრა ქაქუცამ, რომელსაც მისი მკვდრეთით აღდგომა და დანახვა სულ არ გახარებია. — რაზმში დედაკაცის ყოფნა არ შეიძლება. არც დედაკაცთან წოლის და ქვეშაგებში მოსვენების ნება გვაქვს, სანამ მტრისაგან დაპყრობილ სამშობლოს არ გამოვიხსნით. გესმის თუ არა ეს?“

„მესმის“, — პასუხობდა თავჩაღუნული ბაადური, თამროს მკლავი კი ღონივრად ჰქონდა ჩაბღუჯული და ხელს არ უშვებდა.

„მაშ, თუ გესმის, აქ რად მოიყვანე?“

აი, ამ კითხვაზე ბაადურს პასუხი არ ჰქონდა და იმის ძებნაში თავს სულ ტყუილად იწვალებდა, რადგანაც იგი, ეს პასუხი, საერთოდ არ არსებობდა.

დღის სინათლეზე ყველა ზმანება და ავადმყოფური წარმოდგენა გაფანტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უფრო მოხუცთან მოლაპარაკებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და ბაადურს საღი გონება დაუბრუნდა. მან კარგად იცოდა და თავს ფხიზელ ანგარიშს აძლევდა, რომ თამროსთან, ჯვრდაწერილ ქალთან, სჯულიერი ქმარი რომ გვერდში უწვა და უკვე ოჯახის ჭაპანს ეწეოდა, არაფერი, სრულებით არაფერი აკავშირებდა, გარდა დაუფლების პირუტყვული სურვილისა. ის დღე ისე გაშუალდა და დაღამდა, თამროსათვის, სხვადასხვა საქმის გამო ოთახში რამდენჯერმე რომ შემოვიდა, ვგონებ ზედმეტჯერაც, ვიდრე საჭირო იყო, ზედაც ღარ შეუხედავს. ამჩნევდა თუ არა ამას თვით თამრო? „არა, არა, განვედ ეშმაკისაგან! ამაზე ფიქრი სულის წაწყმედაა. გაივლის ორი-სამი დღე და ყველაფერი შარშანდელი თოვლივით დამავიწყდება. მითამც არ ყოფილ!“

ძაღლებმა სამჯერ თუ ოთხჯერ ატეხეს ყეფა. გზაში, ალბათ, ჭიანჭველაც ვერ გაივლიდა, მათ რომ არ შეეტყოთ და დავიდარაბა არ აეტეხათ. ბაადური დილითვე ადგა, ფეხი თამროს ხელით ნაქსოვი ღაზლის წინდით დაიობუნა, ქალამანში ძლივს ჩაატია და მუხლი რომ გაემართა, ოთახში წინ და უკან დადიოდა.

„რას აკეთებს აქ ეს ჩემი ცოდვით სავსე? — ფიქრობდა ბრაზმორეული, ფარდას შორიახლო რომ ჩაუვლიდა. — გარეთ მოსასაქმებლადაც არ გამოდის? რა ჭირს, კუტია თუ მართლა საპყარია? ცოლი რომ მარჯვედ გადმოაგდო ლოგინიდან?“

ეს ისევ და ისევ თამროზე ფიქრი იყო. არაპირდაპირ, მაგრამ მაინც. ქალის სახე ისე მოუშორებლივ დასდევდა, ვერასგზით თავი ვერ დაიღწია.

მზე რომ თვალს მიეფარა და ხეობაში ვეებერთელა ლურჯი ჩრდილი ჩამოწვა, რასაც გრილი ნიავის დაქროლებაც მოჰყვა, ძალა-მამამთილი ეზოში გავიდნენ, ორი ნაგაზი დაიჭირეს და სათითაოდ ხურჯინის თვლებში ჩასვეს, მერე შიგ გაყრილი თასმით თვლებს თავი მოუკრეს ისე, რომ ძაღლებმა მთთ მხოლოდ თავები უჩანდათ. ... ზებმა თვგანწყრეული ბრძოლა გადატანეს, არა და არ უნდოდათ, ხურჯინის ვიწრო თვლებში გაჭედილიყვნენ, პატრონები კინაღამ დაკბინეს, მაგრამ თამროს სიმარჯვემ და ბერიაკის მეცხვარულმა გამოცდილებამ მაინც თავისი ჰქნა. მესამე ძაღლი გარშემო ურბენდა ცხენს, რომლის კეხზედაც ხურჯინი იყო გადაკიდებული, უკანა ფეხებზე დგებოდა, მოუსვენრად წკმუტუნებდა, ცხენს ბრჭყალებით მუცელზე ებღაბუნდა და სისხლივით წითელ ენას ასავსავებდა, სად მიგყავთ, სად ჩემი ძმები, აქ მარტო რაღა გამაძლებინებს, უამათოდ ჩემი სიცოცხლე აბა რაღად ეღირებაო.

— გადი, ძაღლო, — უწყრებოდა ბერიაკი და თან, ჩვეულებისამებრ, შეფარულად ეალერსებოდა. — რა ფეხებში გვებლანდები, ჯოხი ხომ არ მოგვიატარა? გინდა, შენც მთაში მგლებთან საომრად წაგიყვანო? გვებრალები, შე საცოდავო, ჯერ ლეკვი ხარ. დაგფლეთენ ის ტიალები!

„ეგეც თუ ლეკვია, მე ჩვენებიანთ მარკოზა ვყოფილვარ! — გაიფიქრა ბაადურმა და ღიმილი მოერია, შიგ შუაგულ ფშავში ზაქრეობია სახლიკაცი ნეტავი რა ეშმაკმა გამახსენაო. — ლეკვი კი არა, ვეშაპია, კაცს გადმოიღებს გაჭენებული ცხენიდან. ეგ მე მკითხე!“

საზაფხულო ბინებამდე, რომლის გარშემო მოხუცს ცხვარი ეყენა, თითქმის მზის ამოსვლამდე იარეს. ბაადურს რამდენჯერმე ჩასთვლიმა ცხენზე და თავადვე რომ არ ემარჯვა, კიდევაც გადმოვარდებოდა. ბერიაკი წინ მიჩაქჩაქებდა, მთვარის შუქზე ყმაწვილკაცობიდანვე შეჩვეულ გზას კარგად ხედავდა და თვალჩაუწყდენელი უფსკრულების თავზე ცხენი ისე გაბედულად მიჰყავდა, ალაზნის ვაკეებზე გაზრდილ ბაადურს შიშისაგან სული ფეხებში ეპარებოდა, მაგ მამაცხონებულს ცხენმა არ უღალატოს, ან მე არსად წავარტყა ფეხი კლდის მახვილ ქიმს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძირო ხრამში არ ჩავიჩეხოო. ბერიკაცი დროდადრო ჩერდებოდა, ცხენს ასვენებდა, თავადაც ისვენებდა და უკან ჩამორჩენილ ახალგაზრდა თანამგზავრს ეხმიანებოდა.

— ეი, ბაადურ, ბიჭო!..

— აქა ვარ, ძიაკაცო.

— ხომ არ გეძინება, შვილო?

— რა ვუყო, რომ მეძინება, აქ ხომ ვერსად დავიძინებ!

— ცოტაც და მივედით. ეს მთის ზურგი უნდა გადავიაროთ. გაუძელ და მერე, თუ გინდა, მთელი დღე იძინე, დამშლელი არავინ გეყოლება! აბა, წავედით ღვთით. აჩუ, ცხენო!

— იარე, მოგდევ!

გადაიიარეს ის მთის ზურგიც და ისევ თავდაღმა დაეშვნენ ლეკისა და ფიქვის უსიერ ტყეში. იქ სადღაც, გზის პირას, მლაშე წყლის ბინული ყოფილიყო. წყლის დალევას დაჩვეულმა ცხენებმა კისერი მოიღრიჯეს და გაიწიეს. ბაადური ერთხელ კიდევ შექანდა ქვასავით მაგარ უნაგირზე და სადავე მსწრაფლ მოზიდა, სად მიხვალ, ცხენო, შე მგლებისაგან შესაჭმელო, სად პაპაჩემთან მიეხირებიო.

— დავასვენოთ, შვილო, ბაადურ, ოფლი შეაშრეთ, ისე წყალზე ნუ მიუშვებ, გზაში სადმე დაგვივარდებიან!

— მაცლის რო? აკი შორს აღარა ვართო?

— ნახევარი საათი კიდევ, ჰაიდა ჰა, მეტი აღარ დაგვჭირდება!

მწვანე ფერდობზე შეფენილ ცხვარში გარეულმა მეცხვარეებმა პირველებმა დაინახეს ქვემოდან გაჩქარებით მომავალი ცხენოსნები, ხელი მოიჩრდილეს, თავისიანებნენ შეიცნეს და გახარებულები, რომ ბარიდან როგორც იქნა, ამოაკითხეს და შემოლეული ფქვილი და მარილიც მოუვიდათ, კიდევაც ჩამოეგებნენ. წინ, თავდაღმართში, ყურებდაჭრილი მოზვრისოდენა ქოფაკები მორბოდნენ, ყირაზე გადმოდიოდნენ და ყეფით მთა და ბარი თან მოჰქონდათ. ამათი ხმის გაგონებაზე ხურჯინის თვლებში ჩაკრულმა ავმა ნაგაზებმაც სცქვიტეს ყურები და თვალნი დამამცირებელი მდგომარეობისაგან ყეფას, ცოტა არ იყოს, დარცხვენილი ყეფითვე უპასუხეს. მეცხვარეებმა, რომელთაგან ერთი ჭაღარა იყო, სახედაღარული, ხმელ-ხმელი და ბეჭებში ოდნავ მოდრეკილი, ბეორე კი თმაგაბურძგნული, წვერმოშვებული, შავშავი ახალგაზრდა, კომბლები აამუშავეს და ძაღლები დაიფრინეს, ყიჟინითა და კომბლების ქნევით აქეთ-იქეთ გაჰფანტ-გამოჰფანტეს. ამასობაში გავლურებულმა ნაგაზებმაც იცნეს, ვინც მოვიდა, იცნეს ცხენებიც და მათ უკვე აღარ ერჩოდნენ, მაგრამ ხურჯინის თვლებიდან თავამოყოფილი თანამოძმეების ჯავრი სჯირდათ და მათ ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ.

ჭაღარა მეცხვარემ ყურებამდე ჩამოფუტტული ბანჯგვლიანი ქუდი მოიხადა, ძირს ისე დაიქნია, თითქოს წვიმაში დასველებია და უნდა დაბერტყოსო და კომბალს მხრით დაეყრდნო.

— მშვიდობა თქვენს მოსკლას და გამარჯვება! ღამიანად წამოსულხართ. რა ამბავი მოგვიტანეთ, ხომ მშვიდობაა ბარში?

— მშვიდობა სადღაა, ჩემო თედო, — მიუგო ბერიკაცმა და ოფლში გახვითქული ცხენი შეაჩერა. — გამარჯობა თქვენი! ქვეყანა გადაბრუნდა, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, ხომ დაინახეთ, კინაღამ შემჭამეს. ზარბაზნების ხმა ისმის კიდევე?

— წუხელ გავარდა ერთი ორჯერ, მე და პეტოს ქუხილი გვეგონა. დღეს მაღლობა უფალს, სიწყნარეა, აღარ გაგვიგონია. რა ხდება, ხალხო, თუ ღმერთი გწამთ, აგვიხსენთ, გაგვაგებინეთ, ვინ ვის ეომება. ბოლშევიკები ხომ შემოვიდნენ, ჟორდანიას მთავრობა ხომ გაექცეოს, მეტი რაღა უნდა, ჩვენც ხომ არ უნდა აგვყარონ და არ უნდა გადაგვასახლონ ამ ჩვენი მიწა-წყლიდან?!

— არც მაგის შარცხვებათ, თედო, ჩემი სიტყვა დაიხსომე. ციხეები ხალხით აივსო, უბრალო სისხლი ღვარად იღვრება. ვის რა ვირი მოკპარეთ? რუ-

სის ჯარი შემოვიდა. ორჯონიკიძე და ორახელაშვილი უდგანან სათავეშიო. ქაქუცას დასდევენ, ჩოლოყაშვილს. ან ცოცხალი უნდა ჩავიგდოთ ხელში ან მკვდარი, რკინის გალიაში ჩავამწყვდიოთ და ისე გავუგზავნოთ ლენინს რუსეთშიო.

— მაშ გალიით უნდა გავუგზავნოთო? ან ცოცხალი ან მკვდარიო? მანამდე არაფერი უჭამიათ ნურც მაგ ორჯონიკიძესა და ნურც სხვასა, ვინც მაგას ეხმარება, სანამ მაგათ ქაქუცა ვერ დაიჭირონ და სადმე გალიაში ჩასმული ვერ გაგზავნონ! რას ამბობ, კაცო? ეგენი დაიჭერენ და გალიაში ჩასვამენ იმასა? ეგენი? მაშინ ის ქაქუცა აღარ ყოფილა!

— თედო, კაცო, შენი არ მიკვირს? რომ აუშვი საღრღილი და რატრატებ, რაც ენაზე მოგადგება, ამ უცხო კაცს კი ვერა ხედავ? რა იცი, ვინ არის, იქნება გაწყრა ღმერთი და თავზე ჩეკისტი ან პარტიული დაგაყენე?!

— ურიგო კაცს შენ აქ არ მაიყვანდი, ჩეკისტები და პარტიულები, განა არ ვიცი, ჩემზე უფრო გეჯავრება!

— იქნებ იარაღით დამაშინა, თავად მომიყვანა და განზრახ მალაპარაკებს, შენი გამოტეხა უნდა!

— უნდა და უნდოდეს! მე რა ვიცი, მაგას რა ვუთხრა!

— შენ, ვეტყობა, მართლა დაიჯერე და გულში შიში შეგეპარა. თქვენი ახალი ამხანაგი იქნება, ყონაღი, როგორც თათრები ეძახიან. კახელი ბიჭია, ბარაქიანი ქვეყნის შვილი. სახელსა და გვარს თავად გეტყვით, როცა ერთმანეთს გაეცნობით და კარგადაც დაძმაკაცდებით. ამბობს, მეცხვარეობაში ძაან გამოცდილი არა ვარო, მაგრამ ჩემზე უარესს კი ვჯობიავარო. ასწავლეთ, რაც არ იცის. ვალში არც ეს დაგრჩებათ. ხომ არა გწყინთ მესამე ამხანაგის შემომატება?

— ჩვენა გვწყინს? რად უნდა გვეწყინოს, ვითომაც? იქ, სადაც სამეს ორნი ავდიოდით, სამნი უკეთესად არ ავუვალთ? აგე, ცხვარი, აგე, საძოვარი, აგე, ბინაც! თოფი და ხანჯალი კიდევ კარგი ჰქონია. ნადირი მაგის შიშით ახლოსაც ვერ მოგვეკარება. ამ ჩვენი ფილთა და სად ეს!

— შენ რა შორიშორს დადიხარ, პეტო, და პირს გვარიდებ, ხომ არ გვემღური, ძმისწულო?

— რაღა დაგიმალო, პეტოს პირშავადა აქვს სამეზ შენთან, ბაჩანაგ, ვერ გიბედავს და მომაგზავნა მოციქულად!

— მითხარი, რაღას ღერღავ, რა გაუხდა სამოციქულო?!

— წასვლა უნდა, სულ წასვლა, ანგარიშის გასწორებას თხოულობს.

— ეე, — ბერიკაცს გუნება გაუფუჭდა, მაგრამ შეეცადა არ შეემჩნია. — ეგ კი მაინცდამაინც დიდად გასახარელი ამბავი ვერ მითხარით! რაო, ჯამაგირი ხომ არ გეცოტავება? გგონია, სხვები ჩემზე მეტს იძლევიან?

— ცოლის შერთვას ამირებს, ბაჩანავ, — პირში წყალჩაგუბებული ახალგაზრდის მაგიერ, თვალი რომ წამადაუწუმ თამროს ხელით გალაპლაპებულ თოფ-იარაღის კენ გაურბოდა, ისევ თედომ უპასუხა. — სიტყვა მომიცია, ამ შემოდგომაზე, ჯირნახულს რომ დავაბინავებთ, რაც უნდა მოხდეს, ჯვარი უნდა დავიწეროო.

— მართლა, ბიჭო? — ბაჩანამ ახლა უშუალოდ პეტოს მიმართა.

— ჰო, — მიუგო მან და გაბუძგული თავი ჩაქინდრა, კომბალს ფეხი მიუსვმოუსვა.

— მერე როდის იყო, მე ვინმეს დაცოლშვილებას და ოჯახის მოკიდებას ვუშლიდი, შვილო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ერთ კარგ თავზე გადასაგდებსაც მოგიმზადებ. წადი, მოითავე შენი საქმე, დაიწერე ჯვარი და მობრუნდი. ოჯახს რჩენა ხომ უნდა. მე და თედო ისევ აქ დაგხვდებით, წამსვლელი კი არსადა ვართ!

— ვნახოთ...

— რა უნდა ნახო, სანახავი და საჭიმანო რა გაქვს! თუ ჯამაგირი გეცოტავება, აგერ არა ვარ? მოგიმატებ! გულნაკლულს არ დაგტოვებ. მარჯვენა შემახმეს მაშინ! მე ცქიფაანთ ბაჩანას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძახიან! ხომ არ დაგავიწყდა, ვის ცხვარსა მწყემსავ?! აქამდე, მგონი, არ უნდა მყავდე უკმაყოფილო?

— არა, რას ამბობ, ბაჩანა პაპა!

— მაშ, რაღა გიეშვებს, თუ აგრეა! მოხვალ და მიგიღებთ, განაცდურსაც არ გიანგარიშებ, მეტი რა ვქნა!

— კარგი სიტყვაა, — დაემოწმა პატრონს თეფო.

— როდის აპირებ წასვლას?

— თუნდაც დღესა! — გულამომჯდარ პეტოს თვალები გაუბრწყინდა, თავი ისწია და ჯერ თედოს მიაპყრო აღგზნებული მზერა, მერე ბაჩანას, ამას ყასიდად მეკითხება თუ მართლა უნდა, ჩემი გუმანი შეიტყოსო.

— რა გაეწყობა, მაშ, ერთად წავსულვართ და ეგ არის!

— აგრე გამოდის. თუ შენ საწყენად არ დაგრჩება...

— საწყენად რა... მე რა საწყენად უნდა დამრჩეს! — ბაჩანას დანა კბილს აღარ უხსნიდა, ეს ამბავი ისე საწყინდა, მაგრამ უცხო კაცის ხათრით თავი შეიკავა, პეტოსთან უსიამოვნო საუბარი ამით მოათავა და რადგანაც მას უკვე წასულად თვლიდა, ისევ თედოს მიუბრუნდა: — აქეთ როგორა გაქვთ საქმე, ცხვარი ხომ არ გაკლიათ?

— აი, მაგასა ჰკითხე! — თედომ თავი გვერდზე გადახარა, თვალი ეშმაკურად მოწმკურა და მოხრილი საჩვენებელა თითი პეტოს დაუმიზნა.

— კაცები იყვნენ... — ძალისძალად თქვა პეტომ, როცა შეატყო, უთქმელობა არ ეგებოდა. — ქაქუცას რაზმელები ვართო. ხარჯი გვთხოვეს. თქვენ აქ, დასაკარგავში, ულუკმაპუროდ არ იქნებითო. ცოტაოდენი ხაჭო, ერმო-კარაქი და სამი ჭედილი გავატანეთ. ჭედილები აქვე ჩვენს თვალწინ დაკლეს, გაატყავეს და ცხენს ჰკიდეს.

ბაჩანას ეს ამბავი გულზე ფინთიხივით მოხვდა, მაგრამ წყენა არც ახლა შეიმჩნია.

— ღმერთმა შაარგოთ თუ მართლა ქაქუცას კაცები იყვნენ. ვინ იცის! დღეს ბევრი არამზადა და შარაგზის ყაჩაღი სარგებლობს ქაქუცას სახელით. გზა-დაგზა დაწანწალებენ, საწყალ ხალხსა იარაღით აშინებენ და ტყავს კუდის რიკამდე ხდიან. სამი ჭედილა კი მეტისმეტი მოგსვლიათ, ძმისწულებო. ორიათაც იოლას გავიდოდნენ!

ღამე ბინაში გაათიეს. ბინა ერთი ქვითკირით ნაგები, გამუდმებული ქარწვიმისაგან გაშავებული, ყავრით გადახურული მოგრძო ჯოხმახი იყო, სადაც ღამღამობით, სიცივეს რომ არ დაეჩაგრა, თოთო ბატკნებიც შემოჰყავდათ. ბაჩანამ იქაურობა ფეხდაფეხ შემოიარა, კოდებში, ვარცლებში, გუდებში ჩაიხედა, ხელიც ამოურია, ნაღებს და ხაჭოს გემო გაუსინჯა, წათხიდან ამოღებული ყველი დაყნოსა, ყველფერი მომჭირნე და საქმის ზედმიწევნით მცოდნე პატრონის გამჭრიახი თვალით შეამოწმა, ბოლოს, ნავახშვევს, უკარფანჯარო კედელთან ნაბადზე პირჯვრის წერითა და ლოცვის ბუტბუტით მიწვა, იმავე ნაბდის მეორე კალთა ზემოდან წაიფარა და უცოდველი ბალღის ნებიერი ფშვინვა ამოუშვა. დილას, მზის ამოსვლამდე, თედომ და ბაადუომა რომ ცხვარს ბაკის კარი გაუღეს და ჯერ კიდევ ნისლში გახვეულ სამფარაზე გარეკეს, ბაჩანა და სიხარულისაგან აფოფინებული პეტო, რომ მონატრებულ შშობლიურ ჭერქვეშ დაბრუნება შორს აღარ იყო და გულისტოლთან შეხვედრას წინ უკვე აღარფერი უდგა, გატენილი საცალოებით დასაპალნებულ ცხენებს მოასხდნენ, პირჯვარი სამგზის გადაიწერეს და ბარის გზას გაუდგნენ.

ბაადური კარგად ხედავდა, რომ აქ, ცხვარში, ხიფათი არა ემუქრებოდა რა, ჩეკისტები და მეტადრე რუსის სალდათები აქამდე არ ამოვიდოდნენ, სანდო ხალხის ხელში მართლაც არაფერი გაუჭირდებოდა, მაგრამ ვინაობის გამჟღავნებას მაინც ზედმეტად თვლიდა და ცქიფაანთ ბაჩანას ცხვრის დევნაში დაბერებულ თედოსთან თავი ისე ეჭირა, თითქოს მთაში მასავით ორი გროშის საშოვრად ამოსული ვინმე ბოგანო ყოფილიყოს. რაც მთავარია, ძაღლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველებიც და ახლებიც, მალე შეეჩვევნენ, უკვე ჰატრონად თვლიდნენ და მეცხვარის გულის გასახარად, ფარას ფხიზლად უვლიდნენ გარს. კოჭის სახსრი, ისე ჯოჯოხეთურად რომ სტკიოდა, თითქმის მთლიანად მოუშუშდა, სიმსივნეც დაუცხრა, თუმცა ფეხის გაბედულად დადგმას ჯერაც ვერ ბედავდა, კომმაღლა ავადარჯენივით იბიჯგებდა და ბილიკებზე შესამჩნევი კოჭლობით დადიოდა.

მეორე თუ მესამე დღეს ბაადურმა მარკვე დრო შეარჩია და ვეებერთელა მწვანე ლოდის ჩეროში, რომლის ძირშიაც მთის ბროლივით ანკარა ცივი წყარო ამოჭქუხდა, ჰურის გასატეხად რომ ჩამოსხდნენ, ფრთხილად გამოიკითხა, ვინ იყვნენ და საიდან მოვიდნენ ის კაცები, თავი რომ ჩოლოყაშვილის რაზმელებად გაიცნეს და მისივე სახელით ნუზლი მოითხოვეს.

თედოს გაეხარდა, გრძელი ამბის მოყოლა რომ მოუხდებოდა. დაწვრილებით აუწერა, ასე და ასე ეცვათ, თოფიანარული ასე და ასე ეკიდათ, ფალასკებიც ასე ჰქონდათ გადაჯვარედნებული, მხოლოდ ლაპარაკში რაღაც უცხოდ უქცევდნენ, ჩემი შეტყობით, ამ მხრის ხალხი არ უნდა ყოფილიყვნენო.

ბაადური ვითომდა სასხვათაშორისოდ უსმენდა, თითქოს თავისი შეკითხვა სიტყვას მოაყოლა, და თანაც მადიანად ილუკმპოდა, ისე კი გიფაციებით ცდილობდა, თედოს აღწერილობებში საგულისხმო ნიშნები დაეჭირა და ამ ნიშნების მიხედვით რომელიმე თანარაზმელი ამოეცნო.

ნუზლის შესაკრებად და მოსატანად ქაქუცა თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავე კაცებს აგზავნიდა, ერთსაც ადგილმდებარეობის კარგად მცოდნე მეგზურს აყოლებდა, ისევე როგორც მას გააყოლა ხევსური ხვთისო წიკლაური.

თედოს მიერ ასე მონდომებით აღწერილ კაცებში ბაადურმა თავის რომელიმე რაზმელს ვერავინ მიამსგავსა. იქნებ მართლაც სხვები იყვნენ და ქაქუცას სახელით მეცხვარეებისაგან ,,ფიფაზი" კრეფდნენ? მერე როგორ იკმაყოფილოს? ვინ უშლიდათ, თუნდაც ნახევარი ფარა მოეთხოვათ და ყველ-კარაქიც მთლიანად წაეღოთ?! მხოლოდ ერთი რამ: მაშინ თავს გაამჟღავნებდნენ და ქაქუცას სახელს ამოფარებაც სრულიად აზრმოკლებული გამოდგებოდა. ადრე იქნებოდა თუ გვიან, ქაქუცა მათი ავკაცობის ამბავს შეიტყობდა, როდგანაც გაუგებარი ქვეყნად არაფერი რჩება და მწარედაც აზღვევინებდა, როგორც არაერთხელ უზღვევინებია!

,,ბერიკაცი სწორად მიხედა, — ფიქრობდა ბაადური. — გზად მიმავალი ქაქუცა, როცა ზურგიდან მტრის მდევრის მუხანათურ დარტყმას ელოდა, მთელი დღის სავალზე, მთაში, თავის კაცებს ნუზლის ჩამოსატანად არ გაგზავნიდა და ამით არც მათ და არც საკუთარ თავს საფრთხეში არ ჩააგდებდა. აკი მე ხახმატში შემომითვალა, ხელცარიელი წამოდი, მანდაური ხარჯი აღარ გვინდა, ცოცხალი თავით ოღონდ სადმე დაგვეწეიო. ეს უთუოდ ისინი არიან, ვინც ქვეყნის არეულობას თვისი ოხერი კუჭის ამოსაყორავად იყენებს და სხვათა გაჭირვებაზე ხელს ითბობს. აბა, ერთხელ კიდევ გაბედონ მოსვლა, ნახავენ, რა ჭედილებსაც გავატან!"

ბაადური ქვაზე იჯდა, მტრის უცაბედი თავდასხმის მოსაგრეებლად წამოძღვანილი კარაბინი ფარხთით, ბალახზე ედო და კომმალზე დაყრდნობილი გაჰყურებდა ცხვარს, რომელიც საძოვარზე უთვალავ ბამბის ქულად გაშლილიყო და მთის ნოყიერ ბალახს ხარბად სძოვდა. ის სიამოვნებით და დაუფარავი სიხარულით შეჰყურებდა ამ დაუვიწყარ სურათს. ბაადურს ყოველთვის რაღაცნაირ ბავშვურ შვებას ჰგვრიდა იმის ცქერა, გალაღებული პირუტყვი, ცხვარი, თუნდაც ხარი, თუნდაც კამეჩი, ბუნებისაგან ბოძებულ საზრდელს ასე გულიანად, მსუნაგად რომ ეტანებოდა და მიწის მაცოცხლებელი წვენით მისი სხეულის ყოველი უჯრე-

დი თვალდათვალ ივსებოდა. ცხვარი ბალახს პირწმინდად ძოვდა, მინდორს თითქოს მახვილი სამართებლით პარსავდა. იმ ადგილზე, სადაც ფარამ უკვე გაიარა, თოკქმის შიშველი მიწა რჩებოდა. ვეღარც კი დაიჯერებდი, თუ სულ რამდენიმე წუთის წინ აქ ნაწვიმარზე ამოზვავებული ლორთქო ბალახი ბიბინებდა.

— ეჰეი, ბაადურ!..

— ეჰე-ჰეიი!..

— სადა ხარ, კაცო?

— აქა ვარ, ააა!..

— ამოდი, არა გშია? იგეთი ყაურმა გამოვიდა, თითებს ჩაიკვნეტ!

— მე ჯერ არ მინდა, ძია თედო, რაღაც არა მშია. შენ სჭამე, თუ გშია. მე მერეც მოვესწრობი!

ბაადურს უკანასკნელი სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ გაოცებისაგან ტუვიანაკრავივით შეტოკდა და ენა მუცელში ჩაუვარდა. ყვითელი ნეშოთი მოფენილ ტყის ბილიკზე, რომლითაც დაწალაკებული ცხვარი წყლის დასალევნებლად ღელეზე ჩაჰყავდათ, ქალი მოდიოდა. ქალი! რა უნდოდა აქ ქალს, მოჩვენება იყო, თუ... ბაადურმა ისღა მოისაზრა, რომ კომბალი ხელიდან გაადგო და თოფს დასწვდა, როცა არა მოჩვენებამ, არამედ ქალმა, ნამდვილმა ქალმა, რომელსაც ინით შეღებილი მოწმითალო თმა ჩითის ჭრელი თავსაფრით გაეკრა და ყურის ბიბილოებზე თვალისმომჭრელად მოციმციმე ოქროს საყურეები ეკიდა, თავადვე დაუძახა:

— რისა შეგეშინდა, ბაადურ, ბიჭო, თამრო ვარ!..

თამრო ვარო? ისედაც გაოგნებული ბაადური ამის გაგონებამ კიდევ უფრო შეაცბუნა და აკანკალა. წამის წინ ის სწორედ თამროზე ფიქრობდა და განგებამ, ღვთივ მოვლენილმა სასწაულმა, ფიქრი ცხადად უქცია, თამრო სწორედ ისეთად წარმოუდგინა, როგორსაც ყოველდღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს ფიქრში ხედავდა. თამროს გარეშე, რაც მისი ეზო-კარიდან გამოვიდა, ბაადურს ერთი წუთიც არ გაუტარებია. თამროს სახე თან სდევდა, ძილსა თუ ღვიძილში მას ხედავდა და ჰურის ჩასაკრავადაც ვარვარებული თონის სამხურავზე ღაწვებს უწვავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვარ, თამრო, რამ შეგაშინა, ბიჭო? — შორიდანვე დაუყვავა ქალმა, მოუახლოვდა, გულხელი დაიჭდო და მისგან ხუთიოდე ნაბიჯზე შედგა. — ხომ არ გეძინა და გამოგაღვიძე? ჩემი სიკვდილი! ისე, კაცმა რომ თქვას, ამდენი ძილი რამ შეგაყვარა. თავი მომიკვდეს, თუ შენს გარდა, ამისთანა ძილისგუდა ვინმე მენახოს! თოფი იქით გასწიე, არ გაგიკვირდეს ეგ სატიალე!

— თამრო, მართლა შენა ხარ, თუ მელანდება? — ბაადურმა თვალები მოიფშვნიტა, თოფი ისევ ბალახზე დადო და ადგა.

— მე ვარ, ბიჭო, მე, ვეღარ მიცანი?

— აქ როგორ მოხვედი, ფრთები ხომ არ გამოისხი, არწივმა ხომ არ მოგიტაცა?

— არწივმა არა, მიმინომ. მოცვის საკრეფად ვართ ქალები.

— მერე ისინი სად არიან?

— ძალიან გინდა, ისინიც აქ იყვნენ? ქვემოთ დავტოვე, დევის ნამუხლართან. ვიცოდი, აქ, სადღაც ჩვენი ბინები რომ იყო, ერთხელ მამამთილმა წამომიყვანა. მწყემსებს ფქვილი და ნავთი ამოვუტანეთ. ამოვიარე, დავხედავ-მეთქი, ჩვენი ცხვარი რასა იქს...

— მაშ, მარტო ცხვრის დასახედავად ამოვლე ამოდენა გზა, მე სულ არ გაგხსენებივარ?

— შენ რატომ უნდა გამახსენებოდი, მიწაც კი დაგაყარე.

— რა ენამწარე ყოფილხარ, თამრო, მე კი მეგონა, მუნჯი იყავი!..

— მე — მუნჯი? ჰმ!.. კიდევ რას იტყვი?

— იმას ვიტყვი, რომ შენისთანა გოგო, თავი მომიკვდეს, თუ დედამიწის ზურგზე კიდევ სადმე დადიოდეს!

— ამას უყურეთ, ქა, როგორ გამითამამდა ეს დასამიწებელი! შენ აქ ის შენი კახეთი ხომ არა გგონია, წინანდალია თუ რაღაც!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენიც არ უნდა მწყევლო და მლანძღო, თამრო, რამდენიც არ უნდა მეჩხუბო, რა ვქნა, არ მეწყინება!

— ვითომ რატომაო?

— ძალიან კარგად იცი, რატომაც!

— მაინც, მაინც?

— იმიტომ რომ გულით არ მწყევლი და გულით არ მეჩხუბები. შენი ტუჩები რომ მწყევლიან, ძუძუები მლოცავენ!

— ჩუმად! არა გრცხვენია? რაებს ამბობ?! მე კი მეგონა, ჭიასაც ვერ აღვიძებდი! ფეხი რას გიშვრება, კიდევა ტკივა თუ მოგირჩა?

—შენი ხელმონაკიდები აბა როგორ მეტკინება! — ამ სიტყვების დასადასტურებლად ბაადურმა ფეხი ისე ღონივრად დასცხო მიწას, ტკივილმა ელვასავით დაუარა მთელ ტანში და კინაღამ თვალთ დაუბნელდა.

თამროს ეს არ შეუმჩნევია, დარიგების კილოზე განაგრძო:

— ძალიანაც ნუ გაუთამამდები, მაგან გახსენება იცის.

— გამოხსენებს და, ცხრა მთას იქითაც რომ ვიყო, მაინც შენთან მოვალ! კარს არ გამიღებ?

— ჩუმად, ბიჭო, რაებს ლაპარაკობ? ყურს არავინ გვიდგებდეს! კარს არა, ცეცხლს გაგიღებ მე შენ!

— მართალი თქვი, გულზე ხელი დაიდე, აქ როგორ ამოხვედი?

— შენ ყრუ ხომ არა ხარ? ქალები მოცვს კარეფთ-მეთქი, მოცვი და ფოცვი შენა, ვის ვუთხარი? მეტი რაღა გინდა? ვერ გაიგონე? — ამ სიტყვიერ კენწლოობაში ქალ-ვაჟი ერთმანეთს ისე მიახლოებოდა, ეს ვერც ერთმა ვერ შენიშნა. ბაადურს დასცხა, სახეზე ალმური მოეკიდა. თამროზე მთელი თავით მაღალი ყოფილიყო. ზემოდან ისე ქოროვით დასცქეროდა, იფიქრებდი, ან ახლა სტაცებს ხელს, ან ახლა და მასთან ერთად ღრუბლებში აფრინდებაო. — რას მიყურებ?

— მაშ, არ უნდა გიყურო, თამრო?

— რატომ უნდა მიყურო, ყველას ჰყავს თავისი საყურებელი, ადგეს და იმას უყუროს!

— მე თუ არავინ მყავს შენს გარდა?

— ცუდი არაფერი იფიქრო, ბიჭო, მე იგეთი ქალი არა ვარ!

— რომ მოგიტაცო? აქედან რომ შორს წაგიყვანო?

— რას აბობს, ქა, — თამრომ მოხრილი თითი, რომელზედაც ნიშნობის ბეჭედი ეკეთა, შუბლზე მიუკაკუნა. — შენ აქ სულ არაფერი გიყია?

ბაადური დადარაჯებული იყო, ამასღა ელოდა, ორივე ხელი დაუჭირა, ქალი გულზე მიიხუტა და თვალებში ჩააცქერდა.

— მერე ჩემი ქმარი, ვიზედაც ჯვარი დამიწერია? — ჰკითხა თამრომ, მაგრამ ჰკითხა ისე, თითქოს არა მას, არამედ უფრო თავის თავს ეკითხებოდა.

— შენ შენი ქმარი არ გიყვარს, თამრო, გძულს!..

— განა სიყვარულზეა. იმათ, ვინც ღმერთმა შეიერთა, კაცი ვერ გაჰყრის! საღვთო წიგნი არ წაგიკითხავს?

— მერე, თუ კარგი ქალი იყავი, რატომ შეუერთდი, ვინც არ გიყვარდა და ჭირივით გძულდა?

— ბედია. ვისაც შუბლზე რა აწერია, ის მოუვა. ღვთის ნებას ვერავინ გადავა. ასე ეწერა ჩემს ბედის წიგნში და ასე მოხდა!

ბაადურმა ხელი მოხვია ზუსტად ისე, როგორც მაშინ, თამრო რომ მხარში შეუდგა და აცრემლებული ქალი მიიზიდა.

— ნუ, — თამრო გამოერკვა, გაუძალიანდა, მამაკაცის ძლიერი ხელისაგან თავის დაღწევას შეეცადა, ნიდაყვები გულზე მიაჯინა. — ხომ გითხარი. მე ისეთი ქალი არა ვარ!

— ლოგინიდან რატომ გადმოგადგო?

— ვინა, ბიჭო?

— კარგად იცი, ვიზედაც გეკითხები!

— შენ ვინ გითხრა?

— ვის უნდა ეთქვა! იქ არ ვიყავი? გგონია, ვერ დავინახე?

— არ გეძინა?

— რა დამაძინებდა!

თამრო, მუშტივით შეკრული და მკვრივი, მოეშვა. მოსხლტა. ნიდაყვები,

ისე გამეტებულად რომ ხმარობდა, ძირს ჩამოვვარდა და ცხელი ყვრიმალით ბაადურის ამორგებულ მკერდს მიეყრდნო.

— ძაღლის ცოლობა ჯობს მის ცოლობას. ღმერთს ვფიცავ! რა ვქნა, რომელ წყალს მივცე თავი უბედურმა, უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილმა! ადრე იმედი მქონდა, მოიკეთებდა, შელოცვა და შეწირულობები არგებდა, ხასიათიც გამოუსწორდებოდა, უთავბოლო ეპვიანობას მაინც მოიშლიდა. შენ რა გენაღვლება, დროს უქმად არ კარგავ, მრუშობ, ვისთანაც გიგეხარდება, მე კი აქ ვგდივარო. თითქოს მე მედებოდეს ბრალად მისი იმ დასაწვავ ლოგინში ჩაგდება! მამამთილი მიმედებდა, ყველანი მიმედებდნენ, სადაც ამდენი მოგითმენია, ცოტა კიდევ მოთმინეო. ოღონდ ოჯახს ნუ მიგვიტოვებ, ოღონდ სამუდამოდ ხელს ნუ გვკრავ, მტლად დაგედებიო, თავზე შემოგველებით, სულ ოქროსა და ვერცხლში ჩაგსვამთ, ბრილის კოშკში გაცხოვრებთო. ფარჩა-ატლასით ამავსებს. სკივრი გატენილია. მეწვრილმანე ურია ისე არ აივლის და არ ჩამოვლის, რამე არ მიყიდონ. რა ოხრად მინდა! როდემდე მოვითმინო?! ვინ დამიმადლის, რომ ასე უღვთოდ ვეწამე! მეშინია, ღამე არ გამოიღვიძოს და არ დამახრჩოს. ხომ არ გგონია, მოერევი! ხარივით ღონიერია. თუ მე სიკვდილი მიწერია, არც შენ დაგტოვებ სამრუშოდ და სხვისი გულის გასახარებლადო. ტოლები დამცინიან. წირვაზე ან ხატობაში ისე ვერ წავსულვარ, საწყენი სიტყვა და ჩუმი ქირქილი არ გამაგონონ!..

— თამრო, ჩემო თამრო, ეს რა ბედნიერება მარგუნა ღმერთმა, ეს რა ფეხზე ავდექი დღეს!.. — სულმოუთქმელად ჩურჩულებდა ბაადური და გაშმაგებით უკოცნიდა შუბლს, თვალებს, ყელს, ღაწვებს, უშლიდა ინით შეღებილ მუშკივით რბილ თმას, იმ ღამეს რომ შიშველ მხრებზე ეყარა, გულში იკრავდა და გამძვინვარებული დათვივით ბუბნიდა. მოიცა, შე გადარეულო, მე თვითონრა, მოესმა ღონემიხდილი ბებერ-ლის ჩურჩული, მისი ტუჩი ტუჩს მიეწება და ყოველივე გაჭრა, ორივე სრულ თავდავიწყებას მიეცა.

— ღმერთო, ეს რა ვქენ!.. — აღმოხდა თამროს, როცა გაშლილ თმას თავს უყრიდა, მუქში იგროვებდა და თვალებით სადღაც მიგდებულ თავსაფარს ეძებდა. — ქალებს როგორღა ვეჩვენო აგრე ტანსაცმელდასრესილი, ხომ ყველაფერს მიხვდებიან!.. თამრო, ჩემო თამრო, ეს მართლა შენა ხარ? მითხარი, რომ შენა ხარ და არ მელანდები!

— კარგი, დამაცადე, თმა შევიკრა, ასე გაჩენილი ხომ არ უნდა ვიყო! საკინძეც გაგიწყვეტია. საძაგელი! შენ ადამიანი ერთი ნაბიჯზე არ უნდა გინდოს, არ უნდა მოგეკაროს!

— ეგეთი რა დავაშავე, რომ კიდევ მლანძღავ! არ გინდა, ნუ შეიკრავ, ასე უფრო ლამაზი ხარ!

— ლამაზი! ჩემი სილამაზე ჯერ შენს მეტს არავის უთქვამს!

— ბოროტები არიან და იმიტომ, შურიანები, სხვისი სიკეთე გულზე ეკლად ესობათ! მაშ, გონჯი ხარო? შენ თუ ლამაზი არა ხარ, მაშ, ვიღა არის?!

— გამიშვი, ძალიან დიდხანს დავრჩი. ქალები ეპვს აიღებენ და სოფელ-ქვეყანაში თავი მომეჭრება!

—ეპვს აიღებენ და აიღონ, მე შენს თავს არავის დავანებებ, თუნდაც ახლავე ხმლით ამკუწონ! დედის სული წამიწყდეს, თუ დავანებო!

— ოჰო, არავის დაანებებს! ხმლით აკუწონ! შენ რა გენაღვლება, ჟინი მოიკალ და ახლა თუნდაც ქვა ქვაზე დადუღებულა! ამას უყურეთ, ქა, შენს თავს არავის დავანებებო. თითქოს ამისი ნება იყოს!

— შენ კი არ გინდა, სამუდამოდ მე რომ მეკუთვნოდე?

— იქნებ მინდოდეს კიდევაც, ვთქვათ, მინდა, მერე რა?!

— ცოტა, სულ ცოტა მაინც არ გიყვარვარ?

— რომ არ მიყვარდე, აქ ჩემი ფეხით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მომიყვანდა, სულელო! ქალები ავტეხე, მოცვის საკრეფად წავიდეთ-მეთქი. უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. ერთი სული მქონდა, როდის დაგინახავდი!

— ცუდად მოგიფიქრებია?

— ძლივს დავითანხმე და ავიყოლიე ის გასაწყვეტლები. მოცვი უფრო ახლოსაც არის. ვაითუ მიმიხვდნენ, ამ სიშორეს გული რისთვისაც მომიწევდა, კვალდაკვალ მომყვნენ, ახლა სადმე მოშორებით ბუჩქებში სხედან, დაინახეს ჩემი შერცხვენა, ამ წუთშიაც ყურს გვიდგებენ, ერთმანეთს თვალს უშვრებიან და სიცილით იკაკვნიან. მამამთილს ხათრი მაწუხებს, მეტი არავისა, სხვა ყველას კისერი უტეხია! თავმომწონე კაცია, ეამაყება ჩემი რძლობა, თვალებში შემომყურებს, თითქოს პატიებასა მთხოვს, თავის სატყარს, ღვთის გლახას რომ ამკიდა, იქნებ სიცოცხლით სავსე ქალმა მხნეობა ჩაპბეროს, ეგეც სხვასავით გამოაცოცხლოსო. რა მასიამოვნოს, რით გამახაროს, მარტო იმაზე ფიქრობს ის საწყალი, მე კი, უმადურმა და კახპამ, რა ვქენი, ღორულად მოვიქეცი, გრძნობას ავყევი და უცხო კაცთან, ვისი სახელი და გვარიც კი ხეირიანად არ ვიცი, თავზე ლაფი დავასხი, აქამდე შეურცხვენელი ოჯახი გავუბახე!

— თამრო, დედის სულს ვფიცავ, მეტი რაღა დავიფიცო, შენ არაფერში არა ხარ დამნაშავე, ტოლებიც სულ ტყუილად გაგონებენ საწყენ სიტყვებს. შენ კრავივით უცოდველი ხარ! თუ ვინმეს დანაშაული მიუძღვის, ისევ მე, ისევ მე მაწევს ცოდვა, მოხუცებულ შენს მამამთილს სიკეთე ასე გადავუხადე, მაგრამ არც ვნაღვლობ, რადგანაც შენი პირიდან ეგ სიტყვები გავიგონე!

— გამიშვი, ბაადურ! ახლა გამიშვი და მერე კიდევ ამოვალ. დედა მომიკვდეს, თუ არ ამოვიდე! ახლა ხომ კარგი საბაბი მოვიფიქრე, კიდევ მოვიფიქრებ. გამიშვი, თუ არ გინდა დამდუპო და თავი არაგვში გადასავარდნად გამიხადო!

— შენ კი გინდა წასვლა?

— არ მინდა, მაგრამ რა ვქნა, ისეთ ცისქვეშ ვიცხოვრებ, არც ვსვამ, არც ვჭამ, არც ჩავიცვამ, არც დავიხურავ, ოღონდ შენთან მამყოფა, აი, ასე! ლოგინში დამდუღრეულივით ვტრიალებ, საითაც არ უნდა გადავბრუნდე, თვალწინ სულ შენ მიდგეხარ. იგეთი გულმავიწყი გავხდი, ბაადურ, გუშინ რა ვქამე, ისიც კი ვეღარ მომიგონია.

— აქამდე ხმას რომ არ მცემდი?

— არ შემეძლო. ხმა რომ ამომეღო, დავიღუპებოდი, ქმარიც და მამამთილიც ყველაფერს მიხვდებოდნენ!

— მე? მე კი ვერ მივხვდებოდი? — ბაადურმა ხელი წაატანა, მოზიდა და ისევ მკლავებში მოიქცია.

— ეჰე-ჰეიიი!.. — მოისმა ამ დროს სადღაც ზემოთ, კლდის ძირას.

თამრო შეკრთა, დაფეთებული წამოჯდა, კალთა ჩამოიფარა, თვალებში ძრწოლა ჩაუდგა.

— ვინ არის?

— თედოა, ჩემი ამხანაგი.

— მე ჩემი მამამთილის ხმა მომეღანდა!

— ოჰ, იმას აქ რა უნდა?!

— იქნებ ეჭვი აიღო და ისიც კვალში ჩამიდგა?

— არა, ნუ გეშინია, ხომ გითხარი, ეს თედოა, ჩემი ამხანაგი.

— ვაითუ დაგვინახა?

— როგორ დაგვინახავდა, გადაღმა, ახოში, ცხვარს აძოვებს. მაგას კი არა, ძაღლებსაც არაფერი გაუგიათ!

— მეორე ბიჭი?

— რომელი, პეტო? ის ხომ წავიდა. საპატარძლო მელოდება და ამ შემოდგომაზე ჯვარი უნდა დავიწეროო. ბაჩანას წამოჰყვა.

— მე სულ იმისი მეშინოდა, როცა აქეთ მოვდიოდი, თვალი არსად მოგვატანოს-მეთქი.

— ნუღარ გეშინია, აქ მარტო ორნი ვართ, მე და თედო.

ძახილი განმეორდა.

— პასუხს რად არ აძლევ?

ეზარებოდა, მაგრამ სხვა რაღა გზა იყო, ეჰემეიო, გასძახა ბაადურმაც.

— სად ხარ, კაცო, ამდენ ხანს, მანდ რა დაგიძინა? ამო, ამო, ლუკმა შევეკამოთ, გაცივდა ჩვენი ყაურმა, აწი აღარც კი იჭმება!

— ამას სულ თავისი ლუკმა ახსოვს!

— არ დამივწყო, ისევ მალე ამოვალ! — წასჩურჩულა თამრომ, ზეზე წამოხტა, კაბის კალთა შეიბერტყა, ბაადურს ერთხელ კიდევ აკოცა ყვრიმალზე, მოქოჩრა და სანამ არამკითხე მიწმის უდროო დროს გამოჩენით დაბნეული და გუნებაგაფუჭებული ბაადური რისამე თქმას მოასწრებდა, პირობას ჩამოართმევდა ან შეხვედრის ადგილს დაუთქვამდა, ხელიდან გაუსხლტა და სირბილით დაეშვა იმ ბილიკზე, რომლითაც წეღან ამოვიდა.

ენკენისთვე უღვთოდ გაიწელა. დღემ საგრძნობლად იკლო, მაგრამ გათენებიდან დაღამებამდე ისე დიდი დრო იყო, დაღამებას საშველი არ ადგებოდა. წლისოდენა დღე მოდისო, სწორედ ამაზე იტყოდი. საქმე ის იყო, რომ თამრო ასე მალე თავს ვერ აიშვებდა და ახალ საბაბს ვერ გამოძებნიდა მთაში წამოსასვლელად. კვირანახევარს თუ არა, ერთ კვირას ხომ მაინც უნდა გაევლო, იქნებ მეტსაც!.. გული გონებას აუჯანყდა და აღარ ემორჩილებოდა. დღე ერთი იყო და, ბაადური სამჯერ მაინც აუვლ-ჩაუვლიდა იმ ადგილს, სადაც თამრო ნანატრივით გამოეცხადა. ყველაფერი ისე იყო, როგორც იმ დღეს, ფოთლებდაძარღვული მწვანე ბუერგბიც, მიწაზე გართხმული შქერის ბარდებიც და ცამდე ატყორცნილი ასწლოვანი წიფლებიც, რომელთა ქვეშაც ღელეში ჩამავალი ბილიკი მიიკლაკნებოდა, არ იყო მხოლოდ თამრო, სიზმრიდან მოვლენილი ნამდვილი, ცოცხალი თამრო! იქნებ სულაც აღარ აპირებდა ამოსვლას? იქნებ მხოლოდ იმისთვის დაპპირდა, რომ მის გაშმაგებულ ხვევნა-კოცნისათვის როგორმე თავი დაეღწია და მოცვის საკრეფად წამოსულ ქალებთან გაქცეულიყო? არა, არა! თამროს ტყუილის თქმა არ შეეძლო, მით უმეტეს, არ შეეძლო მოეტყუებინა ყუებინა ბაადური, ვისთან შესახვედრადაც ამოდენა სახიფათო გზა გამოიარა და თავისი ქალური ნამუსის ბედი სასწორზე შეაგდო. ასე მხოლოდ თავდავიწყებით შეყვარებულ ქალს შეუძლია მოიქცეს. მას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს. აკი თქმულა კიდევაც, თუ ქალმა გაიწია, ცხრა ულელი ხარ-კამეჩიც ვერ დააკავებსო. დღეს იქნებოდა თუ ხვალ, თამრო აუცილებლად ამოვიდოდა და ამდენი ხნის ნაგროვებ ცეცხლს ბაადურსაც მოუკიდებდა.

არ გამართლდა თედოს წინასწარმეტყველება, მარიამობისთვის სიცხე-პაპანაქება მიწას ისევ ახსოვს, ნაადრევად ჩამოყრილ თოვლს ვერ იგუებს, გაადნობს, ჰაერი გათბება და ჩვენ ისევ ავიწევთ კლდის ძირებისკენო. პრიქით ხდებოდა. თოვლის საზღვარმა ქვემოთ ჩამოიწია. მიწა ალაგ-ალაგ იქიაც კი გადათეთრდა, სადაც გუშინ ცხვარს აძოვებდნენ და, ზევით ასვლის მაგიერ, მათაც, ალბათ, დაბლა მოუხდებოდათ დაშვება.

როგორღა მოაგნებდა მაშინ თამრო, როგორ იპოვნიდა?

ბაადურმა ეს ამბავი ადრე ვერ გაითვალისწინა, რომ თამროც საამისოდ მზად ყოფილიყო. კიდევაც რომ გაეთვალისწინებინა, წინასწარ არ იცოდა, უკეთუ დარი ავდრით შეიცვლებოდა, ცხვარი რომელ მხარეს უნდა გაერეკათ, რადგანაც აქაური ადგილმდებარეობას ჯერ ხეირიანად ვერც კი იცნობდა.

თედო თავისნათქვამა კაცი იყო და, რაკი ერთხელ წამოსცდა, იტიბარს არ იტეხდა, ცოტაც მოვითმინოთ და გამოიდარებსო, აბა, ნახე, თუ არ გამოიداროსო, დღე და მოსწრება იალაღებზე გამიტარებია და ჯერ არ მახსოვს, ენკენისთვეში თოვლი დაედოს და ზამთარს ასე ნაადრევად მოეჭიროს თავისი ხუნდებიო.

„შენს პირს შაქარი, ნეტავი მართ-

ლაც აგრე იქნებოდეს და ერთხანს აქეთ-დან არსად წავიდოდეთ!“ — ფიქრობდა ბაადური. იგი თანდათან კარგავდა მოთმინებას და მოუსვენრობით სულით ხორცამდე შეპყრობილი, ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა. ღამღამობით რამდენჯერმე დგებოდა, გარეთ გადიოდა, აყურადებდა და ჯანღით მოსილ ცის დასალერს გაჰყურებდა, ისევ მოღრუბლულია, თუ მოიწმინდა, როგორი პირი უჩანს ხვალინდელ ამინდსო.

— ბიჭო, ბაადურ, — კუთხიდან გამოსძახებდა ნიკაბამდე ნაბადში ჩამძვრალი თედო. — რა დროა, თუ იცი?

— ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდა.

— მაშ, მოუწმენდია და ეგ არის!

— ოდნავ გაიხსნა ცამ პირი. იქნება ღმერთმა გადმოგვხედოს და მართლა დარი გამოვიდეს!

— რას დაბორიალებ, კიდევ არ გეძინება?

— არ მეძინება, ძია თედო.

— რადა, ბიჭო, რა ვქნა, შეყვარებული ხომ არა ხარ?

— აქ ვინ უნდა შევიყვარო?

— შეიძლება შენ აქ იყო, ის კიდევ იქა. დაიწვა შენი დამწველი! შეყვარებული ყოლა განა სირცხვილია, ბიჭო! შენოდენა რომ ვიყავ...

ბაადურს, სულ ცოტა ათჯერ მაინც ჰქონდა მოსმენილი ის ძველი სასიყვარულო ამბები, თედოს ჯველობაში თავს რომ გადახდომოდა. უგულისყუროდ უსმენდა, მისი მონათხრობიდან ნახევარიც არ ესმოდა. იწვა და სიბნელეს მიშტერებული თამრიზე ფიქრობდა. დილას თვალი გვიან გაახლა. უკვე მოდღეებული იყო. თედოს ადგომა მოესწრო, კერაზე ცეცხლი გაეჩაღებინა, გამეკვარტლული თუჯის ქვაბით, ჩახანას რომ ეძახიან, სამფეხზე წყალი შემოედგა გასაცხელებლად, რძის მოსაკვეცლად საჭირო თიხის ჭურჭელიც ჩაემწკრივებინა და თავად გარეთ გასულიყო. შემოვა და ავდგებიო, გაიფიქრა ბაადურმა. კიდევ ორ-სამ წუთს ლოგინში დარჩენა და ნებივრობა მთელ სიცოცხლეს ერჩივნა. ამ დროს ძაღლებმა ატეხეს ყავღავი, კისრისტეხით ორ-ვდაღმა დაეშვნენ და იმისთანა ... შექნეს, ვინმეს ყურისძირში ზარბაზანი რომ დაეცალა, ყეფა-ძაძგანში მის ხმასაც ვერ გაიგონებდი.

ვინ მოვიდა? თამრო ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. ძაღლები მას იცნობდნენ და არამც და არამც არ შეუყეფდნენ, პირიქით, ალერსიანი წკმუტუნით მიეგებებოდნენ. ეგეც რომ არა, ქალი ნამუსზე ხელს როგორ აიღებდა და პირდაპირ ბინაში როგორ მოვიდოდა, პაპის ტოლო თედოს რიდს როგორ არ მოიდებდა. თუ მართლა ის იყო, ბაადურს სადმე დაუდარაჯდებოდა და ანიშნებდა, აი, მოვედი, თამრო ვარ, მაშინდელივით არ შეგეშინდეს და თოფი არ მომიღიროო.

„ნადირია, ან ისევ ისინი გვეწვივნენ, ქაქუცას სახელით ყველ-კარაქი და ჭეიდლები უნდა გამოგვთხოვონ! — გაიფიქრა ბაადურმა, ტანთ თვალის დახახმებაში ჩაიცვა, ქალამნები ამოიწკიპა, ვაზნებით სავსე ფალასკა მხარიღლივ გადაიკიდა და კედელზე დაკიდებული კარაბინი ჩამოიღო. — თუ მგელია, ხროვაც რომ იყოს, შორს ვერსად ფამივა, ხოლო თუ მართლა ისინი ბრძანდებიან, თედო და პეტა რომ გააბრიყვეს, მაშინდელსაც და დღევანდელსაც ერთად ვუანგარიშებ და ჭკუას ერთხელ და საკუდამდე ვასწავლი!“

ძაღლების გაწიწმატებული ყეფა სადღაც, მარცხნივ ისმოდა. იქ ბილიკი იყო, რომელსაც ბარისაკენ მიმავალ სახარე გზაზე გაპყავდი. გაუკვირდა, თედო რომ ვერსად დაინახა. უთუოდ ძაღლების მოსაბრუნებლად იქნება წასულიო, გაიფიქრა და არც შემცდარა. კუზიანი გორა რომ გადაიარა და ტაფობს გადაადგა, სადაც დაჭაობებულ ლელიანში ღელე სათავეს იღებდა და მერე თავ-პირის მტვრევით წიფლნარში ეშვებოდა, ძაღლებსაც და თედოსაც ერთად მოჰკრა თვალი. თედოს გარდა, იქ კიდევ ერთი კაცი იყო, სვანურქუდიანი, უიარაღო, მხარზე ნაბადგადადებული. ხელში საგანგებოდ ნაგულეგ-

ბი ჯოხი ეჭირა და რაკი ნაგაზები თედოს იბრიყვებდნენ, არ ეპუებოდნენ და მგზავრს ყოველი მხრიდან გაშმაგებით უტევდნენ, ისიც ამ ჯოხს უშიშრად იქნევდა და ავ მყეფარებს მოხერხებულად იგერიებდა.

ბაადური მიხვდა, დიდი მიხვედრაც არ იყო საჭირო, რომ მგზავრს მათთან სამტრო არაფერი ჰქონდა. კარაბინი გადმოიღო, ვაზნა პირში მისცა და ჰაერში დასცალა. ირგვლივ გამეფებულ პირველყოფილ სიჩუმეში თოფის გრიალი მეხის დაცემასავით გისმა და ხევ-ხეევებში რამდენჯერმე დაიხუვლა, ვიდრე, სადღაც შორს, ცხრა მთას იქით, საბოლოოდ არ ჩაწყნარდა.

ამ ხმის გაგონებისთანავე ძაღლები უცნობს დაეხსნენ და წკმუტტენითა და ბომბორა კუდის ქიცინით, ხომ ჩინებულად შევასრულეთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობანო, უკან გამოიქცნენ, შორიახლო დაყუნცდნენ და ენაგადმოგდებულები უყურებდნენ, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ადამიანები, როგორ გაბეს სამშვიდობო მასლაათი და შემდეგ სამივე, დაწყლიკებული, წინ თედო, მერე სტუმარი, სულ ბოლოს კი ბაადური, ბილიკს როგორ შემოუდგა.

სვანურქუდიანი მწითური კაცი, ბაადურმა რომ მგზავრად მიიღო, მართლაც სვანი აღმოჩნდა. ფშავში დროებითი სამუშაოს საშოვრად მოსულიყო და ბედს ცქიფაანთ ბაჩანას კარზე მიეგდო. მოხუცისათვის თავისი გასაჭირი შეეჩივლა, კიდეკაც გარიგებოდა და ახლა ბაჩანას აქეთ გამოეგზავნა ბაადურის შესაცვლელად, რადგანაც ბაადურს თავისიანები კითხულობდნენ და ქაქუცას სიტყვის მომტანი კაცი სამი დღე იყო, რაც ცქიფაანთა ელოდებოდა.

ბაადურმა, ეს რომ გაიგონა, შეკრთა. უმალ მოხუცებულობაში შესული მამა გაახსენდა. ჩაეძია, ვინ კაცია, აქ როგორ მომაგნო, თუ რამე ცუდის გაგება მელის, ბარემ აქვე მითხარი, ღვთის გულისათვის, ნუ მაწვალებ, იქამდე სულს რა მიმატანინებსო.

სვანმა მეტი არაფერი იცოდა. დაიფიქრა, ბოლოს ასეთ ამბავს ეუბნებოდა: ბატონო, ეს ამბავი ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა, ოღონდ ეს ამბავი ერთმა ადამიანმა, ერთმა ადამიანმა, ერთმა ადამიანმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხა? აქაურობას იქნება სწორედ იმ დროს სწვეოდა, როცა თამრო სოფლის სხვა ქალ-რძალთან ერთად მთაში მოცვის საკრეფად ან სამკურნალო ბალახების მოსაგროვებლად იქნებოდა წასული! ხომ ვერ იტყოდა, თამროს დაველოდები, თუნდაც სამ დღეს მოვუცდი, კაცს მის სანახავად ამოდენა გზა გამომივლია და უნახავად ხომ არ წავალო.

გზაზე ცხვირწინ კენჭი დაეცა, ჯერ ერთი, მერე მეორე. ბაადურს გულმა რეჩნი უყო. თვალები ასწია და მოულოდნელმა სიხარულმა ისე ელვასავით დაჰკრა, იქვე გაშეშდა, სადაც იდგა. აღმართის თავში, რომელსაც ის იყო შემოუდგა, თამროს შეასწრო თვალი, სახეგაბრწყინებულს, სულ სხვაგვარად ჩაცმულ-დახურულს, როგორღაც შეცვლილსა და გაუცხოებულს.

— ბაადურ!.. რას გაშტერდი, ბიჭო, კიდევ ხომ არ შეგაშინე?

ბაადურმა რომ აღმართის თავს ააღწია, და მოუთმენელი მოლოდინისაგან გულაძგერებული ქალი გულში ჩაიკრა, სულს ძლივსღა იბრუნებდა. ბოლოს, უხმო ალერსით გული რომ ოჯერა, იქვე ჩაიმუხლა, მიწაზე დაეშვა და თამროც გვერდით მოისვა.

— აქ რა გინდა? სოფლიდან ამ სიშორეს მარტო რამ წამოგიყვანა? იცოდი, რომ მე მოვიდოდი?

თამრომ თავი დაუქნია, ვიცოდიო, და ყურიმალით გულზე მიეკრა.

— ვინ გითხრა?

— მამამთილმა, ჩვენსა ვიღაცა ახმახი კაცია მოსული, ჩამომხმარი, გრძელწვერა. ჩარგლელი დიაკვანიაო, მიხა ხელაშვილი. მამამთილს ადრეც სცნობია.

— მიხა ხელაშვილი? — ბაადურს თვალებში სინათლე ჩაუდგა. — ეგ ხომ შეფიცულთა რაზმის წევრია! მაღარსკარში შემოგვიერთდა, როცა ხევსურეთში მივდიოდით! ქაქუცასაგან იქნება!

— მამამთილმა და იმან საიდუმლოდ ილაპარაკეს, რაღაცა გადაწყვიტეს და ბოლოს შენთან ოფრინეს კაცი. მე კარს უკან ვიყავი ამოფარებული, ჩუმად ყურს ვუგდებდი და ყველაფერი გავიგონე!

— მაინც, რა?

— ბაადურს ქაქუცა იბარებს, სასწრაფოდ რაზმში უნდა დაბრუნდესო. ჩვენ იქ ამბავი მოგვივიდა, თქვენთან, ცხვარში იმალება და აი, მოვაკითხეთ კიდევაცო.

— ბიჭოს, ყველაფერი ზუსტად სცოდნიათ. ეტყობა, დაზვერვა შეუმცდარად მუშაობს! ეს რა ჩაგიცვამს, კინაღამ ვეღარ გიცანი!

— მოგწონს? — თამრომ ხელი საყურეებზე მოისვა და მერე კალთაში ჩაიწყო. — შენს შესახვედრად გამოვეწყვე. ვიფიქრე, ასე ჩაცმული ბაადურს უფრო მოვეწონები-მეთქი. მოგწონვარ?

— მე შენ ყოველთვის მომწონხარ, გინდა ფარჩა-ატლასი ჩაიცვი და გინდა ჭილოფი!

— არა, არა, მართალი მითხარი! შენ თუ არ მოგწონს, შევიძულებ და ადარ ჩავიცვამ. მთავარია, შენ მოგწონდეს!

— თუ გინდა მართალი გითხრა, ის უფრო გიხდება, რაც აქამდე გეცვა, რასაც თვალი შევაჩვიე, შენი ჭრელი ჩითის კაბა, — ამ სიტყვებით ბაადურმა ქალს ქობადანაოჭებული ფარჩის ხელაბანდი მოხადა, რომელიც ინით შეღებილ, მუშკივით რბილ თმას მთლიანად უფარავდა და მხოლოდ ყურებს უჩენდა, ოთხად მოკეცა და გვერდზე გადასდო. — ამ თმას ვის უმალავ? არ გენანება? რად გინდა ეს ეშმაკის მოგონილი! ქალაქელ გიმნაზისტკებს და ვაჭრის ჩასუქებულ გოგუებს ახურავთ და ისევ იმათ დაიხურონ!

— აქ სად დამსვი, ბიჭო, გზაშარაა, გინდა, ვინმე თავზე წამოგვადგეს?

მათ ადგილი მოინაცვლეს და გზიდან კარგა მოშორებით, საიდანაც შქერისა და ბზის ბუჩქებში მიმავალი გზაც კარგად ჩანდა და უცაბედად ვერც ვერავინ გადაწყდებოდათ, ბალახზე დასხდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე იქ ყოველდღე გელოდი. დღეში სამჯერ ჩვენს ძველ ადგილზე მივდიოდი, შენ კი სიტყვა გატეხე და პირში ჩალაგამოვლებული დამტოვე!

— მეც ფიქრში სულ შენთან ვიყავი. რაც უნდა მეკეთებინა, თვალწინ სულ შენ მედექი. დაგპირდი კია, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე, ბაადურ. მე ის ქალი არა ვარ, სიტყვის გატეხა რომ შეუძლია. ქალის საქმე სხვაა. მეშინოდა, მამამთილს ეჭვი არ აეღო, არ მიმხვდარიყო, რომ ასე უნამუსოდ ვატყუებ!..

— ნუ ხმარობ მაგ სიტყვას, თამრო, უნამუსობა რას მიქვია! უნამუსო და შერცხვენილი ის არის, ვინც გაგიმეტა და გოგო ამ დღეში ჩაგაგდო! ჩვენ, მე და შენ, ერთმანეთი გვიყვარს, ხომ ასეა, ერთმანეთისათვის ვართ გაჩენილები და ვინც ამას უნამუსობას დაუძახებს, ღმერთი არ სწამს!

— თუ შვილი გაგვიჩნდება, ბაღუ, შენს სახელს დავარქმევ!

— ხალხი რას იტყვის, ან მამამთილი როგორ შეხედავს შენს არჩევანს?!

— ვინც რა უნდა, ისი თქვას და იფიქროს! მე სასჯელად ისიც მეყოფა, რომ სამუდამოდ გამიმწყვდეული ვარ ამ საპყრობილეში!

— ჩვენ ერთად უნდა გავიქცეთ აქედან, ვთქვი და გავთათვე!

— გულს ტყუილად ნუ მიკეთებ, ბაღუ, სასიამოვნო სიტყვებს ტყუილად ნუ მეუბნები. ვიცი, რომ აგრე ვინდა, მჯერა, განა ვეჭვობ, მეც მინდა, მაგრამ როგორ, თუ თავისუფალი არც ერთი არა ვართ? მე ბორკილი მადევს, — თამრომ ქორწინების ბეჭედს შეავლო თითები. — შენ კი ფიცით ხარ შეკრული და სანამ პირში სული გიდგას, ქვეყნის გამოსახსნელად სისხლი უნდა ღვარო. მე ერთი უბრალო, უსწავლელი გოგო ვარ, რაღა გოგო, ქალი, დედაკაცი, წიგნს ძლიერ, დამარცვლით ვკითხულობ, მაგრამ განა არ ვიცი, რა ხდება ჩვენს თავს, რა ამბავია. ნეტავი კი ღმერთს ვაჟად გავეჩინე და შემეძლოს, იარაღით ხელში გვერდში ამოგიდგეს შენ და ქაქუცა ჩოლოყაშვილს, მაშინ ოხერ სიკვდილსაც აღარაფრად ჩავაგდებდი!

— ეს რა მესმის შენგან, თამრო, შენ რა ქალი ყოფილხარ?! — ბაადურმა სატრფოს თავი გულზე მიიხუტა, მერე ორივე ხელი ყვრიმალებზე მოავლო, თვალებში ჩახედა და არა როგორც ქალს, არამედ წმიდას რასმე, შუბლზე სასოებით ეამბორა. — მე კი, რა დაგიმალო, სულ სხვა რამეს მოველოდი!

— ფიქრობდი, რომ ატეხილი დედაკაცი ვარ და ხვადის მეტი ვერაფერი დამაწყნარებს?

— ეგ რა სათქმელია, თამრო, აგრე თავს რატომ იმეტებ?!

— ჩვენს შორის ყველაფერი უკვე ითქვა. მაშ, იცოდე, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, როგორც ყველა. სხვაზე მეტი არც არაფერი მინდა და არც მოვითხოვ!

— სოფელში რა ხდება, პარტიულები და კომკავშრილები თქვენს გარეშეოც ხომ არ დასუნსულებენ?

— ეჭვი აიღეს, შორიახლო გვივლიან და გვითვალთვალებენ, მაგრამ არა მგონია, ცოდნით ვინმემ რაიმე იცოდეს, თორემ აქამდე დაგვეცემოდნენ და თავიანთ კაცებს ცხვარშიაც გამოზავნიდნენ. დღისით უცხო სულის გამოჩენა აქ საშიშია. დიდი და პატარა ერთმანეთს ეკითხება, ვინ არის, ვისთან არის, რა უნდაო. — ჩარგლელი დიაკვანი ხულაში გვყავს დამწყვდეული. გარედან ბოქლომი დდევს. იჯრას იქ ვუზიდავთ ხან მე და ხან მამამთილი. ამბის მიმტანები სოფელშიაც აიჩინეს წყეულებმა. ხალხს ერთმანეთის გვეშინია. გუშინ რომ უერთმანეთოდ ხმიადს არ გაეტეხდით, წორავზე ერთად დავდიოდით და ღმერთს ერთად ვევედრებოდით, დღეს ერთმანეთს ვეღარ ვნდობივართ. ნუთუ დღეის ამას იქით სულ ასე იქნება, ამ ჯოჯოხეთს ბოლო არასოდეს მოეღება?

— მოეღება, როგორ არ მოეღება, როცა მტერს გავდევნით და ჩვენი თავის გამგებელი ისე ჩვენ ვიქნებით!

— მერე ეგ როდის იქნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრი სისხლი დაიღვრება, ბევრი თავი გახმება, ჩვენიც და იმათიც, მაგრამ ჩვენ ჩვენსას მაინც მივაღწევთ. არ იქნება, რომ არ მივაღწიოთ! ევროპის ქვეყნები და ამერიკა ჩვენ გვიჭერს მხარს. იარაღით და ჯარით დახმარებას გვპირდებიან. საქართველოს კანონიერი მთავრობაც ხომ იქაა. ნიშანს ველ.თ. დიდი აჯანყება უნდა მოვახდინოთ. მთელი საქართველო, ამერ-იმერი, იარაღს აიღებს ხელში და გამოვა. ჩვენ, შეფიცულებმა, მანამდე თავი უნდა შევინახოთ და წვრილ-წვრილი შეტაკებებით მოსვენება არ მიეცეთ მტერს, რომ ხალხში გულგატეხილობამ არ გადგას ფესვი, არავინ იფიქროს, რომ არაქათი გამოგველია, ბედს დავმორჩილდით, იარაღი დავყარეთ!

— ასეთი კარგი ლაპარაკი სად ისწავლე, ბაადურ, ნუთუ ქაქუცას ინახმარ მაგასაც ასწავლიან?

— ყველგან ყველაფერს ასწავლიან, თამრო, თუ გულისყურს გამოიჩენ და ისწავლი! შენ რას იტყვი ახლა, სად ვიყავი ასე მორთულ-მოკაზმულიო?

— მეც მაგაზე ვფიქრობდი. ღმერთი მოწყალეა, უნუგეშოდ არ დამტოვებს, რაიმეს მოვიფიქრებ! შენ აქ გვიანობამდე უნდა დარჩე, ბადუ, სანამ მოვარე ამოვიდოდეს. თუ რაიმე საშიშია, ასე აქეთ დათქმული, მამამთილი წამოვა შესახვედრად. თუ არა და, პირდაპირ მოდი, ძაღლი დამწყვდეული იქნება!

— ჩვენ როდისღა უნდა შევხვდეთ ერთმანეთს?

— აღარასოდეს! ნეტავი ისე ბედნიერი ვყოფილიყავი, სულაც არ შევხვედროდით. მაშინ არ მეცოდინებოდა, რომ სხვაგვარად ცხოვრებაც შეიძლება!

— თამრო!..

— ჰო, თამრო ვარ, — ქალმა კეკლუცად აზიდა გამოქნილი წარბები, ყელი მოიღერა, ოქროს საყურეები შეარხია. — რა გინდა?

— მიყვარხარ!..

— განა მე კი არ მიყვარხარ? მაშ, აქ რა მინდა? აქ ვისი ბეჭლისთვის გამოვიდოდი, ღმერთს ვისთვის გავარისხებდი? არა ეყოფილვართ ერთმანეთისათვის გაჩენილები. შენ სხვა ბედი გაგიჩენილს. წადი იმ შენს კახეთში, წინანდალში, თუ რა ჰქვია? ნეტავი ერთი მეც წამომიყვანა და იქაურობისათვის თვალი დამაკვრევინა!..

თამრომ ძალ-ღონე მოიკრიბა, მტკიცე გადაწყვეტილებით წამოდგა, ვაჟკაცს ხელები გადაუვლინა და მიწაზე გაწოლილ ბარდებში ბილიკისკენ უკან მოუხედავად გაიქცა. ეჭვი არ იყო, თავისავე თავისა ეშინოდა, სულმოკლეობამ არ წამძლიოს და უკან არ დავბრუნდეო.

გულღრენილმა და მთელი ქვეყნიერების წინაშდგომ ამხედრებულმა ბაადურმა ღღის დარჩენილი ნაწილი ამავე ტყეში გაატარა, სადაც თამრო დაბარებულივით დაუხვედა, ოღონდ გზის სიახლოვეს გადმოინაცვლა, რათა გზაზე თვალი სჭეროდა, ამველ-ჩამველი არავინ გამოჰპარეოდა და როდესაც დარწმუნდა, სოფლიდან კაცი-ქრისტიანი არ მაკითხავს და, ეტყობა, იქ ეშვიდომბაო, სამალავი მიატოვა და გზას გულდაგულ დაადგა.

მაღალი ვახშმობა მოახლოებული იყო, როცა მის წინაშე მთვარის შუქით განათებული ნაცნობი ჭალა გადაიშალა და ბაადურმა თავისი კეთილისმყოფელი მასპინძლის სახლი დაინახა. სარკმელში სინათლე კიაფობდა. მაშასადამე, ელოდებოდნენ, იქ არ ეძინათ. ჭიშკართან ნაბიჯი შეანელა. იქ ვეება კაკლის თუ ცაცხვის ჩრდილი იყო გაწოლილი და ბნელოდა. შორიდან, თითქოს ქვესკნელიდან, ძაღლის გაავებული ყეფა-ღაღადვი შემოესმა და იმავე წამს ბერიკაცის მოგუდული, ოდნავ ხრინწგარეული ხმაც გაიგონა:

— შენა ხარ, ღვთის კაცო? ძალიან შეგგვიანებია, შვილო, ჩვენ ამაღამ ღარც კი გელოდით!

მიხა ხელაშვილი, ჩარგლელი დიაკვანი, დიდი ვაჟა-ფშაველას თანასოფელი, ნაცნობი და ნამეგობრალი, ქვეყნის გასაჭირის ჟამს ხელში ჯვრის მაგიერ მაუზერი რომ დაიკავა და ქაქუცა

ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმს ერთხელ და სამუდამდ შეეკედლა, ტბაბაკთან ხარაღასხმული იჯდა, გაჩაჩხულ მუხლებს ხმელი ნიდაყვებით დაყრდნობოდა და თვალი და ყური კარზე ეპირა, ღმერთი არ გაწყვრეს, ბაადურას მაგივრად მოხუცს ჩეკისტი ან ვინმე ადგილობრივი პარტიელი არ შემოჰყვესო. ბაადური ძმურად გადაეხვია, კარაბინი კუთხეში მიაყუდა, საგზლით დამძიმებული გუდაც იქვე დასდო, ფალასკები აიხსნა, თოფის ტუჩზე დაჭიდა და მესამე თავისუფალ ჯორკოზე მასპინძლის მიერ შემოთავაზებული ადგილი დაიკავა.

ისინი პატარა ფიცრულ ოთახში ისხდნენ. ოთახს მხოლოდ ერთი კედელი ჰქონდა ქვითკირისა. არა, ეს ის ოთახი არ იყო, ბერიკაცმა და მისმა რძალმა ფეხატკივებული რომ შეიყვანეს და რომელსაც ჩითის სიფრიფანა ფარდა შუაზე ჰყოფდა. იმ ღამეს აქ, მგონი, მასავით შეგვიანებული სტუმრები მოათვსეს, რომლებთანაც წინდახედულ ბაჩანას ბაადური არ გამოუჩენია.

დიაკვანმა თუ ნადიაკვნარმა მოკლედ მოუთხრო რაზმის ასავალ-დასავალი. პირში შემოჩერებულ მოხუცებულ მასპინძელს სულ არ დარიდებია. ეტყობდა, ძველი მეგობრები თუ არა, ძველი ნაცნობები მაინც იყვნენ და ერთმანეთს უყოყმანოდ ენდობოდნენ..

რაზმი ამჟამად, მას შემდეგ რაც ხეესურეთიდან დაბრუნდა, მატნის ტყეში მდგარიყო, თელავის მახლობლად, და დღე-დღეზე კისისხევში აპირებდა გადასვლას, რადგან ქაქუცასთან შეტაკებაში არა ერთხელ სირცხვილნაჭამ და საგრძნობლად შეფერთხილ თელავის მილიციას სუნი ეკრა, საკუთარ ძალებს ვერ ნდობდა და თუქურმიშიდან წოთელი არმიის დამსჯელი ათასეული გამოეწვია გზების შესაკრავად და ტყეების გასაცხრილავად.

ბაადური, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას გამოტირებული ჰყოლოდა. უსათუოდ ხელში ჩაიგდეს სისხლისმსმელმა ბოლშევიკებმა, როცა ხახმატიდან წამოსული ჩვენს დასაწყებად მოდიოდა და წამებით მოკლეს, ბალეშვილ ... ხალს როგორ გაუშვებდნენო. ქაქუცა წუხდა, თავში ხელს იცემდა, ეს რა დაგვემართათო, საწყალ მამამისს ჩაროლა შევხედო, რა ვუთხრა, ბალღი პირადად ჩემთვის მაინც არ ჩაებრალებინაო. სანუგეშო სიტყვა ისევ სოფლიდან მთაში ხარჯით ამოსულ ბაქროს, ბაადურის მამას, შეებედა ბელადისათვის: გული იგრე მითქმამ, ქაქუცავ, ჩემი ბიჭი ცოცხალი უნდა იყოსო. როგორაო, ეკითხა ჩოლოყაშვილს და თვალში იმასაც იმედის სხივი ჩასდგომოდა. შაქროს ისევ თავისი სიტყვა გაემეორებინა, გული იგრე მითქმისო. მიმდგარ-მომდგარიყო ნაცნობ-მოკეთეებში, სანდო ხალხი გაეგზავნ-გამოეგზავნა, მეეკითხ-მოეკითხა და, ყველასდა გასაოცრად და სასიხარულოდ, ბაადურის ადგილსამყოფელი სწრაფედ მას აღმოეჩინა.

ბაადური უყურადღებოდ უსმენდა, თუმცა დიაკვნის მონაყოლიდან ერთი სიტყვაც არ გამორჩენია. ყოველ წუთს გულის ფანქრალით მოელოდა, ან ახლა გაიღება კარი, ან ახლა და ტბაბაკზე გაშლილი ხორაგის შესავსებად, ხონჩით ხელში თამრო შემოვაო, მაგრამ ქალი არ ჩანდა. სად წავიდა? იქნებ შინ არც მობრუნებულა? თუ პირიქით, კართანაა მოყურადებული და სულგანაბული გვიმენს, შიგნით შემოსვლა და ჩემთვის თვალის გასწორება კი ვეღარ გაუბედია?

ახალგაზრდა კაცის მოუსვენრობა და უსაგნო წრიალი უფროსებს არ შეუმჩნევიათ, მათ თავიანთი შეწყვეტილი სიტყვა განაგრძეს და როდესაც მამლებმა პირველად იყივლეს, რაც გარიჟრაჟის მოახლოებას მოასწავებდა, დიაკვანი ფაცაფუცით წამოდგა, მეცხვარის ბანჯგვლიანი ქუდი, როგორსაც ოვით დიდი ვაჟაც იხურავდა, თავზე ჩამოიფხატა და ბაადურსაც ანიშნა, აიხი აწი იარაღი, ვახსენოთ ღმერთი, ჩვენი წასვლის დრო დამდგარა, გზას ვეწიოთო.

„მართლა შინაა და არ გამოდის, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვენება? — ფიქრობდა ბაადური, როცა ფალასკებს აუჩქარებლად ისხამდა და თვალი კარზე ეჭირა. — არ უნდა, უკანასკნელად დამენახვოს?“

გარეთ ფეხაკრეფით გააბიჯა. მოახლეობული განთიადის სიგრილე ეცა და გონება გაუნათა. გულში კიდევ იმედოვნებდა. გაეხარდა, კაკლის თუ ცაცხვის უზარმაზარი ჩრდილი მთელ ეზოს რომ დასდებოდა და იქაურობა მთლად ჩაებნელებინა. სხეულით თამროს სიახლოვეს გრძნობდა. ის სადღაც, ახლოს იყო, სულ ახლოს, მაგრამ სად? რად არ ეკარებოდა, რატომ არაფერს ამბობდა? ჭიშკრამდე ცოტაღა დარჩა, სამი-ოთხი ნაბიჯი. გადადგამს ამ სამ-ოთხ ნაბიჯსაც და... აი, ახლა მოვა, წამოეპარება, უკანიდან ხელს მოხვევს, „ჩემო ყვავლავ!“ — ჩასჩურჩულებს და თითქოსდა პურის ჩასაცხობად გავარვარებული თორნის სიმუხრვალით დასწვავს. „თამრო! თამრო!“ — იძახდა გულში, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა.

ბაადურს სიზმარშიაც არ შეეძლო წარმოედგინა, რომ გაივლიდა რამდენიმე წუთი აქეფაანთ ბაჩანას სტუმართმოყვარე სახლიდან მათი წასვლის შემდეგ და, ამ მშვიდობიან სახლს, საკუთარი უიღბლობა თავზე საყოველთაოდ ეკიდა. ეს, რომ ჰყოფნიდა, დუშეთიდან ფოდ დაბარებული მილიციელები და ჩეკისტები გარს შემოერტყმოდნენ და შარაგზის ყაჩაღ ქაქუცა ჩოლოყაშვილის კაცების გაცემას მოითხოვდნენ. ბაადურს ან ის როგორ მოუვდოდა აზრად, თუ, პასუხის გაცემის მაგიერ, ერთ არავითარი კაცები არა გვყავს და არც გვყოლია, თუ არა გჯერათ, მობრძანდით და გაგეჩხრიკეთო, ბერიკაცი რუს სალდათისაგან ნახევარ ბოთლ არაყად ნაყიდ შაშხანას გამოიტანდა, სარკმელში ლულას გადააყოფინებდა და მომხვდურთ სროლას აუტეხდა, მომხვდური კი ამის საპასუხოდ იერიშზე გადმოვიდოდა, წრეს შეჭრავდა, სახლს აცეცხლს წაუკიდებდა, მამა-შვილს შიგ გამოჰბუგავდა, ხოლო ხელებგაკოჭილ ნამტირალეკ თამროს, საკუთარ თავს გოგორში რომ ემალებოდა, წინ გაიგდებდა, ქვემოთ, არაგვის პირას, მურყნებში, მთელი ოცეული ნამუსს აჰდიდა, მერე ცხელ ტყვიას დაახლიდა და გამარჯვებული, რომ კლასობრივ მტერს, კულაკს, საკადრისად გაუსწორდა, დუშეთში დაბრუნდებოდა.

სექტ. 1989 წ. ბოლთა

შოთა ნიშნიანიძე
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიგრამები „ცხრათავიან დევზე“

ბავშვობის მეგობარს, რომელსაც სავარძ-
ლმა ერთი თავი დააკარგვინა და ცხრა შესძინა

●

მაგ ცხრა თავიდან სამართლიანად
ერთი შენია, რვა კი სხვისია.
ზოგს წააჭერი თავი ჭკვიანი,
ზოგმა თავისით მოგცა ნისიად.

ვერცერთი თავით ვერ შემირიგებ,
თუნდაც პერანგის დავრჩე ამარა,
მაგ შენი ერთი თავის სიბრიყვე
სხვათა რვა თავმაც ვეღარ დამალა.

●

თვრამეტი თვალი!
თვრამეტი ყური!
თვრამეტი ხედვის, სმენის ფანჯარა!
ხალხი კი მაინც ცილს გწამებთ შურით,
თითქოს ბრმა იყო და ყრუანჩალა.

ცხრა პირიანი,
ცხრა ცხვირიანი,
ცხრა ენით ცხრა პირს უცვლი
ენლოკავს.
ხალხი კი ამბობს, ეს შურიანი,
თითქოს სრულიად უცხვირპირო ხარ!

●

თქვენზე ამბობენ ლექსებს წერთ
თითქოს,
ფსალმუნში ბაძავთ ბიბლიურ დავითს.
— ნება მიბოძეთ, კოლეგავ, გკითხოთ:
ცალი თავით წერთ თუ ცხრავე თავით?

რვა თავი დუმდეს — არის ერესი
და ერთით წერდეთ — ვერ დავიჯერებ...
ვგიჟდები ისე მაინტერესებს
როგორი არის ცხრაგზის სიშტერე!

●

რა გელექსებათ დევებს, ტიტანებს...
განა ვერ ხედავთ რა დრო დავვიდგა?
ცალთავა მგოსნებს ძლივას იტანენ
და ცხრათავიანს ვინღა აგიტანს.

ალბათ ოდესმე ვიღაც უბირი
წაგისისინებს „ვიკპოეტაო“...
არაფრით დათმო მგოსნის მუნდირი,
მთელი ქვეყანაც რომ შეგედაოს.

მიდი!.. არ შედრკე, არ მოგერიდოს,
მისცხე და მისცხე გულმოჯერებით:
„ო, შე უგნურო! შენ რა გესმის-თქო
პოეზიის და მშვენიერების“.

თან მიაყოლე: თითონ გიჟო-თქვა,
ყველაფრით გიჟო — ანით, ჰოეთი.
. . . . . .
ის მხოლოდ მარტო გიჟი იქნება,
შენ კი ორივე: გიჟიც, პოეტიც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა ქუდი გხურავს
  და ხარ გულდიდად,
ხელმწიფის კარზე ტუზი ხარ კიკო,
მაგრამ ვერ ვიტყვი მაგ ცხრა ქუდიდან,
თუნდაც ერთ-ერთი ნამუსის იყოს.

მართალს არ იტყვი, ყელზე დანა თუნდ
  დაგაჭირონ,
ამდენი ჭკუა სად იშოვნე, რომელ
  მოგვებთან?

ალბათ ცხრა პირი,
ჰო, ცხრა პირი იყო საჭირო
ერთს კაცს ამდენი სისულელე რომ
  გამოგეთქვა.

თურმე ბრაზდები კაცთა სიავით,
  თან ნერვიულობ, თან ფხუკიანობ:
თუკი დევი ვარ ცხრათავიანი,
უთავოს რატომ მეძახიანო.

— ბოდიში, ბლაყუჩ, ცხრაჯერ ბოდიში,
სულ წახდა, ძმაო, საკრისტიანო.
დღეში რომ ცხრა თავს ცხრაჯერ
  მოიჭრი,
უთავოს მიტომ გეძახიანო.

ორი ეპიგრამა „ბარემოეგის საყვირზე“

მე სულ ვოცნებობ სკანდალურ ამბავს,
ისეთი დადგეს დრო საოცარი,
რომ წარვუდგინო გაჭედილ დარბაზს
ტიტულოვანი ერთი მგოსანი.

ჯერ სიტყვას განგებ დავაყოვნებდი,
და გიჟურ ტკბობას მერე ვპოებდი,
როცა ვიტყოდი:
— ლექსს წაიკითხავს
საშუალო ნიჭის დიიიიდი პოეტი!..

ტყუილ-მართალი, მიეთ-მოეთი
შენ განიკითხე, სიტყვავ დროულო,
ის, რა თქმა უნდა, არის პოეტი,
არადა, მაინც, მაინც კლოუნობს.

განვედი შურო საწუთროულო,
დაცხრი, დანავლდი მიეთ-მოეთო.
პირწავარდნილი არის კლოუნი,
არადა მაინც, მაინც პოეტობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვილიზვილს

წინ გამიძეხი, მუხლი აღარ მემორჩილება,
მხარს ვერ აგიბამ, —
ბორციელი ვერ სდევს სულიერს...
ფრთები დააქნეს ჩემს არწივებს, ჩემი ჩიტებიც
ააწიოკეს და საკენკი გამოულიეს.

წინ, წინ იარე, ჩემი სანთლის შუქი გაგწვდება,
მამულის მიწა აწ შენ გეხნას, აწ შენ გებაროს...
. . . . . .
მე გადაგისწრებ მხოლოდ მაშინ, — ამას კი შევძლებ, —
მტერმა ისარი თუ გესროლა, რომ აგეფარო.

●

ნუ მეფერები, ნუ მიყვავებ, ნუ მანებივრებ,
მე გაკრული ვარ ჭირთა თმენის არტახებითა.
ვაშლის ყვავილში ჩემი სული არ განაბულა,
არ ამოვსულვარ არც ნისლიდან, არც ტალღებიდან.
დაკბენილი ვარ კრაზანებით, დანესტრილი ვარ,
ბულბულებისკენ ვერ გავექეც ღამის ჯვებირებს.
გადავეჩვიე...
და ნუ ცდილობ, ჩემო ძვირფასო,
ნუ მეფერები,
ნუ მიყვავებ,
ნუ მანებივრებ.

●

ახლა ოღლი არის წერა ოცდაჩვიდმეტზე,
არცა ვწერ, რადგან გარკვეული არის ყოველი.
ვიცი, იუდას აღზევება ვერცხლის ღიმილში,
ვიცი, რად გაჭანა, რად გადახმა სამოყვრო ველი.

ახლა იმაზე უნდა ვწერო, ოცდაჩვიდმეტი
არ შემობრუნდეს, არ აღზევდეს კვლავ ტირანია.
გვაკმარე ღმერთო, რაც სისხლია გაჩქეფებული,
რაც ნაკვნესარი, ნაწუხარი, ნატირალია.

ახლა ამაზე უნდა ვწერო, უნდა ვილოცო,
მტკვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის,
დის,
დის...
ქვედრულაცა ისევ ქვედრულობს.
ჭირი იქა და ლხინი აქა, ზღაპარო ჩემო,
ქატო იქა და ფქვილი აქა, მამულ-დედულო!

•

ურიცხვი მტერი. ქართველების ხმლით აკაფული,
რად იქცა ნეტა, ჩვენს მიწაში როა ჩაფლული?!
ეკალ-ბარდებად?!
ყვავილებად?!
ნუთუ ნუშებად?!
იმათი ძვლებიც რომ გაჩრია,
ნეტა მამულს ეჩამუშება?!
თუ სულერთია მიწისათვის მიწად საქცევად
მტერიც. მოყვარეც?!
აღარ ლამობს მკვდართა გარჩევას?!

* * * * * * * *

ურიცხვი მტერი, ქართველების ხმლით აკაფული,
რად იქცა ნეტა, ჩვენს მიწაში როა ჩაფლული?!

•

ცოტნეზე წერ და მოგვიწოდებ, ო, იცოდეო,
თუ ქართველი ხარ, იქართველე, ჰო, იცოტნეო.
ტანზე სამოსის შემოძარცვა, თაფლის წაცხება,
მოყვასთან დგომა შუადღისას, როცა დაცხება,
სასახლის თმობა, სიკვდილი და არა ტყვეობა, —
ა, ეს არისო ქართველობა და ცოტნეობა.

* * * * * * * *

შენ კი არ იკლებ, — ამის მთქმელი, — ქვეყნად
არაფერს.
და კაკლის ჩრდილში
სასახლის შენის აფერადებ ოქროს დარაბებს.

•

ვიგონებ იმ წლებს, განდეგნილი გუდიაშვილი
როს ქაშუეთში შეხიზნული, ღვთიშობელს ხატავდა.
მკლავაშვერილი აეტაცათ ზენაარისკენ
რუსთველურ ხილვებს ინდოელთა და ხატაელთა.
ქართული ცრემლით აზავებდა თხელ საღებავებს.
ვარდისფერ პერანგს მუზა ქსოვდა მისთვის ატამთან.
ჩვენ ვერ გვამჩნევდა ზე მხედვარი გუდიაშვილი, —
ის ქაშუეთის დიდ გუმბათზე ღვთიშობელს ხატავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგოსულის მეგობრობა

გალაკტიონს მეგობარი არა ჰყავდაო.
გალაკტიონს მეგობრობა არა სწამდაო.
რადა სდუმხარ, ქუჩიშვილო, ბნელში მანდაო?!
მო, ნათელჰყავ ამნაირი ბჭობა სადაო.
რა ბჭობაა?!
რა ხმებია?!
სიდან სადაო?!
გალაკტიონს მეგობრობა არ უყვარდაო.
მაშ, ლირაზე სიტყვა როგორ იავარდაობს?!
მაშ, ვით ჩადგა ლექსში სული ნიავ-ქართაო?!
მჰრეგზე ძმობის ვებერთელა ჩრდილი მადგაო...
ქუჩიშვილის გული გულზე შემომადნაო...

. . . . . .

მო, ნათელჰყავ, ქუჩიშვილო, ბჭობა სადაო.

სახლიკაცური

სულაბერიძეებო, ჩემო შუამთელებო,
ნურვინ მკითხავთ: ჩვენზე ფიქრით ღამეს თუ ათენებო?
სულაბერიძეებო — ძმებო, დებო, რძლებო,
იყავით და იდღეგრძელეთ ისე, როგორც გენებოთ.

ნაციხარზე შემოდეკით, ზეცას აწვდით მკლავებით,
მანდ ჩიტები შეგულვება, მგალობლები ღვთაების.
ჩემი სული ჩაკირული ქვითკირიან ლიბოში...
მანდ ლიბოსთან მიუყეულან ჩემი თეთრი კრავები.

მაგ ლექსებით გაპობილ გულს ნეტა თუ ამთელებო? —
თქვენ მეძახით ამ მთებსა და იმ მთებს შუა თელებო?
გვარის დროშას წაგწვდი, მიმძიმს, მომაშველეთ ხელები,
სულაბერიძეებო, ჩემო შუამთელებო!

თქვენს აივნებს ბუდეები მიაქსოვეს ჩიტებმა, —
ჩემი ლექსის სტრიქონებით აქვთ მიწნული-მოწნული.
ვნაწილდები თქვენ-თქვენს ჭერქვეშ, ხეს ვასხივარ
კვირტებად,
ჩემი სისხლი სდით თქვენს პეშვზე ბროწეულებს
მოწურვილს.

ანტენებად მკლავებს ვუწვდი სახლებს უანტენებოს,
არა მკითხოთ: ჩვენს აკვნებთან ღამეს თუ ათენებო?
თქვენთანა მაქვს შენახული ჩემი ლექსის ფერები,
სულაბერიძეებო, ჩემო შუამთელებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲗᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲔᲨᲐᲜᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲘᲠᲘ

1

მეზობელი სოფლიდან რომ მაჭანკალი მოვიდა, დაბალი, საგანგებოდ სუფთად გამოწყობილი შაოსანი ქალი, და, რა თქმა უნდა, ტკბილმოუბარიც, ხორეშანი სახლში მარტო იყო. ხორეშანის მამა და ხორეშანის ძმა შირაქში იყვნენ, ცხვარში; დედამისი — მეზობელთან, მატყლის ჩეჩვაში ეხმარებოდა. ხორეშანი მარტო იყო სახლში.

იცნო ხორეშანმა მაჭანკალი, არასოდეს არ ენახა, არც არაფერი სმენოდა იმის შესახებ, მაგრამ იცნო. მაჭანკალმა ღიმილით აათვალიერა თექვსმეტი წლის ხორეშანი და „რა კარგა ქალა გაუზდიხარ დედასაო“ — ღიმილითვე, ზრიალა ხმით უთხრა. ხორეშანმა მორცხვად გაიღიმა და სკამი შესთავაზა: „დაჯექი ბაბალე, მე წავალ, დედას დავუძახებო“. ბაბალეს სამაჭანკლო ღიმილი პირზე შეაცივდა და „საიდან იცი ჩემი სახელი, ბაბალე გენაცვალოსო“ ჰკითხა. ხორეშანს არაფერი უთქვამს, მხრები აიწურა და ასე მორცხვად მოღიმარი იმავ ადგილას დარჩა, სანამ ბაბალეს თვალებში გაოცებას ისევ სამაჭანკლო ღიმილმა არ სძლია და „წადი, დაუძახე, ბაბალე გენაცვალოს“-ო არ უთხრა.

„დედა, ბაბალე მოვიდა ჩვენთანო“, უთხრა დედას მეზობელთან გადასულმა ხორეშანმა. იატაკზე, თავ-თავიანთ საჩეჩლებთან მჯდარი სამი ქალი ერთად მიაჩერდა ხორეშანს, თან ჩეჩვას განგრძობდნენ, ისე, რომ საჩეჩლების ავად მბზინავ, წაწვეტებულ კბილებს არც უყურებდნენ.

ქალებს მუქი, სიშავემდე მუქი, დაძარღვული ხელები ჰქონდათ. ეს ხელები თითქოს ქალებისგან დამოუკიდებლად, თავისთვის განაგრძობდნენ მატყლის ჩეჩვას.

— ვინ ბაბალე? — ჰკითხა დედამ და შვილიდან მზერა ქალებზე გადაიტანა. ქალებმაც მას შემოხედეს კითხვის ნიშნად, ხელები კი, მათი სიშავემდე მუქი ხელები არავითარ ყურადღებას არ იჩენდნენ არც ხორეშანის, არც ბაბალეს, არც თვით ქალების მიმართ „სიკ. სიკ. სიკ...“ განაგრძობდნენ მატყლის ჩეჩვას.

ხორეშანმა იცოდა, ვინ იყო ბაბალე, ისიც იცოდა, რისთვის მოვიდა და სანამ დედა ჰკითხავდა, „ვინ ბაბალეო“. ეგონა, რომ დედამისსაც უნდა სცოდნოდა, და არა მარტო დედას, ამათაც, ამ ქალებსაც; ხორეშანს ეგონა, რომ უნდა სცოდნოდათ... მაგრამ სამი ქალის ექვსი თვალი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ხორეშანს; ხელები კი, მათი ხელები „სიკ. სიკ. სიკ...“ — ისევ განაგრძობდნენ მატყლის ჩეჩვას. ხორეშანი მაშინ მიხვდა პირველად, რომ ყველა მასაკით არ ხედავდა, ყველა მასავით არ გრძნობდა. მიჰხვდა ბაბალეს წელანდელი გოაცების მიზეზსაც, „საიდან იცი ჩემი სახელი, ბაბალე გენაცვალოსო“ რომ ჰკითხა და ახლა ამ აღმოჩენით და დედის შეკითხვით დაბნეულმა „რა ვიცი... ბაბალეო“, წაიბურტყუნა და გაწითლდა. ქალები ისე დაინტერესა „ბაბალემ“ რომ მათმა ხელებმაც კი შეწყვიტეს მუშაობა და ისინიც ხორეშანს შეაჩერდნენ.

2

რა აზრი ჰქონდა ყოყმანსა და ორჭოფობას? ყველაფერი რომ უკვე გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილი იყო, იცოდა ხორეშანმა. მისთვის დედამისის ასეთი აღელვების მიზეზიც გაურკვეველი იყო და ბაბალეს თავგანწირული მცდელობაც, როგორმე დაეყოლიებინა დედამისი ხორეშანის გათხოვებაზე. ხორეშანის დედა: „ჩემი კაცი სახლში არ არის (ქმარს გულისხმობდა) და იმის ჩამოსლამდე მე ვერაფერს გეტყვი“, ამბობდა. „შენ შენი სიტყვა თქვი და, — არ ეშვებოდა მაჭანკალი — ის რომ მოვა, თავისას იტყვისო“. ხორეშანმა კი იცოდა, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო უმათოდ — დედისა და ბაბალეს, მამისა და ძმის გარეშე, სადღაც, მოკედავის თვალისა და გონისაგან მიეუწვდომელ სხვა სივრცეში და დროში. იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილებას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა. დედამისს, და მერე ხორეშანის მამასაც, ბაბალე რომ უარით გაესტუმრათ, ხორეშანიც რომ ყრუ კედლებში გამომწყვდიათ, სასწაული მოხდებოდა, ან ხორეშანი გავიდოდა კედლებში, ან იოსები (მისი საქმრო) შევიდოდა მასთან და ერთმანეთს მაინც დაუკავშირდებოდნენ ცოლ-ქმრული ცხოვრებით.

3.

გათხოვდა ხორეშანი.

4.

მას შემდეგ ოცდახუთი წელია ამ სოფელში ცხოვრობს. სამი შვილი ჰყავს იოსებისგან. თვითონ იოსები ათი წლის წინ დაიღუპა ტყეში. მისივე ხელით მოჭრილმა წიფლის ხემ, — მოულოდნელად რომ მოსკდა, — ბოლო აიქნია, აინაცხარა და მკერდი შეუნგრია. „ბრიყვად მისდგომია ხესო“, — ამბობდნენ სოფლელები — „სიბრიყვით დაიღუპა თავიო“. იოსების მოხუცმა დედამაც ასე დაიტირა მიცვალებული:

თავ დაიღუპე სიბრიყვეთოოაა ა, ჰი, ჰაი,
შვილო, შენ მითამ ფრთხილი იყავ ა, ჰა, ჰაი,
ხემ რაად მოგკლა, ხე, — ოხერმაოა ა, ჰა, ჰაი,
ა სიოამამით თუ გაიკავე ე, ჰე, ჰოი...

მოთქმას შაოსანი ქალები ქვითინებენ, ეურთებდნენ, კაცები შავ-შავ ბად იდგნენ ეზოში და ხმადაბლა საუბრობდნენ. გრძელ ხეადგარზე ჩამწკრივებულ სხვადასხვა ზომა-ფორმის ქვაბებთან კვამლით თვალცრემლებული მზარეული ტრიალებდა. იოსები აღარ იყო. ახლად დამგლოვიარებულები უფრო გულდამწყვარნი მოსთქვამდნენ. ერთ-ერთ მოტირალს, შვილთან რომ ამბარბდა მოკითხვას იოსებს, გული წაუვიდა. ახალგაზრდა ქალებმა ხელი წაეშველეს და სკამზე ჩამოსვეს. ამ სკამს სქელი სწორკუთხა ფეხები ჰქონდა. ბოლოებში, შიგნითა მხრიდან თანაბრად წათლილი, მაღლიდანაც კიდეებდაცურებული, ლამაზად გათლილი ფიცარი ეკრა. იოსების ნახელავი იყო ეს სკამი. თავად იოსები აღარ იყო. ხორეშანიც ერთ-ერთ ასეთ სკამზე, კუბოს კიდეზე თავჩამოდებული იჯდა. დროდადრო უხმო ქვითინი უცახცახებდა შაოსან სხეულს. ასე იყო მანამ, სანამ სხვა ქალები ნუგეშის სიტყვების ბუტბუტით არ ამოუდგნენ მხრებში — „გასვენების დროაო“. ვერ დადგა ფეხზე ხორეშანი, გავლა ვერ შესძლო, — მუხლებში, მხრებში, მკერდში რაღაც ბლანტი სითხე ჩასდგომოდა. რაც უფრო ძალას ატანდა თავს, ის ცივი სითხე უფრო მატულობდა, სხეულს უვსებდა, ხერხემლის მალებს მაღლა და მაღლა მიუყვებოდა, ხელ-ფეხის თითებისკენ მიჭოსავდა; სდევნიდა სხეულიდან ყველაფერს სხეულებრივს — ძვლებს, კუნთებს, ძარღვებს; გულისრევა იგრძნო და გრძნობა დაკარგა...

5.

პირველად გათხოვების შემდეგ მიხვდა ხორეშანი, რომ სხვებზე მეტს ხედავდა და გრძნობდა, აღარ დაუფარავს ეს ამბავი. ჯერ თამაში მოისურვა: ართობდა, როგორი შეცბუნებულები უყურებდნენ მეზობლები, ახალ პატარძალთან, ან როგორც მოფერებით ეძახდენ, „ძალოსთან“ საუბრაოდ მოსული ქალები, როცა „იოსებიანის ცოლი“ ახლად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცნობილ მეზობელს სახელით მიმართავდა. ეუბნებოდა ვის ვინ ყავდა ოჯახში, რამდენი შვილი, და, ძმა... რაღაც-რაღაცების თქმისგან თავსაც იკავებდა ხორეშანი: ვთქვათ, რა სასიამოვნო იქნებოდა, ოთხი სხვა ქალის თანდასწრებით გაუთხოვარი ნაზოსთვის რომ ეთქვა, იამზეს ქმრის ალერსსა ჰპარავო...

მერე და მერე მთის გადაღმიდან მოდიოდნენ მკითხავ ხორეშანთან. ქმრისა ერიდებოდა ხორეშანს, თუმცა იოსებს უკმაყოფილება არაფრით გამოუხატავს, ჩვეულებრივად დაპბრუნავდა სახლკარს, ღობავდა, ხნავდა, თიბავდა... აკეთებდა საკაცო საქმეს. სამკალ-სათიბში ცოლ-ქმარი ერთად მდიოდა. ხორეშანი თავის „უნცრუა“ ლევანს ხბოს ტყავის გუდაში ჩაისვამდა, ზურგზე მოიკიდებდა და მიდიოდნენ. იოსები — წინ, ხორეშანი — ნახევარი ნაბიჯით უკან.

წყნარი კაცი იყო იოსები, მორიდებული: შვილებსაც კი უცხოსავით, რიდით ეპყრობოდა...

სამუშაოდან სახლში მობრუნებულებს ხშირად უცნობი სტუმარი ელოდებოდათ ეზოში, მკითხავ ხორეშანთან მოსული... ერთი ოთახი ჰქონდათ და იოსები, მათთვის რომ ხელი არ შეეშალა, მთელი დღის მუშაობით დაღლილი, ისევ ეზოში გამოიჩენდა ხოლმე რაიმე საქმეს: შეშას ჭრიდა, მორყეულ ღობეს ამაგრებდა, ან ბოსტანში ტრიალებდა და ქვა-ღორღს ყრიდა ეზოს გარეთ. თან ამ დროს სერიოზულად ფიქრობდა სადღაც ვიღაცის მიერ ნათქვამ სიტყვებზე: „ეს ქვა-ღორღიც ხომ არა ნაშენობს, ყოველ წელსა ვღორღავ და ვერ გამოვლე მაინცო“. ნაშენობს ალბათო, ფიქრობდა იოსები და ქვებს კი არ იღებდა, თითქოს აჰყავდა ცოცხალი არსებებივით, ემანდ არაფერი ეატკინო და ღმერთი არ გავარისხოო.

6.

უყვარდა ხორეშანს იოსები. იოსების გრძნობებში გარკვევა კი ძნელი იყო: ირგვლივ ყველას და ყველაფერს, ნაცნობს თუ უცნობს, დიდს თუ პატარას, სულიერსაც და უსულოსაც ... ვთქვათ, საკუთარ ცოლ-შვილსაც, ერთნაირი რიდით ეპყრობოდა. ღიმილიც წყნარი, მოკრძალებული იცოდა. საუბარი... საუბარი საერთოდ არ იცოდა მგონი. სხვის ლაპარაკს უხმოდ უსმენდა და ამ დროს მისი გამოხედვა, დგომისა თუ ჯდომის მანერა, დიდ მოკრძალებას და პატივისცემას გამოხატავდა მოსაუბრის მიმართ. თავად იმისი საუბარი კი ორიოდე სიტყვით შემოიფარგლებოდა და ისიც, ის ორი სიტყვაც არასოდეს არ იყო რაიმე განყენებული. მისი უსიტყვობაც არ ჰგავდა ქუშს, მედიდური კაცის უსიტყვობას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ნიშნავს: „რა გალაპარაკებთ? მე ეგ დიდი ხანია ვიცი.“ იოსების დუმილი, ეს იყო კრძალვა ყოველივე იმის მიმართ, რაც მან არ იცოდა. ცოდნით კი, როგორც თვითონ ფიქრობდა, არაფერი არ იცოდა, გარდა იმისა, რომ ცოცხალ კაცს უნდა ეშრომა, უნდა გაეზარდა შვილები და მათთვისაც ესწავლებინა შრომა, რომ მერე, როცა თვითონ აღარ იქნებოდა, ულუკმაპურად არ დარჩენილიყვნენ.

და შრომობდა იოსები, შრომობდა ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა. შრომობდა ბეჯითად, მაგრამ არა იმგვარი გაშმაგებით და იმგვარი სიცხარით, როგორც მისი მეზობლების უმეტესობა. ის რიდი და მოკრძალება, რაც ოსებს ყოველივე აქეკეფნიერისადმი გააჩნდა, იმის მუშაობაშიც იგრძნობოდა. იგი თითქოს ვალს იხდიდა საკუთარი სიცოცხლის წინაშე, საკუთარი არსებობის წინაშე და ეშინოდა, რაიმე ისეთი არ გაეკეთებინა, რისი გაკეთებაც არ შეიძლებოდა აქ, ამ მისთვის უცნობ სამყაროში. მხოლოდ გვიან ღამით, ბავშვები რომ დაიძინებდნენ, ფრთხილად წამოჯდებოდა იოსები თავის ტახტზე, ერთხანს ასე იჯდა გაუბედავად, მერე ყოყმანით ადგებოდა და რამოდენიმე ნაბიჯს გადადგამდა სიბნელეში ოთახის მეორე ბოლოსკენ, ხორეშანის საწოლისაკენ; ისევ გაჩერდებოდა და... ხორეშანს ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდა ტახტის შორიახლოს გაუბედავად გაჩერებული იოსების სუნთქვა, მკერდი და თეძოსთავები ეწვოდა სურვილით, ის კი, დიდი ბავშვი, ბავშვივით მწვანედ მოსაფერები, იდგა ისევ და ყოყმანობდა! ხორეშანი, სოფლელი ქალის მოკრძალება რომ არა, ალბათ წამოხტებოდა საწოლიდან და ათრთოლებული ჩაეხვეოდა იოსებს, დაეკოცნიდა ჩხუნია სახეს, ცხელ ყელს, მსხვილ მკლავებს, ხარბად შეისრუტავდა მისი სხეულის სურნელს... ხორეშანის თვალებში უკვე ცრემლი მოენთავდა, როცა იოსები ჩუმად, თითქმის მხოლოდ თავის გასაგონად იკითხავდა:

— გძინავს, ხორეშანო?

ხორეშანი ცრემლს ჩაყლაპავდა, ღრმად ჩაისუნთქავდა, წამით იყუჩებდა, რომ ხმა და ქვითინი დაეცალეკვა და:

— მოდი, იოსებო, მოდი, — თავის ისე თუ ასე მშვიდ ხმას რომ გააგონებდა, შეგუბებული ქვითინით დაღლილ ჰაერს მალულად ამოაპარებდა მკერდიდან.

8.

იოსების სიკვდილის დღე ახლოვდებოდა. იცოდა ეს ხორეშანმა. გრძნობდა, ხედავდა ხორეშანი ამას, როგორც გრძნობენ და ხედავენ ადამიანები მოსალოდნელ წვიმას ან მოახლოებულ ზამთარს. ხორეშანმა იცოდა, რომ არ არსებობს მოულოდნელი სიკვდილი, ისევე როგორც არ არსებობს მოულოდნელი ფოთოლცვენა, როგორც მოულოდნელი არაფერი არ არსებობს. მოულოდნელი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იქნებოდა ალბათ, მაგრამ ეს ხმამ არასოდეს არ მომხდარა. სანამ იქუხებს, ჯერ ხომ გრილი ნიავი დაუბერავს საიდანღაც და წამოშლის ღრუბლებს, მერე ცა მთლად დაიფარება ამ ღრუბლებით, ჰაერი ჩაიხუთება... ყველაფერი ჭეჭა-ქუხილს მოასწავებს. უყურებ, იცი, რომ იქუხებს, იცი, რომ სეტყვა წამოუშენს... ელი, ელი და გული გეწურება. და მაინც მოულოდნელად იქუხებს ხოლმე, მაინც მოულოდნელად წამოუშენს სეტყვა.

ღამე არ ეძინა ხორეშანს.

იოსები კი, ირგვლივ მოკრძალებით და გოცებით მზერილი იოსები, ჩვეულებრივად განაგრძობდა მუშაობას: მკოდა, თიბავდა. საზამთროდ ამზადებდა ოჯახს. ხორეშანმა კი იცოდა, რომ იგი... ნეტავი არ სცოდნოდა, ნეტავი იოსებივით გაოცებულს ეყურა ყველასთვის და ყველაფრისთვის, არ შესძლებოდა ყოველივე იმის ხილვა და გრძნობა, რასაც ხედავდა და გრძნობდა, მაშინ ხომ იმ ბოლო დღეებს მაინც ბედნიერად გაატარებდა იოსებთან.

მთელი დღის მანძილზე საკუთარი არსებობით დამფრთხალი იოსები, ღამით, ბავშვები რომ დაიძინებდნენ, კვლავ მოკრძალებით უახლოვდებოდა ხორეშანის საწოლს.

— გძინავს, ხორეშანო?

— მოდი, იოსებო, მოდი, — და ხორეშანი ქვითინს ძლივს იკავებდა.

9.

დიდხანს გრძელდებოდა ორი სასოწარკვეთილი ადამიანის მწვავე ალერსი. გარეგნულად მშვიდი და სოფლურად მორიდებულ-შეზღუდული, შინაგანად კი მძაფრი და ისეთი სურვილით ანთებული, რომ ერთურთის ყოველ მოძრაობას, ყოველ უმნიშვნელო შეხებას მხურვალე ამბორად აღიქვამდენ. მთელი დღის განმავლობაში დამფრთხალ-დაძაბული იოსები, თითქოს ხორეშანში, ხორეშანის ალერსში ცდილობდა დამალვას, იმის ქალობაში თავშეფარებას. მას ხომ, იოსების აზრით, შეეძლო დაეფარა იგი მოსალოდნელი ხიფათისაგან, ყოველდღე რომ ელოდა იოსებს ამ უცნობ, ათასგვარი იდუმალებით სავსე სამყაროში, იოსებისთვის უცნობი კანონები რომ განაგებდნენ. ხიფათისაგან, ყოველ ნაბიჯზე რომ ელოდა იოსებს, ყოველი მომავალი წუთის მიღმა, მეზობლების ყოველ გაღიმებაში და ყოველ მათ მიერ ნათქვამ სიტ-

ყვაშიც რომ იმალებოდა. და იგი ხორეშანს აფარებდა თავს. მისი ალერსიც ხორეშანთან სისხლ-ხორცით შერწყმის, მასთან გაერთისულ-ხორცების, მის ყოველისმხილობაბში თავის შეფარების სასოწარკვეთილი ცდა იყო...

ხორეშანი საკუთარ ნათელმხილავობას გაურბოდა იოსებისკენ, იოსებში. ხორეშანს, მოვლენების მიღმა მათი ნამდვილი არსის უნებურ წამკითხველს, ადამიანთა სიტყვისა და საქმის მიღმა, მათ მიერ საგულდაგულოდ დაფარული ნამდვილი ფიქრისა და ზრახვისთვის უნებურად თვალ-ყურის მდევნებელს, უკვე გარდასულისა და ჯერ არ მომხდარი ამბების აწმყოში ცხადად მხილველს, მაგრამ მაოში რაიმეს შეცვლის ვერშემძლებელს, იოსების სიახლოვეს ყოფნა ანიჭებდა მცირე სიმშვიდეს. იოსები მას ძალას და ნუგეშს აძლევდა, როგორც ხიფათის და გაჭირვების დროს უსუსური ჩვილი აძლევს დედას ძალასა და ნუგეშს. და მძაფრი იყო ამ ორგვარი ადამიანური უკიდურესობით დამფრთხალ-დატანჯული ქალის და მამაკაცის ალერსი. მათთა განუზომელი შიში სიცოცხლის წინაშე, ლამის ტკივილში გადაზრდილი შიში, ვნებად იქცეოდა ხოლმე, მწვავე, ასევე დიდ და ტკივილიან ვნებად. შვება არც ის იყო, რა თქმა უნდა, ისიც ტკივილი იყო, მაგრამ სხვა ტკივილი და, შვებაც იმდენად, რამდენადაც შეიძლება შვება იყოს ერთი ტკივილი, სხვა ტკივილით დავიწყებული.

10.

ვერა, ვერ ახერხებდნენ გაერთისულ-ხორცებას იოსები და ხორეშანი. მათი შიში, უზარმაზარ ვნებად ქცეული, ალერსის შემდეგ ილეოდა, პატარავდებოდა და ისევ შიშად იქცეოდა ხოლმე, დროებით პატარა შიშად, რომელიც ხვალ, დღის სინათლეზე, სამყაროს პირისპირ ცალცალკე მდგომებს ისევ გაეზრდებოდათ, ისევ აუტანლად შეაწუხებდათ. ჯერ კი ის შიში პატარა იყო, რადგან ისინი ჯერ ერთად იყვნენ, ერთად თუ არა, ერთმანეთის სიახლოვეს ერთმანეთ-გვერდიგვერდ ეძინათ, გრძნობდნენ ერთმანეთს. ეს ამშვიდებდა მათ და იმათს სულ-გულში ჩაპუდებულ შიშს გაზრდის საშუალებას არ აძლევდა.

11.

— დედა!

შვიდი წლის ლევანი დილაადრიან ამდგარა, დედის საწოლთან მისულა და სოხანეზე ფეხშიშველი, საცვლის ამარა დგას. დროდადრო, არ გაეგება შარდი რომ აწუხებს იმიტომ, თუ თბილ ფეხისგულებზე არ სიამოვნებს ცივი, ნესტანი მიწის შეხება, ფეხის წვერებზე მოუთმენლად დგება:

— მეფსია, დედიი!

ჯერ გარეთაც ბნელა. სახლში კი, ვიწროსარკმლიან სახლში უფრო ბნელა, რა თქმა უნდა, და ნამძინარევი ლევანი, თვალები ჯერაც კარგად რომ ვერ გაუხელია, ვერ ხედავს, რომ დედამისის საწოლში მარტო დედა არა წევს — დაღლილ იოსებსაც იქვე სძინავს. ხორეშანმა საწოლის იქითა მხრიდან წამოიხედა:

— ჰა... — და ლევანი რომ გაარჩია ბინდ-ბუნდში, მალევე მოვიდა აზრზე: — ეხლავე, შვილო, ეხლავე! — თან მძინარე მეუღლის დაფარვა სცადა სანმით. ლევანმა ახლოა დაინახა მძინარე მამამისი და იმის სახეზე მოუთმენლობა გაოცებამ შეცვალა. მამის საწოლისკენ გაიხედა — ცარიელი იყო. პირი დაიღო, უნდოდა დედისთვის ეკითხა, მამას შენს ტახტზე რატომ სძინავსო, მაგრამ ამ დროს ქვემოთ ისევი წვა იგრძნო, რომ მომუშტული ხელები თეძოებს შორის მიიკრა და ერთ ადგილას მოჰყვა ხტუნვას:

— ჩქარა, დედი, ჩქარაა!

— ეხლავე, შვილო, ეხლავე! — პერანგის ამარა ხორეშანმა მძინარ მეუღლეს ზემოდან გადმოამაჯა, ლევანი ხელში აიყვანა და ასევე ფეხშიშველმა გამოიყვანა გარეთ. შვილისა და მეუღლის ხმაზე იოსებსაც გამოეღვიძა, იფი-

ქრა, ავდგები, ბავშვებმა დილით ამ საწოლში არ დამინახონ, დიდები არიან უკვე, სირცხვილიაო, მაგრამ ძილს თავი ვერ დაალწია და ისევ ჩაძინა.

ასე დაიწყო იოსების უკანასკნელი დღე ამ სამზეოში.

12.

სამზეოში კი მზის ამოსვლამდე ჯერ კიდევ ადრე იყო. პატარა ლევანს ასე ადრე ჯერ არასოდეს გაღვიძებია — პირველად უყურებდა დღე-ღამის გაყრას. თან შარდავდა.

ხორეშანმა, მეუღლის შეჩვეულ მკლავებს და თბილ საწოლს მოშორებულმა, ღილის სიგრილესთან ერთად ისევ იგრძნო მთელი გარემომცველი სამყაო, იგრძნო მთელი სიდიადით და სიმკაცრით, მისი წარსულითა და მომავლით, დაფარულითა და ხილულით. და ისე მძაფრი, ისე ხელშესახები იყო ამ დროს რაღაც შორეულის და ამავე დროს ახლობელის, ყოვლისმომცველი ძალის შეგრძნება, რომ ხორეშანმა საკუთარი სხეულის შეგრძნება დაკარგა, გაითქვიფა სამყაოს უსასრულობაში. ცა და მყარი მის შიგნით მოექცა და თანაბარი ადგილი ეკავა მასში ნამიან ბალახსაც და ღვიძლ შვილსაც. ფერდაკარგულ ვარსკვლავსაც და სახლსაც, სადაც იმის ქმარ-შვილს ეძინა... ყველაფერი ეს მისგან ერთგვაროვად შორს იყო და ახლოს. ყველა საგანში იყო ის და ყველაფერი ერთად მასში იყო. და ყველაფერი ტოლფარდი იყო ერთმანეთისა: მზე, რომელიც ჯერ არ ჩანდა, ტოლი იყო ფოთლებში აკივკივებული ჩიტის, ის ჩიტი — მოშრიალე ხის, ხე — თავისი ერთი ფოთლის, ფოთოლი — ბავშვის...

ბავშვი, ლევანი, თავის საქმეს განაგრძობდა კედელთან მიმდგარი.

და უცვე იოსებიც იგრძნო საკუთარ სხეულს მოშორებულმა ხორეშანმა, ისიც ყველგან მყოფი და ყოვლის მხილველი. აქ ისინი ერთნი იყვნენ, აღარ არსებობდა „მე“ — ხორეშანი და „ის“ — იოსები, იყო რაღაც ერთი. ორივეს რომ მოიცავდა და ის ერთი მოიცავდა ყოველივეს... მიხვდა ხორეშანი, — იოსებისათვის უკანასკნელი დღე თენდებოდა.

13.

— დედი, რატომ წევს მამა შენ ტახტზე? — მიუბრუნდა პატარა ლევანი დედას, საქმეს რომ მორჩა.

— რა? — გვიან გამოერკვა ხორეშანი.

— მამა რატომ წევს შენ ტახტზე?

მართლაც, რატომ იწვა იოსები ხორეშანის ტახტზე, თუ ხორეშანი იოსების ტახტზე? ხორეშანს ბაბალე გაახსენდა, დაბალი, შაოსანი ქალი, სუფთად ჩაცმული და ტკბილადმოუბარი, როგორც ყველა მაჯანკალი. მისი ზრიალა ხმა — „ბაბალე გენაცვალოს“-ო ისე ცხადად გაიგონა, რომ მიმოიხედა. ლევანი პასუხის მოლოდინში იდგა და ასოს ათამაშებდა ხელში.

— აიწი ნიფხავი! — დატუქსა დედამ. ლევანმა ნიფხავი საჩქაროდ აიწია და ისევ დედას შეხედა:

— რატომ წევს მამა შენს საწოლზე, ვა!

ხორეშანმა იცოდა, რომ იოსები და ხორეშანი ერთ ტახტზე უნდა წოლილიყვნენ. ამას მაშინვე მიხვდა, როცა ბაბალე პირველად დაინახა და მისი ზრიალა, ბედისწერული ხმა გაიგონა, მაგრამ რატომ? ეს არც ხორეშანმა არ იცოდა.

— არ ვიცი, შვილო... — თქვა. მერე უცებ მიხვდა, რომ შვილს კი არა, თავს უპასუხა, რადგან ლევანი სულ სხვა რამეს ეკითხებოდა და დაუმატა.

— ეგრეა წესი, დედა და მამა ხანდახან ერთად უნდა იწვნენ... რო გაიზრდები, გაიგებ.

ოგარ თურგანაული
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარზე დაკაკუნეს.

კარისკენ ზურგშექცევით, მაგიდასთან მჯდარმა კაცმა წიგნიდან თავი აიღო და ჯერ საათს (ღამის ორი საათი იყო), მერე წინ, კედელს მიაჩერდა უაზროდ. მაგიდის ზედაპირიდან ასხლეტილი ნათურის შუქი ოდნავ ანათებდა კედელს და კედელზე — ყვითელი თუნუქის ჩარჩოში ჩასმულ ნახატს — ქალიშვილის პორტრეტს. შავპერანგიანი კაცი (კაცს შავი პერანგი ეცვა) ამ სურათისკენ იყურებოდა, მაგრამ სურათს ვერც ამჩნევდა, სადღაც შორს, სურათის მიღმა მისჩერებოდა უხილავ წერტილს. ალბათ ცდილობდა გამოეცნო, ამ დროს, ღამის ორ საათზე, ვინ შეიძლებოდა სწვეოდა.

ქალიშვილის პორტრეტი, რომლის მიღმაც შავპერანგიანი იყურებოდა, მუქი, უსიხარულო ფერებით, ასევისავე მუქ ფონზე იყო შესრულებული, სუსტ შუქზე ძნელი გასარჩევი იყო სად მთავრდებოდა ფონი და სად იწყებოდა ქალიშვილის სახე. ეს სახე თითქოს წყვდიადში ნდებოდა, იძირებოდა, ითქვიფებოდა მიწისფერ სიბნელეში. მხატვარს ბოლო წამს მიესწრო თითქოს მისთვის და ტილოზე გადმოეტანა სახის მოწყენილი ნაკვთები, წყვდიადისფერ ფონზე მხოლოდ ცისფერი თვალები მოჩანდნენ გარკვევით; არაბუნებრივად ცისფერი თვალები და ბინდგადაკრული თეთრი გუგები. სადღაც, თვალებისგან განცალკევებით, სატირლად გამზადებული ქალიშვილის გაურკვეველი, სახის ხაზიც ილანდებოდა, თუმცა თვალები, ცხოველური სევდით სავსე თვალები, მნახველს აჯერებდა, რომ ქალიშვილი ტირილს ვეღარ შესძლებდა, მათ უკვე გადაელახათ ადამიანური გრძნობების, სიხარულის თუ მწუხარების საზღვარი და განურჩევლობის წყვდიადიდან იყურებოდნენ.

კაკუნი განმეორდა. კაცს სახეზე ოდნავშესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა და გაქრა. ჩანს მიხვდა, ვინც ეწვია და კარისკენ თავი არ მიუბრუნებია, ისე გასძახა:

— შემოდი, ღიაა! თან ამ დროს, ალბათ თავისივე ხმამ გამოაფხიზლა — მისმა მზერამ უსასრულოებიდან უფრო ახლოს, ოთახში გადმოინაცვლა და ახლაღა გაარჩია სურათი. ქალიშვილის სახე ყოველთვის მისი მოფერების, ნუგეშისცემის, ალერსის სურვილს უჩენდა, მაგრამ არა ისეთი ალერსისას, როგორითაც ადამიანი ადამიანს, ან კაცი ქალს ეფერება. შეუძლებელი იყო ქალიშვილს, როგორც ქალს, ისე მოფერებოდი; შეიძლებოდა მხოლოდ ისე, როგორც ბავშვები ბოჩოლას ეფერებიან და უკოცნიან თვალებს...

კარმა გაიჭრიალა და შემოსასვლელში მაძაკაცის თვითდაჯერებული, მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. შავპერანგიანი არც ახლა შებრუნებულა იქით. წიგნი დახურა და სტუმრის გამოჩენის მოლოდინში ისევ ქალიშვილის პორტრეტს შეაჩერდა.

შემოსული კარებში გაჩერდა, მარცხენა ხელით კედლის კუთხეს მიეყრდნო, თვითონაც მარცხნივ წაიხარა, მძიმედ, ხმაურით ამოისუნთქა და არეული მზერა ოთახის ჩანელებულ კუნჭულებს მოავლო. დამხვდურმა ახლაღა მიაბრუნა მისკენ თავი.

— მოდი, დაჯექი... როგორა ხარ, რასა იქმ... — და იქვე, მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოაჩინა ხრიგინით — მოდი, დაჯექი, — გაიმეორა და შემოსულისკენ კი არა, მისთვის დასაჯდომად გამზადებული სკამისკენ შებრუნდა. შემოსული ადგილიდან არ დაძრულა, ისევ ისე, კედელზე მიყრდნობილმა ფეხი-ფეხზე გადაიდო და კიდევ ერთხელ მოავლო ამღვრეული მზერა ჩანელე-

ბულ ოთახს. ერთგვარი გაბოროტებაც იგრძნობოდა ამ გამოხედვაში; თითქოს ოთახის ბნელ კუნჭულებში შემალულ მტრებს ეძებსო.

— გავიდეთ! — ოთახის რომელიღაც ბნელ კუთხეს მიმართა ბოლოს შემოსულმა ბრაზნარევი ხმით და მხოლოდ ამის შემდეგ შეხედა მაგიდასთან მჯდომს. ამ უკანასკნელის სახეზე ისევ გაირბინა ძლივსშესამჩნევმა ღიმილმა.

— მოდი, დაჯექი... მითხარი, რაშია საქმე.

— კარგი ამბავია, გავიდეთ! — და შემოსულმა ისევ ოთახის ბნელ კუთხეს მიაბჯინა ამღვრეული თვალები.

ერთხანს ორივე დუმდა. შემოსული ოთახის ბნელ კუნჭულებს ათვალიერებდა, შავპერანგიანი — შემოსულს. შემდეგ მასპინძელი ისევ მაგიდისკენ შებრუნდა და მისი გამხდარი ხელი მაგიდის განათებულ სცენაზე შეცურდა. ხელს შუა და ცერა თითებს შორის ნახევრადმოწეული, მბოლავი სიგარეტი ეკავა და წოგნებს შორის ჩადგმული საფერფლისაკენ მიიწევდა. საჩვენებელმა თითმა სიგარეტი საფერფლეში ჩაბერტყა და გამხდარი ხელი ისევ უკან გამოცურდა. მამაკაცმა კიდევ ერთხელ ღრმად მოქაჩა სიგარეტი და ადგა. სკამმა გაიხრიგინა. მისი ხელი ისევ შეცურდა მაგიდის განათებულ სცენაზე და სიგარეტი ნამწვებით სავსე საფერფლეში ჩაასრისა. რამოდენიმე ნამწვი და ფერფლი მაგიდაზე გადმოიბნა...

— გავიდეთ! — თქვა შავპერანგიანმაც და მისი საჩვენებელი თითი მაგიდის ნათურის ღილაკს დააწვა. სიბნელეში ნაბიჯების ხმა გაისმა.

ქეჩაში ტაქსი ელოდათ. ტაქსში — ორი ქალი. უფროსი — 36-37 წლის, შავგვრემანი, და უმცროსი, მისი ქალიშვილი — 17-19 წლისა. შვილი დედას არაფრით არ ჰგავდა, მოგრძო, თეთრი სახე და... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

ნასვამი მამაკაცი წინ, მძღოლის გვერდით მოთავსდა; მეორე, შავპერანგიანი, — ქალებმა ჩაიჩოჩეს და იმათ გვერდზე — უკან. უმცროსმა ქალმა [illegible] დიდი თვალები შეანათა, ერთხანს [illegible] რა და მერე (ჩანს) მოეწონა) გაუღიმა.

ნაწვიმარზე სველ ასფალტს საბურავებქვეშ შიშინი გაჰქონდა. შავპერანგიანი ტაქსის ღია ფანჯრიდან გაზაფხულის სუნთქვას, მარცხენა მხარეს კი ახალგაზრდა ქალის სხეულის სითბოს გრძნობდა. ქუჩები უკაცრიელი იყო. მხოლოდ ტაქსის მოტორის ხმაური და საბურავების შიშინი ისმოდა სველ ასფალტზე.

„ცარიელი ქუჩები როგორღაც უფრო ფართო ჩანს. თან უფრო მშობლიურნი არიან; ალბათ მარტო ჩვენ რომ გვეკუთვნიან ამ დროს, იმიტომ“ — გაიფიქრა შავპერანგიანმა და მანაც გაუღიმა ქალიშვილს.

ქეჩის გაყოლებაზე მოციმციმე ნათურები და ფერადი შუქ-რეკლამები სველი ასფალტის ზედაპირზე ირეკლებოდა. შავპერანგიანს საზეიმო განწყობა დაეუფლა. „კაცმა რომ თქვას, ზეიმია მთელი ცხოვრება, შეჩვეული, ჩვეულებად და ჩვეულებრივობად ქცეული ზეიმი. მხოლოდ ხანდახან, წამიერად ვგრძნობთ მთელი სისრულით ამ ბედნიერებას. ამ სასწაულს, სიცოცხლე რომ ჰქვია... საიდან შევხვდი ამ ქალიშვილს, რა ძალამ, რა განგებამ შეგვახვედრა ერთმანეთს... თხუთმეტი წუთის წინ ჩვენ არ ვიცნობდით ერთურთს, არ ვარსებობდით ერთმანეთისთვის, ახლა კი ასე რეალურია იგი...“ და შავპერანგიანმა ხელი შეახო ქალიშვილის მხარს. ქალიშვილმა ისევ შემოანათა დიდი თვალები; არც მისი ხელის შეხება იუცხოვა. ამისთვის იყო იგი აქ, ამ მანქანაში, იცოდა. თუმცა ამ კაცის ქცევა როგორღაც არ გავდა ვნებიანი კაცის თავშეუკავებლობას. ეს ეუცნაურა და დაიბნა, დედამისს შეხედა; იგი რაღაცას გაცხარებით ყვებოდა ჩახრინწული ხმით; ვერ ხედავდა, ან უფრო არ ხედავდა არაფერს. საუბრისას ისევ სიტყვებს და ისე თამამად ხმარობდა, რომ ტაქსის მძღო-

ლმაც რამოდენიმეჯერ უკან მოაბრუნა თავი...

— წინ იყურე! — ჩაიღრინა წინ მჯდომმა მამაკაცმა, როცა მძღოლმა ერთ-ერთი ასეთი უკან მოხედვის დროს, ლამის ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე შეაგდო მანქანა. მძღოლმა საკე გაასწორა და უკვე თავისმიუბრუნებლად, თვალის კუთხიდან გახედა მარჯვნივ მჯდომს. „სასწაულია ცხოვრება — შავპერანგიანმა ხელი ქალიშვილის მკლავს ჩამოაყოლა — ასი წლის შემდეგ ეს ლამაზი სხეული, ამის ძარღვებში მფეთქავი სისხლი, გული, გონი ყველაფერი ის, რასაც ახლა... რა ქვია ნეტავ?..“ — უნდოდა ქალიშვილისთვის სახელი ეკითხა, მაგრამ ხმის ამოღებისა შეეშინდა. წინასწარ იცოდა, რომ მისი ხმა სიყვარულით, სიობოთი, თანაგრძნობით აღერდებოდა და ამისი მოერიდა. სიცხვილი იყო წინმჯდომი მამაკაცის თანდასწრებით ამნაირი ქალისთვის ამგვარი ხმით მიმართვა. ტაქსი გზაჯვარედინზე გავიდა, სადაც ავტოინსპექციის ლეჯაზოლიანი ეიგული იდგა. „უხ ამათი... — შეიკურთხა მძღოლმა, — ღამითაც არ სძინავთ“. ცდებოდა. ორივე ინსპექტორს ეძინა ეიგულში. ტაქსის ხმაზე ერთ-ერთმა თავი აიღო და ნამძინარევი თვალები უინტერესოდ გააყოლა. მძღოლს ინსპექტორების ლანძღვა იმაზეც ჰქონდა გათვლილი, რომ მის გვერდზე მჯდომი, გაბრაზებული მამაკაცი საუბარში გამოეწვია, მაგრამ ეს არ მოხდა; იგი ისევ ჩუმად იჯდა და ამღვრეული, ბოლმიანი კაცის გამოხედვით გაჰყურებდა ქუჩას. მძღოლს ლაპარაკის სურვილი დაეკარგა, დასერიოზულდა...

„სასწაულია ცხოვრება, — ისევ დაუბრუნდა შავპერანგიანი თავის ფიქრს — აი, ხომ თითქოს არაფერია, ხომ, რა არის აქ გასაოცარი ვითომ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, შეჩვეული კაცის თვალით... — მისი ხელი ქალიშვილის მკლავს ჩამოუყვა და თეძოზე შეჩერდა. ქალიშვილმა კითხვის თვალით შეხედა მამაკაცს; მამაკაცი მას არც უყურებდა და, როგორც მისი ხელის უგრძნობლობიდან ჩანდა, არც ფიქრობდა მასზე. პირველი შემთხვევა იყო ამ ქალიშვილს არც თუ დიდი ხნის სასიყვარულო პრაქტიკაში და არ იცოდა, რა ექნა; ბოლოს კეკლუცობის, მიუკარებლობის თამაში გადაწყვიტა — ნაკადი ხერხი იყო ეს, მამაკაცების კიდევ უფრო გასაღიზიანებლად. მან, ისე, რომ მამაკაცისთვის დიდი თვალები არ მოუშორებია, თხელ კაბაში გამოკვეთილი ლამაზი თეძო გვერდზე გასწია, მამაკაცის ხელი დაბლა, მანქანის სავარძლზე ჩამოცურდა და ისევე გაჩერდა; თითქოს არც გაუგია მას ქალის ეს მოძრაობა, სადღაც შორს, უხილავ წერტილს მისჩერებოდა ისევ.

— ეხლა საით? — იკითხა მძღოლმა და გზაგასაყართან მანქანის სვლა შეანელა.

— მარცხნივ, მაღლა! — მოკლედ, თითქოს მუქარით მოსჭრა წინ მჯდომმა მამაკაცმა. მძღოლმა მოხვევის მაჩვენებელი ფარი ჩართო და მოუხვია, ვიწრო ქუჩას აუყვა ზევით. წვიმამ ისევ დაუშვა

— ისევ დაიწყო წვიმა, — თქვა ქალიშვილმა წყნარი ხმით. მოწყენილობა ეღერდა ხმაში. დედამისმა, გაუჩერებლად რომ ქაქანებდა ჩახრინწული ხმით, და თვითონვე იცინოდა დრო და დრო, უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, გვერდზე გაიხედა. შავპერანგიანი სიჩუმემ გამოარკვია ფიქრიდან და დედაშვილს გადახედა. ქალიშვილს ლამაზი, თეთრი ხელები მუხლებზე ელაგა, თითებს ათამაშებდა და თან თავჩაღუნული დაჰყურებდა თავის ხელებს.

„მოიწყინა — გაიფიქრა შავპერანგიანმა და რაღაც იმედივით გაკრთა იმის გულში, — ჩანს კიდევ რაღაც არის ადამიანური მასში“. და ხასიათი გამოუკეთდა ხუმრობაც კი მოუნდა.

— საიდანღაც მეცნობით, — მიმართა ღიმილით დედა-შვილს.

— შეიძლება! — უხეში, ეღრიალა ხმით უპასუხა ქალიშვილის დედამ, მერე უცებ გადაიხარხარა, სანამ იტყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და — ჩვენი ხელობის ქალებს ბევრი იცნობს და ჩვენც ბევრს ვიცნობთო — და ისევ გადაიხარხარა.

„მთვრალია, — გაიფიქრა უკან მჯდომმა მამაკაცმა, — სხვაგვარად არც ერთი ქალი ამას არ იტყოდა, გალეფილი მთვრალია, ფუჭ... საიდან გამოჩიჩქნის ხოლმე ამნაირებს“. და წინმჯდომ მამაკაცს შეხედა. ისევ გაუფუქდა ხასიათი; ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა, გაეჩერებინა ტაქსი და უკან წასულიყო. მერე თავს სძლია და ზიზღის გრძნობა რომ ჩაეკლა, ისევ ხუმრობა გადაწყვიტა, თან ხელი ისევ შეახო მხარზე ქალიშვილს.

— ძალიან გავხართ ერთმანეთს, ნათესავები ხომ არა ხართ? — იკითხა, თუმცა სულაც არ გავდნენ და, ისიც უკვე იცოდა, რომ დედა-შვილი იყვნენ.

— დეიდაშვილები ვართ! — თქვა დედამ და გაიცინა.

— უფროსი რომელი ხართ? — მთლად გადაამლაშა შავპერანგიანმა. წინ მჯდომმა მამაკაცმაც კი მოიხედა და ჩაქანდული კბილები გამოაჩინა. ღიმილს — მისი სულისთვის ამ უჩვეულო მდგომარეობას — მთლად აემღვრია მისთვის თვალები; შიგ ჩაბუდებული ბოროტება ღიმილს ებრძოდა...

— თითქმის ტოლები ვართ...

— არა, მე ვარ ცხრა თვით უფროსი, — და ქალიშვილიც სიცილით ჩაბჟირდა.

„ცხრა თვე...“ ამ სიტყვებმა შავპერანგიანი ისევ ფილოსოფოსობის გუნებაზე დააყენა, მაგრამ ქალები, თავისუფლად რომ იგრძნეს თავი, აღარ ეშვებოდნენ, განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ, რაღაცას ეკითხებოდნენ და თავის ნათქვამზე თვითონვე იცინოდნენ.

— ეხლა საით? — ისევ იკითხა შეკავებული ბრაზით მძღოლმა და ამინდს შეუკურთხა.

— მარჯვნივ და მაღლა! — ისევ მუქარის ხმით უპასუხა წინ მჯდომმა. მძღოლი პროფესიული აღლოთი მიხვდა, ფრთხილად უნდა ყოფილიყო და საბრალოდ მოჰყვა წუწუნს. შავპერანგიანს ზიზღისა და საბრალულის გრძნობა მოეძალა ისევ. ვეღარც გაზაფხულის გრძნობდა და ვეღარც ქალიშვილის სხეულს. ქალიშვილი კი, სიცილის რეზონანს მასში ისეთ დონემდე აეწია, დრო და დრო მუხლებზე უვარდებოდა შავპერანგიანს.

მანქანამ აღმართზე გზა გააგრძელა. შავპერანგიანმა სულელური მდგომარეობიდან ერთხელ კიდევ სცადა თავის დაღწევა:

— რა დროა? — იკითხა.

— შუადღე კარგა ხნის გადასულია! — ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა დედამ და შეკავებული სიცილისგან ისევ აუცახცახდა სხეული.

— გაზაფხულია, — დედას მხარი აუბა ქალიშვილმა და სიცილისგან აცახცახებულმა, მანქანის მორიგი მოხვევის დროს შავპერანგიანს მუხლებზე დაუდო თავი. ირგვლივ ყველაფერი გულისამრევი და საზიზღარი გახდა. მანქანამ ისევ მარცხნივ მოუხვია და გაივაკა ვიწრო ქუჩაზე. ქალაქის რომელიღაც გარეუბანში იყვნენ. ქუჩის ხმოლოდ მანქანის ფარები ანათებდა. დრო და დრო სინათლის ზოლში ეზოებიდან ამოწვდილი გარგარისა თუ ქლიავის თეთრად მოყვავილე ხეებიც ექცეოდნენ. „ რას ყვავილობენ ეს საცოდავები; აღარ მოსწყინდათ ყოველთვის ერთი და იგივე? აყვავდებიან, დაისხამენ ლამაზ-ლამაზ სურნელოვან, ფერად ნაყოფებს და მერე... მერე ჩვენნაირი ბრიყვების ბრიყვულ გემოვნებას ატკბობენ. მერე ისევ ახლიდან... აღარ მოსწყინდათ? ჩვენი საშვილი მაინც არ არის, მაინც ბრიყვებად, სულელებად ვრჩებით... ერთხელ არ დავფიქრდებით, რა სასწაულია, რა ღვთის წყალობაა... უფრო და უფრო ვშტერდებით, დღითი-დღე ვსაცოდავდებით... ვქლიავდებით... ქლიავებს ჯვარი სწერია“. ფიქრს ისეთი პირი უჩანდა, შავპერანგიანი მანქანას გაჩერებდა და სახლში ფეხით წავიდოდა. ქალიშვილი ისევ მის მუხლებზე იყო თავით დამხობილი. გვერდზე გაწვა სცადა, ვერ მოახერხა, ვიწროდ იყვნენ. უნდო-

და თმებში წაეკარა ხელი, წამოეთრია და გვერდზე, მისი დედისკენ მიეგდო. შეეხო კიდევაც თმებზე, მაგრამ მერე ისევ შეიკავა თავი, ხელი თმებში შეუცურა. ხელს გაყოლებით ქალიშვილის სხეულიდან მასში უცნაურმა სითბომ გადაინაცვლა. „საცოდავი ბავშვი“, გაიფიქრა. ქალიშვილი აღარ იცინოდა, მძიმედ სუნთქავდა და დროდადრო თრთოდა. „საცოდავი“, ისევ გაიფიქრა შავპერანგიანმა. ქალიშვილს დუმილით გაკკირვებულმა დედამისმაც შეწყვიტა სიცილი და მთაკენ მოიხედა. მერე თავი იქით მიაბრუნა, ფანჯრისკენ და აქეთ აღარ გამოუხედავს. დუმილზე წინმჯდომმა მამაკაცმაც მოიხედა, ბოროტად ჩაიღიმა და მიბრუნდა. „საწყალი“ — არ სტოვებდა შავპერანგიანს სიბრალულის გრძნობა. ქალიშვილის სხეული ისევ აცახცახდა. „იცინის?!“ — შემოეყარა გულზე შავპერანგიანს. მაგრამ არა, ქალიშვილი ქვითინს იკავებდა და თრთოდა. ბოლოს აქვითინდა, ვეღარ შეიკავა თავი. მამაკაცის გამხდარმა ხელმა ქალიშვილის თმებიდან მის სახეზე გადაინაცვლა. ჯერ კიდევ ბავშვურად ნაზი კანი ჰქონდა, ბავშვის ტუჩები... ყვრმალები... კაცი დაიხარა და კეფასთან ნაზად შეეხო ტუჩებით, მერე წელზე მოხვია ხელი, წამოაყენა და მკერდზე მიიხუტა. ქალიშვილმა ქვითინს უკლო. დამშვიდდა. მხოლოდ დრო და დრო ამოისლუკუნებდა ხოლმე ცაცხახით.

— ცოტაც მოგეთმინათ, — კვლავ გამოაჩინა ყანგიანი ლოჯები წინმჯდომმა მამაკაცმა, — მალე მიეალთ.

— გააჩერე! — თქვა შავპერანგიანმა, — ჩვენ ჩავალთ.

— მოიცა, მოითმინე! კაცო, — შეშფოთდა და უცებ გამრავალსიტყვოვანდა წინმჯდომი, — რა მოუთმენელი შეგეყარა, რა არის! აგე, ოთხი სახლის იქით შევუხვევთ და მისული ვართ.

— გააჩერე! — მშვიდად გაიმეორა შავპერანგიანმა.

მძღოლმა აღარ იცოდა, რა ექნა. მანქანამ სელას უკლო. შავპერანგიანმა კარი გააღო და მძღოლი იძულებული იყო გაეჩერებინა.

— აბა შენა ხარ, რა! — ამოოიერხა წინმჯდომმა და იგრძნო რა, რომ სიტყვაძვირი კაცის როლიდან გამოვიდა, აღარ გაჩერებულა — ამ წვიმაში გარეთ გინდათ რომ... — და უწმაწური სიტყვა მიაყოლა. ქალიშვილიც ჩამოვიდა და მამაკაცის გამხდარმა ხელმა ტაქსის კარები მიაკეტა. წინმჯდომმა ისევ გადმოყო ფანჯრიდან თავი და რაღაცას უხსნიდა შავპერანგიანს: „აგერ, ოთხი სახლის იქით რომ შემოუხვევ... ოცდა... ნომერი... რკინის... აწერია... ჩამოხვალ... მწვანე...“ სიტყვები უგზოუკვლოდ იფანტებოდნენ წვიმიან ღამეში, ტაქსი წავიდა. ისინი გამობრუდნენ და უკანმოძავალ გზას დაადგნენ. ბნელოდა. უსიტყვოდ მოდიოდნენ. ნეონით განათებულ ქუჩას რომ მიაღწიეს, მამაკაცმა ქალიშვილს მკლავიდან ხელი გაუშვა; ოდნავ უკან დარჩა. უყურებდა ქალიშვილის აშოლტილ სხეულს, სველ თმებს, ახლად შეესებულ, სველ კაბაში გამოკეთილ ლამაზ თეძოებს და უცებ ის ადამიანი წარმოოდგა თვალწინ, მთვალნ რომ უნდა მობილიყო... „სად არის ახლა ის, ჯერ კიდევ სხეულშეუსხმელი სიხარული, იმისი მომავალი ცრემლი და ღიმილი, ის ფიქრი, ის სიტყვები, რაც მან უნდა იფიქროს და ილაპარაკოს. ივიც, ოვრამეტი, ოცი წლის შემდეგ ვიღაცას ასე რეალურად შეეხება, მოეფერება... სად არის ახლა ის მომავალი რეალურობა, ჩვენ-ნში?.. მაგრამ მაშინ ჩვენ ხომ შეგვიძლია უარი ვთქვათ მასზე, მისი არსებობა არარსებობად ვაქციოთ... ის კი უკვე არსებობს სადღაც, რეალურად არსებობს, თავის ნება-სურვილს გვკარნახობს. მან შეგვაზვედრა ღიღ ჩვენ, მან გვაიძულა ერთად დაგვეტოვა ტაქსი... იგი უკვე არსებობს იქ, მომავალში, რეალურად არსებობს და მას ისევე ეუწვევთ ანგარიშს, როგორც დღევანდელ სინამდვილეს, როგორც ერთმანეთის არსებობას... თუ არა და... მაშინ არც ჩვენ ვარსებობთ... მაშინ... მაშ ეს ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი მოჩვენება ყოფილა... “ მამაკაცი შედგა. ქალიშვილიც შეჩერდა და მისკენ მობრუნდა. იგი მიუახლოვდა ქალიშვილს და მხარზე მოხვია ხელი; მკერდზე მიიკრა; სველი კაბის შიგნიდან შემოეგზნო მისი სხეულის მხურვალება. ქალიშვილმა ოდნავ დაბლიდან ამოხედა, გაუღიმა, მერე ბავშვურად ნაზი ხელით გადაუწია შუბლზე ჩამოშლილი თმა, იღლიებს ქვემოთ მოხვია მკლავები, აიწია და ღიმილიანი ტუჩები ტუჩებზე შეახო. მამაკაცმაც სიყვარულით გაუღიმა.

— უჰ, რა ბედნიერებაა! — ამოისუნთქა ქალიშვილმა და თავი დახარა. მამაკაცი ზემოდან დაჰყურებდა ქალიშვილის თეთრ, სუსტ კისერს. ქალიშვილი ერთხანს ასევე იდგა ჩუმად. რამოდენიმეჯერ ფეხი მოინაცვლა მხოლოდ, რაღაცის თქმას აპირებდა. ბოლოს ასევე თავდახრილმა განაგრძო გაუბედავად — იცი... არაფერს არ გთხოვ, თუ გინდა სახელსაც ნუ მეტყვი... — დადუმდა ისევ. მერე ერთბაშად მოწყვიტა — შვილი მინდა მყავდეს შენგან!.. — და აიხედა, მამაკაცს შეხედა ისევ თვალებში პასუხისთვის. მამაკაცის თვალებში სიყვარულიანი ღიმილი ენთო...

— იცი... — ქალიშვილმა ისევ დახარა თავი, — უცოდველი არა ვარ, მაგრამ მსგავსი სურვილი არავისთან არა მქონია... ბავშვს ჩემს გვარზე დავწერ... მამის სახელსაც სხვას მოვიფიქრებ... ოღონდ, შენ უნდა იყო მამა.

შავგირანგიანის არაფერი უთქვამს, ცალი ხელი ჩამოუშვა ქალიშვილის მხრიდან და გზისკენ შებრუნდა. ისევ გაუდგნენ გზას. ზურგიდან ტაქსი წამოეწიათ. ჩასხდნენ.

— საით? — იკითხა მძღოლმა და მათკენ შემობრუნდა. მგზავრებსაც და მძღოლსაც გაეღიმათ, — ნაცნობი მძღოლი იყო, უკან ბრუნდებოდა. შავგირანგიანმა თავისი სახლის მისამართი უთხრა.

— გაიხადე კაბა და აქ მიაფიხე, — გათბობის მილს ხელი დაადო მამაკაცმა, — შენს ბედად კარგად გაუხურაბიათ... მე გავალ. სიგარეტს მოვწევ.

— მეც მოვწევ... ერთად მოვწოოთ...

მამაკაცმა შორეთს გაუღიმა:

„როგორ იცვლება ადამიანი. წლების წინ სიგარეტის მწეველი ქალი გარყვნილი ქალის სინონიმად მიმაჩნდა. გარყვნილობაც სულ სხვაგვარად მესმოდა... რას ვიფიქრებდი რომ ჩემი ცოლი ასეთი „გარყვნილი“ ქალი იქნებოდა... სულით ხორცამდე „გარყვნილი...“

ქალიშვილს უკვე მოესწრო სველი კაბის მიფენა გათბობის მილზე და საწოლზე პლიაჟის კოსტიუმში გამოკვარული იჯდა. მამაკაცი მას ღიმილით უყურებდა მაგიდასთან, სკამზე მჯდარი.

მაგიდის ნათურა სუსტად ანათებდა კედელს და კედელზე ყვითელი თუნუქის ჩარჩოიან ქალიშვილის პორტრეტს.

— ცოლი? — დაიბნა ქალიშვილი და სიგარეტისკენ წაღებული ხელი ჰაერში შეუტოკადა.

— ჰო... თუმცა... მართალი ხარ, მე არ მითქვამს... მეგონა თავისთავად იგულისხმებოდა... დარჩები ჩემთან თუ... — მამაკაცმა შეხედა. ქალიშვილი ლოგინში ჩაემხო პირქვე. ერთხანს ასე იყო ჩუმად. მამაკაცი თვალს არ აშორებდა მის ჯერ კიდევ ბავშვურ სხეულს. ბოლოს ქალიშვილი შეირხა და გვერდიდან გამოხედა. ღიმილით განათებულ სახეზე ცრემლის კვალი ემჩნეოდა... კაციც საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. მისი გამხდარი ხელი ისევ შეცურდა ქალიშვილის თმებში.

— რა გქვია?

— მარიამი.

მამაკაცის მეორე ხელი ნათურის გამომრთველ ღილაკს დაეწვა.

. . . . . .

— შენ რა გქვია? — ნახევარი საათის შემდეგ იკითხა სიბნელეში ქალიშვილის ხმამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალწერტილი...

— ქალო, ის იყავ, რასაც მე ვერ გხედავ!
უჩემოდ ჩემთვის როგორიც ხარ,
ჩემს გვერდითაც ისე იყავი!
ჩემს წინ კი ნუ როკავ, ჩემს გამო იმღერე,
სიმარტოვეში, შენს საჭარგავს როცა უზიხარ! —

ეტყოდა ხოლმე დიდი მეფე იზრაელისა
თავის ბოლო, უმრწემეს მხევალს,
რომელიც ისე შეუყვარდა ამ სიბერეში,
ვით თავის ნავი უყვარდება ეულ ზღვაოსანს
მაღალ სვეტებში ბობოქარი ოკეანისა —
რომელიც იმას ჩასანთქმელად დაჰღერებია.

და თუმც საბრალოს უიმედოდ ეიმედება
ის — თავის ნავი,
მაინც ეკვრის, ეხორცება და ეხვეწება.
— მიშველეო, დამიფარეო!

აღმშენებელი თავის ქვეყნის, საზღვართ განმვრცობი,
მაღალ სვეტების შემყენები სასახლეთათვის,
ღმერთის თანხლებით დამწოლი და გამღვიძებელი,
ახლა სასახლის საფრთხობელად გადაქცეულა,
რადგან საყვარულს მხოლოდ ზეცის თაღი სჯირდება
და კედარის ტყის კენწეროთა მწვანე სვეტები...

და ქალიც თხების მწყემსი იყო გალაადიდან,
ფეხის გულები ჯერაც რომ არ განაზებოდა,
მაგრამ მხურვალე იყო იმის ბაგეც და ტანიც
როგორც ნაცარი გადაბუგულ ქალაქებისა.
ჰაღაროსანი ღვთისმსახურნი თავს რომ იყრიან.

ახლა კი ფრთხილად გაურბოდნენ ეჭვიან მოხუცს,
წარამარა რომ უმიზეზოდ ეტირებოდა,
სადილს ვერავინ ამზადებდა იმის გემოზე,
უზნეობდა და ხმაურობდა ირგვლივ სუყველა...

მხოლოდ სასახლის სვეტებს თუღა გაენდობოდა,
ისიც მალულად, მზერის ირგვლივ მომტარებელი.
გაენდობოდა, თავს ახლიდა, თითქოს ამისთვის,
მხოლოდ ამისთვის მოეზიდა შორი ზღვებიდან.
და სასახლე, მიწაზე რომ ვერ ეტეოდა,
ასე გადიქცა მისთვის ზღვებად და ოკეანედ,
სადაც, დაღუპვის ემოლოდინეს,
იმ ერთადერთის უიმედო იმედი ჰქონდა...

და როცა ერთხელ სასთუმალზე დაღლილი მიწვა,
თბილი საბნები დაიხურა და მხევალიც გვერდს მოიწვინა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცირე ჰაერსაც ყველა გზა რომ ამოუჭოლა.
ამოიჭუჭკა
და რომ ქალის ტანმაც გაათბო,
კვლავ დაიწყო ლამის იყო ძველი ცხოვრება —
ანუ ფიქრი და ღიღადისი ცხოვრების არსზე,
რითაც თითქოსდა კვერის დაკვრა მოიწადინა
ამ ქალისაგან მის უსაზღვრო განდიდებისთვის...

ჭაღარა თმები ქალის შავ თმებს რომ შეახლართა,
თითქოს ეგონა,
ეგონა თუ წარმოედგინა,
რომ რაკი ფლობდა ნორჩი ქალის გულსა და სხეულს,
ამით მომავლის გასალებიც ხელში ეჭირა —
თავისი დიდი პოეზიის უკვდავებისთვის...

თვითონ ვინ იყო, ნეტავ, მეფე, ამ ქალისათვის
(ეჭვიანად წამოახურა და გაშორდა ქალის სხეულს,
ვითომ — დამცხაო)?
რა თქმა უნდა, სახედარი!..
თხის მწყემსები რომ აბამენ ქალაქის ბჭესთან,
რომ შემდეგ ბაზრის ფუფქელ მტვერში ტუცონ ფეხები
და აგრძელონ ის ცხოვრება, რაც მათ ეკუთვნით,
ახლა, როცა მეფე უკვე მკვდარი შექმნილა...

დაიარონ დახლები და საჩრდილობლები,
ჰწკენას გაექცნენ,
თავხედ ჭაბუკთ ხელი აუკრან
და მაინც გულში გაიყოლონ ვიღაცის ტრფობა,
ვიღაც უბირის, ლაწირაკის, რომელსაც, ალბათ,
მეორე ხვნაა პირიც კი არ დაუბანია,
არათუ ჭკუა მოეკითხოს, ანდა ქონება...

ატრიალებს ბრძენი მეფე თავის გონებას,
მაგრამ ვაგლახ რომ მხოლოდ ღვარძლს ფქვავს მისი წისქვილი,
რადგან ნარჩევი ხორბალი დროს წარუტაცნია...

ვერ გაეგო, რატომ იყო ამ ქალისთვის ასე ძვირფასი,
რატომ ცდილობდა იგი მისთვის წლების გაწელვას...
სისულელეა:
სხვის სურვილზე როდი იყო კაცის სიცოცხლე,
როცა თვითონაც თავის სიკვდილს ვერ მორევნია...

ახლა კი, მეფე, სიბერისა თუ იმის გამო,
რომ რაღაცა სიახლე ახლდა
ამ ქალის სახეს, მის მიმოხვრას და აზროვნებას, —
რასაც მეფეც გაითვისებდა,
ერთი ამდენი ცხოვრება რომ წინა ჰქონოდა —
მაგრამ ახლა, ამ სიბერეში...
თანაც მეფე ხომ ის უბირი კაცი არ იყო,
ვინც ქუჩაში შურიანად მოწონებულ ვიღაცა ჭაბუკს,
თავის სასახლის სარკეებში გაეჯიბრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ქალი კი
(ღმერთო ჩემო,
განა ქალი უნდა ერქვას ველის შრომანს ანდა ავაზას)
ერთადერთი არსება იყო,
ვისთანაც მეფეს საუბარი სიამოვნებდა.
და არა მარტო საუბარი...
ის ხომ მეხუთე თუ მეექვსე თაობის იყო —.
იმ ქალთაგან, ვისაც მეფე გაკარებია...

ამ თავისი უშურველად გაღებული ცხოვრების გამო
და იმის გამოც, რომ თან ტვინსაც ძალას ატანდა,
იმ სატრფოებში, მდინარესებრ ვისაც გაედო,
ქალურ ზნეობის საოცარი ცვლილება იგრძნო —
წინსვლა?.. დაცემა?..
სიხელი კი ვერ დაერქმია...

მან იხილა:
რომ რაც პირველი თაობისთვის
ითვლებოდა საშინელ ცოდვად,
მკრეს მხოლოდ აშინებდა, სხვა არაფერი.
მესამისთვის — სითამამე იყო მხოლოდ, ჩვეულებრივი,
მეოთხისთვის — დაუდევრობა,
მეხუთე თუ მეექვსესთვის კი — ხელოვნება
(ვისაც როგორ სიამოვნებს, ისე მოიქცეს,
ის არის ქვეყნად მართალიცა და ბუნებრივიც)...

ამისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო,
მოხუცი მეფე ქალის გულზე ეკვიანობდა...

„ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო არის...“
ეს სიბრძნე, ხალხს რომ თავს კედლებზე ახლევინებდა,
სასთუმალზე ნებიერად მისვენებულ კაცის მიერ იყო ნათქვამი.
ამაოება ამაოებათა... ამ ქალისთვის უაზრო იყო...
ძველ სიბრძნეზე ახალსა და განსხვავებულს ეწყო ამოსვლა,
რომ თავის ფესვებს
უდარდელი სინორჩითა და სიმწვანით თავს დასდგომოდა...

და ვიდრე მეფე,
ზარების ხმისთვის
ნეტარად სმენამიპყენილი ძილს ეძლეოდა,
ქვეყნად ახალი რამ ხდებოდა (თუ მომხდარიყო!)...

მეფე გრძნობდა, მეფემ იცოდა,
მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნიდა,
რომ სიტყვები დაერქმია ნაგრძნობისათვის:
ვერ გამოჭქონდა ბინდგადაკრულ თვალს იმისას ნანახი ხატი,
სმენას — სიტყვა ღმერთისა და გულს კი იმედი...

ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო არის...

როგორც შხამი ოდითგანვე თვით მკარნალზე გამოიცდება,
წინასწარმეტყველსაც პირველსა ჰკლავს თავის ნათქვამი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამაოება ამაოებათა...
ვინ გაიგებს, რას ნიშნავს ის მრავალწერტილი,
ამ სიბრძნეს რომ შემდგომმა დრომ ჩამოაშორა...

ღმერთი ჩვენ სამ-ოთხ სიტყვას გვჩუქნის,
დანარჩენებზე თვითონ უნდა ვიმტვრიოთ თავი,
რადგან ასეა:
მეზუთე სიტყვა არ მოდის, ან მეექვსე... არავინ იცის
თუ რომლის შემდეგ მიატოვებს ღმერთი ჩვენს კარნახს.
დანარჩენი შენი გულიდან უნდა გამოიჭრას,
შენი გონებიდან,
შენი მეორდიდან და მუცლის ლაფიდანაც...

მეფე გრძნობდა, მეფემ იცოდა,
მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნიდა,
რადგან ისე მდიდარი იყო
და იმდენჯერ განსაცდელებს გადარჩენილი,
რომ ვერ შესძლებდა
სუყველაფრისგან განშორების შიშისათვის
გული რომ არ დაეკორტნინა...
ეს ქალი კი...
ო, მეფეს რომ ძალა შესწევდეს
იმ მრავალწერტილის მარცვალსიტყვებად გადაქცევისა,
მაშინ უდაბნოსაც ჰპრის ყანა გადაუვლდა
და თვითონაც დაიბრუნებდა
ლუკმაპურის სიხარულსა და ქოხის სითბოს...

მან კი ამდენ განსაცდელს და მზით დამწვარ მიწას,
ეს სიბრძნე და ეს ქალაქი დაუდო ზღუდედ...
და, მეფემ, უცებ, დედამიწა აძრა თითქოს
თავისი რისხვით,
თითქოს თავისი წარმოსახვა გაუნამდვილდა,
თავებით რომ შეეტაკნენ მარმარილოს სვეტები ერთურთს,
შვება იგრძნო,
ცოდვისათვის, სიცოცხლისათვის...

შეაცია, შეაბარბაცა,
უშველებელ ოქროცურვილ ძოწისფერ ფარდას
მარადისობისთვის ნაქსოვს ათას ქალის თითებით,
ჩაეხვია, შემოისუდრა
და ცეცხლში ჩაინთქა...
ყველაფერთან ერთად...

იწვოდა სასახლე,
იწვოდნენ ტაძრები,
იწვოდა ქალაქი...

ზურგდამწვარი ქურუმები
ძველი აღთქმის წიგნებს გულში იხუტებდნენ,
და მითუხთუხებდნენ ბოლადენილები...

იმ მრავალწერილად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

დიდი წითელი გუშტი

ნოველები

რა გრძელი და საზარელიც უნდა იყოს ღამე, გათენებით აუცილებლად გათენდება.

სიბნელე რომ გაიცრიცა და აღმოსავლეთს თეთრი ციაგი შეერია, გარკვევით გამოჩნდა მოედანზე მიმოყრილი საგნები — ნეილონის ლეიბები, ხელჩანთები, ცალ-ცალი ფეხსაცმელები, ბოთლები და ადამიანისმსგავსი ცხოველების გიგანტურ ქანდაკებათა პოსდამენტებს მისხურებული სისხლიც.

თითქოსდა ჩვეულებრივზე ჩქარა თენდებოდა. თითქოსდა ბუნებას სურდა ადამიანთათვის დროზე დაემტკიცებინა, რომ, რაც წუხელის მოხდა, საშინელი სიზმარი კი არა, შემაძრწუნებელი სიცხადე იყო.

ფაროსანი ჯარისკაცები, რომლებსაც მოედანი ოთხკუთხივ შეეკრათ, ერთმანეთს მხრებითმიყრდნობილნი იდგნენ, გულგრილად იმზირებოდნენ და შიგა და შიგ ამოქარებდნენ კიდეც.

გადაცმული ოპერმუშაკები და მეეზოვენი საბარგო მანქანაზე „ჰოპ-ჰოპის“ დაძახებით, ცხედრებივით ისროდნენ ლეიბებს.

საბა სუთიძეს თვალები ეწვოდა და სუნთქვა უჭირდა, მაგრამ შინ წასვლაზე არც ფიქრობდა. სურდა, ყველაფრის გადაღება მოესწრო.

ქაშვეთთან ქვის მოაჯირზე შედგა და ტანჯე პირაღმა წამოწოლილ ჯარისკაცს დაუმიზნა ვიდეოაპარატი.

„ტანკები რომ არ იყვნენ, როგორ ჰგავსო მოედანი კინოგადასაღებ არენას, სადაც ესესაა დამთავრდა ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ფილმის მორიგი ეპიზოდის გადაღება“, — გაიფიქრა საბამ და ხელფარიანი ბიჭებისკენ შებრუნდა.

— ეი, ტი! — მოესმა ზურგსუკან.

დაბალი ტანის, შავტუხა, წვრილთვალება, ბრტყელსახა ოფიცერი უხმობდა.

საბა მოაჯირიდან ჩამოხტა და მისკენ წავიდა.

ოფიცერმა აპარატს წაუპოტინა ხელი.

— ია იზ ტელევიზიი, მაგუ პაკაზატ დოკუმენტი! — განზე გაიწია საბამ, მაგრამ ოფიცერს არაფრის გაგონება არ სურდა. მან ხელიდან გამოგლიჯა ოპერატორს ვიდეოკამერა, გრანიტის მოაჯირთან მიირბინა, ორჯერ მაგრად დაჭქრა ქვას და მერე ასფალტზე ღონივრად მოისროლა.

საბას თვალთ დაუბნელდა. ჯერ დამსხვრეული კამერისკენ გაიწია, შუა გზაზე შეშლილი სახით შემოტრიალდა და დოინჯით მდგარ, უტიფრად მომ-

ლიმარე სამხედრო პირისკენ გამოიქცა, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია. თვალის დახამხამებაში უკნიდან წამოპარულმა ჯარისკაცებმა ხელები გადაუწრიალეს და, ქეჩოში ხელჩავლებული, უფროსს წარუდგინეს.

— ა ნუ კა უბირაისა ატსუდა, პაკა გოლოვა ცელაია! — კბილებში გამოსცრა ოფიცერმა და ზურგი უჩვენა. ჯარისკაცებმა იგი მუხლებამდე თავდაკჭილი მიიყვანეს ეგნატე ნინოშვილის ოდგლამდე და თავდაღმართზე ხელი უბიძგეს.

საბა ხეს მიეყრდნო და, პირველი რაც გაიკეთა, ის იყო, რომ მუცელზე მოისვა ხელი. სიხარულმა სახე გაუნათა. კასეტა მთელი იყო. კოშმარული ღამე მან უკვე ნაწილობრივ გადაიღო. მერე, ვაი თუ კამერა წამართვანო, გადაღებული კასეტა ქამარში ჩაიდო და მიუხედავად იმისა რომ ძველი ნახევრამდეც არ იყო დაცლილი, ახლით შეცვალა.

აუხდა შიში.

სიმწრისგან ტუჩზე იკბინა და სანაპიროზე დავშვა.

ახლა მთავარი იყო კასეტა გადაერჩინა.

თუ გამაჩერეს, უსათუოდ გამჩხრეკენ და ჩამომართმევენო, ფიქრობდა ეზო-ეზო იარა, ვარაზისხევში ტანკებს რომ ჰკიდა თვალი, უკან დაბრუნდა, ზოოპარკის ღობეზე გადახტა და ვერეს ნაპირზე ჩავიდა. იქ ცოტახანს სული მოითქვა, მდინარის ნაპირს აუყვა და ათონელთა ქუჩაზე ლამის პირისპირ შეეჩეხა სამ ჯარისკაცს. კიდევ კარგი, ისინი ზურგით იდგნენ და ვიღაცის „ჟიგულის" საბარგულს ჩხრეკდნენ. მარცხენა ხელში ავტომატები ეჭირათ, მაღალქუსლიანი ბატინკები და დესანტის მწვანე, ფოთლოვანი ფორმა ეცვათ.

საბა უკან გაბრუნდა, ბავშვთა ქალაქის ბილიკებს დაადგა და იმ ადგილას ამოვიდა ჰაეჰაკაძის გამზირზე, სადაც ადრე ვენამბულატორიის ძველი ხის შენობა იდგა.

55-ე სკოლასთან ქუჩა დინჯი ნაბიჯით გადაჭრა, სამშვიდობოს რომ გავიდა, სადარბაზოში ერთბაშად საშინელი თავის ტკივილი და მოთენთილობა იგრძნო.

მაჯაზე შუბლმიყრდნობილი კარგა ხანს იდგა ცივ, მტვრიან კედელთან.

ლიფტის ღილაკზე თითის დაჭერის თავიც აღარ ჰქონდა.

ლიფტს მეუღლე ჩამოჰყვა. მას, ფანჯარაზე გადმომდგარს, დაენახა საბა და, რაკიღა ამოსვლა შეაგვიანდა, შესაგებებლად გამოსულიყო.

ცოლმა ყველაფერი იცოდა.

— კიდევ კარგი რომ ცოცხალი გადარჩი. რომ გათენდა და არ ჩანდი, დასაბმელი გავხდი. ბავშვიც ვერ მივატოვე.

— ძინავს?

ცოლმა თავი დაუქნია.

— ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამას გაბედავდნენ. — პაუზის შემდეგ, გაბზარული ხმით თქვა საბამ.

— რას ვერ წარმოიდგენდი, საბა. ხომ გეუბნებოდი, ყველაფერი იქეთ მიდის მეთქი. მშვიდობიანი გარეკვა რომ სდომოდათ, ხუთ დღეს გვაცლიდნენ? იმიტომ მიუშვეს შიმშილობა-მიტინგი, რომ ბოლოს სისხლის კალო მოეწყოთ. რამდენია მკვდარი?

— ბევრი, ალბათ. პირველმა ჩეხვამ რომ გადაიარა, მოედანზე უამრავი მკვდარ-ცოცხალი ეყარა.

— მოასწარი გადაღება?

— მგონი. ხოცვის კადრები მაინც ვერ გადავიღე. შორს იყო და ბნელოდა. სანამ გავაღწევდი, „ოპერაცია" დამთავრდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოტა დაისვენე და მერე საავადმყოფოებიც უნდა გადაიღო. მარგიც უნდა შეაღწიო. ყველამ უნდა ნახოს ამათი სიდამპლე.

საბამ შუბლი მოისრისა. კასეტა მაგიდაზე დადო.

— გადაიღე. კი. ეს კასეტა ძლივს გადავარჩინე. კამერა თავზე გადამამსხვრიეს.

ცოლს არაფერი უთქვამს. ფარდები ჩამოუშვეს და ტელევიზორს მიუსხდნენ. უცქეროდნენ მდუმარედ, უკომენტაროდ. საბას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოსდა ეს კადრები სადღაც, დიდი ხნის წინათ უკვე ენახა.

— საშინელებაა! — ჩაილაპარაკა ცოლმა, — ამ დოკუმენტს მაინც სადღა წაუვლენ. კიდევ ილაპარაკებენ ჰუმანურ სახელმწიფოზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე, ეს... ეს. ეს ღორები?

— ის მაინც ვერ არის, რაც მინდოდა.

— ნეტა სხვამაც თუ გადაიღო?

— მე არ შემიმჩნევია, ალბათ იქნებოდა.

— ახლა ეს ფირი სასწრაფოდ მთელმა ქვეყანამ უნდა ნახოს.

სწორედ ამ დროს მოუვიდა საბას აზრად, ხვალვე წაიღო ეს კასეტა და იმპერიის სიღრმეში, შორს, რომელიმე პროვინციულ ქალაქში ეჩვენებინა. ეჩვენებინა თავისი კომენტარებითურთ, ეჩვენებინა, როგორც ბრალდება, ზოგი გულუბრყვილო მოქალაქის გულში ჯერ კიდევ მბეჟუტავი რწმენისა და ილუზიების გასაბათილებლად.

ეს გადაწყვეტილება ცოლს მეორე დღეს, ბილეთი რომ აიღო და ბარგის ჩალაგებას შეუდგა, მაშინ გაანდო. ნაშუადღევს, ოთხ საათზე, უკვე თვითმფრინავში იჯდა და ქალაქ ტაპოროვოსკენ მიფრინავდა. ტაპოროვოში ადრე არასოდეს ყოფილა. ქალაქი თბილისიდან არც მეტი არც ნაკლები, ოთხსაათნახევრის საფრენზე იყო.

ტაქსის მძღოლმა მოედანს წრე დაარტყა, უნდოდა, კიდევ ჩაესვა ვინმე, მაგრამ ტაქსის რიგში არავინ იდგა, ხოლო ავტობუსის რიგში მდგარნი ჯიუტად და მკაცრად განზე იყურებოდნენ.

არყისხეებამგზავრებულ გამზირს რომ დაადგნენ, მძღოლმა ჰკითხა:

— ბაქოს ჩამოჰყვეთთ?

— დიახ, — მიუგო საბამ.

— თათარი ხართ?

— კი, ბატონო! — თვითონაც ვერ აგიხსნიდათ ახლა საბა. რატომ დადგა ხუმრობის გუნებაზე და რატომ დამალა თავისი ქართველობა.

— მიყვარს თათრები, — სარკე შეატრიალა და თავის უწარბო სახეს შეავლო თვალი მძღოლმა, — გულღია, პირდაპირი ხალხია. ჯარში ბევრი თათარი მეგობარი მყავდა.

რაკიღა საბამ არ გამოხატა აღფრთოვანება იმის გამო, რომ ჯარში ტაქსის მძღოლს ბევრი თათარი მეგობარი ჰყავდა, მძღოლმა „ფირფიტა გამოცვალა“.

— ქართველები რაღაც არ მომწონს: ვერ ეუგებ. ცოტა ამპარტავანი, თავნება ხალხია.

— რას ამბობთ!— ეშმაკური ღიმილი რომ დაემალა, განზე გაიხედა საბამ, — ქართველები? გამორჩეული ხალხია დედამიწაზე. მაგათი სტუმართმოყვარეობა, სიმღერა, ცეკვა, რუსთაველი?

— ცეკვა... ჰო — ქუდს შიგნით კეფა მოიფხანა მძღოლმა, — ცეკვაზე ხომ არაფერს ვამბობ. რაც კარგია, კარგია.

— აი, მე, თათარი კაცი ვარ. ჩემი ხალხი, რასაკვირველია, მიყვარს, მაგრამ ერთადერთი რაზეც მთელი სიცოცხლით მწყდება გული, ეგ არის, რომ ქართველად არ დავიბადე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლმა გაკვირვებით შეხედა.

— თქვენ, თათარი ამბობთ ამას?

საბას ერთი სული ჰქონდა, არ გაცინებოდა.

— დიახ, მე ვამბობ. გინახავს როგორ თამაშობენ ქართველი ქალები ბაღრაკს? დაფას არც კი უყურებენ. ზეპირად თამაშობენ. ამბობენ ქართველები ფეხბურთში თავიანთი შესაძლებლობის მეხუთედსაც არ ამჟღავნებენო.

— რატომ?

— რატომ და, ყველაფერში რომ პირველი აღმოჩნდე, შეგიძულებენ. ეს კარგად იციან ქართველებმა. ყველაფერში რომ დაჯაბნი სამასმილიონიან უმრავლესობას შენ, სამმილიონიანი უმცირესობა, ადგება ის უმრავლესობა და დაგსჯის, შეიძლება სულაც აგყაროს და გადაგასახლოს შენი მიწიდან. ან, შეიძლება მტვერივით მიგფანტ-მოგფანტოს ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ამბობენ, ქართველებს მხოლოდ მაშინ აქვთ გრძნეულება, როცა თავიანთ მიწაზე, ერთად ცხოვრობენო.

— ეგ ბოლო, შეიძლება, მართალი იყოს. ჩვენთან, გარაჟში, ერთი ქართველი მუშაობს. სანდრო ჰქვია. ეიკვირდები ხუთი წელია. ქართველმა რაღაც უცნაური, რამე ფანტასტიკური ხომ უნდა გააკეთოს, არაფერიც. ჩვეულებრივი კაცია. სხვაგან რომ ცხოვრობს, ალბათ, იმიტომ.

— ეგ, შეიძლება, ქართველი არც იყოს.

— როგორ, ქართველად სწერია. მთელი გარაჟი ქართველს ეძახის.

— მერე რა. ქართველობას დღეს ბევრი იჩემებს.

მძღოლი გაჩუმდა. იგი ძლიერ განიცდიდა, რომ მგზავრის მომადლიერების ნაცადი ხერხი ამჯერად არ გაუვიდა. ჩვეულებრივ იგი სომეხს, ქართველს და აზერბაიჯანელს თითქმის ერთსადაიმავეს ეუბნებოდა, შესაბამისად, რა ეროვნების კაცი ეჯდა გვერდით.

გაოცება-გაოგნებისგან მძღოლი ხანდახან პირს აღებდა. იგი პირველად ხედავდა თათარს, რომელიც ცრემლმორეული ნატრობდა, ნეტავ ქართველად დავბადებულიყავიო.

— ისე ქართველებთან დაკავშირებით თქვენ მართალი ხართ. დიდი ნიჭიერი და მებრძოლი ხალხია. გუშინ-წინ თურმე ჯოხებით დაერივნენ ტანკებს. გაიგებდით ალბათ, თქვენთან საქართველო ახლოსაა.

— არ გამიგია? — სიცილი ცრემლად სდიოდა საბას, მაგრამ არ იმჩნევდა.

— ტელევიზიას გადმოუცია. მე თვითონ არ მომისმენია. ქართველებს საბჭოთა კავშირიდან გასვლა მოუნდომებიათ და ჩვენი ჯარი ხომ იქ დგას, ჯარისკაცებს მივარდნიან. ავტომატები თავზე გადაუმტვრევიათ, თოფწამლის საწყობები აუფეთქებიათ, ტანკებისთვის ფანჯრები ჩაულეწავთ.

საბამ წარმოიდგინა „ფანჯრებჩალეწილი ტანკები“ და ერთხელ კიდევ სცადა წამლეკი სიცილის მოთოკვა.

— სად მიდიოდნენ, რატომ გავდიავართო?

— არ გვინდა რუსეთთან ყოფნაო — შუბლზე კეპი ჩამოიწია მძღოლმა და ისევ მაღლა ასწია, — ალბათ, თურქებს უნდა შეერთებოდნენ.

— თურქები არ მიიღებენ, — გადაუწურა წყალი ქართველთა „სურვილს“ საბამ.

— რატომ?

— თურქები სხვა ხალხია. ქართველებთან საერთო არა აქვთ. ეგეც ტელევიზორს უთქვამს?

— მე თვითონ არ მომისმენია. ვერ მოგატყუებთ. ამ დილით ბიჭები ამბობდნენ გარაჟში. ჭყლეტაში თექვსმეტი ქალი გაგუდულაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენი?

— არა, იმათი, ქართველების.

— კი მაგრამ ჯარი რას აკეთებდა, ავტომატები რომ თავზე დაიფშვნეს და ტანკები დაულეწეს? — ამ საუბრიდან გამომდინარე არც თუ ულოგიკო იყო სპას შეკითხვა.

— ჯარს ხომ წინაალმდეგობის გაწევა აკრძალული აქვს. ბრძანებაა ასეთი. საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ ჩვენი ჯარი იარაღს ვერ გამოიყენებს.

— ვერც მაშინ, თუ ხალხი გასვლას აპირებს და ჯოხით ლეწავს ტანკებს?

— ვერც მაშინ. ბრძანება ბრძანებაა. თქვენ რა არ გიმსახურიათ?

— არა. არ წამიყვანეს. მე.. ისა, არასამხედროვალდებული ვარ. მრცხვენია, მაგრამ კაცები ვართ და თუ გინდათ, გეტყვით მიზეზს.

სპამ თავი დაიწვინა მძღოლს და ყურებში ისეთი რამ უთხრა, რომ მძღოლმა ჯერ გადაიხარხარა და მერე თავიდან ფეხებამდე ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა სტუმარი, როგორც შეიძლება თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიეროს გვერდით მჯდომი კაცი მძღოლმა.

— ახლაც?! — აღტაცებაგარეული პათეტიკით ჰკითხა მესაკვემ.

— ახლაც! — რამდენადაც მოუხერხდა იდუმალი სერიოზულობით დაუქნია თავი სპამ.

ამის შემდეგ მძღოლი გაჩუმდა. იგი თავის რთულ, ინტელექტუალურ სამყაროში გადაერთო და ხანდახან კითხვით სავსე თვალებით გადახედავდა უცნაურ მგზავრს, რომელიც მანქანის სარკმელთან ჩასრიალებულ, დაუგველ ქალაქს ათვალიერებდა.

სასტუმრო „ტაპოროვოს“ დირექტორმა კარგა ხანს უსმინა სპას დასაბუთებულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ თბილისელი სტუმარი ტელევიზიის ოპერატორი გახლდათ, ქალაქში საგანგებო მისიით ჩამოსულს ლექციების ციკლი უნდა წაეკითხა ცხრა აპრილის შესახებ სათანადო ილუსტრაციული მასალის ჩვენებით და მისი ამაღამ ღია ცის ქვეშ დარჩენა, მეტი რომ არა ვთქვათ, უღმერთობა იყო.

დირექტორი ისე პირწმინდად მელოტი გახლდათ, რომ თმა საფეთქლებთანაც გასცვენოდა. ერთი სათვალე თვალებზე ეკეთა, მეორე კი ყელზე ეკიდა.

როცა დირექტორი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მგზავრი თავისი პერსონის შესახებ მეტს არას იტყოდა, სათვალე შეიცვალა და მშვიდად ჰკითხა.

— მივლინების ბარათი გააქვთ?

— იცით, ვერ მოვასწარი აღება, ჩვენთან ისეთი ამბავია. ეგ კი არა, ბავშვსაც ვერ გამოვემშვიდობე. ხუთი წლის ბიჭი მყავს, ხატავს, — სხაპასხუპით მიაყარა სპამ.

— ეგ ცუდია, — დაამთქნარა დირექტორმა და სათვალე კვლავ გამოცვალა.

— კარგად ხატავს, — ნერწყვი გაუშრა სპას.

— მე ხატვაზე არ მოგახსენებთ, აი, მივლინების ბარათი რომ არ გაქვთ, ესაა ცუდი. მე კიდეც რომ მიგიღოთ, მივლინების ბარათის გარეშე ლექციებს როგორ წაიკითხავთ.

— საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი ვარ, აი, „ცოდნის“ წიგნაკი.

დირექტორმა წიგნაკი გამოართვა. კარგა ხანს ათვალიერა, მერე ტელეფონს დაწვდა, წიგნაკს მაგიდაზე აკაკუნებდა და ვიღაცას თითქმის ჩურჩულით ელაპარაკებოდა:

— საველევიჩ... თბილისიდანაა. ლექციების წასაკითხად ჩამოვიდიო. რაღაც ილუსტრაციაზე ლაპარაკობს. მივლინება არა აქვს, „ცოდნის“ წიგნაკი ხელთა მაქვს, — გაეცინა — კი, კი მაგისია. ტელევიზიაში ვმუშაობო, მოიცათ, ვკითხავ. — ყურმილს ხელი დაიფარა. — პირადობის მოწმობა გააქვთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბამ პირადობის მოწმობა ამოიღო და გაუწოდა.

— აქვს, აქვს, ნომერი ასჩვიდმეტი, გაცემული ოთხმოცდაცხრა წლის ივნისში ვარში, კეთილი, კეთილი.

დირექტორმა ერთხელ კიდევ შეიცვალა სათვალე, სტუმარს საბუთები დაუბრუნა და სელექტორს თითი დაუქირა:

— გისმენთ,— გაისმა ქალის ნაზი ხმა.

— მიიღეთ თბილისიდან, გვარი?

— სუთიძე, — შეაშველა საბამ.

— სუთიძე, სამი დღით არა?

— დიახ თხუთმეტამდე.

— თხუთმეტამდე, — ჩასძახა დირექტორმა, სათვალე შეიცვალა, სელექტორი გამორთო და კარებისკენ მადლობით შებრუნებულ საბას დაადევნა.

— მსხვერპლი რამდენია?

— სავარაუდო რიცხვი ცხრამეტი გახლავთ.

— ცხრამეტი, საშინელებაა, ცხრამეტი ჯარისკაცი. მოქალაქეთაგან არავინ დაშავდა?

— ცხრამეტი მშვიდობიანი მოქალაქეა მოკლული... ჯარისკაცები, ღვთის შეწყენინთ, ყველანი გადარჩნენ. სერიოზული ტრამვაც კი არცერთ მათგანს არ მიუღია.

— ეგ კარგია, — დაამთქნარა დირექტორმა.

— რა არის კარგი?! — მარჯვენა ლოყაზე სამწვერა ნერვი ავად აუთამაშდა საბას.

— ჯარისკაცები რომ არ დაიღუპნენ. ჯერ მარტო ავღანეთში რამდენი დავკარგეთ.

— აბა, აბა, შენ ეგა თქვი, — თუ სადმე სამართალია, საბას ხაზგასმულ ირონიას სასტუმროს თავი უნდა მიმხვდარიყო. მაგრამ ყველაფერზე შეეტყო, რომ ვერ მიხვდა.

მეორე დღეს, ესე იგი, თორმეტ აპრილს, საბა სუთიძე „ტაპოროვოს“ ცოდნის საქალაქო განყოფილებაში გამოცხადდა. ხელში პორთფელი ეჭირა. პორთფელში უნიკალური კასეტა, ორი ახალი ბამბის წინდა და ერთი ბოთლი „ბორჯომი“ ედო. ტანთ გაცვეთისწინა მდგომარეობამდე მისული ნაცრისფერი შალის კოსტუმი ეცვა, პიჯაკის ჯიბეში პირადობის მოწმობა და სასტუმროს საშვი ედო. შარვლის ჯიბეში ორი ცხვირსახოცი და ხუთმანეთიანებისგან შემდგარი ასხუთი მანეთი. პასპორტი და უკან დასაბრუნებელი ბილეთი (ეს უკანასკნელი საბამ აეროპორტში გუშინვე აიღო) სასტუმროში დატოვა. ამ ნოველის ავტორი პასპორტთან და უკანდასაბრუნებელ ბილეთთან დაკავშირებით ამასვე ურჩევს სხვა ქალაქში ჩასულ პატივცემულ მკითხველსაც. ქუდობა საბჭოთა კავშირში კარგა ხანია გაქრა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ყოველწამს შეიძლება აღმოვჩნდეთ ჩვენს ჯიბეს წაპტინებული იმ კაცის გვერდით, რომელმაც არ იცის რომ ქუდობა საბჭოთა კავშირში კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. რა ჩემი თქმა გინდათ, ვისაც გამოუცდია დამეთანხმება (ხოლო ვისაც არ გამოუცდია, ღმერთმა ნუ გამოაცდევინოს), რომ უცხო ქალაქში პასპორტის და უკან დასაბრუნებელი საავიაციო ბილეთის დაკარგვაზე უფრო მწარე რამ თითქმის არ არსებობს, თუ იმ ერთ რამეს მხედველობაში არ მივიღებთ.

„ცოდნის“ საქალაქო განყოფილებაში მოუსმინეს და „ცოდნის“ რესპუბლიკური განყოფილებისკენ გაისტუმრეს. ცოდნის რესპუბლიკურ განყოფილებაშიც მოუსმინეს და პროპაგანდის საქალაქო განყოფილებისკენ მიუთითეს, პროპაგანდის საქალაქო განყოფილებაში უთხრეს, რაკი საგანგებო

შემოხვევასთან გვაძვს საქმე, თქვენი საკითხი პროპაგანდის რესპუბლიკური
ეროვნული
ბიბლიოთეკა
განყოფილებამ უნდა გადაწყვეტოსო.

ჩვენი მიმხვედრიანი მკითხველის იმედით, როგორც ხედავთ, მოკლედ, სულ რამდენიმე სტრიქონში მოვაქციე ის, რაც სბას „ტაპოროვოში“ დილიდან საღამომდე გადახდა. თანმდეროვე მკითხველის მოუცლელობას და მის სრულიად ბუნებრივ ზიზღს გრძელსტყვაობისადმი ვუწევ ანგარიშს, თორემ, ხომ შემეძლო, ვრცლად აღმეწერა სბას ვიზიტები თვითეულ ამ სიმპატიურ დაწესებულებაში. შევჩერდებოდი მდივანი ქალის თმის ფერიდან დაწყებული რეფერენტთა და პროპაგანდის განყოფილების გამგეთა ჰალსტუხებზე, მათს ნილაპურ გაყინულ ღიმილზე და ამოოხვრით ნათქვამ სიტყვებზე — „თუ შეიძლება გვაჩვენეთ ფირი და მოკლედ ისიც გვითხარით, რას იტყვით აუდიტორიის წინაშე“. დაწვრილებით შევჩერდებოდი იმაზეც, რომ ნახევარსაათიანი ლაღადისის შემდეგ სბა მასპინძლის მთქნარებაზე შეატყობდა, რომ ეს კაცი „საკითხის გადამწყვეტი“ არ იყო და უკეთეს შემთხვევაში სხვა კაბინეტისკენ გაგზავნიდა.

ვიმეორებ, ვრცელ, დეტალურ საუბარს სბას საპროპაგანდო ბასტილიებზე, აქ თავს ვარიდებ ისევ და ისევ ძვირფასი მკითხველის პატივისცემის გამო, გამომდინარე დროის ეკონომიის ინტერესიდან.

მესამე დღეს, ცამეტ აპრილს და მეოთხე დღეს — თოთხმეტ აპრილს სბას, როგორც იქნა, დაუნიშნეს ორი ლექცია. „ცოდნის“ საქალაქო განყოფილებაში. თბილისიდან ჩამოსული ლექტორისთვის საგანგებოდ შეარჩიეს ბამბეულის კომბინატის (13 აპრილი) და სოსის-ძეხვეულის ფაბრიკის (14 აპრილი) ჯანსაღი, ინტერნაციონალური კოლექტივები.

ლექციები ორივე ადგილას დაახლოებით კი არა, ზუსტად ასე ჩატარდა: საწარმოს ადგილკომის თავმჯდომარე, „ცოდნის“ რეფერენტი და სბა უსხდნენ საპრეზიდიუმო მაგიდას. ასეთ ღონისძიებებს დირექტორები და პარტიული კომიტეტების მდივნები ჩვეულებრივ, მოუცლელობის გამო არ ესწრებიან. ადგილკომის თავმჯდომარე დარბაზს ამცნობდა, მზიური საქართველოდან სტუმარი გვეწვია და ლექციის წაკითხვა სურსო. სბას არ უკვირდა, რომ მას ოვაციით არ ხვდებოდნენ. აშკარად იგრძნობოდა, რომ მოქალაქეებს საერთოდ მობეზრებული ჰქონდათ ლექცია, თუნდაც იგი მზიური საქართველოს წარმომადგენლის მიერ ყოფილიყო წაკითხული. მერე სბა ოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში ისაუბრებდა ცხრა აპრილის ტრაგედიაზე და ამდენივე წუთიან ფირს უჩვენებდა მსმენელ-მაყურებელს. თუ ლექციის კითხვისას დარბაზი ყრუდ თანაუგრძნობდა სბას (აქა-იქ აღშფოთების ამოოხვრანიც გაისმოდა) სამაგიეროდ, ფილმის ჩვენებისას გარინდულ დარბაზში ბეზის გაფრენას გაიგონებდი. ტელევიზორის ეკრანზე ფილმის დასასრული ნიშნად ვერცხლის დუღილი რომ დაიწყებოდა, აუდიტორია კარგა ხანს იყო სიჩუმეში ჩაძირული.

— მდაა, — იტყოდა ერთ-ერთი მაყურებელი წინმჯდომთიგან და გაიმართებოდა კამათი. ისეთი ჩვეულებრივი, უმართავი, უწესიერიგო, უთავბოლო კამათი, როგორიც ხშირად იმართება ხოლმე ჩვენს დემოკრატიულ აუდიტორიებში, იმის შემდეგ რაც უძრაობის ეპოქა დავგმეთ და გარდაქმნის ოქროს ხანას შევუდექით.

ბოლოს მოკამათენი იღლებოდნენ და ძალაუფლებას ხელში იგდებდა ორთოდოქსულად მოაზროვნეთა ჯიუტი ნება. ისინი მაგიდაზე მუშტის ბრაგუნით, პროვოკაციული ქარაგმებით, ისტერიული ყვირილით და შიგა და შიგ მუქარითაც ახერხებდნენ სხვაგვარად მოაზროვნეთა გაჩუმებას და ბოლო სიტყვებში ხშირად ისმოდა: „ასე დაემართება ქვეყნის დაშლის მოსურ-

ნეს", „ეს გაკვეთილად უნდა იქცეს", „საომარ ტექნიკას მაინც რაღას ეჩოდნენ", „აბა რა ეგონათ", „რუსეთი მომმეწინა, მაგრამ..." „თავიანთმა ქალებმა მაინც რა დაუშავეს", „კანონის მთელი სისასტიკით უნდა დაისაჯონონ", „წითელი არმია უფლებას ვერავის მისცემს"... ლექცია-დისპუტის დამთავრების შემდეგ მოქალაქენი ქუჩაში განაგრძობდნენ კამათს და საბა დარწმუნდა რომ ერთ მუჭა „ნაღებს" აქაც, ქუჩაშიც უმრავლესი ჯიუტნი სჯანდიდნენ.

14 აპრილს საბას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. უამური ფიქრი არ ასვენებდა.

„რა უნდოდა, რისთვის ჩამოვიდა. ჯერ ერთი რატომ ეგონა, რომ მოქალქენი ჭეშმარიტების გაგებისთვის სულს ლევდნენ და გაფაციცებით ელოდნენ თვითმხილველის ჩამოსვლას. მეორეც, რატომ ეგონა, რომ მისი ჭირი ყველასთვის ერთნაირად გულსაცემი უნდა ყოფილიყო. ქვეყანას თავისი თავი უჭირს, ვის ახსოვხარ, ვის დაეკარგე შენ. რაღაცაშია საქმე. თავი ხომ არ მოვაძალეთ იმპერიას ჩვენი ჭირვეულობით და თავისუფლებაზე გაუთავებელი ჩივილით? რა მნიშვნელობა აქვს, თურმე, ხელბარით დაგსჯიან თუ შპიცრუტენებით. ერთმა-ორმა ისიც თქვა, რაც შენს წისქვილზე ასხამს წყალს, მხოლოდ ის გადაგიღიაო. ერთმა დედაბერმა ფაროსანჩაფხუტიანი ჯარისკაცები რომ დაინახა; „ვაიმე, შვილებო, დაგხოცავენ ეს ავაზაკებიო". ერიჰაა, მკვლელები უფრო შეეცოდა, ვიდრე მათი ხელით მოკლული ქალები და ბავშვები. საერთოდ, რა მომარბენინებდა. როდემდე უნდა ვიყო გულუბრყვილო და მიამტი. ჭკუა ვერ უნდა ვისწავლო ამხელა კაცმა?"

გამთენიისას, როგორც იქნა, „მისცეს თბილისი". ცოლს დაუჟინა, გააღვიძე ბავშვი, დამელაპარაკოს, თორემ ისე მომენატრა მაგისი ხმა, ლამის გავგიჟდეო.

გიგილოს ნამძინარევი, ლოგინური ხმა ჰქონდა:

— მამიკო! ბუშტი მიიღე? მიიღებ, მიიღებ, ამ დილით გამოვუშვი. წითელი ბუშტია. ფანჯარაში ხშირად გაიხედე. შენსკენ გამოვუშვი. ვიცი, შორსა ხარ. მთელი ღამე შენსკენ მოფრინავს და არ ჩამოვიდოდა? შენ ფანჯარა გაიღე და გაიხედე. ახლა მალე მოვა. კარგად იყავი!

...ჯერ ერთი სტიუარდესა გაიქცა პილოტთა კაბინისკენ. წამის შემდეგ ორი სტიუარდესა უკან გამოიქცა. თვითმფრინავის სალონში დამწვრის სუნი დადგა, მერე სავენტილაციო მილაკებიდან შავი კვამლი შემოიჭრა და ყველაფერი გაავსო.

ვიღაცამ დაიკივლა, მაგრამ მუნქუესვე გააჩუმეს.

ისხდნენ ყველანი ხმაგაკმენდილნი. თითქოსდა რომ ეკივლათ, უფრო დაეჩქარებდნენ იმ საშინელ წამს, რომელზეც წარმოდგენაც კი არავის ჰქონდა. საბამ ფანჯარაში გაიხედა. თვითმფრინავს დიდი წითელი ბუშტი ელვისსისწრაფით უახლოვდებოდა.

აპრილი

ჯეინ გრინსი, სამოცსმოტანებული მანდილოსანი, თბილისში 1989 წლის 6 აპრილს ლონდონის საკონდიტრო ფირმების ტურისტულ ჯგუფს ჩამოჰყვა.

ინტურისტის თანამშრომელმა აეროპორტშივე ბოდიში მოუხადა სტუმრებს: „საქართველოს დედაქალაქში ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებული დღეები. ამ დღესასწაულის დროს, ხანდახან, შეშინებული ხელში იგდებენ პოლიტიკური განსასტერება, თვითმყურობელობის [illegible] შემდეგ აქა-იქ შემორჩენილი უკმაყოფილო ელემენტები, ნაციონალისტური რომლებსაც განსაკუთრებით ან მოსდით თვალში უცხოელი ტურისტები. ამიტომ თქვენი მიღება უჩვეულო პირობებში მოგვიხდება. მეტ დროს მოვანდომებთ ქალაქგარეთ ისტორიული ადგილების დათვალიერებას, ხოლო როცა სასტუმროში დავბრუნდებით, უმორჩილესად გთხოვთ, მაშინვე დაისვენეთ. ქალაქში ღამით ხეტიალს ნუ მოჰყვებით. ქართველები, საერთოდ, სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ, შესაძლებელია, უცხოელ ტურისტებზე გამწყრალ ექსტრემისტს გადაეყაროთ და შეურაცხყოფა მოგაყენონო".

— რას ამბობენ ის ელემენტები, რა დაგვიშავეთ უცხოელმა ტურისტმა? — ჰკითხა ინტურისტის თანამშრომელს ჯინმა.

თანამშრომელი არ დაბნეულა, პასუხი ასე ჩამოაგვირისტა:

— იცით რა, ქართველებს თავიანთ ისტორიულ არსებობასთან რაღაც მაგიური, ძველებური, განსაკუთრებულ-კეთილიანი დამოკიდებულება აქვთ. ეს დამოკიდებულება ბევრი აუხსნელი საიდუმლოებით არის სავსე. რასაც ქართველები თაობიდან თაობას გადასცემენ და სხვა ერის წარმომადგენელს თითქმის არ უმხელენ. ამიტომ არ უყვართ უცხოელი ტურისტი. ასე ჰგონიათ, იგი იდუმალი მზერით ქართველის სულში იხედება. განსაკუთრებით ფოტოაპარატიანი სტუმარი სძულთ, ფოტოაპარატს ვერ იტანენ.

— მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა, თქვენ ქართველი ბრძანდებით?

— არა, — ცოტა არ იყოს, თავხედური სიამაყით განაცხადა ინტურისტის წარმომადგენელმა და ჯინის თვალი მიხვედრილობა გაეხარდა. ამ შეკითხვის მიცემისას უკვე ეჭვი ჰქონდა, რომ ეს, ხაზგასმული აქცენტით მოლაპარაკე, ქერათმიანი მოხელე, შეიძლებოდა, ნებისმიერი ეროვნებისად მიგეჩნიათ, ოღონდ ქართველად არა.

ორმა დღემ თვალისდახამხამებაში გაიარა.

ინგლისელ ტურისტებს პირველ დღესვე დაათვალიერებინეს სიონი, ლისის ტბის მიდამოები, მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ხოლო, მიუხედავად სტუმართა თხოვნისა, ფუნიკულორის დათვალიერებაზე ზრდილობიანი უარი უთხრეს. ფუნიკულორი რემონტზეა და ასევე ვერ ხერხდებოდა.

თბილისის ნახვა ამით ამოიწურა. მერე დაიწყო არანაკლებ საინტერესო ტურისტული გასვლები ქალაქგარეთ. უძველესი ციხე-მონასტრები, საღვთისტაცეო დარბაზები, მარნები, საჩვენებელი მეურნეობები, განსაცვიფრებელი ეროვნული კულინარია ინგლისელთა ალტაცებას იწვევდა. დაღლილნი, გვიან ღამით სასტუმრო „ივერიაში" რომ ბრუნდებოდნენ და ადამიანურ მოთხოვნილებებით შეჩქარებულ-შეწუხებულნი ცალ ფეხზე ხტუნავდნენ, მათს ლექსიკონში ხშირად ისმოდა „რაიტ", „ბიუტიფულ", „ლაიკ", „ნაის" „ვერი გუდ" და სხვა სიტყვები, საიდანაც ინგლისურის სუფსტად მცოდნე, მაგრამ მაინც ყურგაფაციცებული ლიფტის მორიგეც კი ასკვნიდა, რომ ტურისტები კმაყოფილნი იყვნენ.

რვა აპრილს ტურისტები საგარეჯოდან გვიან ღამით დაბრუნდნენ. ნინოწმინდის ზღაპრული პალატებმა და მელნისფერმა ღვინომ. რასაც მასპინძელთა გრძელი, ღამაზი სადღეგრძელოებიც ამშვენებდა, სტუმრები სასიამოვნოდ დაღალა და შეაყოვნა.

ჯინს დიდხანს არ დაეძინა. ინგლისელი ქალბატონი საერთოდ მოგზაურობის მოყვარული გახლდათ და ბევრი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, მაგრამ საქართველო არცერთ მათგანს არ ჰგავდა. აქ ყველაფერი გამორჩეული

იყო: ძველთაძველი, თაგვისფერი, ლამის ერთ თარგზე გამოკვეთილი, მაგრამ ამავე დროინდ ერთმანეთისგან განსხვავებული ტიპრები, უხეი და ფანტაზიამიღწეული ... მი სამზარეულო და ნადიმის უნიკალური წესი; სუფრის წევრთა მოხუსენებელ ... ყურადება და პოეტური სადღეგრძელოები რომ ამშვენებდა.

სასტუმროში რომ შემოდიოდნენ, მაშინაც შეიმჩნია ჯეინ გრინსმა ავტობუსებით გადახერგული მოედანი და იქვე მორიალე მოკალაქენი, მაგრამ დაასკვნა: ალბათ სწორედ ის ეროვნული აღლუმი დამთავრდა, რაზეც ინტურისტის წარმომადგენელი გვესაუბრებოდაო, ამიტომაც კითხვით აღარაფერი უკითხავს. სხვა ტურისტებიც უკანკალენი შელაგდნენ „ივერიის“ უბრუნავ კარებში. ჩანდა, ისინი კვლავ იმ შავბნელი იმფორმაციის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, რომლის ერთ აუხსნელ ჭეშმარიტებას ქართველების უცხოელ ტურისტებთან დამოკიდებულება წარმოადგენდა.

ინგლისელი სტუმარი ღამით აივნის კარს ყოველთვის აღებდა. ღია კარსარკმელში ძილი მისი ბავშვობის ჩვეულება იყო. სადაც ჩავიდოდა, პირველ რიგში სასტუმროს მენეჯერს ჰკითხავდა; ღამით ფანჯრების გაღება თუ შეიძლებაო. ამ შეკითხვას იმიტომ სვამდა, რომ აფრიკისა და სამხრეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში ყოფნის მწარე გამოცდილება ახსოვდა და ბუნებრივია, აღარ ჰქონდა სურვილი ფანჯრიდან შემოპარულ აბეზარ ხვლიკებთან ურთიერთობის რკვევისა.

შუადამეს რომ გადაცილდა და სასტუმროს ირგვლივ ტრანსპორტმა იკლო, ჰაერს ერთადერთი ყრუ გუგუნი შემორჩა, გუგუნი ხან შეწყდებოდა, ხან კი შორს დარჩეული ტაშისა და ოვაციის ხმაურად აწყდებოდა ყურის ბარაბანს. ეს ხმები უფროდაუფრო ძლიერდებოდა. ჰაერს სწორედ მაშინ შეარხევდა ტაშის ექო, როცა ჯეინ წამით ჩათვლემდა. გუგუნი სტუმარს ძილბურანიდან ისევ სასტუმროს სიცხადეში დააბრუნებდა.

დაძინების იმედი საბოლოოდ რომ გადაეწურა, ჯეინი წამოდგა და ღამის კვართ-საწმერთელის ,ამარა აივანზე გამოვიდა. მთელი პროსპექტი სავსე იყო ხალხით. ქუჩა ღამის სუსტი ლამპიონებით გაენთებინათ, მაგრამ მაინც შეიძლებოდა გარჩევა, რომ მოედნის გადამხერგავ ავტობუსებს შორის დარჩენილი ღრიჭოებიდან გაცილებით მეტი ადამიანი გამოდიოდა, ვიდრე შედიოდა. შორს რუსთაველის პროსპექტის ბოლოს, კოცონის მსგავსი რაღაც კიაფებდა. ის ხმაურიანი კოცონი ყვითლად შეკვეხნებოდა გაზაფხულის გრილ ცას და ახლომახლო სახურავებს. ადამიანები სწორედ იქეთ მიიჩქაროდნენ.

ჯეინმა საათს დახედა. სამს აღარაფერი აკლდა. ჩაიცვა და ლიფტისკენ რომ მიაბიჯებდა, გაიფიქრა, ვინმე ხომ არ წამომეყვანაო. ერთი შეყოყმანება შეეყოყმანდა, მაგრამ ევროპულმა დელიკატურობამ უფლება არ მისცა, ასე გვიან გაეღვიძებინა კოლეგა-ტურისტი. იცოდა, რომ სასტუმროს შინაგანაწესს და უცხოელ ტურისტს მოვალეობათა სტატუსს — ორივეს ერთად არღვევდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ქართველთა ღამეული „ეროვნული მეგლლისის“ ნახვის სურვილი, რომ წესრიგისკენ მომწოდებელ შინაგან ძახილს სძლია და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

ვესტიბიულში უამრავი ხალხი ირეოდა. ამიტომაც ქალბატონ ჯეინის ქუჩაში გასვლა კარისკაცს არც კი შეუმჩნევია, თორემ დახურულ კარებთან მთელმარე, ერთი შეხედვით უწყინარი შვეიცარი, რომელსაც კარის გაღება-დახურვის გარდა სამსახურებრივად სხვაც ბევრი რამ ეკალებოდა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, სათანადო ზომებს მიიღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუადამის სუსხმა დაჭკა და ჯეინმა მოსასხამის საყელო აიწია. ჯინსონმა ყმაწვილმა რაღაც ჰკითხა. როცა დარწმუნდა, რომ ქალს ქართული არ ეყურებოდა, გულზე ხელის მიდებით ბოდიში მოუხადა (ყოველ შემთხვევაში ჯეინს ასე მოეჩვენა) და გაეცალა.

სანახაობა მართლაც გრანდიოზული იყო. სვეტებიანი, ლამაზი სასახლის წინ ზღვა ხალხი იდგა. დაბალი ხარისხის ხრიალა მიკროფონთან ორატორები ერთმანეთს სცვლიდნენ. მერე ტაშის გრიალი მიწყნარდა, მოქადაგენიც დაცხრნენ და სიმღერა წამოიწყეს. ჯეინს მრავალთასიანი დემონსტრაციის ასე აწყობილი სიმღერა ჯერ არსად უნახავს. სიმღერა რომ ჩათავდა, ისევ ახრიალდა მიკროფონი და ისევ გაისმა ტაშისცემა, რასაც ქუდების მაღლა სროლა მოჰყვა.

ჯეინს ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რას ამბობდნენ ორატორები, მაგრამ ვერავის ეკითხებოდა. ჯერ ერთი, დიდი იმედი არა ჰქონდა, რომ მაინც-დამაინც ინგლისურის მცოდნეს დაადგამდა თვალს და, ჩვენს შორის დარჩეს, არც ის უნდოდა, რომ თავისი უცხოელობისთვის გაესვა ხაზი. გულის სიღრმეში მაინც შიშობდა, ვინ იცის, იქნებ ინტურისტის წარმომადგენელი მართალიც კი იყო და ე მანდ რომელიმე ტურისტთმოძულე ქართველს არ გადავეყაროო. მიხვედრით, ინგლისელი მანდილოსანი, უთარგმნელადაც მიხვდა, რომ მოქადაგენი ხალხისთვის მოსაწონ საგანს ეხებოდნენ. საერთოდ კი დემოკრატია და ლამაზი ლაპარაკი ჯეინს თავის ქვეყანაშიც მოწყენილი ჰქონდა.

ქადაგება კვლავ სიმღერამ შეცვალა. ტემპიანი, ორკესტრული სიმღერის ხმაზე აქა-იქ ცეკვა დაიწყეს. ეს იყო თვალით უნახავი ფეიერვერკი. ერთნი ცეკვავდნენ, მეორენი მღეროდნენ, ზოგს სანთელი ეჭირა და თავაყრობილი ლოცვას ჩურჩულებდა.

უეცრად, თითქოს ნიშანი მისცესო, მანიფესტაცია გაქრა. ავი სიჩუმე ჩამოწვა ირგვლივ და წამის შემდეგ სიჩუმეში ტანკების გრიალი გრიგალივით შემოიჭრა.

დემონსტრანტებმა გზა მისცეს. ტანკებმა ჩაიარეს და იქვე შეჩერდნენ. კვლავ წამით ჩამოწვა საზარელი სიჩუმე და ტანკების უკან ხუთმწკრივად მდგარ ჩაჩქან-მუზარადიან და ხელფარიან ჯარისკაცებს ვიღაცამ გამყინავი ხმით უბრძანა: — ბეი!

სიბნელე ჯერ ქალის კივილმა გაჰკვეთა. მერე ჯოჯოხეთურად აირია ერთმანეთში განწირულთა ხმები, ღრიალჯგრიალი და ჩახჩახი. გაქცეულთა პირველმა ტალღამ ჯეინი კინაღამ გადათელა. მსწრაფლ მოისაზრა, კედელს აეკრა და ინსტიქტურად ყურები დაიცო, რომ საზარელი ღრიალი არ გაეგონა.

გარბოდნენ თავზეხელაფარებულნი, ნაცემ-ნაგვემნი. ახლობელდაკარგულნი წამით შეჩერდებოდნენ და ველურ ღამეში ერთმანეთს უხმობდნენ.

ხალხის ტალღამ ჯეინი მაინც მოგლიჯა კედელს და პროსპექტზე გაიყოლა, მაგრამ ოცოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული რომ კისერში რაღაც მძიმედ მოხვდა და გონება დაჰკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაში აფრენილ უმანკო მტრედებს

ნათლის სვეტი ჩამოეშვა ციდან,
ცა გაიხსნა — შვილებს უხმო მამამ,
რაც რომ სისხლი დაღვარა წმინდა,
სამოთხეში ვარდად გამობრწყინდა...
უნანავა ანგელოზთა ხმამან.

შორი გზა აქვთ ერთ წამს გასავლელი,
აიფრენენ ცისფერ კამბადონებს,
სალამურად გადიქცევა ყელი,
მიწის ტკივილს ცის გალობა შველის, —
ატკბობს ბალღებს, ქალწულთ,
ქალბატონებს...

რა ყოფილა წუთისოფელს ყოფნა?
სიზმარი და... მეტი არაფერი...
საქართველო — დარჩენილი ობლად,
ვის ღვთის დედა ევლინება მშობლად...
მომლოდინეს ცით მფარველი ხელის.

ცით დახედავთ სათაყვანო მამულს,
სისხლითა და ცრემლით უხვად ნამულს,
ცად მიმქროლნი განკვირვებულ
მზერით...

შეავედრეთ უფალს ჩვენი ნატვრა
დაგვიმარცხოს, ვერ გალაღდეს მტერი!..

ეღვთოთ აჭრილ სამამულე ყლორტებს,
ცად გადარგულ უკვდავების ვაზებს, —
სიცოცხლე და სიხარული გჭონდეთ...
საქართველოვ, ნეღარ სტირ და
ჰგოდებ!..

ოსანა მათ — სულის სილამაზეს!
ყვავილები, ყვავილები მხოლოდ...
ნეტარების უსასრულო განცდა...
სად სიხარულს აღარა აქვს ბოლო,
ავმა სულმა იქ ვერ აგათრთოლოთ, —
უძლურია ბოროტება კაცთა.

დაივანეთ, დაივანეთ სულნო,
სიკეთის და სიბრძნის საბრძანისი, —
სხვა მარაბდა და სულ სხვა კრწანისი...
გადაჰყარეთ ქართლის ციდან ნისლი...
ჩვენ კი თქვენი ქების ვიყოთ ღირსნი...

სვეტიცხოველი

სვეტო ცხოველო, სვეტო ნათელო,
ანგელოზთა ხელით სვეტად ნათალო,
ვიდრე შენ ჰფარავ მთლად
საქართველოს,
მტერმა და ავმა ჩვენ ვერ გაგვთვალოს.
საბლო ღვთისაო, ცად მისათვალო,
აზრო მაღალო, რწმენავ მართალო,

წმინდათა-წმინდავ, შენ საკართანო, —
მუხლმოყრით ვდგავართ შენსა
კართანო...
სიცოცხლის ბაღით მოსული ხეო,
ცამდე ასული სხივ-სამოთხეო,
შენ განგვინათლე ბნელი ღამეო,
ცამდე მნათობო, მაღალო დღეო.

●

მე ჩემი ერის
მძღოლს ყველა მტერი,
ყველა მოყვარეს
თავს ვანაცვალებ,

იუდას ვიცნობ —
არა ვარ შტერი, —
მაგრამ სიმრავლე
მტერთა მაწვალებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა

შენი სიმაღლის ჰირიმე.
შენ რომ სამყაროს ჰხედავდი,
შენ რომ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს
მაღლიდან გადმოჰხედავდი;
შენით მამული ძალს იკრებს,

იმედით ცოცხლობს, მხნედ არი,
საკარგყმოს თავში მჯდომარეე,
ხარ ქრისტეს წმინდა მხედარი,
დიდი, წინასწარმეტყველი,
ბრძენი და შორს გამხედავი.

●

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების —
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმპყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევო ცაში,
მოვედ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმანკო ბავშვის
(ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში).

მამული — სასუფეველი

დიდი ვაჟას მადლით შთაგონებული

მაღლით არწივი ჰყიოდა:
მზე მოვიდაო, ინათა!..
გული აღარვის სტკიოდა,
ცრემლი აღარ სდით იათა...

მამულო — სასუფეველო,
ეფერვი გულმომტკივანთა,
კაცობაგაუყიდველთა
სულნათელ ადამიანთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲓᲔ

ᲐᲛ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ...

რაც ჩვენში ბალღის დადინდა ცრემლი,
წამიერ ერთად შეეკრიბე ყველა,
წამოვალანქრე ცოდვის მდინარე,
ჯერ არ ნახული მდინარის ხელა.

შემცბარი უმზერს — მკითხველი მცირე,
ჩემი შემწყალე, სულდიდი მრევლი,
ვით იღებება სისხლისფრად — მწარე
ჩვენი შვილების დაღვრილი ცრემლი.

ᲘᲚᲘᲐ

აქეთ შენ იყავ... და ვინც იყავ, უკეთ ჩემზე იციან სხვებმა.
იქით ვინც იყო, ვერ დაიტკბო სმენა კვნესით
ჯვარცმულ-ვნებულის.

აქეთ შენ იყავ — ნათლის სვეტი მამულისა და უფლის ნება,
სახე თვით დიდი დავითისა და დიმიტრი თავდადებულის.
იქით ვინც იყო, რაც შეეძლო, ჰნერწყვა მშობელს
სხვის სასიამოდ,

სხვის სამსახურად აქადაგა სიტყვა ფუყე, ცრუ და
ბრტყელ-ბრტყელი...

აქეთ შენა ხარ — ნუგეშინი და სნეულთა ჩვენთა მალამო,
მარად მჭმუნვარი ოპტიმისტი და წინასწარ მარად მეტყველი.

ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ

1

იმ შორეულ კრწანისიდან —
ამ ოცდაექვს მაისამდე,
ᲗᲮᲐᲛ-ᲡᲐᲛᲚᲐᲚᲐ რაც შემისვამს,
დღესაც რატომ უნდა ვსვამდე?!
ჩემს მამულში ვაზი ვსხალი,
ჩემს ბალიშზე თავი დავდე,
იმ ოცდაექვს მაისიდან —
ამ ოცდახუთ თებერვლამდე...
ამ ოცდახუთ თებერვლიდან,
დღევ, რაც უნდა დაგვიღამდე,
მაინც მივა კოლხ-იბერი
გულში ნანატრ თარიღამდე.
ხმლის მომქნევი სიტყვა მინდა,
ტყვიას ნატყვიარში ვსვავდე...
რა გაგრძელდა ეს ოხერი,
გზა ოცდაექვს მაისამდე.

2

მაინც მოდის, ახლოვდება,
გულში მწუხრი მინავლდება,
სანატრელი მზე და მთვარე
ამო... ამომციანარდება.
სიხარულით მოყიჟინე
მაცნე შორით მოვარდება.
დროშა საქართველოს ცაზე
გადასამფროვანდება.
ღამეც აგვიფერადდება.
თოვლ-ყინული უკვე დნება...
როგორც უწინ, ძმანო, თავი
კვლავ ჩვენადვე გვეყუდნება.
ავ-ბოროტი გაიქცევა,
ძრწოლა — შიშით დაოთხდება.
ჯოჯოხეთის კუპრის მერე
მართლა გაგვისამოთხდება...
და სამშობლო, ნათლიღების
წმიდა დღეს რომ ელოდება,
სხვათა შემწე, სხვა ღირსებით
გაგვისაქართველოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი შეხედეთ რაებს ბრიყვის გაბღენძვა სჩადის,
ვინც სკამეკაზე შესვეს სხვათა ღირსების ქირდვად,
სძინავს იმის სულს და არაფრით ღვიძილი სწადის.
მთვლემარებს მთლიან, სულ-ხორციან ეღვიძოს გინდაც...
მე კი როგორმე ლაჩრის დრტვინვა იქნება შემრჩეს,
რადგან თვინიერს ებოძება ნამეცეი ჭადის.
ვნატრობ გაზაფხულს, ბედი ზამთარს შემომაჩეჩებს
და მორჩილების ღიმზე ცრემლი მალული დამდის.
წყალწაღებულის უმწეობით — ვნუგეშობ მაინც:
თუმცა მერგუნა განგებისად სოროში მალვა,
ამ ძილ-ღვიძილში
ხომ კურცხალით მევსება თვალი,
ცრემლიც საქმეა, როცა ახმობს ქვეყანას გვალვა.

იუდას სინდრომი

ვისაც ფეხებზე ჰკიდია
მამული, უნდა ეკიდოს
გულზე ორ... გულის ორდენი,
ქამადიც უნდა ებოძოს
და ვერცხლიც ცოტაოდენი.

ეაი მას — უპირველეს და
მერმეღა იმის მამულსა.
გოლგოთისაკენ მიმავალს,
რომელმან ყვრიმალს
სილა ჰკრა
ჰნერწყვა და ჯვარს მიალურსმა.

მაგრამ რას იზამს ცოდვილი
სხვა ზართა ჩამორეკვის დროს?
ეკიდოს გინდაც ათასი
ჯინჯილი, ანდა, პირიქით,
ჯინჯილებს თავად ეკიდოს?..

კაცს მი-მო-გრეხილს,
დრო დგება.
სახმილი სხვა წაეკიდოს,
ამაყად ვულს დაბნეული
ორდენი, მერმე მინახავს —
მართლაც ფეხებზე ეკიდოს...

ვინც უნდა იყოს,
ღღეს მაინც
ჩინ-მედლებს რად გაეკიდოს?
როცა ამდენი ღალატის
მაკქერალს ხელი
ხმალ-ხანჯლის
ვადაზე უნდა ეკიდოს?!.

●

ზურაბ ქაფიანიძეს —

სურამის ციხის ლეგენდის მიხედვით

მშვენებად შენი დედულ-მამულის
და უფრო მეტად მაინც იმედად —
ნაზი კოკონი მაგ სიყვარულის
კედელში მდგარსაც არ გაგინელდა.
ციხევ, გამძლებო ათასი მეხის,
ვინ დათვლის მაგდენ
ნახმლევ-ნაინარევს,
მძვინვარებასაც გულისხმობს ვეფხვის
ეგ რაინდული სიდარბაისლე.
არ დაინგრევა ციხე მიტომაც,
ეგ სიმხნეც, რაკი ასე გადაგვდე...
და მაინც, რა ვქნა, შენ გეკითხები:
— ბოლოს და ბოლოს, მითხარ —
სანამდე!..
ეგ ნიჭი შენი, — სისხლი და ცრემლი,
სხვისას არასდროს არას ირევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთ ციხეში დაუტეველი
ათას კლდე-ციხედ განსახიერდა.
ეგ ნიჭი შენი — ნათელი ხატი,
ფიცხი, მდუღარი და წარმართული,
მაგრამ სპეტაკზე უფრო სპეტაკი,
თითქოს ქართულზეც უფრო ქართული.
ჩემო პაპაი და ჩემი მიხა,
კოტორაშვილო — ჩემო ივანე,
ბრძენო და ქველო და მეხთატეხავ,
სული ვერა და ვერ დაივანე...
სურამის ციხის ჩაელილ სადარდელს
ჭკუათმყოფელი ვინღა გოდებდეს...
და მაინც გკითხავ — ასე სანამდე,
ბოლოს და ბოლოს,
მართლა — როდემდე!...

რიგი

ჩვენს უნებურად —
ამ წუთისოფლად მოსვლის წამიდან,
უზენაესის ნებით,
ვდგებით იმიერსოფლად მიმავალთა
თვალთუხილავ უუგრძეს რიგში...
ახლა თვალს ვავლებ
საღამოის გაზეთის იმ გვერდს,
გუშინ-გუშინწინ გარდაცვლილთა
მწუხარ ამბებს რომ იწუყება
და უნებურად, უცებ, თითქოს,
რიგში მდგარმა წინ წავიწიე.

ყველას დასანახი

ყოვლის მოწყენით
შენ ხარ მზირალი,
დრო ულმობელი —
მოდის ჯალათი...
გზრდიდნენ დროშების
ფრიალ-ფრიალით
და ლოზუნგების
საწოვარათი.
იმედ-ცინიზმის
შენც წოვდი ნაზავს,
ახლა რომ გავსებს
ბოღმით და მწუხრით:
გათბობდნენ ყინვა-იანვრით
დამზრალს
ივლისის ხვატში
დანთებულ ბუხრით...
გმირები ისევ
იღებენ ლახვარს
და თეთრი რაშიც
ისევ ჯიხვინებს,
მაგრამ მე მარტო
ვერ დავინახავ,
სუყველამ ერთად
თუ არ ვიხილეთ.

ყვარყვარე

ვის არ ახსოვს წარბშეკვრა და მრისხანება ყვარყვარეს,
სიკვდილის ხმით ქვესენელიდან დღესაც ამოგვხარხარებს...
ტაშით წამოვძეგლე... ვძეგლეთ, თუმც თავი ვერ ვაყვარეთ,
სხვამან ერვინ დაიკვეხოს, ის რომ გავაყვარყვარეთ.
მერე ცოტა სხვანაირი ვითარება დამყარდა,
მისი ამქრის წევრ-ნაფიცი, როცა გაგვიყვარყვარდა.
იმ ახალზე ასე ვუთხარ — იმ პირველის ძველის მყვარებს:
— ნურას სწუხართ, მთლად თუ არა, ცოტათი ხომ იყვარყვარებს.
მან კი: — ეგ რა გაბედეთო, — სულ უკუღმა ქოში ჰყარა
და ძძლე უყვარყვარესობამ ჰეშმარიტად იყვარყვარა.
სკამზეც ისე კოხტად იჯდა, იმ სკამს ძლივას გაჰყარეს
და მის ადგილს წამოგმირდა — უფრო ნაღდი ყვარყვარე...
მერმე მათი მემკვიდრენი ცალ-ცალკე თუ კრებულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკამუკებზე ყინჩად ბევრჯერ წამოყვარყვარებულან.
თუ სკენაზე ამხიელს და პატივი აჰყარეს,
ტაშის დამკვრელს ლოჟიდან, ძაღლი სწირეს ყვარყვარეს...
დრო მიდის და დრო მიჰქრის და... საარსებო მოსჩქეფს წყარო,
ამხანაგო, ღირს იყავი — იშახსო და იყვარყვარო...
ძართლაც ბევრმა იფხიანა და სასურველ-საყვარელნი
წინ გვიძღოდნენ — ხალხის საქმეს შეწირული ყვარყვარენი...
სკამით, ქრთამით, პარვით, ქალით — აშენდა და აყვავდა,
ხერხიანთა წიაღიდან ვინც კი ამოყვარყვარდა.
იზრდებოდა, დიდდებოდა, სივდებოდა წურბელა...
კიდევ კარგი — ნიავ-ქარმა სხვაგვარ წამოუბერა.
კიდევ კარგი — ძალას კარგავს ზოგის ცოლი, ზოგის ხარჯა,
ვინც მრავალი გაყვარყვარ-გააჯაოვ-გააკვაჭა...
თუკი ბევრჯერ მწარე კეხესას სულიც ამოვიტანეთ,
მხლოდ ახლა ჩამოძეგლილს ქე ვუბწკინეთ სატანებს...
...მაგით მაინც იქნებ ვინი ამ გულიდან გადამყაროთ,
ორივმ კიდამ ავიღერდ მეც საძეგლო-საყვარყვაროდ.
მეც ყველაფრით ყვარყვარე ვარ, სხვა სახელი ისე მქვია,
რაც მე შუაეცხლოთან ვმჯდარვარ და ნაკარი მიქქია.
წვერ-ულვაშიც მომიშვია... წიწამურშიც გამისვრია,
ბედნავს პროლეტარის ბედზე თვალი ცრემლით დამნისვლია,
მაგრამ მაუზერისკენაც ხელი ცქვიტად გამქცევია,
საქართველოც ჩემს გემოზე მიკუწ-მიჭუცმაცებია...
იმა დღეთა სიამენი სულში ისე მყარად მიზის,
არქიყვარყვარიზმისაკენ ვქაჩე ნეოყვარყვარიზმი...
. . . . . .
და თუ მაინც ავღერდები, პაწა სისხლად თუ არ გღვარე,
ჩემო ტურფა ქვეყანავ და... მენაცვლე და გეყვარყვარე.

●

შუქ-ჭაღისაკენ თითქოს ლტოლვა ჩაცხრა ფარვანის
და ცხელი ქარიც მბორგავ გულში ისევიგ ჩადგა,
დღეს ღალატისთვის მოღალატეს არ კლავს არავინ,
ოვით სიყვარული ადარ ულირთ სიცოცხლედ რადგან.
სადღაა იგი მდუღარება ივლისის მზისა,
ამაკი სისხლის გაშმაგების ლამაზი არსი...
სიცოცხლედ თვისი სიყვარული არ ულირს ვისაც,
დაცემულია მისთვის შავი ღალატის ფასიც.

●

სად ვპოვო სიტყვა უბინჯ-ულაქო,
მზით დავფერო და ისე ავწონო —
ორფეოსთაგან მარადის ნაქებს,
განებივრებულს რომ მოგაწონო.
ვით შემოგბედო მუხლდადრეკილმა
ერძალულმან ქება — ჩემო მამულო...
არაფა სისხლით, შენ უნდა მხოლოდ
მზეით ცხოველით იმეწამულო,
რომ განგაშოროს უკუღმართის ბედმან,
ჩვენც სვლა წაღმართის გზებით
გვაცალოს,
რომ ღვიძლმან ყველამ გიგულვოს
დედად,
ძალიან ბევრის დედინაცვალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არიან ისინი

ნიველა

სიგრილე იყო, ივლისის თვის დილის სიგრილე...

— ჰო, ებლა მირჩევნია წასვლა...

— აბა რა, მერე დაიჭერს მაგრად. ლადო, წამოგყვები, რა? არ გეზარება მარტო სიარული?

— თუ ძმა ხარ... თავი გამანებე, ხომ გითხარი...

ლადო წვერს იპარსავდა და სარკეში თავისი ორეულით ტკბებოდა. საოცრად მოსწონდა საკუთარი ხმა, მოძრაობა. გამოზომილი მოქმედებით ისვამდა საპარსს უფრენულ, ჩაყარდნილ ლოყებზე.

ძველებურ, კვერცხისფერმიან სარკეში ოთახი ჩანდა — დიდი ოთახი (აქ ბებია ესვენა, — გიუელვა თავში ლადოს). აშლილი იყო ყველაფერი, არეული — უქალობას მესჩვეოდა სანლი. სიგარეტის ნამწვავები ყველგან ეყარა — საფერფლეებში, ლამბაქებზე... — რომელ საათზე წავიდნენ ისინი? — იკითხა.

— ოთხი იყო დაწყებული, კაი ტიპები არიან, არა?

ლადოს არ უპასუხია. სარკეში ოთახს ეყურებდა. ძველებური, ორსართულიანი ბეფეტის შუა კარი ერთ ახჯამაზე ეკიდა. გამოელოთ და ახლა საწყლად დაეღო შიგანი, ოთახის შეაგულში, ჭრიჭინა სარწეველაში კაცი იჯდა, შუბლზე სველ ცხვირსახოცს ისვამდა, სახეზერად იქექებოდა და ლადოს თვალს არ აცილებდა.

„რატომ აქვს ლეკების თვალები?“ — გაიფიქრა ლადომ. თვალი თვალში რომ გაუყარა. ცივად მოარიდა სახე და ისევ ბუფეტზე გადაიტანა მზერა. ძველი მოსარკული ფანჯრები მის ზურგს ათასჯერ ამრავლებდა და ანაწევრებდა... ბურუსი ჩამოაწვა ქუთუთოებს და მჭრქალ სინათლეზე ლადომ სალომე დაინახა!

...ერუანტელმა დაუარა, როცა წარმოიდგინა მათი შეხვედრა...

ხილვა მოუელდნელი...

კრთომა წამისმიერი...

ტოკვა სისხლმოწოლილი საფეთქლების...

იგი უკვე ხედავს სალომეს გაოცებულ სახეს, ხედავს, როგორ უკანკალებს ხელები, როგორ მალავს ამ ღელვას და ნაზადასმით ბუნებრივად იქცევა.

მერე?.. მერე კარდების თაიგულს, — სისხლში გავლებულ ბუჩქს მიაწვდის ორივე ხელით და ნაზად (რამდენადაც ეს შეუძლია) აკოცებს...

მიყვარს, ეტყობა, მართლა მიყვარს...

— რას ამბობ? — გამოფხიზლდა თვალებმილეული კაცო.

...ძნელი იყო ამ წამს ოცნებისაგან მოწყვეტა...

ოთახი დაბრუნდა ჩვეულ ადგილზე...

ლადომ საპარსი გამორთო და ამოიხვნეშა. — მაგრად ვარ, ძალიან მაგრად... — სხეული ოჰიუმს გაეკენწინა.

— ხომ გეუბნებოდი, მაგარი წამალი არის-მეთქი.

— კიდევ კარგი, წუხელ არ გამოვაჩინე იძდენ ხალხში. ისე, იმასაც არა უშავდა. ლადო, წამოგყვები რა, და სალომის ისევ გაგიკეთებ...

— ჰმ, სალომის? სალომის ისედაც გამიკეთებ, — ამ სიტყვებში არც ირონია იგრძნობოდა, არც მრისხანება. ლადოსათვის ეს ჩვეულებრივი აუცილებლობა იყო.

— აბა შენ რომელ საათზე ჩამოხვალ,

როდემდე გელოდო, — აწკმუტუნდა კაცო.

ლადო უხმოდ შეტრიალდა და პერანგის ჩაცმა დაიწყო...

●

საღამოს გელოდები, გაიგე? — ფანჯრიდან თვალი ჩაუკრა და მანქანა ბღუილით მოსწყვიტა ადგილიდან...

— უჰმ, შე ნაბიჭვარო!.. — კაცო ისე იყო, გაბრაზების თავიც არ ჰქონდა. მთელი ერთი კვირა ყოველდღე სამსამჯერ წამალგაკეთებულს, ის ცრუ აქტივობაც დაეკარგა, რასაც ადრე ანიჭებდა ობიუმი.

— თვითონაც ხომ იკეთებს, მერე რა, რომ ჩემზე აშვიათად... ერთხელ თუ გამისწორა და გამიკეთა; ერთხელ მაინც რომ მახსოვდეს, — ვაჭრობდა ქუჩაში მარტო დარჩენილი კაცო. უკეთესია რითიმე ჩემზე, ვაქკაცია, არა? ვერ უბედავენ მოტყუებას? თუ იცი, რატომ? — იმიტომ რომ, დაუნდობელია. უნდა დაჭრა ვინმე აუცილებლად და დინგი დაუნგრიო, რომ არ მოგატყუონ? იქნებ მე არ შემიძლია ასე ცხოვრება, როგორც ეგ ცხოვრობს. არ შეეხოთ, თუ გინდათ, ცუდი არ შეგემთხვეთ... კაცოს უნდილი ზიზღი დამთავრდა. აქ გოგონა ცხოვრობდა...

გზა ცარიელი იყო, მანქანა სწრაფი და მუსიკა მინელებული. მზე მაღლა-მაღლა იწეოდა. მანქანის ირგვლივ ქარი რიალებდა. ლადო სიგარეტს სიგარეტზე ექაჩებოდა, სხვას რომ გაუსწრებდა, ზერელედ გადახედავდა ხოლმე. ისე, არაფრისმთქმელი, გამოცივებული თვალებით შეავლებდა მზერას და მერე გზას ჩაუშტერდებოდა...

ნეტა, რას შვრება ახლა? — უტრიალებდა თავში და სასტიკად აწუხებდა ეს ფიქრი...

სიონთან შეეფეთა პირველად.

დამფრთხალი, ლუჩუ თვალები რომ დაინახა, უცაბედად შეცბა და ქალს გზა დაუთმო. ათიოდე ნაბიჯით გასცდა იგი დაშშებულ ლადოს და მერე, ეტყობა, მზერა იგრძნო დაძინებული, ფამით მოტრიალდა... ნაქანდაკეცევ ქანდაკებასავით სხეული, სპილოს ძვლის ფერი სახე, გარეჯის ფრესკის დაბინდული, მუქლურჯი თვალები და თვითონ იყო ჯიში, გენი და რასა არიელთა...

ლადოს სხეული, გამომშრალი სხეული, რაღაც სილბოს წასდგომოდა თავზე და მას აღარ დასთმობდა...

უდაბნოს სიცხით გავეშებული ცხენები, წყლის სუნზე გიჟდებიან და დაოთხილნი რბიან ჭისაკენ... ვაი მათ, თუ მხედრის მტკიცე ხელი აკლიათ და ისე დაეწყვებიან მაცოცხლებელ სითხეს. ვერ მოზომავენ მაშინ ბედკრულნი, და ბევრი წყლისაგან სტომაქი უსკდებათ...

ლადო მიჰქროდა...

სპიდომეტრი ასს ბევრად გადაცსდენოდა... უკვე ოსეთის მხარეში იყო... გზისპირზე წითელლოყება, ღაწვგანიერი ქალები და კაცები დადიოდნენ. თვალს აყოლებდნენ შლეგივით აცეტებულ მანქანას, უკვე სოფლის სანახებს რომ გასცდენოდა.

მოსახვევში კაცი ამოიზარდა სოკოსავით. სახეშეშლილი, ხელებს უქნევდა და ყვიროდა რაღაცას. შეუცნობელმა ძრწოლამ დაუარა...

●

— კი არ გეტყვის რამეს, ისე შემოგხედავს, უუჰ, გულზე გასკდები! — კაცო გოგონასთან იჯდა, ყავას სვამდა და ნერვებს, ჩაძინებულ, წამლით გაყუჩებულ ნერვებს აფხიზლებდა. გოგონას შინაურულად მოერთხა ფეხი საკარძელში და პასიანსს შლიდა. მას ლადო აღარ უყვარდა (ლადოს კი არც არასოდეს ჰყვარებია თურმე. დაკორსულა და მერე თავი გაანება). როგორც თვითონ ამბობდა, ჩემთვის კი არ უთქვამს, ვიღაცებთან ყვებოდა... ჰო, კაცოს დაადარა ლადოსთან: — მძულხარ... მძულხარ... მძულხარ!..

— ლადომ რომ გაიგოს, ჩემთან ზიხარ და ჭორაობ, რას გიზამს? — იღიმება გოგონა.

კაცო გაყუჩდა. — საიდან?.. თუმცა, გაიგოს! რას მიზამს? მე ვუზამ, ჰო, ჰო, მე ვუზამ, თუ დამპირდა. — დაიპირა უცებ თავი...

გოგონა უმალ გადაერთო: — არ გაინტერესებს, სად წავიდა შენი ძმაკაცი? სასაცილოა, — ძმაკაცი...

კაცომ ცხვირი მოიქექა და სიტყვებში — „სად წავიდა?“ სხვა სიტყვების კილო შეეარია, — თქვი მალე!..

— რა-ჯა-ში, — მარცვლავს გოგონა და მიწის თხილს იღებს პეშვით. — ვიღაც საღამესთან, — თან მწარედ ეღიმება. — რატომ დამტანჯა ღმერთმა ასე?..

●

კაცი მძიმედ სუნთქავდა. გაფითრებული ლადო ცდილობდა ცოტა კიდევ აჩქარებულიყო. — ბოვში, ბოვში მომიყვა ქვევით, ბიჭო, ბოვში მომიყვა! — კაცი უკვე ხრამში მიფრინავდა...

ვილისი მთლად დაჭყლეტილიყო. გულაღმა ეგდო და თითქოს სისხლი სდიოდა...

მამაა... იკივლა რაღაცამ!.. ჰო, რაღაცამ, ლადომ ვერ წარმოიდგინა, ასეთი ხმა ადამიანშვილს თუ ექნებოდა.

გული აერია...

ე, ბიჭო, რა დროს მაგია, ბიძია, მიშველე რამე... მანქანას დაეჯაჯგურნენ.

შეიყოა თუ არა, დამსხვრეული მანქანა, კივილმა ცას ახადა თავი.

არ იტირო, მამა, მამა მოგიკვდა შენ, არ იტირო... აგერ ბიძია გვიშველის რამეს, შენ არ იტირო, მამა, — ზლუქუნებდა კაცი...

ლადომ ჩაიჩოქა. ფანჯარაში ხელი შეყო (რატომ?). რაღაც რბილს წამოედო, სველს. გველნაკბენივით გამოსწია ხელი და დახედა — ჯუჯუიანი სისხლით ჰქონდა მაჯა გასვრილი...

— მე... გავიქცევი, ჩამოვიყვან ვინმეს, — დაბეჟილი ხმით სთხოვა კაცს.

— ბიჭო, მიშველე რამე, კაცი არა ხარ? — ეკვლერებოდა გონწართმეული მამა...

ტრასაზე ძლივს აფოფხდა. თავი უკდებოდა. რწყევა-რწყევით მიეგზავნა მანქანამდე და გზის გარდიგარდმოდ აყენა. ბედზე, რამდენიმე საბარგო მოვიდა უცებ.

ლადო მანქანის დირეზე იჯდა თავჩაქინდრული. თითები გადაეტყავებინა ხევიდან ამოსვლისას და ახლა უყურებდა, როგორ წვეთავდა შავ ასფალტზე სისხლი...

ვიღაც მოტრიალდა... — მეგობარო, მეგობარო, არ წახვიდე, თუ ძმა ხარ, შენი მანქანით წავიყვანოთ... მალე იქნება უფრო...

ცუდად შესცივდა ლადოს...

მანქანა ჩართო, ბღუილით გაიქანა ზევით. სუსტად იყო, ძალიან სუსტად... წყარომდე მიმაღწევინე, ღმერთო, — ჩურჩულებდა და აქსელერატორს ფეხს უგონოდ აჭერდა. გვერდითა სკამზე დაწყობილი შინდისფერი ვარდები თვალს ჭრიდა და სისხლის ასოციაციას უღვივებდა — თვითონაც სულ სისხლიანი იყო. — წყარომდე მიმაღწევინე, ღმერთო...

წყალთან წითელი ავტობუსი ჩამომდგარიყო, ბავშვები წუწაობდნენ. იყო ერთი ამბავი. ლადო ლანდივით გაერია მათ შორის, ცნობადაკარგული დაეწაფა წყალს. პირზე შეისხა... პირზე შეისხა და... წყალმა სისხლი ვერ მოაცილა... კიდევ ერთხელ გაიწმინდა სახე, მერე რა, სარკე რომ არ ჰქონდა, აშკარად გადაწითლებული ჰქონდა შუბლი... რაღაც დაუნაწევრებელი ბგერები კივილივით მისწვდა მის სმენას. მოახლოვდა. ახლოს, ძალიან ახლოს მოვიდა, დაკონკრეტდა და თავში დაიდო ბინა ძახილმა: — მამაააა!.. გაახსენდა... ყველაფერი გაახსენდა, როგორ წამოიყვანა გოგონა საავადმყოფოდან. შვილწართმეული დედის მტანჯველი გრძნობით აღსავსე გოგონა, რომელსაც მისი შვილი უნდა ეშვა. — მამაააა. უკივლა ლადოს შვილმა, არგაჩენილმა...

ლადომ თავზე ხელები შემოიჭირა და იყვირა. შეშლილსახიანს გაარდეს ბავშვები პირქუშმა აღმზრდელებმა...

წყალი ჩუჩჩუხებდა და ხეთა შრიალს უწყობდა ხმას. — აქ ლადოს ადგილი არ იყო, მას იქ, ხევნი ეძახდნენ...

მივასწრებ, — ფიქრობდა გზაში. მამქანა თავს არ იზოგავდა (კარგი მანქანა ჰყავდა ლადოს). აი, მოსახვევიც: ლადო გადმოხტა... აღარავინ დახვდა. გულის შემძვრელ სიჩუმეში ორი სულიერი ჩანდა. მაღალ მთებს შორის შავარდენი ირაოს ჭკრავდა და როგორც მზის შვილი — ლაღი და ძლიერი, ღრისეულად ეთამაშებოდა ზეცას, როგორც სწორი სწორს...

გზაზე გონარეული კაკი იდგა — საცოდავი და გზაბნეული. ორი სულიერი გულისშემძვრელ სიჩუმეს შეუერთა და დიდხანს არ მიატოვა...

ეროს თამაში უნდოდა ამ მთების ცასთან და თამაშობდა...

მეორემ არ იცოდა, რა გაეკეთებინა და იდგა...

თველმა შეუბრუნდა — წამალი მოქმედებდა. საკეს მიუჯდა და გასაღები გადაატრიალა...

კაცო ხანდახან თავს ჩაქინდრავდა, გონზე მოსული, დაბუჟებული ხმით განაგრძობდა: — შენ ხომ აზრზე არა ხარ, რადენჯერ მდომებია მეთქვა — არ უყვარხარ-მეთქი. იმასთან რომ დაგინახავდი, ვითიშებოდი, თითქოს მე მართმევდა რაღაცას, თითქოს... თუმცა, მე რა შუაში ვიყავი — შენ ხომ ვერაფერს ამჩნევდი ირგვლივ...

გოგონას ბევრი კონიაკი დაელია და ავადმყოფურად ავარდისფერებულიყო — ნეტა რაზე ფიქრობდა?..

●

ავტობუსიც მალე გამოჩნდა. დაღმართში როგორც კი გადავიდა, მაშინვე დაინახა. გათანგული აღარაფერზე ფიქრობდა... ბურუსში ჩაიკარგა წეღანდელი შემთხვევა. ლიბრი გადაეკრა გონებას და აღარ აწუხებდა. ოპიუმმა თავისი გაიტანა. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც მას სურდა. ამ წუთში კი მისი ნდომა იყო მხოლოდ საკუთარი თავი და, აპა! — იგი ხელთ ჰყავდა! დამშვიდებული, ცივი და ამაყი, ძლიერი და შემაძრწუნებლად ცმაყოფილი. კლდეები ჩამუქებულიყო ვიწრობში. გრილოდა მთაში. მზე ღრუბლებს დაეპყრო... ისე, სხვათა შორის გამოპაყიტებდა მწუფელად. დაბანგულ სხეულს ჰაერი ამჩატებდა — სუფთა, გამჭირვალე — მაგრამ ხელშესახები... ლადომ მაგნიტოფონს აუწია. ყველაფერი წესერიგზე იყო. თითებზე სისხლი შემხმარიყო და აღარ წვეთავდა. თავი სასიამოვნოდ ბაბუებოდა და მას უკვე რაღაც უხაროდა: უხაროდა, რომ მივიდოდა იქ, მასთან და, ირგვლივ ყველაფერი ისევ ხელშეუხები და სუფთა იქნებოდა, როგორც თვითონ სალომე. ეს მოუხეშავი წითელი ავტობუსიც, ფანჯრიდან გადმოყოფილი სამფეროვანი დროშით, ბავშვები რომ მიჰყავდა, ჩაბმული იყო ამ საოცარ, ავადმყოფურ ზმანებაში, რომელსაც ნირვანა ჰქვია... მაგრამ ავტობუსმა შავი კვამლი გამოუშვა და ლადოს ხუხულასავით დაენგრა მხოლოდ და მხოლოდ მისთვის არსებული ჰარმონია. თავი ასტკივდა ისევ და, გავასწრებო, იფიქრა მოღუშულმა...

ო�iოდე ნაბიჯი იყო დარჩენილი მანქანამდე, რომ მოეჩვენა, ავტობუსი გვერდზე გადახტა... მერე ისევ გასწორდა, გალღვა და გაიტყლაპა სიგანეზე. ისევ შეტრიალდა, ფორმა აღიდგინა და მოსახვევში გაქრა. სახსოვრად შავი მძიმე ბოლი და დამწვარი რეზინის სუნი დაუტოვა.

ლადო მიჰყვა...

წითელი ავტობუსი სიჩქარეს უმატებდა დაღმართში. უკანა გამაფრთხილებელი ფარები შუდმივად ენთო, მაგრამ... გავეშებული ხარივით მისდევდა გზას. მზემ გამოანათა და ჩახუთული სიცხე გამოუგზავნა სამყაროს...

ჰმ, როგორ დაჰყავს! — გაიოცა და გაეკიდა. აქ გზა სწორდებოდა. ავტობუსმაც სიჩქარეს შესამჩნევად უკლო.

ის იყო, სიგნალი მისცა, რომ ძლიერს მოასწრო დამუხრუჭება... წითელი ყუ-

თი გზის პირას, ბეტონის ბოძს გაედო ბოლოთი... მსხვრევის ხმა გაისმა... გვერდითა ბოლო და უკანა შუშები ჩამოყარა გზაზე და... წავიდა!.. მართლა წავიდა!

კანკალი დაეწყო ლადოს. წინ მიმავალი კი რვიანებს ხაზავდა და სიჩქარეს უმატებდა დაღმართში. ჩამსხვრეულ ფანჯარაში ქალის თავი გამოჩნდა — სახეს იხოკავდა და თიქოს რაღაცას ანიშნებდა...

— მოსახვევია! — ანგარიშმიუცემლად უყვირა. ქვეითი რიონი მიგელავდა, — მღვრიე, დაუშმენდავი...

ღრიალი აღმოხდა, როცა ასფალტზე-მოთ მარჯვენა მხარე ასწია ნაგვემმა წითელმა ყუთმა და გადატრიალება დაიპირა — მაგრამ ბორბლებით სასწაულებრივად დაასკდა გზას და თავქვე დაქანდა...

— რა ვქნა, — ჩაიჩურჩულა ლადომ. უკვე იცოდა, რომ მანქანას ვერ აჩერებდნენ.

—რა ვქნა?.. — მალე ისევ მოსახვევი იქნებოდა...

კბილები ერთმანეთში ჩაჯდა. შუბლის ძარღვები გადმოსკდომას აპირებდა ლურჯი, უფერული კანიდან. თითქოს სისხლი აჯანყდა... აღარ უნდოდა, ამ გვამში დაყოვნება. მოწამლულსა და დაავადმყოფებულ სისხლს ეწადა, რაღაც ღვთიური ძალა ეპოვნა, რომ დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა სხეულისათვის. ხელები ცივმა ოფლმა დაუნამა და დაღლეტილი ნებები მწარედ აუწვა...

— ლადო, გაგიჟდი? რას აკეთებ, შე... გააჩერე ახლავე, გესმის? გააჩერე! გააჩერე, გადმოვიდე და, რაც გინდა, ის გიქნია...

— გვერდით კაცო იჯდა!.. მისკენ გადმოწეულიყო და საქესთვის ჩაეჭიდა ხელი... — გააჩერე-მეთქი! რას უზამ ამ მანქანით... რას უზამ-მეთქი?! ამით გააჩერებ? — პასუხად ლადომ მუშტი ხია ყბაში. ხელმა ჰაერი გაჰკვეთა. ფანჯრის იქიდან ხითხითი გაისმა: — მირტყამ კიდეც. ბიჭო? — ჰა- ჰა- ჰა-ჰა!..

— მერე? მერე... სიზმარში გადაბტარხართ სიმაღლიდან? კი? ძალიან კარგი. ამა გეცოდინებათ, რა ვრთხიანაც არის. მართლა, ამ დროს იზრდებიო, — ამბობენ...

მარჯვნიდან უხელთა დრო. გზისპირს მტკვერი აადინა და სანამ გასწრებდა, ყურში ჩაჰჯდარმა კივილმა თავის ქალა ახადა: — მამაააა!..

„მომკლავს“, — გაიფიქრა და მუხრუჭს დაეწვა. სარკეში ხედავდა, როგორ მოექანებოდა დიდი, უსაზღვროდ, დიდი წითელი სივრცე — როგორც ტრამალი მონღოლისგან გადაბუგული... სარკე რომ დაფარა, ჯახანიც გაისმა... დარტყმამ სავარძლის საზურგეს თავით მიანარცხა. წინ შუშა ააფეთქა და მინის ნამსხვრევებით აივსო სალონი...

— არ მტკენია, — ანგარიშმიუცემლად გაიღიმა და ისევ დაამუხრუჭა... ჯახ... საქეს მისკდა... თითქოს სხვას, მას კი არა, სხვას დაულეწეს ნეკნები. — ვერაფერი იგრძნო...

ლადო გამხეცდა... ვითომ არაფერი მოახდარა, ისეთივე სიჩქარით მოდიოდა წითელი კუბო...

მუხრუჭი... ჯახანი... გადაგდება გვერდით. მანქანა მანქანას აღარ ჰგავდა, მაგრამ გაცოფებული ბრდღვინავდა...

მუხრუჭი... დარტყმა...

აღარც უცდია მეტი თვითონ. წითელმა მასამ იცოდა თავისი საქმე... კიდევ ერთხელ დაარტყა... ლადოს კეფაში ურო ჩასცხეს... მიწოლა იგრძნო... საქეს სწვდა და ანგარიშმიუცემლად დაატრიალა. მანქანის წინა მხარემ ზევით აიწია და ლადომ ღრუბლებს იქით მზე დაინახა ისეთი, როგორიც იყო — დიდი, ბებერი, კეთილი მზე წითელ ბურთად გადაქცეულიყო — სისხლიან ბუშტად...

იგრძნო, რომ მოდიოდა...

მოდიოდა...

წითელმა ხარმა ნედლი ბალახივით ჩაიხვია მანქანა ნელ-ნელა..

ლაშა ხეცურიანი
ვინ არიან ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდა და მისი გამჩერებელი არ გაჩენილიყო ჯერ დუნიაზე...

...თავი დაღუნა რაღაც მძიმე და ძლიერმა... ალბათ, მზე იყო. საჭეს სისხლიანი საფეთქელი მიაჭირა და მიაწვა...

სიჩუმე ჩამოვარდა...

ვარდის წითელი ფურცლები დარიალებდა მანქანაში. დაჭყლეტილი ვარდის გადარჩენილი ფურცლები...

არა, მას არაფერი სტკენია...

— შეშინებული იყო და, ალბათ, იმიტომ კიოდა. მოტეხილი არაფერი აქვს, ხელიც გავუკერეთ, — იღიმებოდა ჩაკურტებული ექიმი. კაცი აღაღდაყებულიყო ბედნიერებისაგან და „ლუქსის“ კოლოფს ჭმუჭნიდა. ერთი სული ჰქონდა, როდის მიეფერებოდა ბიჭს...

●

— გაეთრიე აქედან! — დაიკვნესა გოგონამ. კაცო წამოიწია, ხელი მკერდზე მოუთათუნა და ტუჩებში აკოცა...

გოგონა გაისუსა...

— წავედი, — თქვა კაცომ. მაქვს დაძაბუნებული ხორცი... დაღლილა. ცივი ოფლი ასხამდა... ბეში ჩაეს გაბინთულ ხელს უჭერდა...

●

წაბლისფერთმიანმა ბიჭუნამ, დროშა რომ ჩამოიტანა დაბეგვილი წითელი ავტობუსიდან, დრო იხელთა და ნამანქანართან მიიპარა. მისმა ცნობის მოყვარე თვალებმა რაღაც უცნაურ, მანქანაში ჩაჭყლეტილ საგანზე დაფარებული თეთრი პირსახოცი დაინახა, შუაში რომ შუქდებოდა მზისფერი სისველით. მასწავლებელმა — გაფითრებულმა, მაღალმა ქალმა სასწრაფოდ მოაცილა იქაურობას. ბავშვიც წყნარად, ხმის ამოუღებლად გაეძართა დანარჩენებისაკენ — მხარზე სამფეროვანი დროშა გაედო და სოცრად სძულდა წითელი ავტობუსი.

კაცები კარის გაღებას შეუდგნენ...

...მას კი არაფერი სტკენია, უბრალოდ, ვერ იგრძნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდოვანება თითქოსდა აკლდა
ცხოვრებას ჩემსას ისეც ბუნდოვანს,
თვალებში მოჩანს ფიქრის აკლდამა
და დრო, რომელიც ისევ უნდოა.

დამაიმედებს შრიალი მუხის
და სიაწლოვე ბებერ კოპიტის,
როცა სოფელში ვრცელდება მწუხრი
დიდი სინათლის უარყოფისთვის.

სურნელით ვიცნობ ასკილის ყვავილს,
ისიც ხომ ჩემი მოიმედეა,
აქ ბედნიერი მგონია თავი
და რომ მგონია ესეც ბედია.

აქ ცხოვრობს ჩემი ბებერი ჯოტი,
სოფლის სატკივარს ღამით გაჰკივის,

ყველა ტკივილი ხომ ღამით მოდის
და იფესვება გულში ჯაგვივით.

დაღამებული სიტყვების კენესა —
დღევანდელობის არის გულის ხმა,
მეც ჩემს იმედებს გულდასმით ვაკემსავ,
თუმც მოდის ჟამი სინანულისა.

სხეული — რიყე ცოდვილი ძვლების,
საით ან ვისკენ მიემართება?!
ზოგჯერ საკუთარ გულშიაც ვძვრები
რათა ვიხილო მისი ნათება.

ამ ხეტიალში ჩამესმის მუხის
ნაცნობი ხმა და სუნთქვა კოპიტის,
რომ ყველა მხრიდან ვრცელდება მწუხრი
და სურვილები მხოლოდ ყოფითი.

•

როცა ჩათბუნებული ვწევარ
და გარეთ ყინავს,
როცა მახსენდება
რომ შენ ცივ მიწას შეეზილე,
მრცხვენია...

ახლა რომ ვიხსენებ, მიკვირს,
როგორ დაპატარავდი, გაილიე
და რა უჩუმრად დაიმალე ხსოვნაში.

ისე თანდათან ქრებოდი თვალწინ,
თითქოს ნელა ჩადიოდი
ბნელ უფსკრულში ჩაკიდულ კიბეზე...
მერე უკვე აღარ მოჩანდი.

არასოდეს ჩაგქრობია თვალებში
კეთილი ღიმილი
და არც წასვლის შეგშინებია.

ერთხელ ისე მომეფერე,
ბებრული ხელი ისე მომხვიე
და თვალებში ისე ჩამხედე,

მიეხვდი, უკვე წასასვლელად
ემზადებოდი
და სამუდამოდ მიმახსოვრებდი.

სად წაიყოლე ჩემი გაკვირვებული სახე,
რად გინდოდა ჩემი დამახსოვრება?!

ისე ამომხედე,
შემოდგომის ფოთოლი რომ ახედავს
კენწეროს,
ფოთოლი, რომელსაც ბეღურის
ფრთისაც ეშინია.

ახლა რომ ვფიქრობ,
თითქოს შენ კი არ იმახსოვრებდი
ჩემს სახეს,
არამედ შენ დამამახსოვრე
თავი შენი ჭაღარით შემოსილი
და თვალები ლოცვით აღსავსე.

თვალებში რომ ლოცვა გიკრთოდა
ისე ღრმა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ ლოცვას ვერ ცვლერთი სიტყვა
ვერ დ-ტეკვდა,
რადგანაც მეხი უსიტყვო ლოცვა
იყო დუმილზე და სიტყვაზე
რაღაცით ძ�e.

პირველ-დ ძაშინ დავინახე
შიშველი სული თვალებიდან
გამომზირალი.

●

ეს სიყვარულიც ჩაიკლის ალბათ,
ჩაიფერფლება მზის დალღები
და მარტოობის ცარიელ დარბაზს
ჩაბნელვირეს ჩემი თვალები.

ჩაქრება შენი ქოქთა მაჯა
და ოფოფიჩენ თვალებდაბრილი,
რომ შეიხე ძიტად მიზდავს ტანჯვა
და სიყვარული მხიბლავს ცალმხრივი.

ამიტომ ვრჩები გაწყრულ გემზე
და ყოველ წუთში ჩიფთს მოველი,
დიახ, სიტყვას და დუმილს შორის
გაიელვებს თვალებში სივრცე
სადაც მხოლოდ სული კიაფობს.

და მე ახლა ვწევარ ჩათბუნებული,
გარეთ ყინავს
და მახსენდება, რომ შენ ცივ მიწას
შეეხილე
და მე მრცხვენია.

ქამი სინანულისა

კერ ვეგუები დღესასწაულებს,
ძღლის ლხენ,
ანდა ძლიერ მანაღლიანებს...

და თუ მაინც ამიყოლია
ძოჩვეხებიმა ბედნიერებამ,
მე მრცხვენია იმ წუთების
ბედნიერებას რომ მანიეგბდნენ,
მე მრცხვენია ეზრუნველი დღეების
გამო.

●

მე არ გიცნობდი, რომ შეიმესმა
შენი ფიხლსმა და სუნთქვა შენი
და ძვირდი, ჩემთან მოხვალ ოდესმე,
ოგორც წყარასთან მწყურვალე
შველი.

სასწაულია რომ ამასრულდა,
ძიბოვე როგორც მზის სხივმა წვეთი,
ახლა ჰაერიც აღსავსეა
განწირულთა ამონაკვნესით
და მზე რომ ჩადის,
თითქოს ბინდი
მილიონების თვალებიდან მოიპარება.

მე ვერ მოვიცლი სიხარულისთვის,
ძე არ მიყვარს ბედნიერება,
მე მრცხვენია ბედნიერების!

მე შენი მზერით ვარ დაისრული
და ბედნიერი უცნაურ სევეი.

ამ გზაზე დარდიც არ მოგვაკლდება —
ბედისწერულად თანმდევი დარდი,
შენ სადარდელზე ფიქრობ ნაკლებად,
ოავის ჭკუაზე გატარებს მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რვა ელეგია

I

თითქოს ჰაერიც აღსავსეა გესლით, სიავით,
გაშმაგებული ბოროტების მწარე ეკლებით.
მონატრებია ანგელოზთა ფრთების ნიავი
ხალხს სულშეხუთულს, ხომალდივით სახლთან შეკრებილს.

თუმც შემოდგომის სინანული ჟონავს ფერებად,
ვერ ამჩნევს ხალხი, სატკივარი სხვაგან ახედებს,
შენც, მგლოვიარე ხალხის ცრემლი, შენც მოგერევა,
შენც მათთან მიხვალ უსასოო რომ არ გახევდე.

დღეს შემოდგომა თავისი გზით მიემართება,
ჩვენ ცალკე მივალთ, ვეღარ ვამჩნევთ დროის დინებას,
მიზანი ჩვენი იმ ნატრული დროის მართვეა —
გამუდმებულად რომ ესწრაფის აღორძინებას.

მომენატრება შემოდგომის სულის დახატვა —
დღეევანდელობას აგრერიგად რომ ეხამება,
დარდს უსასრულოს და უწმინდესს რომ გვინახავდა
და გვახსენებდა: „მეგობრებო, ისევ ღამეა“.

II

გადავიღალე გზების ძიებით,
გუნდრუკის კმეკით, სიმართლის
მალვით,
აი, სიმდიდრე — ნამის მძივები,
თრიმლის ატლასი, მტევნები ქარვის.

აი, სიმდიდრე — ხავერდი ხავსის
და ცისთვალება ქათქათა გოგო
და ჩემი დარდი — ნარშავის მსგავსი,
ეკლებს შორის რომ ანათებს კოკორს.
აი, სიმდიდრე და ჩემი ხვედრი,

მივდევ მორჩილად კვლავ უფლის
ნებას,
განსაცდელი კი ყოველდღე მხედნის,
დრო მოცელილი დამიდგა ძნებად.

სად წავალ სხვაგან?! სულ აღარ
ვჩქარობ,
უკან მოხედვას დროდადრო ვცდილობ,
დროზე გაიხსენ დახშულო კარო
და წამიყვანე ღრუბელთა ჩრდილო.

III

ხომ მდუმარეა დედამიწა, მაგრამ ხანდახან
ისიც კი კვნესას, მიწის შვილებს, როდესაც უჭირთ,
მეც ჩუმად ვდარდობ და არ ვიცი ახლა სადა ხარ,
თანდათანობით ვეგუები ცხოვრებას დუჭირს.

დუმს დედამიწა, მაგრამ იგი სიტყვების ნაცვლად
ბადებს ყვავილებს და დუმილში ამწიფებს ნაყოფს,
რაც შემოდგომის ცივმა ქარმა აქცია ნაცრად —
სურს გაზაფხულის მთა-გორებმა ხელახლა ნახონ.

ჯერ შემოდგომის მოლოდინში დადუმდა მიწა,
განსაცვიფრებელ მდუმარებას კვლავ აფერადებს
და ხის ტოტებში ჩამოღწეულ სხივების ფიწალს
მიაყვება თვალი უსასრულო აღმაფრენამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან გვგონია — მიწა უნდა დუმდეს მარადის
და არც კი ვფიქრობთ, რომ ტყის ხმები მისი ხმებია,
მე გავიგონე მიწის კვნესა, როცა ვბარავდი,
დარდი იმაზე, რომ ფოთლები ისევ ხმებიან.

ამოუხსნელი დარდი მიწის — ჩვენი დარდია
და მიწა ჩვენი ბაგეებით მეტყველებს მაშინ,
როცა მართალნი ამ ცხოვრების გზებზე დადივართ
და მშობელ მიწის ხმას შევიცნობთ საკუთარ ხმაში.

შენც მოარული მიწა ხარ და მიწასვე ელტვი,
როცა ბალახის ქათიბს ნატრობ, ვით მშობლის კალთას,
იქ ჩაშლები სიარულით დაღლილო ბელტო,
სველი ფესვები შეგხვდებიან სამარის კართან.

IV

შებინდებისას მოფრინდა გვრიტი
და გაღიღინა მთვლემარე ტოტი.
შენც ასეთივე სიხარულს მგვრიდი,
როცა მკლავებში გვრიტივით ორთოდი.

დღეს კი მიყურებს ერთგული მიწა,
მარადიული აკვანი ჩემი.

მეძახის, თავის წიაღში მიწვევს,
მე კი, რატომღაც, ცოცხალი ვრჩები.

ვის უცდი გულო, მოელი ვიღას?!
სხვა უკეთესი არავინ მოვა,
ივლი და ბოლოს იმ გზასთან მიხვალ
ერთად რომ სუფევს ლხინი და გლოვა.

V

ბოლოს ყველანი აქ მოხვალთ ნებით
და სიმარტოვის სივრცეში, ჭაფნი,
თქვენ აღმოაჩენთ სიცრუეს ენებს
და უაზრობას დაღვრილი ოფლის.

ჯერ კი, მორჩილნო — ამღვრეულ სისხლის,
ცოცხლობთ კითხვებზე პასუხის ძებნით
და როცა ყოფას შეხედავთ ზიზღით,
მაშინ ყველანი აქ მოხვალთ ნებით.

აქ, კვიპაროსის ცისაკენ სწრაფვა
ისე წაგაგავს ბავშვობის სურვილს,
რომ ვირიდები და სმენას ვძაბავ,
რადგან ზღვასავით ლივლივებს სული.

ისევ ვიზრდები ამ ზეცის ქვრეტით
და თვალებიდან ვასხივებ ლოცვას.

ღიმილი — ჩემი თვალების მტრედი,
მიკრავდა ზეცას მოვწყდები როცა.

ბოლოს აქ მოხვალთ, უარყოფთ კაბათს,
სიტყვამრავლობას, სიშლეგეს ყბედის
და შემოდგომის ნაღვლიან გამას
აღვიქვამთ, როგორც სიმკაცრეს ბედის.

რადგან შეკითხვაც მსგავსია მარტივ
ჭეშმარიტების, დაფარულ არსის,
როგორც ქალწულის ბაგეთა ვარდი
არის მისივე სურვილის მსგავსი.

თქვენი შეკითხვაც შეიცავს პასუხს,
პასუხს, რომელსაც გულდასმით მალავთ,
თქვენი ცხოვრება სიცრუით ფასობს
და თქვენვე განგრევთ სიცრუის ძალა.

VI

ანიყოლია შემოდგომის სივრცეთა სიღრმემ,
ცამ უხილავმა ხილულზე რომ მეტია მარად,
მიეღწეველზე სინანულით გულს ღარ ვიმღვრევ
და თავს ფოთლების სურნელოვან კალთაში ვმალავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალები ჩემი — შემოგდომის ყვავილთა მსგავსად,
გაიშლებიან უკრესლეს ფოთლების გვერდით,
რადგან თვალები ზეცისაა და ზეცით ავსილთ
თავისუფლება ენატრებათ და თავის ღმერთი.

ისევ გაბრწყინდა გასაოცარ წამების წვეთი
და გულისგულში დაკრისტალდა ერთადერთ სიტყვად —
მიყვარხარ მარად, რა შევიძლო ამაზე მეტი
და სიყვარულზე უმჯობესი რა უნდა გითხრა.

რადგან ცხოვრება უჩემოდაც თავისით მიდის —
თავისუფლების წყურვილით და გზა-კვალის ძებნით,
მე კი შენს სახელს ვიმეორებ უწმინდეს რიდით,
ვიზრდები ცაში, თუმც მიწაზე ერთ ადგილს ვტკეპნი.

ვჭრძნობ, რაც არ მოჩანს რომ არსებობს ხილულზე მეტად,
სასოწარკვეთილს ის აღანთებს და შველის მარად,
ვლოცავ ნაღვლიან შემოდგომას — ჩემს კეთილ დედას
და თავს ფოთლების სურნელოვან კალთაში ვმალავ.

VII

სიჩუმეს ისე ეფერება ლულუნი გვრიტის,
მისი სიმღერით მონუსხული ფოთოლი წყდება,
ისე მსუბუქად უბრუნდება სამყაროს დერიტას,
თითქოს მიწისკენ მიაფრენდეს უსაზღვრო შვება.

VIII

მწამს თვალებიდან გამომზირალ მდუმარე კვნესის,
შემკრთალი ვუმზერ უცოდველთა უმანკო სწრაფვას,
რადგან ამ ქვეყნად კვლავ მძვინვარებს ღვარძლი და გესლი
და ყველა ჩვენგანს სიხარულით უმზადებს საფლავს.

მოვიდა ჟამი?! იქნებ, ჟამი მოვიდა უკვე
და ჩვენ ყველანი, ვინც ვერთობით შორიდან ჭვრეტით
და ამ ცხოვრებას მოჩვენებითს — გუნდრუკს რომ ვუკმეევ,
საით მივდივართ საკუთარი საფლავის ჭვრეტით.

ვიდრემდი ჩვენში ძველისძველი ბატონობს შიში,
რომელმაც ყველას სამოსელი გვიბოძა მონის,
დაგვაცალკევა ამა ქვეყნად როგორც კი ვიშვით,
დღეს, უბედურნი, ერთმანეთის ცოდო-მადლს ვწონით.

ის, ვისაც ახსოვს ალესილი ნიჩბების ბრწყინვა,
ის, ვისაც ახსოვს ტანკები და წყეული შხამი,
ვერ მალავს გულში ჩაგუბებულ ცრემლების წვიმას,
ვერ მალავს თვალებს ამოკოლილს აპრილის ღამით.

გაიხსენ ცაო, განბანილო უცოდველ სისხლით,
გამოგვიჩიხე გზა, რომელიც არ მოჩახს დღესაც;
მხოლოდ სიკეთით, მხოლოდ ლოცვით და არა ბიჭღით,
კვლავ იხედება თვალებიდან მდუმარე კვნესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეცნების პრაქტიკული

რომანი

— დავლიოთ — არ ცხრებოდა მალაქია.

— არა, არა! — მტკიცე უარი განაცხადა მორჩილამ. — მე ახლა სასტუმროში ვჯდები, ჩემს დიდ ზურგჩანთას შეშანფელ ხაკაში ჩავიბარებ, პაპანას წამოიღებ და იმიანად გადავეტყტები!..

მალაქიას მარილი გაუკეკრავა სტუმრის ნათქვამი. თავი მოიქექა. — შენ აღარ ხუმრობ! — ჩაიბუტბუტა და ტალანი დათხუპნილი თავსახვევი შეისწორა. მერე თავი გაკეკნა და თქვა: — თუმცა, რად გინდა შენი ზურგჩანთა — დაიკარგოს თუნდაც!.. ხაგზალი ჩემზე იყოს!

— არა, არა! — ისევ იუარა მორჩილამ, — ზურგჩანთაში მშვენიერი კონსერვები მაქვს და ბევრი ისეთი ხაკარო ნივთიც, მოგზაურს რომ გამოადგება და ჩამოთვლილთ-კი ვერ ჩამოთვლი...

— კარგია! — თქვა მალაქიამ და შეზეიეული თავის უსახე განაგრძო. — თუ არ მატყუებ, ყოჩაღ!..

დალაქმა ხტუმარი წინკარამდე მიაცილა, ეზოში აღარ გაჰყოლია, თან დაარიგა, — მეთორმეტე და მეოცე ნომერს არ გაუმა ლაპარაკი!.. ადმინისტრატორს უთხარი, მიგდევარ-თქო — მორჩა და გაოცებდა, გიოგე?..

— გავიგე! — თქვა მორჩილამ, თუმცა, ვერ მიხვდა, რაგომ არ უნდა დალაპარაკებოდა მეთორმეტე და მეოცე ნომერს, ან ადმინისტრატორს.

ექვნი ხაათი სრულდებოდა...

8

ვითომხსასტუმროს ფოიე ერთიანად მოუთხუპნიათ მლეგავებს. შენობაში კირის სუნი იდგა, თეთრი შეფუფნიათ და მეტრით იყო დაპინდული ფანჯრები, იატაკი, კიბის საფეხურები... ადმინისტრატორის ხაშუშო ადგილი გაზეთებით გადაეფარათ. თვითონ ტატიკოს ხელში ჩვარი ეჭირა, წმენდდა „დასნილ" გალაკულ ზედაპირს და ამოქარაგდა. — ოო! — ისეთი ხიბარულით შეეგება მორჩილას, თითქოს მოუთმენლად ელოდაო. — როგორ ისეირნეთ?

— არა უშავდა! — უპასუხა მორჩილამ. — რეპორტი წამოიწეთ?

— მო! — თქვა ტიტემ. ჩვარი დახლზე დატოვა და გაზეთებს ქვეშოთ შეეძარა. — გახალები ანეებავთ, რა თქმა უნდა! — გამოსძახა სადღაც მაგიდის ქვეშოდან ბაიბურის ხტუმარს.

— დიახ, დიახ! — დაეთანხმა მორჩილა, — ნომერი — თხუთმეტი!

ადმინისტრატორმა მალე იპოვა, რასაც ეძებდა, გამოძვრა მაგიდის ქვეშოდან, ადგა და გახალები მიაწოდა ცეცხლუარეს. მორჩილამ მალლობა უთხრა, მიბრუნდა და „შეთეთრებული" კიბისაკენ გაეშალა.

— მოო! — თავი მოიქექა ტატიკომ და მორჩილას მიაძახა: — ერთი წუთით!.. თქვენ ორეერ ეიკოხეს დღეს და მოხოვეს გადმომეცა...

ამის გაგონებისთანავე მორჩილა კიბის საფეხურზე შედგა, მიბრუნდა და ნელ-ნელა ჩამოპაბიჯა. არ ესიამოვნა ტატეს ნათქვამი. არ იცოდა რატომ, მაგრამ ნამდვილად არ ესიამოვნა ის, რაც ეთქვა... მერე მალაქიას დარიგება გაახსენდა მეთორმეტე და მეოცე ან ადმინისტრატორს ლაპარაკი არ ეკუთვნ.

— რა გადმოგაცეს? — თავისი აზრით, მოკლედ მოკრა ხაუქმეული მორჩილამ.

— ნივთი კი არ გადმოეცეთ! — მოიღუშა ადმინისტრატორი, — აქ, ჩვენთან მეთორმეტე ნომერში ცხოვრობს დარბაისელი, ოვან ბეკეთხაო... მოხოვა, თქვენთვის გადმომეცა, რომ მოგენახულებინაო, როცა თავისუფალ დროს გამოსხავდეთ.

— კეთილი, გმადლობთ! — თქვა მორჩილამ, თავი დაუქნია ადმინისტრატორს. მობრუნდა და ეიარა კიბე. ამბრეგებას ბევრი დრო არ დასჭირვებია. დათრია თავისი ზურგჩანთა... და ორ წუთში ადმინისტრატორთან გაჩნდა. მოღუშული ტიტეკი ისევ დახლის ზედაპირს აპრიალებდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. მორჩილას დანახვაზე გაოცდა. უნდოდა შეკოხეოდა რაღაცას, მაგრამ ცეცხლუარეშმა არ აცალა და მოკლედ მოუპრა: — დღესვე მივემგზავრები. პასპორტი დამბრუნეთ, ბეთაუკა!

— კი, ბატონო! — დაიბნა ტიტეკო. — კი, ბატონო! — გაიმეორა და შეძვრა ისევ მაგიდისა და გაზეთების ქვეშ. რაღაცა გააჩხაკუნა.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცა გააბრახუნა და წამოიმართა პასპორტი ხელში. — ინებეთ! — მიაწოდა მორჩილას და ენა დაება თითქოს. — ეეე... რატომ აჩერდით?

— ფოსტიდან დავრეკე თბილისში. ხასწრაფოდ მიბარებენ დირექტორატში. — ისე მკვირცხლად შეუთბუნა პასუხი მორჩილამ, რომ თვითონაც გაუკვირდა და პირიც კი დააღო (მოეჩვენა, რომ ტყუილი მან კი არა, სხვამ თქვა; ვიღაცამ მასში თუ მის გვერდით მყოფმა... მიიბეგ-მოიბეგა კიდეც). მერე გონს მოეგო და პირი მოკუმა.

არანაკლებ გაოცებული ჩანდა ადმინისტრატორი, რომელიც ამარგებელმა სტუმარმა თავისი საკეთილო ლამის დაამუნჯა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — ხელი გაუწოდა მორჩილამ ტატეს.

— კარგად, კარგად! — „დახლიდან" გამოვიდა ადმინისტრატორი და სასტუმროს სადარბაზო კარამდე მიაცილა გასასტუმრებელი.

დამშვიდობებისას ვითომ სხვათა შორის ჩაეთხა (ცოტათი ენა დაება მაინც), — ეეე... დარბაისელი თუ ხართ?

— რა ბრძანეთ? — გაიკვირვა მორჩილამ. — მოო... არა!

— გენახათ! ლამის შეეხვეწა ადმინისტრატორი.

— ვწუხვარ, მაგრამ ძალიან მეჩქარება! — მოიკაუჭა თავი მორჩილამ. — მატარებლის ბილეთი ჯერაც არ ამიღია.

— მოასწრებთ! — არ მოეწვა ტიტიკო. — შემიძლია დავრეკო სადგურში. ნაცნობი მეყავს. დავიბეგებთ... ბილეთს დავიბეგებთ და დროც გამოგითავისუფლებთ...

— არა, არა! — იუარა მორჩილამ. — სხვა დროს...

— როდის სხვა დროს?! — გაიკვირვა ტიტიკომ.

— რა ვიცი! — დაამთქნარა მორჩილამ. — სხვა დროს იყოს!.. ახლა კი ნამდვილად მეჩქარება.

„სტუმარმა" „მასპინძელს" ხელი ჩამოართვა და კიდევ ერთხელ დაეშვიდობა. მორჩილას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ადმინისტრატორს მისი ხელის გაშვება არ უნდოდა — ლამის ეწეოდა თავისკენ. ხახეზეც ისეთი შუდარა ეწერა, რომ მორჩილამ გაიფიქრა: — ტიტე თუ ყველს სტუმარს ასე გულ�რეკილები აცილებს, დიდხანს ვერ იცოცხლებსო.

სადგური აჭეთ არის! — დაუთახა ტიტემ ქუჩაში. გასულს, რომელიც დასწავლილი გეზით პირდაპირ მალაქიას სახლისკენ გაეშურა.

— რა ბრძანეთ? — შედგა მორჩილა, დაიბნა, თავი მოიქეცა და თქვა, — მო, რა თქმა უნდა!.. მერე მიბარუნდა და ნაჩვენები მიმართულებით წავიდა.

ზურგჩანთამოკიდებულმა მოგზაურმა ... თუ ოთხი კვარტალი გაიარა სადგურისკენ. ... სი აზრით, ადმინისტრატორის თვალის ... ვად)... მერე შედგა კუთხის სახლთან და სასტუმროსაკენ მიიხედა, რატომღაც ეგონა, რომ ტატე ქუჩაში დადგებოდა და თვალთვალს დაუყენებდა. სასტუმროსთან არავინ ჰგვანდა.

მორჩილამ შეუხვია გადამკვეთ ქუჩაზე. ქალაქში ორიენტაცია შეეძლო (ჩამოსულთანაც-ვე აფელი ალილი ბაიბურის განაშენიანებას)... რამდენიმე ქუჩა გადაკვეთა ხან მარკვნივ, ხან მარცხნივ და გეზი თანდათან მალაქიას სახლისკენ აიღო.

ღამდებოდა, თუმცა ბაიბურის დროით შვიდი საათიც არ იქნებოდა.

»

— რამდენს იწონი? — მისელისთანავე ჰკითხა მალაქიამ მორჩილას.

— რა ბრძანეთ? — როგორც ყოველთვის, ბგერან გამოიტეკვა (ეცეწლეფარეში. — მოო, ეგრანეს, ოთხმოც კილოგრამს... ყოველ შემთხვევაში, ოთხმოც კილოგრამს ვიწონიდი ერთი თვის წინ!..

— კეთილია! — თქვა მალაქიამ და ხელები მოიფშვნიტა. — დაჯექეი, გიერთე. უფრო სწორად, ჩეს ბიჭს მოუსმინე — გაგართობს.. ხანგრ დიახალისი საგზალ გაგიმზადებს. შეშ წვარი ქათმით უნდა გადაგიხრილოო!.. ბა-ბა!..

მალაქიამ გულიანად გაიცინა, მბარნე ხელი დაუტაკუაუნა სტუმარს, ზურგჩანთის მხსნელი მიეშველა. იატაკზე დადებამდე მორჩილას ტვირთის სიმძიმე მოსინჯა ხელით; მერე ძირს დაუშვა ფეხებთან, უკმაყოფილოდ გააქნია თავი და იკითხა, — ზურგჩანთა რამდენს იწონის?

— ოცი კილოგრამი იქნება, — დაეკვეთით თქვა მორჩილამ. — ოცი კილოგრამის ზურგით ტარება არ მიგია.

— ყველფერი მიგაკვს? — ჰკითხა მალაქიამ მოგზაურს და ჩანთაზე ანიშნა.

— ყველფერი? — დაბეგდა ჩანთას მორჩილამ. — მო, მიმაკვს!.. ამაში რაც აწყია, ყველფერი საკმაოა.

— კარგი, ორ წუთში აქ გავჩნდები. მანამდე ჩემი ბიჭი გაგართობს. მალაქია! — გასძახა მასპინძელმა მერმე ოთახის ფარდაჩამოფარებულ შესასვლელს.

ფარდა გაიხსნა და ოთახში პატარა ბიჭი შემოვიდა — ციკანა-მალაქია... ბიჭი დინჯად გაუსწორდა სკამზე მჯდარ სტუმარს და სალამი მისცა.

პატარა მალაქიას გამორჩენისთანავე მამამისმა დაიგლო ხელი სტუმრის ზურგჩანთას და ბრაზბრუნით ათრია მანსარდაში... როგორც კი დალაქი თვალს მიეფარა, სამზარეულოდან მალაქიას ცოლი გამოვიდა, მორჩილასთან ახლოს მივიდა, ჯიქურ შეხედა (მორჩილა ფეხზე

წამოიმართა, მიხალმება დაუპირა, მაგრამ ვერ მოასწრო და უთხრა: — მომეცით პირობა, რომ არ გაგვიკვეთმთ!

— რა ბრძანეთ? — დაიბნა სტუმარი.

— ვისაც არ უნდა ჩაუკარდეთ ხელში, არ დაგვაბეზღოთ!.. მომეცით პირობა!..

— რასაკვირველია, მაგრამ... — მორჩილამ უხალავი განსაცდელი იგრძნო, — ვის უნდა ჩაგუკარდე ხელში, ქალბატონო?..

— სულ ერთია, ვის! — თქვა ქალმა. — მომეცით პირობა!

— პირობას გაძლევთ! — ამოღერღა მორჩილამ.

— თუ არ იტყუეთ, მაშინ... — მოიღუშა ქალი. — მაშინ, გზა დამალოცნია...

მამაკაცს ცოლი მიბარუნდა და ისევ სამზარეულოში გავიდა.

— გმადლობთ, — ჩაიბუტბუტა სტუმარმა, დაჯდა და თვალი გაუშტერა კედელზე ჩამოკიდებულ დიდი მალაკის ფოტოს.

— თუ იცით, რა არის ყველაზე ძნელი ადამიანისათვის? — გამოაფიზმლა ციცქნა-მალაკის შეკითხვამ მოგზაური.

— ა?! — შეხერხდა სკამზე მორჩილა, ბიკს შეეხედა და შეკითხვა გაიმეორა. — ყველაზე ძნელი?

— მოო, ყველაზე ძნელი! — დაუქნია თავი ბავშვმა, ფეხები გაჭრა გადგა, გულისკენ დაიკრიფა, თვალები დახუკა და ჩურჩულით გაიმეორა: — ყველაზე-ყველაზე ძნელი!..

— მოო! — თავი მოიფხანა მორჩილამ და ფიქრს მიეცა.

— სულ ერთია, სწორ პასუხს ახლა ვერ მოიფიქრებთ! — წინასწარ ყოველგვარი იმედი გადაუწერა სტუმარს ბიკმა.

— ვითომ რაღაცმთ? — ყასიდად იწუნა მორჩილამ.

— ჭკვიდე თუ არ გიფიქრიათ, ახლა ასე უცაბ ვერ მოიფიქრებთ! — გაიცინა ბიკმა.

— ბიკოს! — გაუკვირდა ციცქნა-მალაკის ნათქვამი მორჩილას. — მაშინ მითხარი და მეცოდინება! — გაუღიმა პატარა თანამოსაუბრეს და ესაღიდან ხელი მოუთათუნა.

— ეგეტაკეთ, თუ დაიხსომებთ! — სავსებით სერიოზულად დაჰპირდა ბიკი,

— რა თქმა უნდა, დავიხსომებ, — „დიინტერესდა“ სტუმარი.

— ყველაზე ძნელი? — თითქოს თავის თავს შეეკითხა ციცქნა-მალაკი. პატარა კაცივით ხელები ზურგს უკან წყიდო, თავდახრილმა გაიარ-გამოიარა (ბოლოს სცემდა). მერე შედგა სტუმრის წინ და უთხრა ხმადაბლა: — ადამიანისათვის ყველაზე ძნელია, იყოს ბოლომდე პატიოსანი.

მორჩილას ლაბის ენა დაება გაოცებისაგან (რაც მართალია-მართალია, არ ელოდა პატარა ბიკისაგან დაზეპირებულ სიბრძნეს).

— ეგ ვინ გასწავლა? — შეეკითხა მორჩილა. უხერხულობის გასაფანტად.

— მამამ! — არ დაუფალა ციცქნა-მალაკიმ.

— მამაშენს ვინ ასწავლა? — არ მოეშვა სტუმარი.

— ბაბუამ! — არც ეს დაუმალავს ბიკს.

— იმან? — ფოტოზე მიუთითა მოგზაურმა.

— მო! — თავი დაუქნია ციცქნა-მალაკიმ.

— მოოო! — თავის ფუბანა დაიწყო სტუმარმა, რომელსაც ისევ უხერხულობა დაეუფლა. უფროსები არ ჩანდნენ. დუმილი ისევ მორჩილამ დაარღვია.

— რა უნდა გამოხვიდე, რომ გაიზრდები? — ახალი „სასუბრო თემა“ წამოწყო კაცმა.

— პრეზიდენტის! — თვალდაუხამხამებლად უპასუხა ბიკმა.

— რა ბრძანეთ? — დროზე ვერ მიხვდა ნათქვამს სტუმარი.

— პრეზიდენტის! — გაუმეორა ბიკმა. — ბახ-ბახ-ბახ! — დაიკვარა მთელი ხმით, რამდენჯერმე ახტა-დახტა კიდეც, რომ სტუმარი თვისი არჩევანის სასწორეზი დაეჩაწონებინა... ციცქნა-მალაკიას „ბახ-ბახ“-ის ძახილი და ახტომა-დახტომაში უნებლიედ მარცხი მოუვიდა და ისევდაც „დარტყიანებულ“ მსმენელს ლაბის ბოლო მოუღია.

მორჩილამ ჰარაფერი შეიმჩნია... ბიკს კი ძალიან შეერცხვა, ალარ იცოდა, რა ექნა... ბოლოს ნელ-ნელა, თავჩაღუნული გაიძურწა და ფარდის იქით მიიმალა.

მორჩილა სკამზე შეხერხდა და გონს მოეგო. მოათვალიერა ოთახი. ყველაფერი ჩვეულებრივ მგავდა, ხალიჩაზე მიკრული დიდი მალაკის სურათი რომ არა. ისეთი შოამეტდილება შეექმნა, თითქოს მალაკის მამის ეკვიანი მზერა მისკენ იყო მიმართული. უხერხულად შეეშმუშნა და ტახტზე გადაჯდა, ფოტოსკენ ალარ გაუხედია (დარნმენებული იყო, რომ ისევ ისე მოეჩვენებოდა, როგორც წეღან და ალარ გაიხედა).

მანსაოდიდან მალაკია ჩამობრახუნდა და სტუმარს მოკლედ მოუკრა: — ავიდეთ!.. რაკი საჭიროა, უნდა იცოდე!

ავიდნენ.

— მგონი, გითხარი კიდეც, — თქვა მალაკიამ, პარაშუტის ფუთა მიიხუტა მკერდზე, — საუკეთესო პარაშუტია!.. ამით მე ეაპირებდი დაშვებას.

— კი, ნათქვამი გაქვს, — მიუგო მორჩილამ და დაადოთქნარა.

— შენ რა, გეძინება? — მოიღუშა მახაინძელი.

— არა, სულაც არა! — იუარა სტუმარმა.

— ბაბიურელების სენი გადაგედგა? — გაიცინა მალაკიამ და პარაშუტი კატაპულტზე შემოდო.

ვგონებ, მართლა ეგრეა! — თქვა მორ-

ჩილან, ისევ დაიპარა დამთქნარება, მაგრამ მასპინძლის სიტყვებმა გადაფიქრებინა.

— ნაყრძალში მარტო საგზლით გადახტები! — დაბეჯითებით თქვა დალაქმა.

— რატომ? — გაუკვირდა მორჩილას, — მერიდა, ზურგჩანთა?

— მძიმე ყოფილხართ!.. კატაპულტი ცენტრის ზღვაზე, მაგრამ ტვირთი რომ უფრო მსუბუქი იყოს, ანუ სჯობია. მამაბერმა გამოთვალა და უნდა დავიჯეროთ... ასე რომ ჯერ შენ გადაგასვრი შემჭვარი ქობილი, მერე კი რამდენიმე წუთში შენს ზურგჩანთას მოგაყოლებ... პირდაპირ ხელებში ჩაგიგდებ, თუ მზად დახვედი, ბიჭ!.. თუ არადა, დილით მოძებნი ორმოცდაათი მეტრის რადიუსში (დაკარგვით არ დაიკარგება, ნუ ეშინიან!..).

— ჰოოო! — არ ეკუთნაკა მორჩილას მალაქიას ნათქვამი.

— კარგი ახლა, ცხვრის ნუ ჩამოუშვებ! — წაჰკრა ხელი მალაქიას შინაურულად. — კატაპულტის ორჯერ მომპართვას ერთხელ მომპართვა სჯობია, მაგრამ, როგორც ხედავ, საჭიროება მოითხოვს და პირიქით უნდა გავაკეთოთ. მამაჩემს უნდა დავუჯეროთ! ისას არაფერი ეშლებოდა...

მორჩილა დუმდა. თითქოს ფიქრობდა და არც ფიქრობდა.

— ახლა კი ჩავიდეთ! — თქვა მალაქიამ. — მშვენიერი ამინდია დღეს. უკეთესს მამაჩემიც ვერ ინატრებდა.

— მოიცა! — თქვა მორჩილამ და ერთი წერტილს გაუშტერა მზერა, — იქნებ კედელს იქით მართლა ჯობია, მა?

— სისულელეა! — მოიღუშა მალაქია. — შეუძლებელია კედელს აქეთ ასფალტი იყოს, იქით — ჯობი... შენ რა, ხომ არ შეშინდი?

— არა, შიშით სულაც არ მეშინია, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ...მაგრამ გმირობის სურვილიც რომ არა მაქვს?!

— მერიდა, ვინ გითხრა, რომ უმეცრების კედლას გადალახავ გმირობაა,

— რა ვიცი, ახა! გმირობას კი მგავს-და, ალბათ, საშიში რომაა, იმიტომ!..

— სისულელეა! გმირობა კი არა, საკალდებულოც კია, მე თუ მკითხავ... უფრო სწორად, მოვა დრო და საკალდებულო გახდება. არ გჯერა?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს — მჯერა თუ არა! — ისე, ჩიას ბოძებნისათვის სხვა გზას ვერ ვხედავ, მართალი გითხრა...

— მით უკეთესი, ორ საქმეს გაკეთებ ერთდროულად; არა — სამს!..

— სამს?

— სამს! — დაბეჯითებით თქვა მასპინძელმა, ჩაჰკიდა ხელი სტუმარს და კიბისაკენ გაიარა.

კიბეზე ჩასვლისას მორჩილამ მალაქიას ჰკითხა, — გჯერა რომ მაგაშენი ცოცხალია?

დალაქი შედგა. უცბად სახეზე სევდაზეზეობა დაეფარა (როგორც ღრუბლის ჩრდილი გადაეფარება ხოლმე მანამდე მზით განათებულ არეკლილს)... მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამით. უცბადვე გაიცინა და თქვა, — რომ არ მჯეროდეს, არც ამ წერილს დავწერდი. გითხარი, რომ წერილი უნდა გიგზავნო?

— ჰო, კი! — დაეთანხმა მორჩილა.

კაცები სახტეფრო ოთახში ჩავიდნენ. სუფრა გაშლილი იყო. დიასახლისი კალალთის ხელსახოცებს აწყობდა.

მორჩილას უნდოდა ეთქვა, რატომ სწუხდებით, ეს რაღა საჭირო იყოო, მაგრამ ხმაც არ ამოუღია.

— თათები დავიბანოთ! — უბიძგა საამბაზონისკენ დალაქმა ცეცხლფარეშს.

— რა ბრძანებენ? — იოცნოვა გამოთქმა მორჩილამ და თავისდა გასაკვირად „დაბრუნდა"; — მე ხელები სუფთა მაქვს!

— კეთილი! — „დაუთმო" დალაქმა. — მე მოჩვეული ვარ. პროფესია მაქვს ისეთი: ხელის დაბანით იწყება და ხელის დაბანითვე მთავრდება... სუფრას მიუჯექი, ამ წუთში მოვალ!..

მალაქიას და მის ცოლს ერთფეროვლად მოუწიათ გასვლა ოთახიდან. მორჩილა ისევ მარტო დარჩა და ისევ იუბრხლეა დიდი-მალაქიას ფოტოსურათიდან მიმართული მზერა, ერთი პირობა ზურგის შექცევაც კი დაეპარა, მაგრამ რატომღაც შერცხვა თუ ვერ გაბედა...

ოთახში პირველი ოჯახის დიასახლისი შემოვდა, უხმოდ დადგა სუფრის შუაგულში არეული გრაფინი და უხმოდვე გაბრუნდა უკან, სამზარეულოში. მალე მალაქიამაც შემოაბიჯა ხელების ფშვნეტით და სტუმარს რიხიანად მიაძახა: — დაეცხოთ?

— რა ბრძანენი? — გამოერკვა მორჩილა.

— დავსხდეთ და დავცხოთ! — თქვა მასპინძელმა და ერთხელაც მოიფშვნეტა ხელები. — ცოლო, შვილო, სად ხართ? — გასძახა აქეთ-იქით ოჯახის წევრებს.

ფარდა გადაიწია. ციცქნა-მალაქიამ გამოიკუფტა მეორე ოთახიდან.

დალაქის ცოლი სუფრასთან არ გამოცსადებულა. კაცები დასხდნენ.

— დიასახლისს ხომ არ დაველოდებოდით? — იკითხა მორჩილამ.

— არა, არ ღირს! — თქვა მალაქიამ და არაკი ჩამოსახა ჭიქებში.

— რატომ? — არ მოწონა დალაქის ნათქვამი ცეცხლფარეშს.

— თითო დაფლეთთ და მერე გეტყვე! — მალაქიამ ისევ სასმისი, მამამისის ფოტოს გახედა და თქვა: — ეს დიდ მალაქიას გაუმარჯოს! პირველ ბაიბურელს, ვინაც გადალახა უმეცრების კედელი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახინძელმა დალია. მერე უსიტყვოდ ანიშნა სასმისზე სტუმარს.

— მე რუ დამთავრებულ, მალკია! — შეიშმუშნა მორჩილა. — გონება საღი მინდა მქონდეს, თორემ ჯობი შეიძლება მოზაიად მომეჩვენოს... ჰო, მართლა, სიზმარი ვნახე ბუხელ: ითოქოს ნაკრძალში მართლა მოზაიეთ მოპარკეულები დასაშვები მოედანი ყოფილიყოს.

— ჰოდა, სიზმარს აგიხდეს ნახევარ საათში, — გაიჭუკეტინა საოჯახეთი მახინძელმა და გაიცინა. — თუ გინდა, უფრო სწრაფად: ეთქვათ, ხუთ წუთში?!

მორჩილა დაიბნა და გაოცებული მოაჩერდა მახინძელეთს, რომლისაც უკვე უურადღება საჭ�გადაეტანა და გემრიელად ვაჭშმიდა.

— ბიძია, იმანო! — შეაკრთო ბაიბურის სტუმარი ციცქნა-მალკიას ხმამ. — რა არის, თუ იცით, ადამიანისთვის ყველაზე უფრო ადვილი?

— ჰე-ჰე-ჰე, შე ეკუის კოლოფო, შენა! — გაიცინა მორჩილამ და ულიდად მიუალერსა პატარა ბიჭს, რომელიც ჩანგლით შეიარაღებულიყო, მაგრამ არ ვამდა.

— არა, მართლა თუ იცით? — არ ცხრებოდა ციცქნა-მალკია.

— ძალიან ჭკვიანი შვილი გეზრდება, მალკია! — შეაკო მამა-შვილი მორჩილამ და შეკითხვისაგან თავი შორს დაიჭირა.

— თუ იცი — უასუხე! — ოქვა დალაქმა და მეორედ შეიშო ჯიქა, — შენ არ დგებაძალებ!

ალბათ, ციცქნა-მალკიამ წინასწარ იცოდა, რომ უცნობ „ძიას" ჩაჭრიდა ამ შეკითხვით, მაგრამ ცოტა ხანს მოიცადა! დარწმუნდა, რომ „ჩაჭრა" და ახსნა-განმარტება დიწყად ჩაიწიკწიკა: — ყველაზე ადვილია ოვალების დახუჭვა.

კაცები დუმდნენ.

— ეს ჩიას გაუმარჯოს, შენს ნათესავს! — თქვა თამადა-მალკიამ, — თავისნაირქვაბა კაცი იყო, მაგრამ — საზრიანი!..

მახინძელმა გადაჭარა არაყი, ყველის ნაჭერი მიაყოლა და სტუმარს ურჩია, — თუ არ სვამ, ეამე მაინც რაზე!..

მორჩილას არ შიოდა, მაგრამ მახინძელი არ გაიწმიდა და რაღაცას გაჰკრა კბილი,..

— ჩემი ცოლი არ შემოგვიერთდებას! — დაბეჯითებით თქვა მახინძელმა. — ზის ახლა სამზარეულოში და ტირის. მოყლეფ რომ ეთქვათ, ეცოდები, ჰვონია, რომ სახიკეფილოდ გიმეტებ. ასე იყო ადრედაც — ჯერ შენი ნათესავი გამოიტანა, ახლა შენ გამოგიტარებს, ცაბეტ ნელოწყაფი — მე... ხომ შესანიშნავია?

— რაა შესანიშნავი?

— ჯანდაბას!.. იცი, რატომ შევუუკადი ახალგაჩრდიზიაში?

— აბა, რა ვიცი!

— რა თქმა უნდა, არ ეგეცოდინებას!.. — ამ ... მოიკარებდი და იმიტომ. გიგეე? იცი, ... შნავს, ცხოვრობდე ბაიბურში და ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასვლისთანავე მალაქიამ ფარდა გადასწია. ფანჯარა გაიღო და კალთები კოუტებით დაამაგრა. „საკატაპულტეში“ აგრილდა, თითქმის აცივდა კიდეც...

— შუქს არ ავანთებ! — უთხრა მასპინძელმა სტუმარს, — ყველაფერი მზადაა თითქმის. შეგიძლია, მოიკიდო პარაშუტი.. ხაგზლიანი აქვს ხელში დაიჭიე, გინდა — კისერზე ჩამოიკიდე. დანაპირები შეგისრულეთ — შემწვარი ქათმით ისაუბეს!..

მორჩილეს პარაშუტი მოიკიდა, ღვედები მხრებზე გადაიდო, ლაჯებში ამოიჭირა და დაიმაგრა.

— ახლა კატაპულტის მომართვაში მომეხმარე. ფერო სწრაფად იქნება ყველაფერი... დაატრიალე ჯალამბარი და რიცა გეტყვი — გააჩერე!..

მორჩილეს ჯალამბართან დადგა, მალაქია კი სადღაც კატაპულტის ქვეშ შეძვრა, რაღაცას ეჭიკჭიკა, ატაკაცუნა, დაუკაკუნა კიდეც და ბოლოს, როგორც იქნა კატაპულტის ქვეშიდან ამოსძახა მორჩილას: — დაატრიალე!

მოგზაური დასწვდა ჯალამბრის სახელურს.

ჯალამბარი უმბაურად ტრიალებდა და ბგერილს იზიეოდა, კატაპულტის ფილადის უზარმაზარი ზამბარები კი ეჩიოლებდა, ტაკაკუცაი გამქანაგდა, იკუშებოდა.

საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა კატაპულტის მოპაობა.. ახლ რომ სანამ მალაქია დაიძახებდა, ეეეფოეთო, მორჩილა ოფლში გაიღვარა.

მასპინძელი გამოძვრა დანადგარის ქვეშიდან და ბერკეტები მოსინჯა. — მზადაა! — თითქმის ბოროსულით თქვა და ღია ფანჯრისაკენ გაქცა თვალი. მანსარდაში ბნელოდა. ფანჯრიდან ჩანდა ოდნავ განათებული ცალტროტუარიანი ქუჩა, კედელი, კედლის ზემოთ — ცა.. ვარაიგ ვარსკვლავები ციმციმებდა...

— ახეეეე! — თქვა მალაქიამ და ტაში შემოჭარა. — მამაჩემისთვის განკუთვნილი წერილი საგზლიან ბაგაშია. ამა, შენ იცი: ქათამს ზემ შეჭამ, ჩემი ბატიფუტრიც არ მიაყოლო, შედეგი!..

— რა თქვიო?! — გაიკვირვა მორჩილამ.

— შედეგი-მეთქი კატაპულტზე და დაფაზე დაწეკეო! — ეუხმაა მალაქიამ.

მორჩილამ ამბიჯა დანადგარზე და გულალმა დაწვა კატაპულტის რკინის დაფაზე.

— ხელია თვალები დახუჭული გკონდეს, სანამ გეგვირაოდე, მერე, როგორც კი შეიტყობ, რომ ვარდნას იწყებ, პარაშუტი გაშალე. არ დაგვიანო, თორემ!.. თუმცა, შენც იცი: ხაუთარი თავის მტერი ხომ არა ხარ? ანდა, ხელია ზუთამდე დათვალო და ეგრევე გაშალო. ფერენის წინ გაგვიორთხილებს!..

მორჩილა მთელი გულისუყრით უსმენდა კატაპულტის ბატონს და იშმუშებოდა ((ატაკაპულტზე წოლა უხერხული იყო — პარაშუტი უშლიდა, კუბივით ჰკონდა ზურგში ამოჩარჩენილი).

მორჩილამ თვალები დახუჭა და ზეაზეაზე გაფრთხილებას დაელოდა.. უცად შეკრა ... თვალები გაიხილა — მალაქიას ხელი ეკარებოდა რაღაცე�g მის ბარკეტს ეძებდა.

— ჩამობრაუნი ხელი, ეაეეეა — გაიოცა მასპინძელმა.

— ამა! — გაეწყოდა ხელი სტუმარმა და წამოდგომა დაიპირა.

— ააა, არა, აწუეკ! — დაუშალა მალაქიამ — აწუეკ ეი ინე ჩამობრაუნოვა!..

სიბნელეშია ძლიერ შეიხვეიდრეს ერთმანეთს ხელისგაფულები.

მორჩილამ რაღაცეეაც ამოიხვნეშა. ხაგზეიანი ბაგა მარცხენ, ხელში ჩამბეეეა და გაეთიდა.

— მზადა ხარ? — იკითხა მალაქიამ და ბერკეტს მოაქანა ხელი.

— ჰოი — ამოიხრიალა მორჩილამ. მიხვდა. შეეშინდაო, მაგრამ მოეჩვენა, რომ სწორად იქცეოდა, თავის დამშვიდებას შეეცადა და ანგარიშმოეცემლად ხაგზალი მკერდზე მიიბეკა ორივე ხელით.

— ნაბვამდის! — დაიჭიჩრიელა მალაქიამ და ბერკეტს დაეწვა.

მორჩილამ მთელი ტანით შეიგრძნო დარტყმა (თითქოს მიწა იძრაო), თვალთ დაუხუნელად წამიერად (მოეჩვენა, რომ თვალის კაკლებ ერ ჩაუცვიდან, მერე კი — გადმოუცვიდა) ეარი ჩაუცვიდა, მერე კი — გადმოუცვიდა) ეარი დაეტაკა თავ-პირში. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორც ოდესღაც ბავშობაში, როცა მბრეგი მიიბეკა ლოყაზე, ამ უკანასკნელმ. ეი ფრთები ამოეჭიხალა და თვალები დაბეზ ენა,.. გუოლაც კიდევ თითქოს ხაგუოლეი. ეიღარ იყო, ეარაფერ სადღაც, შიგნეეულობაში ჩაკარგულიეო.

მორჩილა რამდენჯერმე გადავიდა ეირაზე და ლამის ნვავები მოაკლდა ჰაერის ტალღან. ის სტენჭეტურად მიბარა ფეხები და პარაშუტის ფუთიან-ხაგზლისაბგიანად მუშტიკეი შეიკრა. ზურგულეიკინი ნახრიალი ქვანაკეი მოაბიდ ჰაერს...

უცად გაახსენდა, რომ დათვალ დაავიწყდა. ზეშინდა, იფიკრა, ამამდე უკვე მოგახსენებდ ზუთამდე დათვლასო, ეეკი მარკვენ ხელით პარაშუტის კაუჭს დ. გამოაკრა...

ეშშლეუუფ! — გაიშალა პარაშუტი.

მორჩილა ჰაერში „ამკრეს“ თოკებმა, თითქოს ისეე გადმოუცვივდ ოვალის კაკლები და პარაშუტის ღვედები ლაჯებში უსაშველოდ ამოეჭიარა... საკენელაზე მეოფიეით აკეკინკალ დერეკ და ლამის გული ეირიდა (ბმის გაფეკრეკ) კი მოასწრო, — კიდევ კარგი, არაეი არ დავლილე, თორემ პირელებინება არ ამცდებეთოდო ეი თავი შეიკო უსიტეკეოდ).

მორჩილა ეშეებოდა. ახლა თითქოს ქვეშო დან ზემოთ უბერავდა ქარი... ძარს დაიხედ

ბნელოდა. ვერაფერი გაარჩია, მაგრამ იკარაუდა, რომ მიწა ძალიან ახლოს უნდა ყოფილიყო, ფეხები მოადგა და დახარშვებად მოემზადა...

უცბად ფეხში რაღაცა მოხვდა, შარვლის ტოტი ალლიტა, საჭდომზე გადაუარა და ზურგში გაჩერდა. თითქოს ვიღაცის უსულოცმა ხელმა ახი სილა გაუწვა და მუჭლუგუნები დაუშინა... მორჩილამ ინსტინქტურად ხელები აიფარა სახეზე, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. საკუთარი მუხლი ნიკაშში მოხვდა და კინაღამ ენა მოაკვნიტა, ლოყები დაეკაწრა და ცისკრში რაღაც ჩაერჭო — ხელი და გრძელი; მთელი ტანი ნოგებად სიმეჩხრესა და სიგრძელეში... აკაციის სუნი იგრძნო — ძმაფრი და მათრობელა სუნი... ისე ცხოველად, რომ წამიერად გაახსენა შორაპელი ბავშვობა, ყოველი გაზაფხული აკაციის აყვავებით რომ მეორდებოდა...

მორჩილამ თვალები გაახელი. სიბნელეში ვერაფერი გაარჩია, მაგრამ ოდნავ განძრეცა სცადა თუ არა, მიხვდა: ფოთლებში, ეკლებში, ტოტებში და ყვავილებში გახვეულიყო. მთელი ტანი სტეხდა, ეწვოდა დაკაწრული ლოყები, ხელ-ფეხი და ზურგი... რის ვაი-ვაგლახით ჩასწია ნიკაპქვეშ ამოდებული მუხლი, დახუფული ფეხი სადღაც, მარცხნე გაყო და გაშალა ტოტებს შორის... იკიბინა, ხან აქეთ მიაწევდა, ხან — იქით. ზეწეროდა ამდენად, რამდენადაც აკაციის ეკლებმა საშუალება მისცა... ერთიანად დაჩხეკილიყო ლოყა და ბაბეგილს, ბრაზი მოერია: „ოჰ, მალაქია, მალაქია!..“ დაიბღვალა, მაგრამ იმავე წამს თავში რაღაცა მძიმე მოხვდა და ხმა გაკაქუნდინა...

10

გამთენიისას მორჩილამ დაადგინა, რომ ის, რაც თავში მოხვდა, მისივე ზურგჩანთა იყო — მალაქიასგან უზუსტესად დამიზნებული...

რის ვაი-ვაგლახით ცალი ხელით მისწვდა ზონარს, გახსნა და ჩანთის იმ ჯიბეში მოაფათურა დაკაწრული ხელი, რომელშიც მინიატურული ნაჯახი ეგულებოდა (მეხსიერებამ არ უღალატა — ნაჯახს მიაგონ). მერე რის ვაი-ვაგლახით გაკაფა მისივე ტანის სიმძიმით დაშვებისას დალეწილი აკაციის ტოტები, შებოჭილი ხელ-ფეხი რამდენადმე გაითავისუფლა და შვებით ამოისუნთქა.

ცოტა რომ დაისვენა, უფრო ენერგიულად შეუდგა საქმეს: აკრა და ჩაკრა ტოტები და ზედმეტიც მოუვიდა (რომ არა პარაშუტის თოკები, უეჭველად ძირს გაადენდა ბრაგვანს).

ამ უნებლიე მარცხმა ხასიათი ვერ გაუფუჭა. პირიქით, უფრო მოზნდასახულად მოიქცა: ჯერ ზურგჩანთა გამოხსნა და ჩაიგდო დაბლა, მერე თოკი თოკზე გადაკრა და ხიდან ჩამოპარჩილდა.

დაშვებისთანავე მყარი ნიადაგი იგრძნო ფეხქვეშ. მართალია, აკაციის ძირას მოზაიკა არ დაუუხდა, მაგრამ უზომოდ გაეხარდა: რაღაც იქაურობა ჯობს არ ჰგავდეს და გაიფეთქოს ... (ARCHIVE
http://Archivebeta.Sakdrive.com) რაღაცა ყოფილა მალაქიასო...

გრილოდა. ირგვლივ აკაციის სურნელი ტრიალებდა.

დაბეგვილს, დაკაწრულს, გასავათებულ მორჩილას ძილის მეტი არაფერი უნდოდა. ჩაცუცქდა ბალაბში და წამოწოლა დაიპირა, მაგრამ გადაიფიქრა. როგორც გამჭრახმა მოგზაურს შეეფერება, ჯერ გარემოს დაზვერვა გადაწყვიტა... ლასლასით შემოუარა გარს აკაციის ხეს. დადგა და გაიხედ-გაიხედეს.

ირგვლივ ბალახი გაზრდილიყო — ეაცს წელამდე შემოსწვდებოდა და პურის უანასავით ხმარი იყო. ვაკე ადგილას ხეები ჯგუფ-ჯგუფად კი არ იდგა, არამედ — ცალ-ცალკე (თითქოს ვინმეს ხავანგებად დაერგოს ყოველ ათი-თხუთმეტი ბეტრის დაშორებით).

მორჩილამ ასეთი ნახიკი გაიარა. გარემო უურადღებით მოათვალიერა. ირგვლივ სულიერი არ ეკვანებდა... მერე უკანვე გამობრუნდა. „თავისი“ აკაციი ხელად იცნო. ხეს კენწეროზე პარაშუტი თავსაფარივით ეხურა, პარაშუტის ცისფერი ბრეზენტის ქსოვილი ამომავალი მზის სხივებზე უცნაურად ბზინავდა.

მოგზაურმა ხელი ჩაიქნია — დამალვას აზრი არ ჰქონდა, თუ ვინმეს თვალთვალი სწუროდა, ხეზე „გაფენილ“ პარაშუტს უეჭველად შენიშნავდა და სათანადო დასკვნასაც გააკეთებდა.

მორჩილა უკან დაბრუნდა. მილასლასდა აკაციის ძირში, ზურგჩანთიდან „ფეთიაქის“ პაკეტი ამოაძვრინა, ოღდით მოითხუპნა დაკაწრული თავ-პირი, ხელ-ფეხები... ხვნეშა-ხვნეშით დაწვა ბალახზე, მიადო თავი ზურგჩანთას და მკვდარივით ჩაეძინა.

11

მორჩილამ ცხვირი დააცემინა და დაფეთებულს გამოეღვიძა.

უცბად ვერ მიხვდა, რა მოხდა... ბოხს რომ მოეკო, მოუნდა, გვერდი ეცვალა, მაგრამ გადაიფიქრა. უკმაყოფილოდ ჩაიბუტბუტა რაღაც თავისთვის, „სასთუმალი“ თვალებდახუჭუმამ შეიხედა და... უცბად შეცქი, მეძებარი ძალლივით დაუნოხა ჰაერს. ყნოსვამ არ უმტყუნა — კვამლის სუნი სცემდა. თვალები გაახილა და ბალაბზე წამოწვა.

ბოლოდ.

მისგან ახლ, ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით მოხუც ეაცს კოცონი გაეჩაღებინა და ეარტოფილს წვავდა. მორჩილას გაუკვირდა უცნობის ხილვა ეგ თავი ბაკაკნტრა, სიზმარში ხომ არა ვარო.

არ იყო სიზმარში.

მოხუცმა კოცონს თავი ანება, უკვარჯენი მოიმარჯვა, გაეჩიჩვებით წამოდგა და ნაკრძალის

ხელმოსაკიდ ჯოჯოხეთი დაიძრა. სანამ მორჩილა ლაბდე მიაღწევდა, ეს უკანასკნელი ფეხზე დადგა და დაფლეთილი ტანსაცმელი შეისწორა.

— შეიეთმა შენს მობრძანებას! — თქვა აცქმა.

— გამარჯობა! — თავი დაუკრა მორჩილამ.

— მაიბურელი ხარ?.. რაღაც ვერ გიცნობ! — თვალები მოკუნტა მოხუცმა, დადგა. ენინ გადაბუნძეა და ორივე ხელით ყავარჯენს დაეყრდნო.

— მე, მეეე... — დაიბნა მორჩილა (უცბად ვერ გადაწყვიტა მართალი ეთქვა, თუ ტყუილი). ბოლოს ისევ სიმართლის თქმა ამჯობინა: — თბილისელი ვარ, მაიბურში სტუმრად ვიყავი!

— პარაშუტი შენია? — თვალით აკაციის ეკენწერასავენ ანიშნა მოხუცმა.

სანამ შეკითხვებს უსვამდნენ, მოგზაურმა შეგთვალიერა დამბდაფარი: თეირწვეროსან კაცს ბასზე არანაკლებ შელანძღული სამოსი ეცვა. ფეხსაცმელები არ ჩანდა, — ბალახი ფარავდა. მორჩილას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს თანამოსაუბრე სულაც ფეხშიშველი იყო.

— დიახ, ჩემია! — უპასუხა მორჩილამ, — თუმცა... ეხო, მოლად ჩემიც არ არის, ნათხოვია, უფრო სწორად!

— მაშ, ვისია? — მოხუცი ზედმიწევნით დაინტერესებული ჩანდა.

— ჩემი ნაცნობის, მაიბურელი კაცისა, მათხოვა ერთი დღით, — მორჩილას უკვირდა, უკვე მერამდენედ ემართებოდა ასეთი რამ (ხან ტყუილს ამბობდა, ხან — მართალს, მაგრამ ნაოქვამი თითქოს მოლად მას არ ეკუთვნოდა, თითქოს ვილაცა ამბობდა მისგან დამოუკიდებლად და მისივე ენით).

— პარაშუტი ჩემია! — გაიცინა მოხუცს. — მე ჩემს პარაშუტებს ვცნობ. ფერზეც ვცნობ და ნაკერებზეც.

მორჩილას გონებაში უცბად გამოანათა აზრმა, — „ეს ბოკალიას ბაბა“. გიეხარდა, უნდოდა ეთქვა, მე თქვენ ზორდიან გიცნობთო, მაგრამ თანამოსაუბრე დალაქის სახლში ხალიჩაზე მიბაგრებულ ფოტოს ვერ მიაბგვანა, დიეჭვდა და ხმა ალარ ამოიღო.

— ძნელი იყო? — შეეკითხა მოხუცის ნათქვამებს.

— რა ბრძანეთ? — უცბად ვერ მიხვდა, რა ჰკითხეს.

— ძნელი იყო ნახტომი? — გააგებინა მოხუცმა.

— ნახტომს არა უშავდა! — გაეცინა მორჩილას, — ცოტა კი, მიწაზე დაშვება გამიჭირდა. აკაციის ტოტებში გავეხირე. დაკაკნილი და დაბეჭვული ვარ, მაგრამ კისრის მოტეხას გადავრჩი, მადლობა ღმერთს!..

მოხუცმა ხელი გაუწოდა მორჩილას და უთხრა: — ვიცნობდეთ ერთმანეთს!.. მე ბალიკია ქმევი, მაიბურელი ვარ!

— ოო-ო, ძალიან კარგი! — შეეხა ალაბაბოვი მორჩილამ. — ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ!..

— ვისგან, ჩემი სანაკვლო ვაეიხაგან? — გაიცინა მოხუცმა, ზურგი აქცია თანამოსაუბრეს და კოკონისაკენ გაეშართა.

— დიახ, სწორედ რომ სანაკვლო ვაეი გიჯავ! — ადიეეეა კოკლობით მიმავალ მამა-ბალაკიას ნაკრძალის სტუმარი.

მოხუცი კოკონისაგან მოშორებით ჯირკზე ჩამოჯდა და მორჩილას უთხრა: — გადაბრუნე, შეიწვებოდა!

— რა, ბრძანეთ? — დაიბნა მორჩილა.

— გადაბრუნე-მეთქი! — ჯოხზე მიუთითა მოხუცმა, — ჯოხი აიღე და შეიტრუსტრე, თორემ აქეთ დაიწვა და იქით ისევ უმია.

— ჰოო! — ჩაცუცქდა კოკონთან მორჩილა, ჯოხი აიღო და ნაკვერჩხალი გადაჩხრიკა. — ეს რა არის? — ეახიდან იკითხა იმაზე, რაც კოკონზე იწვებოდა.

— გუშინ კარტოფილი ერქვა, დღეს ჩასახეიტეი ჰქვია! — ჩაიკრიჭლა მოხუცმა.

მორჩილა დაფეკრდა, ნათქვამის გაგზრება სცადა და შუბლი შეეჭმუხნა... უცებ ზეზე წამოხტა, ლოყები ატკიცა ხელი და ჩამოიბანა: — თქვენმა შვილმა საგზალისა ბაგა გამომატანა და სადღაც დავკარგე ჰაერში, უჰ! — უფრო ძალუმად შემოიკრა ხელისაული შუბლში.

— არა უშავს, კარტოფილიც კარგია! — თქვა მოხუცმა.

— არა, არა! — მართალი შეუშუდა მორჩილა, — საგზალი ხომ არაა მთავარი (ზურგჩანთაში რაღაც-რაღაცები მაქვს), ბაგაში წერილი იდო, თქვენთვის უნდა გადმომეცა.

— ჰოო! — წამოდგა მოხუცი ჯირკიდან. — ერთი ეს ჯირკი ცეცხლთან მიაჩოჩე!..

მორჩილას გაუკვირდა, მაგრამ მოერია საკმაოდ დიდ კუნძს და კოკონთან მიაჩოჩა. ჯირკის ირეკვისას დაასკვნა, რომ წერილის უიღბლო ბედით მამა-ბალაკია დიდად არ შეწუხებულა.

— გადაბრუნე, შე კაცო, დაიწვა ხომ ბოდავ! — აბუზღუნდა მოხუცი, დაჯდა ჯირკზე და თვითონ დაუწყო ჩხრეკა კარტოფილის ერთობლიობას.

— ბოდიშს ვიხდი! — გულწრფელად ითხოვა პატიება მორჩილამ, — ახლა მე ჩემს კონსერვებს მოვარბენინებ და ქეიფიც გაჩალდება

— ქეიფი არა!.. — მოხუცს გუნება გაფუჭებოდა, — წერილი, ჩემი კარგი, ჯიბეში უნდა ჩაგედო, თუ ჩემთან გამოგატანეს. ჯიბეს არ დაკარგავდი, იმედია,..

მორჩილამ ბგრძნო დანაშაულის სიმძიმე და უსიტყვოდ გაიძურწა აკაციისაკენ.

— რასთან ერთად იყო? — იკითხა მოხუცმა ხმადაბლა (თანამოსაუბრის წასვლა ეურჩადლე-

ბიდან გამორჩა) და ნაკვერჩხლებს გაუშტერა მზერა.

მორჩილას მამა-მალაქიას ნათქვამი არ გაუგონია; ჩანთიდან კონსერვის ქილები ამოიღო, მერე გადაიფიქრა, შიგვე ჩაბრუნა; დაიდგა ხელი ზურგჩანთას და მოხუცთან წაკიარა.

— მა? — იკითხა მოხუცმა.

— რა ბრძანეთ? — ვერ გაუგო ნაკრძალის სტუმარმა.

— რასთან ერთად იყო წერილი ამბავი, — „დაიღერნა“ მამა-მალაქიამ.

— ჰოო! — ჩაფიქრდა მორჩილა, — შემწვარ ქათამთან ერთად. ქათამი თვალით არ მინახავს (შეხვეული იყო), მაგრამ...

— უუუუ! — ტურსასვიი აკოცა მამა-მალაქიამ და ვაგარიანად დაიფრთხო ნაკრძალის სტუმარი. — უუუ! — თვალები დახუმა და თავი ჩაქინდრა, მოხუცმა, — ოცდაორი წელიწადია არ მიქამია შემწვარი ქათამი... შეგრცხვა თავი, არ ეთქვა, მაინც!

მორჩილამ ინანა, ნეტა არ მეთქვაო, — გაიფიქრა გუნებაში და უზომოდ შეეცოდა მამა-მალაქია. — არა უშავს, — უთხრა დამეკითხებიო, — ისეთი გემრიელი კონსერვები მაქვს, თითებს ჩაიკვნეტენ!

— კონსერვებს შენ ჩაკვნიტე თითები, — ამოოხრა მოხუცმა.

მორჩილა მოლად დაიბნა. კონსერვის ამოსაღებად ზურგჩანთაში ჩაყოფილი ხელი გაუშვია. დუმდა კარგა ხანს. ბერე უცბად გამოცოცხლდა, ხელი ზურგჩანთიდან ამოიღო, მეორე ხელს შეაშვენტა და თქვა: — გულს ნუ ვიტეხთო, თუ ქათამი მოგენატრათ, მოყიბნთო ორმოცდათი მეტრის რადიუსში! უეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, შენ!

— არა!

— იმანაც ეგრე თქვა!

— ვინ იმან?

— არქიტექტორმა!

— მერედა, რატომ გეპარებათ ეგეთ?

— მართალი არ გესმის, თუ?..

— ნამდვილად არ მესმის, რისი თქმა გსურთ.

— ვიტყვი თუ არ ვიტყვი, ეზიზღენლობა არა აქვს. თვითონ უნდა იცოდეს!..

— რა უნდა ვიცოდე?

— რა და ის, რომ კედლის დანგრევაა საჭირო!.. დუხანტია საჭირო, მრავალრიცხოვანი დუხანტი! თუმცა ახეთი საქმე თითოოროლაშ უნდა დაიწყოს, რომ მერე ბევრმა გააკრძალოს; მე — დავიწყე და მაშველ ძალას ველი ოდღაირი წელიწადია... ეგ არქიტექტორი აზრიანი კაცი მეგონა და რა გამოვიდა?.. არც კი მომეხმარა ნგრევაში. დაფრთხა!.. მერე დაიფინა, უკანვე უნდა გადაკვრა კედელზეო... ისაა კი ვერ მიხვდა, რომ ამ გზაზე, რომელსაც ჩვენ საპნი დავადევით, უკან მიბრუნება შეუძლებელია მრავალი მიზეზის გამო... თავადინ მიზეზი მაინც ისაა, რომ არავინ დაიჯერებს. თუ სხვა, უფრო დიდ უსიამოვნებას აიცილებს, გიფის იარლიყი მაინც არ ასცდება.

მორჩილა პირდაღებული უსმენდა არა იმიტომ, რომ მოხუცის ნათქვამი უკვირდა, არამედ იმიტომ, რომ უნდოდა შეკითხვა ჩაერთო, როგორც კი მამა-მალაქია პაუზას გააკეთებდა... მაგრამ ამაოდ, „მასპინძელმა“ ერთი ამოსუნთქვით ჩაარაკრაკა სათქმელი.

ამასობაში ოგზაურს შეკითხვა დაავიწყდა, და საკუთარ თავზე განაწყენებულს, უნებლიეთ წამოსცდა, — „ფუფ!“-ო უცბადვე მიიფარა ხელები პირზე (არ გააგონოს ჭირვეულმა მოხუცმა, ვინ იცის, ამას როგორ გაიგებსო.) და პაროაშუის ნარჩენები ძირს დაუცვივდა... დიახ. ტკივრის საკერფად დაიხარა; მკვირცხლად, მაგრამ უხერხულად ჩაიმუხლა, ზურგჩაღნამ გადაახლია და ბალახში გადაყარაგდა,

მოხუცმა ჩაიცინა, — გორაობის დროა?.. გადამრევს ეს ხალხი!

მორჩილა ისევ ძველებურად დაიტვირთა და წინ წახსულ მამა-მალაქიას დაეწია.

— იცით, რა? — მიაძახა მოხუცს. — მე რვა კლასის განათლება მაქვს და...

— მით უარესი შენთვის! — გააწყვეტინა სათქმელი მამა-მალაქიამ.

მორჩილა დაიბნა და დამუნჯდა.

მიდიოდნენ. მდუმარედ მიაღწევედნენ წესამდე ამოზრდილი ბალახს.

მოხუცი სიარულმა დაღალა, შედგა და უკაცრავენს დაეკრდნო. მორჩილა მხარში ამოუდგა და თითქოს თავს იმართლებსო, თქვა: — მე ყოველთვის ნამუსიანად ვაკეთებდი იმას, რაც შეუძლებოდა... ახლა ღმერთი გამიწყრა და მომეჩვენა, რომ ვალდებული ვიყავი ჩია ბოშიკ ძებნა... ბოდა, ასე, მეტი არაფერი არ ვიცი. ... ...

უცბად გაირინდებოდა და არაფერი ესმოდა ამ ჭვეშნისა... მერე, ვითომც არაფერიო, რამ-დენიმე წამში ისევ გააგრძელებდა ლაპარაკს, ან საჭმეს. რომელსაც გულურამდე აკეთებდა. შენც ხომ არ...

— ეგეთები კი მემართება ხოლმე, მაგრამ დიაგნოზი არავის დაუსვამს. ერთხელ...

— საკმარისია, ახლა ჩემი ნამუშევარი ვნახოთ.. — ამ აცალა ხალმელის დამთავრება მოხუცმა, რადგან, მისი აზრით, ის ამბავი, რომელსაც მორჩილა მოუკვიდა, მეათეხარისხოვანი იქნებოდა მის „ნამუშევართან" შედარებით...

მამა-მალაქიამ ნაკრძალის სტუმარი კედელში გამოთხრილ გამოქვაბულთან მიიყვანა და შიგ შეუძღვა.

13

კარგა ხანს შემდეგ გამოვიდნენ გამოქვაბულიდან.

მამა-მალაქია ძალიან დაღლილი ჩანდა და გამოსვლისთანავე დასაჯდომ ადგილს დაუწყო ძებნა. მორჩილამ ზურგჩანთა მიუთბენინა, დადო ბალახზე და შესთავაზა, დაბრძანდითო.

მოხუცმა დაუბღვირა. მოგზაურმა პირი იბრუნა, წავიდა, ათიოდე ნაბიჯი გაიარა, ჩაჯდა ბალახში, თავი ჩაენდრა, ბალახის ღერი მოგლიჯა და გაბუტულივით წიწკნა დაუწყო კბილებით.

მამა-მალაქია მივიდა და ვიშვიშით მიუჯდა გვერდით, — მეხსიერებაზე როგორა ხარ? — ჰკითხა.

— რა ბრძანეთ? — ბალახის წიწკნას თავი ანება მორჩილამ.

— მეხსიერებას ხომ არ უჩივი-მეთქი!..

— არა-არა, ბავშვობისდროინდელი ამბებიც მახსოვს! ისიც მახსოვს...

— კარგი-კარგი! მაშ, რაც ახლა გაჩვენე, ჯერ არ დაგვწყეფია?

— რა თქმა უნდა!

— თუ ასეა, მირჩე რამე!

— რა ბრძანეთ?

— ეეეჰ!..

დადუმდნენ, მორჩილა მიხედა, რომ მამა-მალაქიას აწუეინნა, უხერხულობა იგრძნო და აწრიალდა,.. მიზეზს ეძებდა, რომ დუმილი გაეფანტა... იპოვა კიდეც მახვილი ყნოსვის წუალობით — აკაციის სურნელიც სცემდა ნაკრძალის მხრიდან და წაქის და ნესტის სუნიც — კედლის მხრიდან... მამა-მალაქიას შესთავაზა, აკაციებისკენ გადავსხდეთ, კედლის სუნი მაღიზიანებსო...

მოხუცს სიტყვა არ უთქვამს, ადგა, ყავარჭენი მოიმარჯვა და კოჭლობით დაიძრა. მორჩილა დაიტვირთა ზურგჩანთით, პარაშუტის ნაფლეთებით და მიჰყვა.

არ ულაპარაკიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა-მალაქიამ კარგა ხანს იარა, რამდენჯერმე შეისვენა... ბოლოს შედგა, ყავარჭენს ფეხ-ყრდენი და თქვა: — მოვედით, აქ ვცხოვრობ მე!

მორჩილამ ტვირთი ბალახზე დააწყო და გაიხედ-გამოიხედა. ადამიანის საცხოვრებელს ვერ მოჰკრა თვალი, მაგრამ ნასიამოვნები დარჩა მაინც (ბოხტანთან შეჩერებულიყვნენ). მოშორებით ხეხლილს ბაღი იწყებოდა. ვაშლის ხეებს ყვავილობა დაეთავარებინათ, მაგრამ ჯერ არც კი ემჩნეოდათ თოთო ნაყოფი. ბოხტანსა და ბაღს შორის ჭის კოპწია გვიმი მოჩანდა.

— ყოჩაღ! — აღტაცება ვერ დამალა მორჩილამ.

— ჰი-ჰი! — ჩაიცინა მოხუცმა, — მე კი არა, ჩემმა შვილმა იყოჩაღა. თერთმეტი წლის განმავლობაში მაწყდიდა სურსათ-სანოვაგეს, ტანსაცმელს, წიგნებს.. კვირაში ერთხელ ისრდა კატაპულტით ტომარას. მოკლედ, როგორც შეეთანხმდით, ისე იქცეოდა...

— მერე?! — დაინტერესდა მორჩილა.

— მერე და მერე!.. აღარ სცალია, ალბათ, ჩემთვის, ანდა... ანდა კი სცალია, მაგრამ იმედი აღარა აქვს, რომ ცოცხალი ვარ, ჰმ!..

— მლაქიას დიდი იმედები აქვს თქვენი!

— თუ იმედი აქვს, ტომრებს რატომ აღარ ისვრის? კარგი ვქენი, რომ თადარიგი დავიჭირე — ბაღიც გავაშენე და ბოხტანიც (იქით სიმინდის უანაც მაქვს)... იმან კიდეც, სურსათ-სანოვაგის ნაცვლად, არქეოტექტორი გადმომიგდო ერთი თვის წინ. ვიფიქრე, თანამოაზრე გამომიგზავნა-მეთქი, გაგიგონია?! იმავე დღეს მოუსვა. ყურიც არ მათხოვა, ჩემი საქმე უფრო მნიშვნელოვანიაო...

— შეიძლება, მართალიცაა! რაც უნდა იყოს, არქეოტექტორი...

— კარგი, ერთიაი! მაგ კაცი არ ვარგა! ადამიანის ცხონა არ შემეშლება, უფრო სწორად, აქამდე არ შემშლია. მე მგონი, არც ახლა მეშლება! შენ შეიძლება იკარგო, თუ, რა თქმა უნდა, მოიეხმარები. მარტო ვერაფერს გავხდი. ადრე მაინც გადმომმტარიყავი... ფუჭ, ადრე არ შეიძლებოდა — ბიჭის დავიყაცებას ვუცდიდი! მომეხმარები?

— მე? მე რა შემიძლია!.. მართალი გითხრათ, კედლის დანგრევაში მოგეხმარებოდით, მაგრამ არც მაგას ჩქონია მაინცდამაინც აზრი... რაც თქვენ გამოქვაბულები და გვირაბები გითხრიათ ამ კედელში, აქამდე მხარ-თქმო VI-ის რეზიდენციამდეც კი უნდა გასულიყავით!

— ჰოო, არ ყოფილა იოლი, როგორც ხედავ, რადაცაში შეეცადი!.. იქნებ კედელი ამ ადგილსაა უსაფელოდ სქელი. იქნებ სხვაგან უფრო თხელია და შეიძლება გამეკიჩვალეც კი. ნახვა უნდა.

— მერე-და, მე?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კედელს თავზე უნდა მოეკვეს და შეამოწმო!.. უნდა ეუცვე და დაუცვე!

— მაგას დიდი ალპინისტობა არ უნდა. ერთი დღე შემიძლია დაგითმოთ, მერე კი...

— რა მერე?

— მერე გზა უნდა გავაგრძელო; ჩია მაკვე მოსაძებნი.

— არეტტეტორს რა მოძებნა უნდა? მაგისთანა ხალხი არ იკარგება! მომშვიდა!

— რა ბრძანეთ?

— უკარგისია შენი კონსერვები; ვერ გამაძღო!.. მგონი პირიქით, მაგა გამოვიყიდა. ისევ კარტოფილი სჯობია. ხომ იცი, კარტოფილი მეორე პურია!..

მოხუცმა სვლა გააგრძელა. მორჩილი დაიტირა და მიჰყვა კვალდაკვალ.

14

მამა-მალაქია კოშში ცხოვრობდა (თავისი ხელით გამოერჩინა მორები და იმით აეშენებინა მარტოკაცს). ხის მორებს შორის ჭვრეტები თიხით ამოელესა. ცალ მხარეს სარკმელი დაეტანებინა და შიგ შუშის მაგივრად პარაშუტისგან დარჩენილი ერთ დროს ვარდისფერი ბბრეშუმის ქსოვილი დაეტანებინა. ჭოხი ორი ოთახისაგან შედგებოდა. ცოცქნა ოთახი სამზარეულო-საკუჭნაო-სახელოსნოს მოვალეობას ასრულებდა. კედლებზე ხის თარიები მიემაგრებინა სახლის პატრონს, სოხანეზე შუაცეცხლი გაემართა, სახურავში სავენტილაციო ხვრელი დაეტოვებინა. კოჭებზე ეკიდა კარტოფილი, ხახვი და სიმინდით სავსე ტომრები. ოთახის ერთ კუთხეში რკინის იარაღები ეყარა.

— მღრღნელებმა ლამის ყველაფერი გამიჩანაგონ! — თქვა მასპინძელმა.

— რა ბრძანეთ? — მორჩილია გაკვირვებული ათვალიერებდა ერთი კაცის ნაშრომს.

— ვირთხებმა შემიჭამეს ერთი ტომარა ბარშანდელი სიმინდი, — ახსნა თავისივე ნათქვამი მოხუცმა (შუაცეცხლს დაღვრემილი ჩაიღებდა და ბუზღუნებდა).

მორჩილას აზრი დაებადა. მამა-მალაქიას უნებლიე რობინზონობა ეერგო წელად, გატანჯულია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხსო. ამ „ალმოჩენამ“ სტუმარი ერთდროულად კიდეე გააკვირვა და კიდეე დააღელვინა.

მოხუცმა შუაცეცხლი გაიჩაღა, ზედ ქვაბი დაჭკიდა და სტუმარს მეორე ოთახში შეუძღვა, რომელსაც, „საკალთოსაგან“ განსხვავებით, ბერიე ჰქონდა და იატაკიე. ოთახში მამა-მალაქიასგან გამოჩორკნილი ავეჯი იდგა: ხის ტახტი, მაგიდა, ბანჯარა და ტახტრეტი.

— დავსხდეთ! — შესთავაზა სტუმარს მოხუცმა, — კარტოფილის მოხარშვას შუაცეცხლზე კაი ხანი უნდა!..

მორჩილამ ტახტზე დაჯდომა დააპირა, მაგრამ მალეეე გადაიფიქრა, ტახტრეტი მაგიდისაკენ გადმოიღგა, დაჯდა და მაგიდას იდაყვები ჩამოეყრდნო. უსაშველო ნაღველი შეშმაწვა გულზე. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მიცვალებულს ელოვიდაო.

— ნამდვილად გულურა გემორთება? — შეაცქერა მოხუცის ხმამ.

— რა ბრძანეთ? — გაიკვირვა მორჩილამ. — სულაც არა, ჩავფიქრდი წამიერად!..

— მაშ, ჩემს შვილიშვილსაც მალაქია ჰქვია?

— დიახ, მშვენიერი ყმაწვილია, რომ გაიზრდება, არტილერისტი გახდება!..

— მა-მა-მა! — გაეცინა მოხუცს რაღაც ღვარძლიანად, არაბუნებრივად. — ამ კედელს სწორედ რომ არტილერია სჭირდება დასანგრევად!.. მაშ, შვილიშვილის იმედი უნდა ვიქონიოთ, არა?

— დასანანია, წერილი რომ დაკარგე! — ჩაიბუტბუტა მორჩილამ: — იქ ყველაფერი ეწერებოდა, აფსუს, უნდა მაპატიოთ!.. ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ!..

— გაპატიებ, თუ მომეხმარები, მერე წერილს გაგიგებ ჩემს შვილთან, ოღონდ არ დაკარგო!..

— რა თქმა უნდა! მაინც მალაქიას ბრალია, — საგზლიან ამბავში არ უნდა ჩაედო წერილი.

— კარგი ახლა, ეგ უკვე ზედმეტია. შენ ის მითხარი: მომეხმარები თუ არა? თუ არ მომეხმარები, კარტოფილს არ გაგჭეშე!..

გაეცინათ.

მერე მოხუცმა ხელი ჩაქნია და თქვა: — ჯანდაბას, რაც გინდა ისა ჰქენი, — ეძებე შენი ჩია! — ალპინისტობა დაგვიჩოქება, თუ მის კვალს მიჰყვები, — ჩია ხომ კედელზე ამობღდა!..

15

მორჩილას საათი ბაიბურის დროით 15⁰⁰ აჩვენებდა, როცა სტუმარ-მასპინძელი კედელს მიაღგა.

მამა-მალაქიამ მორჩილი შეიარაღა თოკებით, სატეხებით, ჩაქუჩით და გზა დაულოცა.

კედელს ემჩნეოდა ჩია „ალპინისტობის“ კვალი — საფეხურებად ჩარჭობილი კაუჭები და სატეხები.

— წერილს თუ დაკარგავ, თვალით არ დამენახო! — ასძახა კედელზე ამობღებულ მორჩილას მოხუცმა.

— არა, არა!.. ახლა ნამდვილად არ დაკარგავ, გაფლის ჯიბეში მაქვს! ჩამოსძახა მოგზაურმა „ნაკრძალელის“...

ყავარჯენს დაყრდნობილი მამა-მალაქია კედლის ძირში იდგა და თვალებმოჭუტული უყურებდა „ალპინისტს“.

მორჩილა მოხუცის ჩაქუჩს ჩიას მიჰედებულ რკინის კაუჭებს — საფეხურებს ურტყამდა, ამაგრებდა, ზევით მიიწევდა ვერტიკალურ კედელზე და თან არჭიტექტორს აჭებდა გუნებაში.

ფიქრობდა, — გაბედულად მოქცეული ჩია, ასეთ კედელზე ერთიულები თუ გაბედავენ ამობღვებასო... შეუსვენებლივ იცოცა ამგვარად და ნახევარ საათში კედელს თავზე მოეკცა. „ოვასართულიანის“ სიმაღლიდან გადმოხედა დაბლა. მდგარ მოხუცს, ოცკაპიკიანისოდენა თეთრ ლაქასავით რომ ჩანდა და ხელი დაუქნია... მერე „ნაკრძალს“ მოავლო თვალი. წალკოტს ბგავდა იქაურობა: ერთმანეთს ენაცვლებოდა ამწვანებული ტყე და მდელო. ჰაერი გამწვანებულ იყო და თვალსაწიერს აფარიოდენდა. შორს, ძალიან შორს მთები ჩანდა, მწვერვალებით ღრუბლებში შეუუფლიესენენ, კალთები კი დაჩრდილული ჰქონდათ ბამბის ქულებით...

მორჩილამ ამ სანახაობას ძლივს მოსწყვიტა თვალი და ბაიბურისკენ მიბრუნდა. მიბრუნდა და გოაცებისაგან პირი დაალო — ცხვირწინ ქვა-ღორღის გროვა ეყარა... გაკვირვებისაგან კარგა ხანს ვერ გამოერკვა.

როცა გამოერკვა, ისევ მამა-მალაკიას გადმოხედა და დაუძახა, ამ ქვების მეტი არაფერი ყრიაო...

მოხუცმა თავი დაუქნია, ალბათ, მაგრამ პასუხად არაფერი დაუძახია.

მორჩილა მიბრუნდა. ღორღზე ამობდღა და გაიბედ-გამოიხედა. მარცხნივაც, მარჯვნივაც ლოდები ეყარა, წინ კი შეეული კედელი ალმართულიყო (ალ, ოთხსართულანის სახლისოდენა) — ბაიბურისას ბგავდა, ყრუ და რუხი იყო, მაგრამ „აკრძალულია“ არ წერია.

მოგზაურმა კედელზე ჩიას კვალი მოძებნა. შედგა რკინის სატეხებით გაკეთებულ შვერილებზე და ცოცვა განაგრძო.

ნახევარ საათში კედელს თავზე მოეკცა, მაგრამ იმედი მალევე გაუცრუვდა — ბაიბური არც აქედან ჩანდა. ირგვლივ ქვა-ღორღი ეყარა, წინ კი, საითაც მისი აზრით, ქალაქი უნდა ყოფილიყო, შეეული კედელი იდგა, ისიც ოთხსართულიანისა სახლისოდენა. კედელზე ჩიას კვალი ემჩნეოდა.

მორჩილა დაიღალა. კატაპულტირების შედეგმ მიღებულმა დაეეეულობამ თავი შეახსენა. ქვა-ღორღზე მოძებნა ჩამოსაჯდომად ვარგანი ადგილი და დასასვენებლად დაჯდა.

დაფიქრდა. თავი ჯერ სიზმარში ეგონა, მაგრამ მალევე უყოყმანოდ ეს აზრი.

იჯდა ქვაზე და მის წინ ალმართულ რუხ კედელს ზვერავდა. რაღაც უცნაური გრძნობა დაუფლებოდა. სიამაყეს ბგავდა ეს გრძნობა, მაგრამ არც მთლად სიამაყე ეთქმოდა. ალტაცებასაც ბგავდა, მაგრამ არც ალტაცება ეჩქვა, კმაყოფილებას ბგავდა, მაგრამ მორჩილამ იცოდა, რომ უკმაყოფილო იყო.

წამოდგა, შეიარაღდა თოკებით, სატეხებით, ჩაჭიჭით და შეუტია კედელს.

ამობღდა.

სულაც არ გაკვირვებია, როცა ზენით ადგილ სურათი დაბედა: ქვა-ღორღი და ყრუ, შეფეული კედელი. ჩიას კვალი არ ჩანდა. ალბათ, ჩიამ კედელზე ასვლა გადაიფიქრო, გაიფლო გუფში და უკანვე დაეშვა ნაკრძალში... მალევე უკუვადო ეს აზრი (არქიტექტორი უკან რომ დაბრუნებულიყო, მამა-მალაკია კედელზე ალარ ამომგაზავნდადო).

იარა ღორღზე, კედელს აუყვა და დაუყვა, მაგრამ ჩიას „ალპინისტობის“ კვალს ვერსად მიაგნო. შედეგ, იფიქრა, ასე სიარულს აზრი არა აქვსო. ერთფეროვანი იყო ქვა-ყრილი — ხავსიც კი არ ჩანდა სადმე. ერთხელ და სამუდამოდ ჩამკვლარს ბგავდა იქაურობა და ირგვლივ წყალს სუნი სცემდა.

მორჩილამ კედელი ათვალიერა და დაასკვნა, რომ ჩია მალლა ალარ აცოცებულა. უცებად გადაწყვეტა, არქიტექტორის ძებნისთვის დროებით თავი დაენებებინა და მამა-მალაკიას თხოვნა შეესრულებინა.

შეიარაღდა და შეუტია.

კედელში სატეხების ჩამაგრება დიდ დროს ართმევდა, მაგრამ დაენებით მიიწევდა წინაო... ერთ საათში კედელს თავზე მოეკცა და ახალ კედელს წაეწყდა (ისეთსავე ყრუს და რუხს, როგორც ბაიბურში).

სატეხები და კაუჭები რომ გამოელია, მიბრუნდა. თოკით დაეშვა დაბლა. ქვემო კედელზე „ალპინისტი“ იარალები ამოაძრო, მოიკიდა ზურგზე და ზენით აზიდა.

დასცხო და დასცხო...

ის კედელი ორ საათში დასძლია.

ზემოთ ასულს კვლავ ახალი კედელი გადაეღობა...

დასცხო კედელს სატეხი და ჩაჭიჭი. ოთხი საათი იწვალა და ავიდა... სხვა კედელი დაზედა ზემოთ.

მორჩილას ენთუზიაზმმა თავი ჩაქინდრა.

ბევრი ალარ უფიქრია, უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მობრუნდა თუ არა პირით ნაკრძალისაკენ, დაღამდა. თითქოს მზე ჩაკრა ერთხელ და სამუდამოდ.

ცოტა დაისვენა და დაეშვა თოკით.

დაშვებით სწრაფად დაეშვა, სანამ პარაშუტის თოკები ეყო. მერე ისევ ძველი საფეხურების ამოძრობა დასჭირდა ახლის გასაკეთებლად...

დიდხანს იწვალა.

როცა ნაკრძალისპირა რვასართულიან კედლამდე ჩაადწია, ირიფრაფა.

გადაიხედა. კედლის ძირში კოცონი ენთო. ცეცხლთან მოხუცი იჯდა და, ალბათ, გათენებამდე ფეხსაც არ მოიცვლიდა, რომ მოგზაურს გეზი არ დაეკარგა.

მორჩილას გაეხარდა რაღაც უცნაურად. ადრეც გახარებია და იცოდა, როგორ უხაროდა ხოლმე. ახლა კი არ იცოდა, როგორ უხაროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოდა, მაგრამ დამპატრებენო, ეს კი არ უხაროდა,.. რადაც უხაროდა ისე, რომ სახელი ვერ დაერქმია...

— ჰეი! — დაიძახა წინასწარ, სანამ ჩასვლას დაიწყებდა.

მამა-მალაქია ადგა და მაღლა აიხედა. ბინდბუნდში „ალპინისტი" ვერ გაარჩია, მაგრამ ხმამაღლა დაუძახა, — მშვიდობა შენს მობრძანებას, მორჩილა!

მორჩილამ აღმოსავლეთს გახედა. რიერაკი აღარ ჩანდა და ეჭვმა გაკენწლა. გაიფიქრა, შეიძლება მზე აღარც ამოვიდესო. მაგრამ თავადვე შერცხვა უსაფუძვლო ეჭვის. წალკოტში გაიხედა. ბნელოდა, მაგრამ კედლის ძირში კოცონი სანთელივით პარპალებდა და უცნაურად ახლოს ჩანდა.

მორჩილა ძალიან დაღლილი იყო, მიხვდა, თვალი ატყუებდა, კუნთები და სახსრები გადაბეული ჰქონდა, გაფრთხილდა და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო ჩასვლა...

რაც უფრო უახლოვდებოდა კოცონს, მით უფრო კარგად ხედავდა საფეხურებს და, დაღლილობის მიუხედავად, ჩამოსვლის ტემპს უმატებდა.

ორი სართულისოდენა სიმაღლე ჰქონდა დარჩენილი კედლის ძირამდე, რომ ზედმეტად აჩქარდა, დაუცდა ფეხი საფეხურზე, დაღლილმა ხელებმაც ვეღარ დაიჭირა ტანი... მოწყდა კედელს და კოცონთან გაადინა ბრაგვანი.

— ოოო! — ამოიოხრა.

— ცოცხალი ხარ? — დაადგა თავზე მამა-მალაქია.

— ოოოო! — ოხვრა გაახანგრძლივა მორჩილამ.

— ჩემი ბრალიაა. თავიდანვე უნდა მეთქვა, რომ ჩიაც უკან მობრუნდა, მაგრამ შენი იმედი მქონდა, მასთან შედარებით მეტს ნახავს და მეტს გამაგებინებს-მეთქი... იმიტომ მოგატყუე. ხომ არ გეწყინა?

— ოოო! — გაიმეორა დაუეჭილმა მოგზაურმა და ზურგზე გადაბრუნდა.

— მაშ, არ ჩანს ბაიბური, ხომ? — ჩაჩკითხა მოხუცმა.

— ოოო! — წამოჯდა მორჩილა და ფერდებზე შემოიჭირა ხელები.

მოხუცი მიუჯდა გვერდით და ფეხზე ყავარჯენი წაჭერა. — ნუ გეშინია, გადარჩენილი ხარ!

— ოოო! — ამოიოხრა მორჩილამ, მოიკაკვა და მუხლებში ჩარგო თავი.

— მიეფიცხე! — ურჩია მამა-მალაქიამ.

მორჩილამ დაიჯერა ნათქვამი, ხვნეშით გაჩოჩდა ბალახზე (ისე რომ არ ამდგარა) და ზურგით მიეფიცხა კოცონს. სითბო ესიამოვნა. და გაუუჩდა

დუმდნენ კარგა ხანს.

მოხუცი დროდადრო წამოდგებოდა ვიშვიშით, ფიჩხს დაითრევდა და ცეცხლს უმატებდა ხილმე.

ამ ღამეს მორჩილას ხმა არ ამოუღია.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სიზმარია თუ მომაკვდავი თეთრი გედია,
მთვარემ იძალა — ნოემბერმა ხელი დამრია.
ქარს უმღერია შემოდგომის ღამის არია,
ქართან დარჩენა კი მაინც ვერ გამიბედია.
მთვარე დაიმსხვრა — დამედევნა დამრეცი ზეცა,
მთვარე დაიმსხვრა და სიბნელე შემოეხეტა,
მაინც იცეკვებს დარდიანი თეთრი ოდეტა.
აინთო ფიქრი და უმთვარო ცისკენ გამექცა.
სიზმარია თუ მომაკვდავი თეთრი გედია...

●

იყო ცხადზე ცხადი და ნაღდზე უნაღდესი,
არ ითხოვდა თამასუქს, არ ითხოვდა ვექსილს,
გუშინდელი საღამო — ოქტომბრის თვის თექვსმეტი
და ექსპრომტად ნათქვამი გუშინდელი ლექსი.
სად წრიალებს სიმართლე, ბაგეს წამოცდენილი
მეძებარი ძაღლის უტყუარი გეშით?
ღრუბელს მთვარე შეუსვამს სანამ ჩვენ აქ ვფხიზლობდით,
მთვარე ცას შევატოვოთ, მისამართს ნუ შევშლით.
— ეს რა გამოგვლია, თურმე ჩემსკენ გივლია,
გიძებნია სულის მომლოდინე სული,
ან შენ უნდა გიწამო, ანდა უნდა ვეწამო,
ყველა იოლ შეკითხვას პასუხი აქვს რთული.
იყო ნაღდზე ნაღდი და ცხადზე უცხადესი,
არ ითხოვდა თამასუქს, არ ითხოვდა ვექსილს
ბედის გამოდარება — გუშინდელი საღამო,
ტყვიასავით მიზანში მოხვედრილი ლექსი.

●

ვდუმვარ.
თოვლიანია ჩემი ფიქრები.
ეს იმას ნიშნავს,
რომ მე უკვე გადავსახლდი დიდთოვლობაში.
მკვდრეთით აღგადგენ
და მოგიყვები:
როგორ განვდევნე სევდის ეშმაკი,
ხელისგულებზე მზე დავიხატე
და გულისხეთქვით გამოვაზამთრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთვის სათქმელი ურჩი სიტყვები.
ეს იმას ნიშნავს,
რომ როცა ვდუმვარ,
თოვლიანია ჩემი ფიქრები.

●

„დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო"

დ. გურამიშვილი

ხედავ, რარიგად აგვიანდება მას, ვინც ჩვენს წუხილს გაიზიარებს?!
გვიან თენდება, მალე ღამდება — რა გვეშველება ადამიანებს...
ხედავ, წამება აღარ მთავრდება, ბოლომდე სცლიან სიმწრის
ფიალებს,
ვინ დაგვიდგება ახლა თავმდებად, რომ გადაგვარჩენს ადამიანებს...
შემოდგომის ცა მიწას აკვდება, მერე საღამოც არ აგვიანებს,
შენ, ვისაც შეგწევს ძალა შენდობის, მხოლოდ შენ გვშველი
ადამიანებს.

●

ჩემო მეგობრებო და მტრებო,
ნეტა თქვენს თვალებში ჩამახედა ახლა...
მეტისმეტად ვგავართ ერთმანეთს.
სიკვდილ-სიცოცხლის დაუმიზულ თოკზე დავიარებით,
გეგონება, დილის გამამხნევებელ ვარჯიშს ვასრულებდეთ
და სიმართლეს ისე ოსტატურად ვაზავებთ ტყუილით,
თითქოს ჩაის მივირთმევდეთ კრემიან ნამცხვრით.
ყოველდღე ვიხდით პატარ-პატარა ომებს
და მთავარსარდლის ამაყი მზერით
ან დიპლომატის რბილი ღიმილით
გადავწვდებით მერე ტელეფონს,
ერთმანეთს რომ მოვახსენოთ ბრძოლის შედეგი.
ჩემო მეგობრებო და მტრებო,
ხომ არ დაიღალეთ და დაცხრით?
ჩვენ არ უნდა დავიფანტოთ,
არც მტრობა უნდა მოვიშალოთ, არც მეგობრობა,
ისე ვჭირდებით ერთმანეთს ამ ხორკლიან სამყაროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

მიზოლოგია[1]

(წერილი პირველი)

უცნაურია, ჯერ კიდევ როდის გვაფრთხილებდა პლატონი და მაინც უურად არ ვიღებ. „უპირველეს ყოვლისა, სიფრთხილე გვმართებს, რათა ფათერაკს რასმე არ გადავეკიდოთ. მე მეშინია მიზოლოგებად არ ვიქცეთ, ისევე როგორც მიზანთროპები ხდებიან კაცნი. რადგან ყველაზე დიდი უბედურება ჩვენთვის მიზოლოგიას მოაქვს. ხოლო მისი სათავე იქვე ძევს, სადაც იბადება მიზანთროპია“ („ფედონი“. ბ. ბრეგვაძის თარგმანი).

შეხალებელია მიზოლოგებად გახდომა არც გვინდოდა, მაგრამ იმდენად ვერ ვიტანდით ოდნავ განსხვავებულ აზრს, რომ ძალაუნებლიეთ მიზოლოგიის მსხვერპლი შევიქენით. განსაკუთრებით სახიფათო ის იყო, რომ ჭკუის-მახვწალებელთათვის მანამდე უნდა გვეგდო ყური, სანამ თანამდებობის სკამზე ისხდნენ, თორემ, როგორც კი ტახტიდან ჩამოამარძანებდნენ, მათ ნათქვამს, მათ აზრს ჩალის ფასიც არ ჰქონდა. ამგვარმა ვითარებამ მწერლობას (ხელოვნებას საერთოდ) დიდი ზიანი მოუტანა. ახლა მინდა გავიხსენო ზოგიერთი ფაქტი და მკითხველი მკაფიოდ დაინახავს, რა ნაშაში მიზოლოგია.

1926 წელს ალექსანდრე ბაბუელმა გამოაქვეყნა ლექსი — „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“. იგი ასე მთავრდება:

მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, —
დაეცა ლოკება და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება: ლექსს რათ არ ჰწველს, —
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ
ხარისხად, —
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა!
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან. (ყურნალი „ქართული მწერლობა“, 1926 წ. № 2-3).

როგორც ხედავთ, ლექსში გამოთქმულია ნუხილი შექმნილი მდგომარეობით: პოეზიის ნაცვლად ბატონდება გალექსული საგაზეთო სტატიები. ალ. ბაბუელის ლექსი მხილებაა, დაგმობაა ამ ტენდენციისა. მაგრამ იგი შედეგია მაშინდელი ლიტერატურული პოლიტიკისა. რა უფლებით არ მოსწონს ეს პოეტს? ალექსანდრე ბაბუელს ჭკუა უნდა ასწავლონ, ყური აუწინონ, რომ მეორედ აღარ გაბედოს მსგავსი რამ. იწყება მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

1927 წლის 11 იანვარს თბილისის პარტკონფერენციაზე საკართველოს კპ (ბ)-ის მაშინდელი მდივანი მიხეილ კახიანი ალ. ბაბუელს ემუქრება:

„ბაბუელი ლექსით სწერს ბარათს ნოე ჩხიკვაძეს. რა თქმა უნდა, შეიძლება ბარათის მიწერა ნოე ჩხიკვაძისათვის, თუმცა ის უკვე მკვდარია, მაგრამ ვნახოთ, რა ლექსს უძღვნის ნოე ჩხიკვაძეს ეს ბაბუელი. ამ ლექსის უკანასკნელ ბეზაცში ნათქვამია, მაგალითად, შემდეგი (აქ კახიანს მოაქუავს ლექსის ის სტრიქონები, რომელნიც ზემოთ უკვე წაიკითხეთ — ა. ბ.)...

როგორც ჩანს, ავტორი უკმაყოფილოა, რომ ჩვენ ამჟამად არ ვბეჭდავთ ყოველგვარ ანტიახბეთია ახდა-უბდას და ბაბუელის ლექსების ნაცვლად ვთთავსებთ სხვა მასალას, რომელიც გაცილებით უკეთ ახახავს ხაბეთია ყოფა-ცხოვრებას. უნდა ითქვას, რომ ეს ბაბუელი უკანასკნელ დრომდე მუშაობდა სახელგამში, იმოუფებოდა ხაბეთია ჭიაგარეზე და ამავე დროს მოახერხა 1927 წ. შეედგინა ისეთი ხაბეთია კალენდარი, სადაც, რაც უფრო ვუახლოვდებით 26 მაისს, დაბეჭდილია ისეთი ხხვადასვა

[1] მიზოლოგია — სიტყვის, განსჯის, სიბრძნის სიძულვილი.

ლექსები, რომლებშიაც გაკვრით არის ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასეთი მიკიბ-მოკიბული ენით ლაპარაკობენ იმ იმედით, რომ ჩვენ მას ვერ გავიგებთ. არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კომუნისტები სათანდოთ ვერ ერკვევიან ლიტერატურის საკითხებში. აუცილებელია ითქვას, რომ ჩვენ არავის უფლებას არ მივცემთ კონტრაბანდით გააპარის ყოველგვარი ანტისაბჭოთა საქონელი. ჩვენ ვსცდილობთ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ ინტელიგენცია. საამისოდ ჩვენც ვმუშაობდით და ვმუშაობთ, მაგრამ ჩვენ გადაკვრით ვიბრძოლეთ ანტისაბჭოთა სულისკვეთების ასეთი გამომჟღავნების წინააღმდეგ ინტელიგენციაში" (ეურ. „მნათობი", 1927 წ. № 1. გვ. 189-190).

მიხ. კახიანი ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს მაშინდელი ლიტერატურული პოლიტიკის არსს.

კვალიფიცირებულია ალ. აბაშელის ლექსი — „ანტისაბჭოთა ამდა-ოდდა".

პოეტს აფრთხილებს: იგი საბჭოთა ჯაბაგირს იღებს და ამიტომ უნდა წეროს ის, რასაც დავალებენ.

ყველას მკაცრად მიუთითებს, რომ პარტიას ვერავინ მოაკუნებს და ნურც ნურავინ ეცდება „ლონტრაბანდით გააპარის ყოველგვარი ანტისაბჭოთა საქონელი".

მაშინ ასეთი წესი არსებობდა: როცა „მაღალი" ოფიციალური პირი გააკრიტიკებდა მწერალს (არავინ დაიკმაყოფილებდა ტყუილი იყო ეს კრიტიკა თუ მართალი), მეისვე უნდა გამომაურებოდა ლიტერატურული საზოგადოება და კოლეკტიურად დაეგმოთ ჩინოვნიკის დაწუნებული ნაწარმოები.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მიმართავდა ალეკსანდრე აბაშელს:

ვის რათ უნდოდა იმ დღეებში ფშაველას ხარის
მთიდან ბღავილი ან ქუხილი ბართაშვილის;
როცა გულიდან ხმა — საომრათ
ამონთხეთხარი,
ქვეყნის დამამხობ წარღენასავით იყო
გაშლილი.
როცა მიწაა გაბეკული სისხლში და ქარში,
ვიღამ იფიქროს მშობიარის რითმების
ნაზე
ათას აბაშელს, ათას მერანს გავცვლიდით
მაშინ,
თითო მეომრის ხმალის მარჯვე
შემოკვნეკვაზე.
(„მნათობი", 1926 წ. № 8-9)

ალ. აბაშელთან ერთად, იოლად და დაუნაწილებლად არის გამეტებული ვაჟა-ფშაველაც და ნიკოლოზ ბარათაშვილიც. ბუნებრივია: პროლეტარულ აზერლობას მაშინ არ ჰიბლავდა: არც ვაჟა და არც ბარათშვილი.

მეორე პროლეტარული მწერალი ნოე ჩხიკვაძე „ლენუგეშებდა":

ვინ სთქვა თუ ლექსებს ეხლა არ
სტამბავენ,
ცეცხლ მომდებს, როგორც შენი ქუხილი?!
რა მერე, თუ ვსწერო გაზეთის ამბებს
მათ ხომ თან მოსდევს შორი წუხილი?
და შენ ეხლა რომ იყვე ცოცხალი,
პოეტო, ძმაო და მეამბოხეო:
ინგლისით ხმა რომ მოვა ოხერილი
მას გაზეთიდან თვითონ ამოხეე („ამოწერილია ბ. ბუაჩიძის წიგნიდან „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები", 1934 წ., გვ. 76).

ლიტერატურული კრიტიკის მძვინვარებას კი ალ. აბაშელის მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. ბენტარ ბუაჩიძე პოეტს ტუქსავდა:

„მოჭალაქე აბაშელო! თქვენი აზრები ნვრილ ბურჟუაზიის აზრებია. თქვენი იდეოლოგია მათი იდეოლოგიაა...

რამდენი ხანია მას შემდეგ, რაც ნოე ჩხიკვაძეს იმ ქვეყნიან შესჩოლდით ამ ქვეყნიური უსამართლობის, ქუხილისა და ჩვენი დროის „ნვრილი ამბების" შესახებ. საიდან მოიტანეთ, ვინ გითხრათ, რომ ასეთი ნარსულისათვის თქვენ მადლობა გითხრათ? არც გვიფიქრია და არც შეიძლება ვეფიქრა...

ქრისტიანული სათნოება ჩვენთვის უცხოა. სამკვდრო-სახიცოცხლო კლასობრივი ბრძოლის დროს არავითარ სახიყვარულო დათმობებს არ შეიძლება ეკნნეს ადგილი. ჩვენი კლასობრივი ალღო ისე არ დაჩლუნგდება, რომ ბრძოლაში სიყვარულს დაუთმოს ადგილი, „მცირედ" იყნეს ის, თუ „დ�d" („თანამედროვე ქართული მწერლობის გზები", 1934 წ. გვ. 157-158).

ასე უთხრეს ალ. აბაშელს უარი თანაგრძნობას, სიყვარულსა და სათნოებაზე. იგი მარტო დარჩა. არც ერთ კაცს მაშინ პოეტის დასაცავად ხმა არ ამოუღია. არავინ გამოკმეტგებია მას. ითი ოქმის ათი წელიწადი ცდილობდა ალ. აბაშელი დაეცვა და შეენარჩუნებინა პოეტისა და პიროვნების თავისუფლება. მაგრამ ბოლომდე ვეღარ გაუძლო. გატეხდა და მორჩილად თავი დაბარა. 1929 წელს თავისთავი გამოიგლეშა.

ცაში მზე დადის. შენს თვალებში რათა
დგას ჩრდილი?
ჰაუ, ლაჩარო! საუკუნის არა ხარ შვილი! —
როგორ ვერ ზიდე დროის სიმძიმე და
სიმძაფრენი?!

მოსწავლეთა თვალებს სარკე ცივი და
გაბზარული,
რომ დანახავო ლღვე და ვეღარ გადასაფრენი,
და თქვა სიმღერა, ეპოქისთვის
თანამგზავრული!

(ალ. აბაშელი — თბილელებთა კრებული, ტ. 1, 1958 წ., გვ 318).

ალ. აბაშელი გამოსაღლისი არ ყოფილა. მისი თვვგადასავალი უბრალოდ სანიმუშოდ გავიხსენეთ. თორემ ასე გაწკეპლილა ყოველი მწერალი, ვინც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ მოსწონებია ხელმძღვანელ ელიტას.

კაბიანის არ მოსწონდა არც „არიფონის" სახელით გაერთიანებული მწერალთა ჯგუფი.

„გაბატაცებული არიან ნა „არიფოთით", მათ არ სურთ ახალი ცხოვრების გაგება და შესწავლა. ასეთი ლიტერატურა ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენ არ გვჭირდება ის ხალხი, რომელიც ოოტას ახსაბს ძველ დროს, ყოველივე დახავსებულს და იუოტება წარსულისაკენ. საშუალო საუკუნეებისაკენ. ყოველივე ეს უნდა აღმოეფხვრას! საკართველოს სინამდვილიდან" („მნათობი", 1928 წ., № 7, გვ. 167). ზოგიერთ მწერალს კი პირდაპირ ემუქრებოდა: „ჩვენ ნებას არ მივცემთ არც გერონი ჭიკოძეს და არც ჭავახიშვილს დასცინონ ჩვენს აღმშენებლობას".

ᲐᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ: მიხ. კაბიანის ცხოვრება უბედურად დამთავრდა. სხვებს ემუქრებოდა, თავებს დაგაყრევინებთო და თავად გახდა მსხვერპლი. ჯერ საკვანძო კპბ) შეა ახიის ბიუროს მეორე მდივნად გაგზავნეს, მერე კი ხალხის მტრად გამოაცხადეს და არაერთ უწყეს, სად და როგორ ამოხდა სული.

სხვათა შორის, ნიშანდობლივია შიში, რომელსაც ამ სიტყვაზე ამყოვნებს კაბიანი. მისი აზრით, გ. ჭიკოძე თურმე გამოხატავს „მბეცური შოვინიზმის ფსიქოლოგიას", მაგრამ ამას მალავს „მბაგტარული პროდუქციის ფორმაში". ამ თვალთმაქცობას გ. ჭიკოძე მიმართავს თურმე იმის იმედით, რომ „ბოლშევიკები ვერაფერს მიხვდებიან ნაკითხულში. მაგრამ ეს არ მოხდება. ახლა ოვიოეული მუშა დაინტერესებულია იმით, თუ რა იდგმება თეატრში, იმით თუ რა არის დაბეჭდილი წიგნში და ვერავითარი ვერონები ჭიკოძე, რამდენი უნიერსიტეტიც არ უნდა ჭამოხეტ დამთავრებული მას, ვერცერთ მუშას ვერ მოატყუებს" („მნათობი", 1928 წ. № 7, გვ. 166-167).

მარტო სიტყვიერი გაერთხილებითა და დაშინებით არ ემაოფილდებოდნენ. მიმართავდნენ ადმინისტრაციულ სასჯელსაც. სანიმუშოდ ერთ ვრცელ ამონაწერს მოვიტან (იხილეთ 1931 წლის 9 ივნისის გაზეთი „კოზენისტი").

საკართველოს ხალხთა მწერლების ფედერაციის მიერ „გამოყოფილი იყო წმენდის ჯამტარებელი კომისია, რომელმაც დაამტკიცა ხალეები გამოსარიცი მწერლების შესახებ და გამოსარიცი მწერლების სია პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას წარუდგინა დასამტკიცებლად.

გამორიცხვას საფუძვლად დაედო შემდეგი დებულება:

ა) გამორიცხოს აშკარა რეაქციონური და შოვინისტი მწერალი, რომელმაც თავისი იდეოლოგია ამ ათი წლის განმავლობაში გამოხატა აშკარა მხაკვრულ, მეცნიერულ და კრიტიკულ ნაწარმოებებში, ბეჭდვითი და ზეპირი გამოსვლებით.

ბ) გამორიცხოს აგრეთვე ორგანიზაციის პასიური წევრები, რომლებიც ათი წლის განმავლობაში ლიტერატურაში არ მუშაობენ, არც მწერალთა ფედერაციის საზოგადოებრივ საქმიანობაში ღებულებენ მონაწილეობას, მწერალთა ფედერაციის წევრებად კი ითვლებიან.

გ) გამორიცხოს მწერალთა ფედერაციის შემადგენლობიდან მექანიკურად ჩარიცხული წევრები, რომლებიც არასოდეს მწერ..... ეში (ასეა გაზეთში. ეტუობა სიტყვა დაკვლეფილია — ა. ბ.) ირიცხებიან და მწერალთა ფედერაციის რიგებში არ მოდგაწეობენ.

ამ სამი დებულების მიხედვით მოხდა მწერალთა წმენდა. პირველი კატეგორიით გამორიცხული არიან შემდეგი მწერლები: პავლე ინგოროყვა, კოსტა. გამსახურდია, შარაშიძე შალვა (თაგუნა), იოსეფ იმედაშვილი.

პავლე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონური და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ეუონანლის „ეაკკახიონინ" რედაკტორობის დროს ნათლად გამოამეღავნა თავისი რეაქციონური და ნაციონალისტური სახე. ამავე რეაქციონერი პაზით ის საკმაოსაოდ აკადემიურ მწერალთა კავშირში და ეს საკმაოსაოდ ამ კრებებზე გამოსვლებზეც, თავისი ანტისაბჭოთა დეკლარაციებით. პავლე ინგოროყვა იყო ქართველ მწერლების რეაქციონური და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქარ. წიგნის" გამოცემლობას, რომელიც წარმოადგენდა ხელმძღვანელობის დროს ხაბეჭთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს.

კ. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი-შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტელივ იბრძვის მხაკვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „ზავი ჩობის" ტრადიციის დასაკა-

ვად. ხსენებული გამოუსწორებელი რეკვიზიტი მწერალი დღეკანდელობისათვის პოლიტიკურად მავნე მაკატრულ ნაწარმოებებს აკვეცნებს.

შალვა შარაშიძე (თაგუნა) „უშმაკის მთარგნის“ ერთ-ერთი რედაქტორთაგანი, მეწმენიშმის რომანტიშმით გაჟღენთილი მწერალი, მეწმეიკების ნაწარმოებებში ილაშქრებს ხაბეთია ბელსოფლების წინააღმდეგ.

ოსეთს იმედაშვილი — რეკვიზიტური მწერალი, რომელიც გამოდგებით ებრძვის მწერალთა ფედერაციას, უკიდურესი შოვინიტი.

მეორე კატეგორიაში მოპყენენ მწერალთა ფედერაციის პასიური წევრები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერს წერენ და ითვლებიან ორგანიზაციაში მკვდარ სულებად. ასეთებია: ხარიტონ ვარდოშვილი, ვრისტოფორე რეჯელიშვილი, ბიძინა აბულაძე, ცვარ-ნამი, იროდიონ სონლიული, სიო ჯანტურიშვილი, არ. ჯაჯანშვილი, სიკო დოლიძე, ლელი ჭაფარიძე, ირაკლი ტატიშვილი, დავით ნახუცრიშვილი, სიმონ ქვარიანი, თეფრო კიკვაძე, ივანე ელიაშვილი, კოკი აბაშიძე, ნ. კეცხოველი.

მესამე კატეგორიით გამორიცხულია მწერ. ფედერაციაში მექანიკურად მოყოლილი ელემენტები, რომლებსაც მწერლობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ: მიხ. ხაუვარლიძე, სიმონ ჯანაშია, მიხეილ აბრამიშვილი“.

მწერლობაში პარაპეტს უნტერი პრიშნეეევი და წუოთით არ აცილებს თვალს მწერლის ცხოვრებას. არ სჯერა შემოქმედის კეთილსინდისიერება და გამოდგებით ამეწაოეებს. გორრგი ლეონიძეს უკვე გამოქვეყნებული ქმნილ პოემის — „სტალინი. ბავშობა და ყრმობა“ — ვრცელი ნაწყვეტები (იხ. 1937 წლის 10 თებერვლის „ლიტერატურული გაზეთი“ და იმავე წლის 6 მარტის „კოშეინსტი“), მაგრამ მაინც ხასტიკად აკრიტიკებენ და ეშურებიან. „ცნობილია, რომ პ. იაშვილი და ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე — და არა მარტო ესენი — ხალხის მტრების ალნაშვილის, ჯიქიას, ბუდუ მდივნის გავლენის ქვეშ იყვნენ, რომ ეს ხალხის მტრები მათ ამოშავეიბდნენ“ („ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ, 10 ივნისი) თუმცა ლექსად დადებული ერთგულების ფიციც არ კმარა. საჭიროდ უნდა მოიხსენო ბოდიში იმ დანაშაულისათვის, რომელიც არ ჩაგიდენია. „ჩვენს რიგებში კიდევ არიან მწერლები, რომელთა კავშირი და ურთიერთობა ხალხის დაუძინებელ მტრებთან ყოველგვარ ეეჭვარეშეა: ტიციან ტაბიძე, გ. ლეონიძე და სხვები უნდა გამოვიდნენ აქ, ჩვენი კოლეკტივის წინაშე და გულწრფელად აღიარონ ყველა ის დანაშაული, რომელიც მათ ჩაადენინა ხალხის მტრებთან აშკარა მეგობრულმა ურთიერთობამ“ („ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 30 სექტემბერი. „გავშმინდოთ დიადი საბჭოთა ენა ყანა კონტრრევოლუციური სიბინძურისაგან“).

და ივსებიოდა გაზეთები, ეიუნალები მონანიების სიტყვებით, თვითგვემით ინდიდნენ ბოდიშს. ეევდრებოდნენ შეწყალებას, ფეხქვეშ თელავდნენ ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას. მაგრამ ბევრს ანაბეკ ვერ უშველა. მაინც განადგურეს.

გრძელია მოსსპობილთა სია: გ. ბაბაზვი, ბ. ბუაჩიძე, დ. დეტერაძე, ნ. ზუმბლეთელი, ხ. თალაკვაძე, პ. იაშვილი, რ. კალაე, ვ. კოტატაშვილი, ვ. ლურსამიძე, ნ. მიწიშვილი, გ. მუშიშვილი, ფ. ნაროუშვილი, პ. საყვარელიძე, ტ. ტაბიძე, კ. ფეიდოსიშვილი, პ. ქიქოძე, დ. ჩიანელი, გ. ძიგაშვილი, კ. ხიმშიაშვილი, ბ. ჯავახიშვილი... (მომიტევოს იმათმა ხსოვნამ, ვინც გამომრჩა!).

მოსსპეს არა მარტო იმთავითვე მტრებად ჩარიცხულნი — მიხ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, — არამედ ძველი კომენსოსტებიც, რომელნიც სხვათა იავარიოფას ოცნებობდნენ — ს. თალაკვაძე, რ. კალაე, პ. ხაუვარელიძე. მათ მიაყოლეს პროლეტტწერლობის მოჭადგენი და „ძველის“ უარმყოფელნი გ. მუშიშვილი, ვ. ლურსამიძე, ბ. ბუაჩიძე და კომპანია.

რატომ? არავინ უნდა იყოს დაზღვეული, არც მტერი, არც მოყვარე. ყველა უნდა ცახცახებდეს შიშით. არავინ უნდა უწოდოს, როდის აღიმართება მის თავზე თემიდის მახვილი. მაშინ ყველა მორჩენილი და დამუნჯებული იქნება.

მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი მალაქია ტოროშელიძე ჯერ სხვებს ასწავლის ჭკუას, როგორ უნდა ებრძოლონ მტერს.

„ჩვენ ბუნებრივად გვიტაცებს მშენებლობის ენთუზიაზმი. ვიმსჭვალენით სრულიად უჩვეულო სულიერი განწყობილებით და გვაგონებდა ხოლმე, რომ მტერი მოდამ გვიოვალოვადეს, დროს გვიჩერეს, ცდილობს თავს დაგვესხას და ჩვენი მიღწევები და ბედნიერი განცდები მოგვიწამლოს, მოგვიშხამოს. რაც უნდა მცირე იყოს მტრის ძალა, ამ საქმის შესრულება მას მაინც შეუძლია; მას სხვა საქმე არ აწუხებს და არ ადარდებს — ამაშია ის სავსებით დაბლოვნებული და არც მიხი ძალების სიმცირეზე შეიძლება ლაპარაკი, სანამ არსებობს (თუნდაც ჩვენს გარეშე) კაპიტალისტური სამყარო, რომელიც მუდამ მისცემს მატერიალურ და სულიერ საზრდოს ჩვენს კლასობრივ მტერს; მუდამ „ალფრთოვანებს“ მას ყოველად უმსგავსი მოქმედებისაკენ. ამიტომ ჩვენ ნება არა გვაქვს ერთი წუთით მაინც დავიფიწყოთ ჩვენი სამძოვო მოვალეობა: კლასობრივი მტრის წინააღმდეგ შეუწყვეტელი,

ულმობელი ბრძოლა" („ლიტერატურული გაზეთი", 1935 წ., 12 თებერვალი).

გიორგის ცოტა ხანი და თვითონ მ. ტოროშელიძე გამოცხადდება ხალხის მტრად და კაპიტალიზმის ჯაშუშად. მწერალთა კავშირის ახალი თავმჯდომარე აკაკი თათარაშვილი ატყუებს მასზე — „ხალხის დაუძინებელი მტრის თავხედობა იქამდე მიდიოდა, რომ სცადეს კიდეც ხელში ჩაეგდოთ მთელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ამის მაგალითს ჩვენს ორგანიზაციაში წარმოადგენდა მ. ტოროშელიძე, რომელიც ორი წლის განმავლობაში სათავეში ედგა მწერალთა კავშირს. კონტრეფოლუციური თვალთმაქცობის და მავნებლობის ეს გაკოტრებული „ოსტატი" დიდხანს სწამლავდა ქართული საბჭოთა მწერლობის ატმოსფერს" („ლიტერატურული საქართველო", 1937 წ., 15 მაისი).

არსებითად აკ. თათარაშვილს დამთავრებული არ ექნება ეს სიტყვა, რომ თავად მან დაარქმევინ კაპიტალიზმის დივერსანტს, გარეწარსა და მავნებელს. საქართველოს მწერალთა კავშირის კიდევ ერთი ახალი თავკაცი დავით დემეტრაძე ასე დაანახიათებს მას:

„თათარაშვილი გამქელვნებული იქნა, როგორც ხალხის მტერი, დივერსანტი, რომელიც მთელი წლების განმავლობაში ჩვენი სამეუნრეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა უბანში ეწეოდა შენიღებულად ჯაშუშურ-მავნებლურ მუშაობას. მან ჩვენ კავშირშიდაც „ისახელა" თავი, როგორც გაუსწორებელმა ბიუროკრატმა. თვეში ერთხელ თუ შემოიკრიბა იმ ორგანიზაციაში, რომლის ხელმძღვანელობა მას ჰქონდა დავალებული. მუდამ დაპირებას იძლეოდა, მაგრამ არასოდეს მას არ ასრულებდა. იგი იყო „მნათობის", „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი, მაგრამ იგი არა თუ რაიმეს აკეთებდა, როგორც რედაქტორი, არამედ ხელს უშლიდა და დეზორგანიზაცია შეაქონდა მუშაობაში. თათარაშვილის ბიუროკრატმა, უქნარობა და ცარიელი ლაპარაკი იყო მტრის მავნებლურ-თვალთმაქცური ბრძოლის ფორმა" („ლიტერატურული საქართველო", 1937 წ., 31 ივლისი).

ტრიბუნიდან არ იქნება ჩამოსული დ. დემეტრაძე, რომ მის თავზეც გაიელვებს ყოვლის-მმუსერელი მახვილი. მწერალთა საერთო კრება მას, „როგორც გამომძღვანებულ ხალხის მტერს" კავშირიდან გარიცხავს, მერე კი ფიზიკურადაც მოსპობენ (ლსცხა, ფ. 8. აღწ.1, საქ. 600, ფურც. 20-25).

და ახე დაუბრუნდნენ ატრიალებენ ნუთიოსოფლის დოლაბს და ფქვავენ განუკითხავად მტკუანსა და მართალს.

ეს არ იყო დროებითი კამპანია, რომელიც ოდესმე შეწყდებოდა. არა. იგი დრო და დრო აუცილებლად უნდა განმეორებულიყო. და მეორდებოდა კიდეც. განსხვავება მხოლოდ მხოლოდ შემაბმაში: ზოგჯერ წმერლთან რეგალიებია, ზოგჯერ ლიანგუარი, ზოგჯერ კი ცალკეულ პირებს ეროზავენ.

სხვა პოეტებთან ერთად, კ. ნადირაძე კოლხეთში წასულია შემოქმედებითი მივლინებით. მაგრამ იქ, „ახალ მატერიაზე, რომელიც ალმოჩენილია ბოლშევიკების მიერ", კ. ნადირაძეს მხოლოდ ტყემლის აუვავება შუამჩნევია, მეტი არაფერი. ხოლო კ. ჭიპინაძეს პოემით „ოლონის პაოლოგია" უკია ბუნების ბრმა სტაკეი. გაბრაზებული კ. ჩარკვიანი, საკარიელის კაცს მაშინდელი პირველი მდივანი, ყურს უწუვს ორივე პოეტს — „ჭიპინაძეც და ნადირაძეც სერიოზულად უნდა დაუფიქრდნენ თავიანთ შემდგომ შემოქმედებითს გზას, მარტო უიდეო ელექტრის რომანტიკოთა და სიმბოლისტური ბურუსით სოციალიზმს ეპოკაში შორს ვერ წაბვალ" („ლიტერატურული საქართველო", 1938 წ., 20 ივნვარი).

არც კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება" მოსწონებია კ. ჩარკვიანს.

„ახალი ნაწარმოებით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გქონდეს მოწონავე საბჭოთა მწერლის სახელწოდების პრეტენზია. კონსტანტინე გამსახურდიამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ საბოლოოდ განთავისუფლდეს ბურუაზოფილ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ტყვეობიდან..." („ლიტერატურული საქართველო", 1938 წ., 20 ივნვარი).

მარტო თანამედროვე მწერლებს არ წვრთნიდნენ, კლასიკოსებსაც ტუსაღობენ და ასწავლიდნენ — როგორ უნდა ეწერათ. კ. ჩარკვიანი 1951 წლის 10 ივნვარს თბილისის X საკალაქო პარტიულ კონფერენციაზე თავს დაეხსა ვაჟა-ფშაველას.

კ. ჩარკვიანის სიტყვით, ვაჟამ თურმე „...ვერ შეელო ამალლებულიყო თავისი დროის ამოცანების გაგებამდე. ვაჟა-ფშაველი ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთელ ქართველთა და მათ მეზობელ მთელ ტომთა სისხლისმღვრელი შინაარსებითა და მითოლოგიური სიფეიქებით. იგი სიუკარულით აკვიწერს მთელებში გვაროვნული წყობის ნაშთებს. არა მარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები, რომელიც საქართველოში მის დროს ბობოქრობდა, არამედ ქართველი ხალხის საერთოეროვნული ამოცანებიც ჭეროვნად არ ყოფილა ახალი ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაში" (კ. ჩარკვიანი — სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში შუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ. 1951 წ., გვ. 11-16).

აუცილებელი ინტერვიუ: კ. ჩარკვიანი 1952 წლის ორ აპრილს მოხსენებს. რა თქმა უნდა, დაიკმა მთელი მისი მოღვაწეობა. „ქართ-

ეკლო „ხალხის ნაკადი ხელმძღვანელი“ (ალ. იმედაშვილი). ეს ეპიზოდი ეროვნულ ნაციონალურ ... ...

სებული საბჭოთა კულტურა და რომელთაც უნარი შესწევთ ასახონ საბჭოთა ადამიანის საქმიანობა, სული და მორალური სახე" („ლიტერატურა და ხელოვნება", 1947 წ. 28 სექტემბერი).

ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲔᲣ: 70-იან წლებში ჭავჭავაძის გამზირზე ხშირად შეხვდებოდით ერთ ჩია ტანის ბერიაკაცს. თავზე დაკმუქნილი შლაპა ეხურა, ტანთ გახეხილები, გაქონილი კოსტიუმი ეცმოსა, ფეხთ კი ქუსლებმოქცეული ხალი ეცვა. ხელში ბადური ეჭირა. შიგ გამხმარი პურის ყუა ეგდო და გაურეცხავი მაწვნის ქილა. იგი მაღაზია-მაღაზია დაცუხცუხებდა და დამფრთხალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ეს გახლდათ ერთ დროს მრისხანე პეტრე შარია. ბერიას დამხობის შემდეგ, ისიც კარგახანს აუურაუუტეს ციხეში. გათავისუფლების მერე პროფესორის სახელი დაუბრუნეს, მაგრამ ძველი ძალიერება გაბუნებული იყო. როცა გარდაიცალა, უბრალო ნეკროლოგის ღირსიც არ გახდეს.

ამით არ დამთავრდება ერთხელ და სამუდამოდ მიზანში ამოღებული კ. გამსახურდიას გვემა. სულ ხუთიოდე წლის მერე მას ისევ გაკიცხავს საქართველოს კპ ცკ-ის ახალი პირველი მდივანი აკაკი მგელაძე. საქართველოს კპ(ბ) XV ყრილობაზე იგი იტყვის:

„წარსულში კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობას „განსაზღვრავდა — როგორც ამბანაგმა ლ. პ. ბერიამ საქართველოს კპ(ბ) X ყრილობაზე თქვა, — მეგობრული ნაციონალიზმი აშკარად გამოცხადული ფაშისტური ელფერით". გამსახურდია ამისათვის მკაცრად, მაგრამ სავსებით სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. მაგრამ ამ კრიტიკიდან მას დღემდე არ გუაკეთებია საჯარო დასკვნები. მწერალ გამსახურდიას მიერ საქართველოს წარსულის იდეალიზაცია გამოხატულებაა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა...

გამსახურდიამ ძირეულად უნდა გარდაქმნას თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა. მან უნდა წერის ხალხისათვის, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურა საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა. თუ არა და, ხალხი მას არ იცნობს" („კომუნისტი", 1952 წ., 18 სექტემბერი).

ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲔᲣ: „ეს „ბელადები" საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის ტუ ერთი წელიწადი და 12 დღე ძლივს გასძლო. ერთ წელიწადში იმდენი დანაშაულის ჩადენა შეიძლებოდა, რომ მოხსნისთანავე ვიმეკვეყნდა მისი მამხილებელი წერილები (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1953 წ. 28 აპრილი და 23 მაისი). მერე სადღაც საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დანიშნეს და პროვინციაში დაკარგეს. 70-იან წლებში გაიხსენეს და მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. არაფერმა უშველა. როცა გარდაიცვალა, მისმა მფარველებმაც კი არ იკადრეს მის ნეკროლოგზე ხელის მოწერა. გაურკვეველი „ამხანაგების ჯგუფი" იგლოვდა მის სიკვდილს. ცხადი გახდა, ვინ არ იცნო ხალხმა.

ერთხელ მწერალთა დელეგაცია მიუღია ერთ დროს აზერბაიჯანის კპ ცკ პირველ მდივანს და მერე დახჭილ ბაგიროვს. პოეტ პავლე ანტოკოლსკის მიღებაზე დაუყვანია. კახინტაში იგი ფრთხილად, ფუნაკრეფით შესულა, მაგრამ ბაგიროვს მაინც შეუმჩნევია და მკაცრად უკითხავს:

— ვინ ხარ?

— პოეტი ანტოკოლსკი, — მიუღია პასუხი.

— დაჯექი! — უბრძანებია მდივანს. ანტოკოლსკი დამჯდარა.

— ადექი! — მოულოდნელად დაიჭუხა თურმე განკარგულებამ. ანტოკოლსკი მეისევე წამომხტარა ფეხზე.

— დაჯექი! — ისევ უბრძანებია ბაგიროვს. ანტოკოლსკი ისევ დამჯდარა.

— ადექი! — დაჯექი! — ადექი! — დაჯექი!.. შეუწუვეტლივ ისმოდა თურმე განკარგულებანი და ანტოკოლსკიც ჯდებოდა და დგებოდა. ასე ხტოდა თურმე იგი მანამ, სანამ აზერბაიჯანის კპ ცკ-ის მდივანს არ მოსწყენოდა პოეტის აბუჩად აგდება. (А. Лосев — Ненаписанные репортажи, 1976 г. стр. 300).

როცა ვლადიმერ დუდინცევმა გამოაქვეყნა რომანი „არა პურითა ხოლო" „ლმობიერმა" ხრუშჩოვმა მაშინვე დაუდარინა და ეშვები გამოაჩინა.

„...არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდა, კერძოდ, მწერალი ვ. დუდინცევი. მის უბადრუკ წიგნში „არა პურითა ერთითა" (რომანის სათაური არაზუსტად არის თარგმნილი — ა. ბ.), რომლის გამოაყენებას ჩვენს წინააღმდეგ ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა
Site-Simonov

ცდილობენ რეაქციული ძალები საზოგადოებრივ, განსაზრახულ ეურიით მოთრეულია უარყოფითი ფაქტები და ტენდენციურად გაშუქებულია ჩვენ-დამი არამეგობრული პოზიციებიდან...

ლენინი შეურიგებელი იყო იმათდამი, ვინც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხში პრინციპულ ხაზს უხვევდა, ვინც იდეური შეცდომებისადმი დამოკიდებულებაში ლიბერალურ პოზიციებზე ეშვებოდა". („ლიტერატურული გაზეთი", 1957 წ., 30 აგვისტო).

საქართველოში კი ოთარ ჩხეიძე იჭდა დამნაშავის ხკამზე და საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი ვახსენ მეგავანაძე მას ჯოხავდა.

„ზოგიერთი ჩვენი მწერალი კი, რომლებმაც სწორად ვერ გიგეგმ პარტიის მოთხოვნა ნაცვლად იმისა, რომ გაბედულად გამოაშკარავოს ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მეორე უკიდურესობაში მოექცა. ისინი აზვიადებენ ჩვენი ცხოვრების უარყოფითს, არატიპიურ მხარეებს. სწორედ ამგვარი ნაკლოვანებები ახასიათებს ო. ჩხეიძის ნაწარმოებს „ბუროუს" („კომუნისტი", 1956 წ., 20 იანვარი).

აუცილებელი ინტერმეცი: მერე იმ პერიოდს, როცა მეგავანაძე მდივნობდა, „ნუგბატური მოელენების პერიოდად" გამოაცხადებენ და, რაც საქართველოში უბედურება მოხდა, ყველას მას დააკისრებენ. თურმე ოთ. ჩხეიძის „ბუროუსში" აღწერილი მანკიერებანი ხლვაში წვეთი ყოფილა იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში ხდებოდა.

კრიტიკა, როგორი მკაცრიც უნდა იყოს იგი, არაფერი იქნებოდა, გარკვეული, ჩამოყალიბებული ეხოეტიკური პოზიცია რომ არსებობდეს. ბოლოს და ბოლოს, კრიტიკის უფლება ყველას აქვს, მაგრამ იგი რაღაც ხიფეძველს უნდა ეყრდნობოდეს. წამდაუწუმ არ უნდა იცვლებოდეს.

40-იან წლებში, როცა კოსმოპოლიტიზმის კრიტიკა დაიწყეს, უცხოურისადმი პატივისცემა აკრძალეს და ისეე დაარბიენ და აფეოიკეს კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, გაზეთი „კომუნისტი" (1949 წ., 11 მაისი) წერდა: „რატომ უნდა მივიჩნიოთ ირანის კულტურა მზედ, იმ ბრწყინვალე მნათობად, რომლის სხივებმა ქართული კულტურა ალმოაცენეს, რაში გვკიოლდება ეს მონური ქედის მოხრა, ეს თავის დამცირება ჩვენ, შვილებს იმ ბალხისას, რომელმაც წარმოშვა შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი და ალექსანდრე ყაზბეგი".

ამას ისე წერდნენ, თითქოს სულ ცოტა ხნის წინათ, თავგადადებული გმოძა არ მიმდინარეობდა რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიასი, აკაკის, ვაჟასი. თითქოს მათ არ ეძახდნენ ქართული ფეოდალიზმისა და ნაციონალიზმის მოძღვრებებს, რომელნიც უცხო და უვარგისი არიან მუშებისა და გლეხებისათვის.

კ. მ ე ლ ა ძ ე: „ეეფშისტყაოსანი" თავიდან ბოლომდე ფეოდალური არისტოკრატიის საგალობელს წარმოადგენს" („კლასიკოსების შესახებ", 1935 წ. გვ. 29).

„ბარათაშვილი რომანტიკოსია, რომანტიკოსი წარმავალ, მომავკდავ კლასის და არა აღმავალის. მისი „მერანი", რომელიც ცხოვრებიდან გაქცევის საუკეთესო ნიმუშია, არც იმდენად დიდი სოციალური ღირებულებისაა... „ეერანი" ცხოვრების წინააღმდეგ ამბობს კი არაა, იგი რევოლუციური ფაქტი კი არაა, არამედ ცხოვრებიდან გაქცევის საუკეთესო დოკუმენტია... ბარათაშვილი არ შეიძლება იყოს რევოლუციონერი და მასზე ლაპარაკიც კი უაზრობაა, თუ გინდათ იმიტომ, რომ მისი სიმღერა, მისი ლექსები არის სიმღერა და ლექსები წარმავალი კლასისა, რომელიც ნადგურდება და კვდება" (იქვე, გვ. 115-116).

ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე: „ი. ჭავჭავაძე კი იყო წარჩინებული თავადის შვილი, მემამულე და გლეხების მეხატონე. იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი. როგორც მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მთაყვანებელი და მონარქისტი" („ბრძოლა კლასიკოსებისათვის", 1931 წ., გვ. 15).

კ. მ ე ლ ა ძ ე: აკაკი წერეთლის „პატრიოტულ ლირიზმში თავიდან ბოლმდე ფეოდალურ საქართველოს დაცვის ტენდენციაა გატარებული. აკაკის არსად არ ამოუღია ხმა ბატონყმობის ხაწინააღმდეგოდ, მას არსად არ მოუცია ყმები ბატონ-ყმობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლები, პირიქით, ისინი თავისი ბედით კმაყოფილნიე არიან..." („კლასიკოსების შესახებ", 1935 წ. გვ. 91).

პ. ქ ი ქ ო ძ ე: ვაჟა-ფშაველა არის „ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო უკუღმტორო, რეტროგრადიული, მისტიური, ანტიახზოგადოებრივი და ჩვენი კლასიკური ბრძოლის გაცხარებული პერიოდისათვის სრულიად მიუღებელი და დღევანდელი ინდუსტრიალური ეპოქისათვის ყველაზე უფრო შეუფერებელი მწერალი, რომელიც არ ვიცით რა მოსაზრებით ატარებს კლასიკოსის სახელს" („ბრძოლა კლასიკოსებისათვის", 1931 წ., გვ. 25).

ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე უწოდებდა ფ. მახარაძე „ცისფერ ყანწებს" „დუხჭირ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში და უდიდეს ლიტერატურულ დანაშულს". ხოლო ახალი თაობის ქართველ მწერლებს ასე ახასიათებდა: „ამნაირად გრიშაშვილ-იაშვილების და რობაქიძეების მოვლენება ქართულ ლიტერატურაში მჭიდროდ დაკავშირებულია რეაქციის გამორჯვებასთან; ისინი ბნელი ძალების ღვიძილი შვილებია და ამავე ძალებს ემსახურებიან და გუნდრუკს უკმევენ. მაგრამ იმათი დღესასწაული და ვაკანალია დიდხანს არ გაგრძელდება. მზე კვლავ ამოვა და ნათელი გაიმარჯვებს; მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან თავისი ბნელი ხოროები მოსძებნონ და იქ ჩაძვრნენ" („თხზულებათა კრებული", ტ. V, 1926 წ., გვ. 220, 224).

ამგვარი მუქარა, თან მერყეობა, ქაოსი, უტრინციპობა ძნელად (ალბათ, შეუძლებელი) შესაგუებელია სერიოზული, გონიერი, მყარი შეხედულებების ადამიანისათვის. ის კაცი, ვინც ეძებს საბუთს, ლოგიკას, სიმართლეს ვერ შეეგუება, ვერ გაითავისებს ასეთ მდგომარეობას. ამდვრეული წყალი უყვართ უსინდისო, უტრინციპო, უმკუო, წინამასწარა ადამიანებს. ისინი იოლად იჭერენ თევზს და ზედაპირზედაც ტივტივებენ.

რაც მოგახსენეთ შედეგია მიზოლოგიის, აზრთა სხვადასხვაობისა და თავისუფლების სიძულვილის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავთავისუფლდეთ მიზოლოგიისაგან, თორემ ჩვენს მწერლობაში (საერთოდ ბელოვნებაში) მუდამ ივლის ელეჯარი, პერსონაჟი ლეონიდ ანდრეევისა, და ცივი, უაზრო შემოხედვით გაყინავს და გაკვეავებს ყველაფერს.

მამუკა წიკლაური

იერიშები უკანასკნელ იმპერიაზე

●

ყველა ერს აქვს თავისი მთავარი ეროვნული დღესასწაული. ამ დღეს მსელი ერი ერთად შედგება ხოლმე და სიამაყით გაამყარებს გამოვლილ გზას. გზას, რომელიც ამ ეროვნულ დღესასწაულში დაკრისტალდა და დაიწერა, რომელიც ეროვნული უკადაგების რწმენასთან შენიფოდა.

გვაქვს თუ არა ჩვენ დღესასწაული?

25 თებერვალი...

7 ნოემბერი...

დღემდე ეს თარიღები აღინიშნებოდა ყოველწლიურად.

მიმდინარე, 1989 წლიდან კი ქართველმა ხალხმა ორივე ამ თარიღის აღნიშვნაზე უარი თქვა. არის მოსაზრებები — 25 თებერვალი ზეიმად კი არა, ეროვნული გლოვის დღედ გამოცხადდეს... ხოლო 1917 წლის 7 ნოემბერზე დღეს უკვე ლაპარაკობენ როგორც დასაწყისზე იმ დიდი კატასტროფისა, რომლის წინაშეც დღეს ხალხოთა კაშარი აღმოჩნდა...

1989 წელს ზეიმით აღინიშნა 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების დღე. მაგრამ ამ რესპუბლიკამ ხომ ხულ რამდენიმე წელიწადს იარსება... 1921 წელს რუსეთმა დაარღვია ხელშეკრულება, თავს დაესხა საქართველოს და ისევ შეუერთა იგი იმპერიას.

ასე რომ, 26 მაისი ხვედას უფრო იწვევს, ვიდრე საზეიმო განწყობილებას და მთავარ ეროვნულ დღესასწაულად ვერ გამოდგება.

ქართველ ხალხს სახელოვანი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ისტორიის გზაზე ბევრი ხაამაყო თარიღია, მაგრამ...

მაგრამ მთავარი ის არის, რომ არ გვეზეიმება, რადგან თარიღი, რომელიც ჩვენს მთავარ ეროვნულ დღესასწაულად უნდა იქცეს, არ არსებობს. ის მომავალშია, მომავლის ღრუბლებშია გახვეული, ოდესმე უნდა ამობრწყინდეს მზესავით და მთელი ჩვენი ისტორია გაანათოს.

ჩვენ იმ დღისთვის უნდა ვიბრძოლოთ. იმ დღის გასათენებლად გროვდებოდა და გროვდება ქვები... ქვების დაგროვების ეამიც ბრძოლის ნაწილია. ის დღე უნდა დადგეს, უეიმისოდ არავითარი აზრი არა აქვს გადახდილ ბრძოლებს, ისტორიულ გამარჯვებებს, წამებით გამოვლილ გზას, დაღვრილ სისხლს.

იმპერიაზე იერიშები, ალბათ, 1801 წლიდან დაიწყო. როცა რუსეთის თვითმპყრობელობამ დაარღვია რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება. საქართველოს სამეფო კარი მოშალა და ჭკეკანა უშუალოდ შეუერთა თავის იმპერიას. ახლა ვინ ჩაიხედავს რუსეთის ტრამალებში პეტერბურგისკენ მიმავალ გზაზე შემდგარ საქართველოს უკანასკნელი მეფის სახლეულთა გულში. სახლოლოდ დამბობილი სამშობლოდან მიდიან ისინი სამბედრეოების მკაცრი ზედამხედველობით. იმპერატორმა ისურვა ახე. დე, ორი ნაბიჯით კიდევ წინწიოს იმპერიის საზღვრამა სამხრეთისაკენ, „თბილი ზღვებისაკენ". საქართველოს მეფის ჩამომავლები დე. პეტერბურგში, მასთან ახლოს იყენენ, ბალეზზე, წერილ ლეკსები და სამეცნიერო ნაშრომები. დაუნათესავდნენ რუსეთის დიდგვაროვანთ... ოღონდ სამშობლოს თავისუფლებაზე ფიქრი ამოიგდონ გულიდან... რა ვუფოო, რომ ქვეშეფრდომობის ხელშეკრულება არ გულისხმობს საქართველოს სამეფო კარის მოშლას, საქართველოს სამეფოს გაუქმებას? პოლიტიკა დიდი მამაძაღლი რაჰაა. რუსეთის პოლიტიკას ასე სჯარდება... აქედან დაიწყო ქვების მოგროვება — რომელიღაც უფლისწულის უნუგეშო მწარე ცრემლი ქვასავით დაეცა ყინვაში. ის ცრემლი აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მთავარ ეროვნულ დღესასწაულზე.

იქვე უნდა გავიხსენოთ მთიულეთის აჯანყება 1804 წელს — დიდი ბრძოლა ლომისასთან მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის, რომელიც აჯანყებულთა დამარცვებით დამთავრდა, მაგრამ მწუხარე ფინალი — აჯანყებულთა დამარცხება და ხასტიკი შურისძიება, აჯანყების მეთაურების ბარდელის, ნაზღაიძის, ჩარეულების, ბერაიძის, ბეღოიძის და კიდევ 300 აქტიური მონაწილის დასჯა...

იერიშები გრძელდებოდა... 1832 წელს ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა სცადა გამიეკენებინა რუსეთში შექმნილი სიტუაცია და იმპერიასლაში გაენდევნა. აჯანყება გასცეს. მისი მოთავენი რუსეთის ციხეებში ჩააგდეს. ზოგი დაბრუნდა. ზოგის ძვლები კი სამუდამოდ დაჭრა ციმბირის ყინულეთში.

ნოვგოროდში გადასახლებულმა პოემა გრიგოლ ორბელიანმა მწარედ შესტირა სიყრმის მეგობარს იარალის:

„სად აზარფეშა და სად მწვანილი?
ღვინის წილ — კვანი, მზისა წილ — ყინვა!"

იმპერიის იდეოლოგიურ სამსახურს ბიშტის გვერდით თაფლის კერიც უდგეს. თაფლის კვერით ბრძოლა სჯობს — დაწინაურება, ჯილდო, მოგერება უფრო უუფრეს, ადამიანს დაკარგული თავისუფლების ტკივილს, უფრო აჩლუნგებს ეროვნულ მეხსიერებას, უფრო უადგილებს შეურიგებელთან შერიგებას... ვორონცოვის ტაშ-ფანდერი, სამხედრო ორდენებები და პრიალა ჯილდოები, ალეკსანდრე ჭავჭავაძის „ინტერნაციონალური" სალონი, იმპერატორის სტუმრობის ცერემონიალი... ფხიზლად, იმპერია იმპერიული მეთოდებით მოდის. დღეს რომ მონობად გეჩვენება, ხვალ — ღვთის წყალობად ჩათვლი. ზეგ კი მონობაც დაგაიწყებდა — აღარაფერი აღარ იქნება... გაითქვიფები და გაქრები, რემო მაჭკურთო...

აჯანუებინა საჭართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

დადიშქელიანის გაბაში.

ლაღიაშვილი.

ჯორჯიაშვილი...

მაგრამ იმპერია მოდის — თელავს, ახნელებს, ამბობს. იდეაზეა ეშმაკლიური ენა, იდეაზეა ეროვნული მეხსიერება, იდეაზეა სული.... ეი ხადაცაა ყველაფერი გაქრება, არავინ ჩანს ისეთი, რომ მტერს ხელი დაუჭიროს, რომ შეეშინოს მდგომარეობას მამულიშვილური განმარტება მისცეს, რომ ძილად მივარდნილი, მონობას შერიგებული, თავდავიწყებული ქვეყანა გააფხიზლოს.

სადღაც, მივიწყებულ ეკლესიაში მივიწყებული ბერი ილოცავს:

— ნუ გაგვწირავ, ღვთისმშობელო, ნუ გაგვწირავ. წმინდაო გიორგი!..

80-ინ წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდენი თაობა ჩამოდის საქართველოში.

ეს უკვე ნამდვილი ირონია იყო.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლის... მოვლინება იმის დასტური იყო, რომ ქვეყნის შეგროვება გრძელდებოდა.

ჩვენ უნდა ვდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს!

ამის მოქმედება იცოდა, რა ძნელი იყო იმ ვარსკვლავის დევნა, მაგრამ მაინც თქვა და გაიყოფია ყველა, ვინც მონობისთვის არ იყო დახადებული, ვის ძარღვებზეც სამშობლოს დიდი ისტორია გზაჩაკეტილ მდინარესავით წუხდა.

ამის მოქმედმა ხალხური მელოქსის მწარე ნათქვამიც იცოდა:

არ გათენდება სოფლის ღამე,
ღამებნელობა კი არი...
მთქმელო, ვერ ამსრულებელო,
რაღა შენ სიცოცხლე არი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ვარსკვლავის დევნაში, ბრძოლაში გაიღია მათი მწარე და ვეკაკაცური სიცოცხლე და იმ ბრძოლაში დაიბოვნენ. წმინდა იყო ის ბრძოლა — ღმერთისა და სამშობლოს სახელით იბრძოლეს და იზრუნეს. ოღონ ეკვეკავაძის ხალვაშე მოტანილი ყვავილივით ჩანს მისი გამწარებული ქვრივის თხოვნა ხელისუფლებისადმი — ნე დასჯით ნაკვდილით ილიას მკვლელებს, არ უწყოდნენ რას იქმოდნენო... მე დარწმუნებული ვარ, იმათზეც, ვინც ეს ბრძა მკვლელები გამოგზავნა და ვინც კარგად „უწყოდნენ", რასაც აკეთებდნენ — ერთგულ ლენინელებზე: ილიას ტკალინზე, ფილიპე მახარაძეზე, სერგო ორჯონიკიძეზედაც ამავეს იტყოდა — არ უწყოდნენ, აპატიეთო... არა კაც ჰკლა...

აბა, ახლა მეორე მხარეს გადავიხედოთ, ვინ არიან ის ნამდვილი მკვლელები, ვისი სახელიც, თუ სამართალია, უნდა ეწეროს წიწამურში ამართულ სეტყვზე? მათ „მცნებებს" „არ" უარეყოფა არ ჰკონდა. — მიზანი ამართლებს საშუალებასა! ეი, ეს საზარელი დევიზი დაეწერეს მათ ხიკის დროშას.

ეს იყო ახალი ეარტიაა! — მიზანი ამართლებს ყოველგვარ ბოროტებასაა...

ეს იყო სოციალ-დემოკრატების გაერთიანება! — გამარჯვებულებს არ ახამართლებენ...

თავის სულიერ წინამორბედად აღიარებდნენ მარქსსა და ენგელსს. მათი „ფილოსოფია" სათავეს იღებდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან" — „კაპიტალიდან". ო, ეს წიგნები და იდეები...

„მანიფესტითა" და „კაპიტალით" გაჩნდა იდეა კომუნიზმისა — მიზანი და ამ მიზნის შესასრულებლად — ყველაფერი, რასაც კი სადგომ წერილი კრძალავს.

და გაჩნდა მიზანიც — მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის გაერთიანება, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, კომუნიზმის აშენება... ეს ყველაფერი რადაც დონ კიხოტური, ღიმილის მომგვრელი იყო, მაგრამ ეშმაკი თავის ადგილზე იჯდა — იცინეთ, იცინეთ და ნახავთო...

ეს იყო დონ კიხოტის მეორე გამოხვლა, ახალი მოგზაურობა, ოღონდ როგორც მერიდა დაინახეს, არა სიკეთისა და ნიუკაროულისთვის ხაომრად და სატანჯად, არამედ ბოროტების ცეცხლის გასაჩაღებლად, სისხლისა და ცრემლის საღვრელად. თუ პირველი გამოსვლისას სულელ დონ კიხოტს ურტკაკმდნენ და დასცინოდნენ, ახლა პირიქით მოსდა — სულელი დონ კიხოტი ურტკაკმდა, ქარის წისქვილებს აშენებდა და ალაგდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ კიხოტი დონ კიხოტია და იქვე ჭკვიანი სანჩო პანსაც ფუნდა იყოს თავები ვირით. სანჩო ჭკვიანია. მაგრამ როგორც ყველა ჭკვიანი, ისიც ზშირად ეშვდება თავის ჭკუა-გონებაში და კეთილი სულელის ილუზიებს ამჭობინებს თავის ცარიელ ჭკუას. ეჰ, პორიზონტთან, უკვე მორანს ის გუბერნია, სადაც სანჩო გუბერნატორი იქნება... ოჰოჰო, ბიჭო, რა იქნება — ეჰეე, სვი და ეკოტრალილ როგორც ყმანვილმა. მაგრამ პორიზონტს ვერა და ვერ მიაღწევს, რაც წინ მიდიან, ისიც გარბის...

სანჩო ამ ახალ დონ კიხოტსაც აედევნა. მან წერა-კითხვაც ისწავლა. ჩაჰყურებს სანჩო „მანიფესტს", „ეპიტაფიას", სხვასაც — პროკლამაციებს, გაზეთებს, თავისი ბატონის წიგნებს. თურმე რა ყოფილა კლასთა ბრძოლა, მზრობელთა ექსპლუატაცია, უზრომელი შემოსავალი., წარმოების საშუალებანი, მიწის საკუთრება... დაამბე, თავი გაუხრიხე, მოკალ, დაახრჩეე, მოწამლე, ზვიდეს დაუბოცე და შენი იქნება მაღალი სახლები, რბილი ლეიბები, შემშვარი და მოხრაკული... მიზანი ამართლებს საშუალებას, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ... ჯერ კი უნდა იბრძოლო — ბანკები უნდა ტეხო, კლასობრივი მტრები უნდა ხოცო, ეკლესიები უნდა ანგრიო, ადამიანობა უნდა დაჩაგრო და მხეცად უნდა იქცე, მაგრ... ეიდეეენა ახალი სანჩო ახალ დონ კიხოტს, მერე მეორე სანჩოც გამოჩნდა. შესაბე, მეოთხე, მეათე, მეახე, მეათასე, მემილიონე... ეეე, ალარაფინ ალიმბაა, ყმნენა და ვიგაბ იმერს ვეკეკანას, ყორნები გამეფდნენ ცაში... მიჭკრის ოსიანტანტი და მისდევენ სანჩოს ბასები პორიზონტისკენ, საყოველთაო განცცხრომისა და ბედნიერებისკენ. გარბის პორიზონტი, გარბის ილუზიებში გამოხვეული კიხოტნაში... იდგრება სისხლი, იდგრება ოფლი, ილუბებიან მთელი თაობები... მერე სხვა თაობები მოდიან და ისინიც გარბიან სოფლის ბოლოსკენ, სადაც მოლა ნასრედინის თქმით, ვიღაცას ფლავი მოუტანია და უფაბოდ არგებს, ერთი ზეზედეკი, აგერ აჩრდილები დიდი ზერეკლებისა — მოლა ნასრედინებისა... ისინიც გარბიან, თავისსავე ტყუილზე წამოეგნენ, ცარიელ ქვაბებს მიაჯდომალებენ — მარილა ხომ არ მოიტანეს უფაბო ფლავეო. გარბიან ძია სტალინი, ძია ბერეზნსკი, ძია მოლოტოვი, ძია კალინინი, ძია ეეოფი, ძია ბულგანინი, ძია მიქოიანი, ძია ბერია, ძია ბრეეენეკი... თუმცა ძია ბრეეენეკმა ცოტა ფეხი ეითრია, მაგრამ ვერ ჩერდება, სანჩოების ნიადვარს მიაჭმეს. გარბიან და იდგრება იმათი სისხლი, ვინც ამ ერთდროულად საჭუბარო და სასაცილო გადარბენას ჩამორჩება, ვინც სანჩოების რიგში არ ჩადგება, ვინც დაეტყდება ბორიზონტის რეალურობაში... „ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით, წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!", „ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!" წინ! წინ! ... დაფიკრდე, არ ამოისუნთქო, გვერდზე ეარ ... ...

შემდეგ ხახო

მატარებელი ერთგან გაუჩერებიათ ისეთი ადგილას, სიიდანაც 500—600 კილომეტრზეც კი არ ყოფილა სოფელი ან ქალაქი. ტუვეებისთვის უბრძანებიათ — ჩამოდით, დაცალეთ მატარებელსო. პატიმრები ჩამოვიდნენ, ცარიელი მატარებელი წავიდა. თოვლის ოკეანეზე დარჩა შავი ლაქა, რომელიც, ვინ იცის, იქნებ ის ღამესაც წითელ ლაქად აქციეს შიშშილისაგან სიფრთხილედაკარაულ მგლებმა. ზოგმა, ალბათ, იბრძოლა კიდეც. ადამიანის სიდინადე ხომ ისიცაა, რომ ბედს არ ნებდება... სად, როგორ, როდის, ეჰ...

ამას მომიყვა ბატონი ნიკა ისეთი თავდაჯერებულობით, რომ ვეღარც კი შევბედე — საიდან იცი-მეთქი...

— მამების დანაშაულისთვის მე ვსჯი ჩამოგაკლთა ხამ და ოთხ თაობას! — ეუბნება მოსე წინასწარმეტყველს თავისი ღმერთი იელოვა.

ბიბლიურ სიუჟეტს გავს უდანშოს კიდეზე მიმდგარი მასა — მოტაუეული, უღმერთო, ულუკმაპურო, უმოთვალო... „მანიფესტის" პირველი მთარგმნელების, კომენტატორების, აგიტატორების შვილები და შვილიშვილები, „პროლეტარიატის დიქტატურის" დამამყარებლთა შვილები და შვილიშვილები, პოლიტიკურ პატიმართა საკონცენტრაციო ბანაკების შემქმნელთა შვილები და შვილიშვილები, ეკლესიების მნგრეველთა შვილები და შვილიშვილები... ნეტავ რა ხდება, მართლა ხამი და ოთხი თაობა ხომ არ დაისჯება ამ ცოდვებისთვის? ნეტავ რა მოუვა ამ ხალხს, რა გველის ჩვენ. მოსე თავისი უფალი ღმერთის ნებით გაუძღვა ისრაელის ხალხს და ეგვიპტელი ფარაონების მონობიდან გამოიხსნა ისინი. ძნელი იყო გზა უდაბნოზე, ფარაონთა მდევარი მიდევდა, იყო სიცხე, სწყუროდათ, შიოდათ, მაგრამ ხალხს გვერდით ჰყავდა თავისი მოსე წინასწარმეტყველი და თავისი უფალი ღმერთი. უდაბნოზე გავლილი გზა დიდი სულიერი წრთობისა და დიდი სულიერი განსაწმენდელის გზად იქცა. უფალი ღმერთი გზას ასწავლიდა ტანჯულ და წამებულ ერს.

●

უდაბნოს კიდესთან ქართველებიც დგანან. მათაც შეჰყურებს მწვანე ხვლეკი მინის მზერით.

ილია ჭავჭავაძის მოწამებრივი სიკვდილით დამთავრდა ერთი დიდი ალმასი ეროვნული თვითშეგნების გამოოვიების გზაზე და... დიდწყო დაღმართი. ეტა�, ეკვიდლისა თუ კოლერის ეპიდემიების მსგავსად, პოლიტიკური ეპიდემიებიც არსებობს.

1907—1917 წლების ქართული პრესა რომ გადაშალოთ, გაგიკვირდებათ და გოიცებთ წამოიძახებთ: აკაშვილ ხად იყო ეს ამოდენი სიგიჟე და სისუფთეე, ბოლმა და სისასტიკე, გაურკვევლობა და გაუგებრობა... სიიდან მოვიდა ეს ჩალხი, რომელიც ამ აგადებულ ლაპარაკობს ღმერთზე და სამშობლოზე? რომლისთვისაც ბასლოტურად არაფერია ნიშნავს ეროვნული ისტორია და ეროვნული მოწამეობა...

...და მოხდა, ერთი შეხედვით, დიდი საკვირველება. აი, ამ ფონზე მსოფლიოს ხახელმწიფოების დიდ არეგ-დარეგაში, რუსეთის უკიდურესად დაძაბულ და უკიდურესად ბუნდოვან აღმოსფეროში იშვა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. პირველ ხანებში თითქოს თვით საქართველომაც არ დაიჯერა ბედის უცაბერობა და სინინელში დიდხანს ნამოოოდა უცაბ ვერ შეეჩვია სინათლეს თვალები. მერე კი თანდათან გამოეტაკა და თავისუფლება კი არა, ამდენი ხნის მონობა უფრო გაუკვირდა... და თანდათან ირწმუნა, რომ თავისუფლება მართლა ციდან ვარ ჩამოვარდნილა, ის ხანგრძლივმა, უმკაცრესმა ბრძოლამ დაკარისტალეს. ამ თავისუფლებას ელოდნენ მცხეთის კლდეები და დიდგორის ველები, დავით ალმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის სულები, სამშობლოსათვის ბრძოლებში დაცემულთა ჩრდილები...

ცოტა ხანს იარსება დამოუკიდებელმა საქართველომ. რუსეთმა სული მოითქვა თუ არა, თავს დაესხა და კვლავ იმპერიის საზღვრებში მოიპყრა იგი, მაგრამ თავისუფლების იმ სამ ახალ წელს, როცა მოკალჭეები ულოცავდნენ ერთმანეთს მზის მობრწყინებას, როცა ახე მშვენიერი იყო საშობლოს დათოვლილი მთა-ბარი, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — კოლონიური საქართველოს წელთაღრიცხვაში ჩაჯვნი გაწყდა, ის სამი წელი დროშის სიმბოლოდ ექცათ მომავალ თაობებს. ის სამი წელი ალანდოდა ყველას, ვინც კვლავ ქვეშის გროვება დაიწყო, ვინც პირად ეკოლილდეობის ნირვანას არ მინებდა, ვინც იმპერიაზე იერიში განაგრძო.

1924 წელს საქართველოს ისტორიულ სხეულს ომოდან მოყოლილი კიდევ ერთი ჭრილობა შეემატა. ეს იყო კიდევ ერთი, ხუვებისთვის ჭკუისსასწავლებელი მაგალითი, თუროგორ სჯის იმპერია აჯანყებულ მეტროპოლიას. მაგრამ ეს იმის მაგალითიც იყო, თუ როგორ არ ნებდება მტერს ის ერი, რომელსაც გენებში არა აქვს დანებება „დარეგარგამეფული". ათასობით დახოცილები, ათასობით გადასახლებულები... ახალი გაავებით, ახალი გაბროტაებით, ალბათ, იშვიათად თუ ჩახშობილა რომელიმე აჯანეები. ხოცავდნენ მაშინაც, როცა „წინაალმდეგობა შეწყდა, პატიმრებით სავსე ვაგონებზე აუშვებდნენ ტუკიის ჯერს. ფარაონებმა საბოლოოდ გამოაშკარავეს თავისი სახე და მიზნები. ნიღაბი ანიბალს და პირადპირ გამოაცხადეს რუსეთის კომუნისტური იმპერია. მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა რომ ფუნზლად ეუფლიოყო, ამ ფაქტიდან ხვა-

ლინდელი მსოფლიოს ამინდსაც განკვრეტდა ენერგიულად რომ ემოქმედა, იქნება აეცილებინა კაცობრობისა ცრემლისა და სისხლის ზღვები, შემდეგ რომ ჩაგუბდა რუსეთსა და საქართველოში, უკრაინასა და ბელორუსიაში, უნგრეთსა და პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ფინეთში, ჩინეთსა და ავღანეთში...

ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ ამ მარილაც სისხლის ზღვარის შემდეგ, საქართველოში გადარჩებოდა თავისუფლების გამბედველი სილამაზის ყვავილის თესლი, რომელიც ამირანის მკერდიდან გადმოვრილ სისხლზე ი'რდება.

გადარჩა! დიდი ქართველი მეოცნებისა და სარდლის ქაქუცა ჩოლოყაშვილის დროსა, არ დაცემულა. ქაქუცამ უკან დაიბია უთანასწორო ბრძოლებში და დაუხრელი დროშით გაიღვნა საზღვარგარეთ. ეს ვეფხვის ნაკვალევი იყო. დიდი მონადირე ჯონ ჰანტერი თავის წიგნში წერს, რომ ჭუნგლები თავისებური ანბანითაა დაწერილი და ამ ანბანის წაკითხვას მხოლოდ ჭუნგლის ბინადარნი და გამოცდილი მონადირეები ახერხებენ. ვეფხვის „ნაწერს" ყველა გაურბის. ვეფხვის ნაკვალევზე მხოლოდ ვეფხვები მიდიან. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მხარგრძელების, არაგველების, მარაბდელების კონსტანტინე დადიშქელიანის, არსენა ჯორჯაძეულის, ოსეფ ლალიაშვილის ნაკვალევზე ჩაიარა. ეს გზა უხსოვარი დროიდან იტაკენება ჭრელპერანგიანი კაი ყმის ფეხით. გუშინ ქაქუცამ ჩაიარა, ხვალ ხვა ჩაიგლის... თავადია, რომ აქ ვეფხვები კვლავ ბინადრობენ.

●

ხვალ. როგორი დილა გათენდება ხვალ... ვინ ჩაიგლის და ვინ აშოიგლის?...

თფილა ჯერ დღევანდელ დღეზე ვთქვათ.

დღევანდელ დღეზე ავგის პასუხს ჩვენი თაობა. დღევანდელი დღის კითხვებია ზუბებინვთ მოგლეი ჩვენსაკენ. ჩვენ არ უნდა გადავდეთ ეს ზუბები, ანდა დროს დავნაბდეთ, მოვცეთ საშუალება რომ გადაგვიაროს და „გადავვთელოს.

წარმოშობით ესტონელი მეცნიერი, ფილოსოფოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დოქტორი რეინ ტაგეპერა წერს: „როგორ ჩამოვაყალიბოთ მიზნები, რომ 10—20 წლის შემდეგ არ მოძველდნენ ისინი? უპირველეს ყოვლისა, არ უნდა ავყვეთ დღევანდელ გრძნობებს და ემოციებს. უნდა შევეცადოთ წარმოვიდგინოთ, რა გრძნობები გვექნება 10—20 წლის შემდგ".

მართლაც, როგორ? ჩვენ ვგიყვარს იმის ხშირ-ხშირად გამეორება, რომ ვცხოვრობთ უკიდურესად რთულ და ფეთქებადი მოვლენების დროში და ა. შ., მაგრამ რომელი დრო არ იყო რთული და ძნელი, რომელ დროს მიიკვლევდა გზას ადამიანი და ერი ადვილად? ჩვენ ვეძებ პროგნოზირება, როგორც ჩანს, ყოველთვის ხანგრძლივი იყო და ხანგრძლივ ღღესაც. საქართველო მსოფლიოს ნაწილია და, ცხადია, მსოფლიო მოვლენებშია ჩართული, მაგრამ დანარჩენ მსოფლიოს იგი საბჭოთა კავშირით, საბჭოთა კავშირის ნაწილის სახით უკავშირდება. ამიტომ მისი დღევანდელი მდგომარეობის განსაზღვრისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს იმას, რაც საბჭოთა კავშირში ხდება.

ალექსანდრ ბლოკს უთქვამს — რევოლუციის მოახლოება სამი ნიშნით ვიგრძენითო: უჩვეულოდ ბევრი ყვავი შემოფთხა პეტერბურგს, ხალხი უსაზღვროდ გაიტაცა ძიდოს კულტმა და წარმოიფიგენელად დიდი პოპულარობა მოიპოვა იგორ სევერიანინის პოეზიამ. პოეტის გულთმისანი გული რაღაც უჩვეულოსა და მოულოდნელს მოელოდა. გიუმარ-თლდ, რევოლუცია მართლა მოვიდა. ბლოკმა ჯერ უმღერა იმ რევოლუციას, მერე მწარედ იტირა და აი, რის დამადასტურებელ დიდი პოეტი გუშანთან გრძნობდა, დღეს კვდება, უფრო სწორად დღევანდელი პოეტები გრძნობენ მისი დასახარულის მოახლოებას. აქ მისტიკა მაინცდამაინც არ გვკრძალება. ძალიან რეალური სიმპტომები შეინიშნებოდა გუშინწინ, გუშინ, უფრო რეალური სიგნალები ისმის დღეს. დასახარულის მოახლოება ყველაზე ნათლად პოპპეზერი ზეიმების მოზზრებამ გვამცნო. ფულის კურსმა კატასტროფულად იწყო დაცემა. პირველად ბაშინ ითქვა დღეს მოდაში შემოსული ფრაზა — საბჭოთა კავშირში გამამთელად მხოლოდ ფულის ბაბედი მანქანები მუშაობენ.ა. ამას მოჰყვა ფასების ისეთი აწევა, რომელიც ბაზრის რაიმე ანის რეგულირებაზე კი არა, ეკონომიკის ხარჩოებზე მიუთითებდა — 100 პროცენტი, 200 პროცენტი... ფასების ზრდა ჯერ ვითომ ფუფუნების საგნებს შეეხო, მაგრამ მოვიხედეთ და უცად საგნების ახალი კლასიფიკაცია მოხდა — ფუფუნების საგნებში აღმოჩნდა საშუნელნო მასალები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კარაქი, ხორცი... ამის პარალელურად ზეიმები და გულარხეინობის გთამაშება მოზზრდა. გარეგნულად ჩვენ ყველაზე მდიდარნი და ბედნიერნი ვიყავით... გარეგნულ კოტაკობაში საქართველომ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას გადაუჯარბა. ეცემოდა ეკონომიკა და ბალეა-ბალეა იწევდა „ზრდის" დიაგრამა, ციფრები უკვე კომუნიზმის კარიბჭეს გვიჩვენებდნენ, გარდამავალი დროშაში ზვიადად ფრიალებდნენ უნაყოფო ექსპერიმენტების, უსაკრიფონო მინდვრების, გაჩანაგებული ქარხნების თავზე. გაბნორად „სახალხო" დღესასწაულებიც. გართულდა რესპუბლიკური გრაფიკის შედგენა. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, თავისი საკვანძო აქტივით —

„გამოჩენილნი“ მწერლებით, რეჟისორებით, მეცნიერებით... ხომ უნდა დასწრებოდნენ გალალებულთა ზეიმებს... ამის რეგულირება კი არც ისე ადვილი იყო.

მოგვეძალა კორიფოზენიც. საქართველოს ერთ რეგიონში „ახალი საბალნო დღესასწაული“ — „ერისშვილობა“ შემოიღეს. ამა, ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა ერისშვილები შეიერიბებოდნენ ეს, რა ყანწები დატრიალდებოდა, რაღა სისულელე არ ითქმებოდა. „გარეთ“ კი არა. ვინ იყურებოდა, ანდა რა იყო დასანახავი ისეთი, შეზარხოშებულ კაცს რომ გუნებას არ გაუფუჭებდა... კორიფეი კარგა ხანია, რაც მსოფლიო რეკორდების ნიშნულებს ახცდა. მასობრივი მეკრთამეობის, სასამართლო ინსტიტუტის გადაგვარების, ოჯახის გადაგვარების სკოლის გადაგვარების პროცესი ბუნებრივი პროცესი ეგონა ეკლესიების მნგრეველის შვილს, „ტროცკისტთ“ სიების შემდგენლის შვილს და ყველფერი დასახლოლისკენ, ბანდგურებისკენ წავიდა... ახე იყო ჩვენთან, საქართველოში, დაახლოებით ახე იყო მთელ საბჭოთა კავშირში.

ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ რომის იმპერიის დაცემის მოახლოებასთან ერთად გახშირდა პომპეზური ალლუმები და დღესასწაულებიო, ოჯახური ლხინი და დროსტარებაო. დიდი ერები ხომ ყველფერს ინახავენ და მომავალთ თაობებს გადასცემენ... აი, ეს სიტყვა „დროსტარებაც“ — გასაფრთხილებელად და გასაფიზლებლადაა გამოჩენილი წინაპრების მიერ. დრო იგივე ეამია. ქართველი კაცი ყველაზე დიდი უბედურების დროს იტყოდა: „ეამ-კარი მოგეშალო“. — ეამის სვლის ბუნებრიობა ბაირეკთო, ადამიანისა და დროის კავშირი დაირღვაო, ის არ ვარ, რაც უნდა ვიყოო, მე და ეამი ერთმანეთს გავეთიშეთო.

რომის იმპერია და ეამი ერთმანეთს გაეთიშნენ.

რუსეთის იმპერია და ეამი ერთმანეთს გაეთიშნენ. ჭეეკვანა ნამდვილ დროს, ნამდვილ გარემოს მოსწყდა და ხელოვნურ დროში, ხელოვნურ გარემოში დაიწყო ცხოვრება. ეს ამბავი თავისთავად კატასტროფა იყო, მაგრამ საოცარი ისაა, რომ კარზე მომდგარი ბუნებისა და ახი წლის წინათ გაჩენილი იდეის დაძველების აღირეკვა არავის არ უნდოდა...

ხახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში საქართველოც შედის. ზზრაჩალ, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, „რუსეთად“, „რუსეთის“ ინტერნაციონალად“ იწოდება. ეს ხახელწოდება ზუსტიც არის და არცაა ზუსტი. ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირის ხახელმწიფო პიმნის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კავშირი თურმე „შეუკრავს მფლობელად დიდ რუსეთის ხალხს“. „დიდ რუსეთის“ აქ მარცვლის მომატებისთვის ობპარა, მთარგმნელმა, დედნის მიხედვით ზუსტია „დიდ რუს ხალხს“. ეს უკვე რუსეთის იმპერიის ოფიციალურად აღიარებაა, ოღონდ თუკი იმპერიული სამართალი არსებობს, სასამართლოსნადაცაა ასეთი კვალიფიკაცია ჰმნში. ეს იმპერია რუსული იარაღითაა შექმნილი — ივან გროზნის, ერმაკის, პეტრე პირველის, ეკატოლოვის, ხტალინის, ეუკოვის, ოტკონიკოძის... ხელმძღვანელობითაა შექმნილი და სწორედაც „რუსეთის იმპერია“ უნდა ერქვას ხმა. მაგრამ არის ამ სიმართლის საწინააღმდეგო სხვა სიმართლეც — იყო დრო, როცა იმპერია ხახელად და დიდებად ითვლებოდა, მსოფლიოს ჰაზზრავებდნენ რომის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ლიტვის... იმპერიები, და იმ დროისათვის მიღებული ნორმებით თუ მივუდგებით „ნორმალურსი“ იყვნენ. დრო არ გამორიცხავდა ამ ფორმას.

დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა. იმპერიის ფორმა დროს უარჰყო. ზოგი იმპერიალისტი ძალით განდევნეს მეტროპოლიებმა, ზოგი კი თავისი ნებით წავიდა და თავის საქმეს, თავისი ნაციონალური ხახელმწიფოს საქმეებს მიხედა მეტი გულისყურით.

აი, ამ ფონზე რუსეთის იმპერია ისევ არსებობს — დღეკანდელი მსოფლიოს ერთადერთი იმპერია, უკანასკნელი იმპერია. ეს ეშკარა ანაკრონიზმია და აქ ის მეცნიერებიც უნდა გავიხსენოთ, ვინც პრინციპულად მიუთითებდა რუსული ხახელმწიფოს განვითარების ტრადიციულ ანაკრონიზმზე.

დიახ, დღეს იმპერია და იმპერიალისტობა ჩამორჩენილობად, ანაკრონიზმად. იმპერიალისტი ერის სირცხვილად ითვლება. მართლაც, როგორ შეიძლება ბაკონობდე ერზე, რომელსაც ორი ათასი წლის ისტორია, თხუთმეტსაუკუნოვანი საკუთარი დამწერლობა აქვს, ჰყავს ლიტერატურისა და ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის ელასტიკოსები. სხვა არა იყოს რა, მისი მოდგიდი მორჩილება, დამონება და „გარუსება“ ხომ ეზსოლუტურად გამორიცხულია?! ამდენად დღეკანდელი იმპერია იმპერიალისტის ვიწრო ოვალსაწერეზზე და შეზღუდულობაზეც მოგვანიშნებს.

— ვინ უნდა ოგოს პასუხი ისტორიის წინაშე ამ სირცხვილისთვის, ამ უთვალსაწიერობისათვის, ამ შეზღუდულობისთვის?

— ფორმალურად, ცხადია, რუსმა ერმა, დიდმა რუსმა ხალხმა, რომლის ხახელსაც იმპერია ატარებს.

— რატომ, განა რუსი ხალხი ნაკლებად იტანჯება იმპერიული ხელის აღზევებისაგან, ვიდრე, ვთქვათ, ქართველები? განა ეს ანაკრონიზმი მის სხეულსაც არ ანადგურებს? განა რუს ხალხს, ისტორიულ ნაციონალურ რუსულს, აქვს ის მიღწევები ეკონომიკასა და სულიერ სფეროში, როგორც ევროპის და ამერიკის ხახელმწიფოებს?

ახლა ბევრნი, უპირველეს ყოვლისა, თვით რუსეთი, მიმდინარ იმპერიის დამლეველ სიმპტომებს თვით რუსეთისთვის, თვით მკვიდრი რუსული მიწების ადგილის დედისათვის. კომუნისტურმა და კომკავშირულმა რომანტიკულმა კამპანიებმა შორეული ალმასაღლეთისა და ციმბირის ათვისებისათვის, სხვა მრავალმა მსგავსმა დაფიქრებულმა „კომუნიზმის მშენებლობის ფრონტმა" საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე გაანძია რუსები, მოსწავიტა ისინი მშობლიურ მიწას, ეროვნულ კულტურას, ეროვნულ მოლიონობას, მე გულწრფელად მეცოდება რუსეთი — ძველად მარილმადიდებელური ეკლესიის ერთ-ერთი ბურჯი, დიდი ველებისა და დიდი მდინარეების ქვეყანა... მე ლიტერატორი ვარ და უპირველეს ყოვლისა ლიტერატურის სარკვლდან ვუყურებ ყოველ ხალხს — და ეს ხალხი ზომ ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოგოლის, ჩეხოვის, ბლოკის, ახმატოვის, პასტერნაკის ხალხია? ამბობენ, ხალხს როგორი მოავრობაც ჰყავს, ისეთი მთავრობის ღირსიაო. თუ ეს მართალია, რატომ გაბდა რუსი ხალხი იმის ღირსი, რომ მსოფლიო რანგის ავანტიურისტებს ებატონათ მასზე? რა, რა შეცოდა ასეთი?

მე მზარავს, როცა რომელიმე ჩემი თანამემამული არასაკადრის სიტყვას იტყვის რუს ხალხზე. ჩვენ — რუსები და ქართველები ზომ ისტორიული მეზობლები ვართ. რამდენი კარგი და ორივე ერისთვის საამაო რამ დაიმახოვრა ისტორიამ... ჩვენ ზომ ორივე — ქართველი ხალხიც და რუსი ხალხიც, მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ და ჩვენ ზომ ჩვენმა მაცოხვარმა გვასწავლა — მკვდარი, აყრილებული ძალლის ლაშაში ცხლების დანახვა?

ზოგიერთის დაუკარებენელი, წინდაფუძდადენ ლაპარაკიდან, როცა რუსეთის ეზებიან, ისეთი შთაბეჭდილება ჭეშმარიტ, რომ რუსეთის იმპერიიდან თუ გამოვალთ, თითქოს სადღაც, ცხრა მთის იქით უნდა წავიდეთ, რუსეთი კი აქ რჩება ან პირიქით, რუსეთი სადღაც შორს წასასვლელად ვეკეკვე გამზადებული, ჩვენ კი აქ ვრჩებით. რუსეთთან ზუსტი და დფიქრებული პოლიტიკის მოძიება ან ვერ მოძიება ბევრ საქმეს განსაზღვრავს ჩვენი მომავლისათვის. ჩვენ აუცილებლად კეთილი მეზობლობა უნდა შევინარჩუნოთ ჩვენს გიგანტ მართლმადიდებელურ მეზობელთან.

ჩვენ მეზობელი ერები ვართ. ეს მეზობლობა უსსოვარი დროიდან მოდის და მომავალშიც მეზობლები ვიქნებით. ერთმანეთს არავინ არ გამოგვაცვლის. მეზობლები კი ყოველთვის უნდა ცდილობდნენ დაივიწყონ ცუდი და არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყონ კარგი.

1989 წლის აპრილს საკოლეგიამ მანკურთებმა თავისი მანკურთი გენერალის მეთაურობით სიშინელეთა დაატრიალეს თბილისში. 16 აპრილს კი მოსკოვში, ქართული კულტურის ცენტრში კლუბების „მოსკოვის ტრიბუნა", „ოქმარეთ ხალხო ფრონტის" და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მმართველ ხალხთან დებატებისადმი, სსრკ გენერალური პროკურორისადმი, მთავრობისადმი, პარტიისადმი. ამ მიმართვას ხელს ყველა ქართველი იცნობს. მიმართვას ასეთი დევიზი ჰქონდა: „ქართველების ტკივილი — რუსების ტკივილია".

შეიძლება, ვინმემ მწარედაც გაიცინოს — როგორია, ჯერ ხალხი დაგიბოცოს და მერე ვინ ერთი ტკივილზე გელაპარაკოსო. არა, ის მანკურთები, რომელთაც ასე შეაძარწეხეს მთელი მსოფლიო თბილისში დატრიალებული ცოდვა-ბრალათი, დაჩაგრეს, ავანიაში მყოფ რუს ერს არ განასახიერებენ. მე დარწმუნებული ვარ, რუსი ხალხი, ისევე, როგორც ქართველები, გამოვა ამ ეროვნული კრიზისიდან. გამოვა იმ იმპერიის დამორაგნულელი მარწუხებიდან, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლთ, ერთიანი ძალით უნდა დავამხოთ ფანატიკოსების მიერ აღმართული კომუნიზმის კერპი. ჩვენ ერთად აღმოვჩნდით ხეობის იმ მხარეზე, სადაც მაცილი ბატონობს, ჩვენ ერთად უნდა მოვნახოთ გზა მდინარეზე გადასასვლელად...

განა რუსები ჩვენზე ნაკლებ სწუხან და ნაკლები ხალვანგაშო აქვთ? ამას წინათ ერთი რუსი მწერალი წერდა: „ნაციონალური საკითხი უკეთესათვის მტკივნეული საკითხია, მათ შორის რუსებისთვისაც. როცა ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობას ნაკლებად შეუძლია მართოს მოვლენები — როცა არმის ნაწილებსაც კი არ ძალუძთ მთიანი ყარაბალისაკენ გაგატარონ სიცოცხლისათვის აუცილებელი ტვირთი, როცა ინოცენტიანე კარიკაცები, როცა ეს ტონული კომუნისტებიც კი აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის მომბრენი არიან, გიპერთის საბჭოთარი ჯარი, რომ საქმე საკმაოდ შორს წასულა. რა მოუვა რუსეთს? რატომ არა აქვთ რუსებს სრულფასოვანი რეპუბლიკა — თავისი დედაქალაქით, მეცნიერებათა აკადემიით, გიეროსი წარმომადგენლობით...?"

არა, ეს იმპერია რუსების არ არის, ეს იმპერია „კაპიტალით" აბაკცებული დონ კიხოტების იმპერია. ჩვენ, ყველანი, ე. წ. „საბჭოთა კავშირის ერები" ერთ ბედკეზე ვართ და საერთო ბრძოლით უნდა გავთავისუფლდეთ.

ჩვენ ერთად უნდა ვიეოთ ამ უაღრესად ბასპასუხისმგებელი მომენტში, როცა იმპერიის საყრდენების მსხვრევის ხმა უკვე ისმის, მაგრამ როცა ისმის იმპერიის დამცველთა „მოდერნიზებული" ხმაც, იქმნება ახსნურდული სი-

ტუაცია — ვგმობთ ყოველივეს, რამაც ეკონომიკურ და სულიერ კატასტროფამდე მიიყვანა „საბჭოთა კავშირში“ გაერთიანებული ხალხები და სახელმწიფოები და მეორეს მხრივ, არ გვინდა შევეხოთ ბოროტების ხის ფესვებს.

ვიღაც-ვიღაცებს უნდათ, რომ ბოლომდე, საოცარედ არ აკუეთ მდინარეს და არ მიგიდეთ იქამდე, საიდანაც წყალი იწყმედება, სადაც ჩქედარი და აყრილებული გველეშაპი ადია და ზმამინაი წყალი ვამოსდის.

აშკარად შეინიშნება იმპერიის გადარჩენის ცდა სტალინის დახმარებით, სტალინისა და სტალინიზმის რაც შეიძლება ფართო და უეცნაურობამდე მისული განებით. ვიღაც-ვიღაცს უნდათ აშმორებული ჭაობიდან და ტალნიდან მშრალად ამოიყვანოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ყველაფერი სტალინსა და სტალინის შემდგომ მოსულ ფარაონებს დაბრალდეთ. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ 1917 წელს რუსეთმა ერთი მონარქია გადაადგილ და მეორე მონარქიის ფულადნი შეუო თავი. ეს უკვე კომუნისტური პარტიის მონარქია იყო. გამეფდა პარტია, როგორც ყოველმხრივ მიუკარებელი ძალა, ერთადერთი აზრის, ერთადერთი გადაწყვეტილების მფლობელი და მპყრობელი.

ერთ-ერთი პარსისსნლიანი და ხელეტსისნლიანი უარაონის სტალინის კრიტიკა, როგორც ჩანს, მრავალმხრივია ხელსაყრელი. ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, ვაღიარებთ თუ არა და აღიარებენ თუ არა, დღეს ჩვენს გვერდით, ჩვენს ირგვლივ ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი ზის და ტრიალებს, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ, შინ და გარეთ, ფრრსნიდენებთა და კბილებით იცავდა არსებულ ტოტალიტარიზმს, რომელიც ბევრ ისეთ ხვრელშია გამძვრალ-გამომძვრალი, რაც ადამიანს არ ეკადრება. ამათ არავითარ შემოხვევაში არ აძლევთ ხელს საკუთრივნელ-კენ მიმავალი გზა, ყველაფრის გაშიშვლება და გამოაშკარავება... დღე, ყველაფერი ხალხის დაბრალდეს, ჩვენ, დანაჩენნი, რა შეაში ვართ? ისინი ბევრნი არიან და ერთად არიან. მეორეც, რუსეთი, რომლის სახელითაც შეიქმნა და არსებობს უზარმაზარი იმპერია, პირველხარისხოვანი სამხედრო სახელმწიფო, ზესახელმწიფო, თავისთავზე არ იღებს იმ სირცხვილს, იმ კიბანტროდას, რომელიც მთელი მსოფლიოს თვალწინ გამოაშკარავდა... ეი ეი, პრეტიენის გადამრჩენლად ხალინინი ირჩიეს — ჩვენ კი არა—ის, სტალინი — საუკუნის ბოროტება, სტალინი — ქართველი, სოსო ჯუღაშვილი... პუბლიცისტები ზშირად მიუთითებენ, რომ ვიღაც-ვიღაცებს ნაკლებად აწუხებენ საკოველთაო სიღარიბე და გაჯავრი, საყოველთაო დაცემა და დეპრესია... მათ სოციალიზმის ბედი უფრო აწუხებთ, არ უნდათ, რომ 1917 წლის შემდეგ გაკეთილი დრო ბოროტ ფანატიკოსების სისხლიან თამაშად ჩაითვალოს, რომ კომუნისტურ მონარქიას რაიე დაბრალდეს. დიახ, ცდილობენ ეს ყველაფერი ცალკეულ პიროვნებებს დაბრალდეთ, მაგრამ თვით მარქსისტები არ გვაუწყვლიდნენ — ცალკეული პიროვნებები ისტორიაში არაფერს არ წყვეტენო?!

ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა, ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების დარგში, პროფესორმა ზბიგნევ ბეჭზნსკიმ ახე დაასაათოა თავისი ახალი წიგნი: „დიდი დაცემა. კომუნიზმის დაბადება და სიკვდილი მეოცე საუკუნეში“.

ჩვენ ტოტალური კრიზისის ეპოქაში ვცხოვრობთ. დღეს ბევრნი ლაპარაკობენ ეკონომიკის კრიზისზე, ეროვნული პოლიტიკის კრიზისზე, არმიის კრიზისზე, საგარეო პოლიტიკის კრიზისზე, კომკავშირის კრიზისზე, პარტიის კრიზისზე...

კრიზისი, სერთოდ, „უარყოფითი მნიშვნელობის მოვლენას გამოხატავს, მაგრამ ამ შემოხზეგაში დადებითი მნიშვნელობით ყოფრს. ზემოთ ჩამოთვლილი კრიზისები პირდაპირ უკავშირდება სიყალბის კრიზისს, იმპერიის კრიზისს, ანტიპომპეური ძალების კრიზსს, განთელების სიხტემის კრიზისს. საერთოდ, მოჩვენებითი ღირებულებათა კრიზის და ამ მრავალფეროვანი კრიზისის შრეებიდან მომავალის ნათელი ხახე მოჩანს — ა, ის მომავალი 1917 წელს რუსეთში. ბოლო 1921 წელს საკავთველოში ჩაწინდეს და გზა გადუკეტეს. კომუნიზმის მედროშეები იქვე ბრენდეგბიან, სანიაბაც თავისი სახელგაგტეული ლაშქრობა დაიწყეს.

რიჩარდი წამოიძახებს ერთგან: „რიჩარდს უკვანს რიჩარდი!“

კომფისტურ პარტიასაც შეუძლია ოგივე გაიმეოროს.

ეარსაში ,გამოქვეყნდა ცნობა, რომ ,ბ.კკ.ს ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ხაზინგადგილეთა მეცნიერებათა აკადემიამ გამოკითხვა მოაწყო. ხალხი გამოკითხეს 16 სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში. გამოკითხულთა მესამედმა უპასუხა, რომ კომპარტიას არ შეუძლია იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც დღეს საბჭოთა კავშირის წინაშე დგას.

დიახ, პარტიის წევრობა დამნშავეს ტაკვის გადარჩენის, ხვეკის, დაწინაურების საშუალებად იქცა. სწორედ ამ მანკიერებებისკენ ლტოლვაში გამოვლინდა პარტიის წევრთა თანამოაზრეობა. პარტიის წევრის მანდატი იქცა ჯობად, რომელსაც უცნო სოფელში მიმავალი კაცი მოიმარჯვებს, რომ ძალლებმა არ დაკბინონ. პარტიის წევრობის მანდატი იქცა იმის გარანტიად, რომ შენ გაკვს უფლება იბატონო — დაამცირო სხვა, არად ჩააგდო კანონი, იხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელო მზოლოდ და მზოლოდ „ზემდგომი ორგანოს“ „სამართლით“ და ამავე „სამართლის კანონებით“ უხელმძღვანელო ზელქვეითებს.

შეიძლება პირდაპირ, მიეკიბ-მოუკიბავად ითქვას, რომ პარტიის წევრობა ყველას შეეშნილმა სიტუაციამ, ცხოვრების უკუღმართობამ დაიძალა. ამ რამდენიმე წლის წინით საქართველოს ერთ-ერთ რაიონში ერთი შეხედვით საკვირველი ამბავი გამოაშკარავდა — მსურველებს პარტიაში უზარმაზარი ჭრთამის აღების შემდეგ იღებდნენ. არ გაგახსენდათ პირველი მარქსისტების დევიზი — მიზანი ამართლებს საშუალებას... რა პარტიაზე, რა მსოფლიო მნიშვნელობის იდეალებზე და მისწრაფებებზე შეიძლება აქ ლაპარაკი?..

ეს ყველაფერი დიდი ხანია კარგად ვიცით. ეგაა, — ახლაღა ვაღიარეთ, ახლაღა გავხედეთ ამაზე სიტყვის დაძვრა. ვაღიარეთ, რომ ხელმწიფეში, სადაც ერთპარტიული სისტემა დაკანონებული, ეს სისტემა აუცილებლად დიქტატორული სისტემაა.

მე რომ მკითხოთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მორალურად ეკადება, მიიკრბოს უკანასკნელი ძალა და სიმართლე თქვას. უნდა თქვას, რომ დიდი უპედურება დაატეხა თავს რუსეთის იმპერიაში შემწყვდეულ ხალხებს, ე. წ. „ხალხთა დემოკრატიის კვეყნებს“, ძნელად განსაკურნელი ავადმყოფობის მეტასტაზები მოსდო მთელ მსოფლიოს, უნდა აღიაროს, რომ „კომუნიზმის იდეა“ ბოროტი საწყისის იდეაა და ყველა უნდა მოერიდოს მას.

დანაშაულის აღიარება და მონანიება ღვთის კარებს აღებს. უდანაზოსთან მიმდგარ უსასოო ხალხს ღმერთი უნდა გადაუძღვეს უძნელეს გზაზე...

დასასრული შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ნარმანია

„არ შეიძლება ასე ცხოვრება, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ“

„ეი, როგორი იყო ქართველი კაცი თავისი ბუნებით მე-18 საუკუნეში, როდესაც ვახუშტი ბაგრატიონი მოღვაწეობდა: ხოლო კაცნი ამის ჭეშეულნისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომელთა მიეიღეს ჯოგითი ფაშას დიდის კონსტანტინესსა და სილიბისტროსსა ზესსნი და რიგნი ძველნი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისათა და ზვიდის კრებისა უფაკრიანთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მიეიცის, ოდეს იცის ქაბი, კუალად ებების ქრისტიანედ შემნანეა“.

(ჯ. ღვინჯილია. „სული ალმაშენებელი“. გვ. 379).

ჯანსულ ღვინჯილიას წიგნი „სული ალმაშენებელი“, როგორც თვით ავტორი წერს, „ალმავლობის გზაზე და გამარჯვების ზენიტზე მდგარი ქვეყნის თვისებათა შეცნობა-ანალიზს ემსახურება... ჩვენი არსებობის წესი და ხასიათი მხოლოდ საკუთარ დროსთან შეხებით არ ყალიბდება, მარტო იმ ფორმების გავლენით არ იძერწება, რაც ბატონობს ჩვენს ირგვლივ...“

მწერალმა ქართველი ერის ისტორიული წარსულიდან მოკრძალა და გაანალიზა ის არსებითი თვისებები, რომელნიც „ერიგიდ ხანძთელისა და თამარ მეფის ეპოქებს შორის მოქცეულ მოვლენებსა და ფაქტებში იკითხება“. — ეს ძველი საქართველოს უმაღლესი სულიერი ორიენტაციის პერიოდია, რის შემდეგაც, ცალკეულ გამონათებებს თუ არ ჩავთვლით, საქართველოს ისტორია უწესეტები დეგრადაციის პროცესია... ამის მიზეზი თვით ქართული ისტორიული მრწამსის თანაბრად ქართველთა მიერ იმ მთავარი თვისებების ღალატია, ქართულ ფენომენში ისტორიულად რომ იგულისხმებეა, — იმ ჭეშმარიტი მიზნისა და საშუალების დამახინჯება და სუროგატებით შეცვლაა, რომელსაც სიერუსა და ილუზიისაგან უნდა დავუზღვიეთ.

დღეს, როცა ეროვნულნი პრობლემებით საგნე სინამდვილე სერიოზული დაფიქრებისა და გადაუდებელი მოქმედების რეალურ წანამძღვრებს ქმნის და ერის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების სწორი ორგანიზაცია სასიცოცხლო მნიშვნელობის აუცილებლობად იქცა, ქართველ კაცში უნდა მოხდეს სწორედ იმ უმჯობეს თვისებათა და წესთა გამოღვიძება და რეალიზაცია, რომელთა ერთგულებამაც ამაღლების ეპოქები მოგვცა. წიგნის „სული ალმაშენებელი“ ლოგიკურ ძაფს ერთ არსობრივ დასკვნამდე მივყავართ: საქართველოს ერთადერთი ნამდვილი ჭირისუფალი, ერთადერთი ყველაზე გონიერი მრჩეველი და დამფრიგებელი, რომელიც ჩვენი ერის მიდრეკილებების, თვისებების, ფსიქიკის, ზენების, ღირსებებისა და მანკიერების ყველა ასპექტს ძირისძირამდის იცნობს — მისივე წარსულია... ის ღვთივგანძრძობილი მეფეები და ღმერთშემოსილი მამები არიან, რომელებმაც საქართველოს სულიერი და ფიზიკური ფენომენი შექმნეს.

ისტორიის გაუთვალისწინებლად, გარკვეული მისაბაძი ნიმუშის გარეშე განუზორციელებელი ოცნებაა ერის უკეთესი მომავალი, ხოლო თუ გავითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას — საქართველოს ისტორიიდან ამოვიღებთ უმჯობეს ფურცელს და მის არსში დღევანდელი მოქმედების გეგმას მოვიძებთ, ვნახავთ, რომ ნამდვილი საქმე, რომელსაც ჩვენი მორალური და მატერიალური განთავისუფლება შეუძლია, ძველი საქართველოს მიერ საფუძველჩაყრილი, თავბრუდამხვევ სიმაღლეზე აზიდული, საუკუნეების განმავლობაში ნალოლიავები და შემდეგ... სრულიად მივიწუდული და მიტოვებული საქმის აღდგენა და გაგრძელებაა.

როცა ილია ჭავჭავაძე საკუთარი ისტორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწუენას ერის გახარწნისა და გადაგვარების მიზეზად სახავს, მხოლოდ ფაქტებისა და მათი თანმიმდევრობის ცოდნას არ გულისხმობს. იგი ერის სულიერ სამყაროში ზნეობრივი კატეგორიების შენარჩუნებას ითხოვს, „ისტორიული მეხსიერება“ ეროვნულ თვითშეგნებაში იმ ულელერი ცნობიერების, ცხოვრების იმ ფორმების, წესებისა და კანონების არდავიწყებაა, რომლითაც ერი ოდესაც უმაღლესსა და უმშვენიერესს ეზიარა... ეს ის ღირებულებებია, რომელითაც ქართული ქრისტიანული სამყაროო ჩამოყალიბდა. ეს ის მიზანი და მიზნის განსაზორციელებელი ინსტრუმენტია, რომლის სიდიადესა და სიშვნიდეზეა, კეთილშობილებასა და სიმპათილეზეა უფლის თვითმხილველი ძველი საქართველო მეტად მაღალ ფილოსოფიურ და რელიგიურ დონეზე გვემოწმება. ამ უძვირფასესი მემკვიდრეობის ერთგულებას საუკუნეთა ბოლოდროს უარნელეს მოვალეობად გვიჩანაგს ეროვნული გონება და სინდისი.

საკუთარი სულიერი კულტურის დავიწყება სულიერი და გონებრივი ხაზრდოს დაკარგვას ნიშნავს და სულიერ სიკვდილს მოახლენს. რა დასამალია, რომ აზროვნების თანამედროვე ინსტრუმენტის წყალობით ჩვენს წარმოდგენებში რაიმეს ღრმა და მნიშვნელოვანი აზრისგან სრულიად განძარცულია ის მარადიული ფენომენის შინაარსი, რომელიც შეშნაიკის წამებაში, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობაში, რიფურნინის კრების დადგენილებებში, თამარ მეფის „ფსალმუნებასა შინა ცხოვრებაში“ სხვადასხვა საუკუნეების საკართველოს საკრალურად აერთიანებდა. ეს კი ნიშნავს, რომ უარი ვთქვით ადამიანის მაღალ დანიშნულებაზე და მდაბალი ვნებების მოჯადოებულ წრეში მოვექეცით... და თუ ქართული მწერლობა ოდესმე უნდა დაუბრუნდეს თავის ნამდვილ საქმეს და ერს ღვთის წინაშე კანონიერი და სახარებლო სამსახური გაუწიოს, მან ძველი ქართული სიტყვის სიმართლე და სიუხუტე უნდა დაიბრუნოს (იგულისხმება ამ კანონიერი საზოგებით აზროვნება, რომელთაც საკართველოს ყოველი ალზეკვების ეამს მკაცრად იწონებოდა ერის სიტყვა და საქმე).

ჯანსულ ფეიქრელისას წიგნში „სული ალმაშენებელი“ არაერთი მარადიული პრობლემაა წამოპრალი: ისინი არსებითად ერასოდეს იცვლებიან, მაგრამ არის უმთავრესი, რომელიც ყველა თვისებას, ყველა წესსა და კანონს გარკვეულ, კონკრეტულ აზრსა და დანიშნულებას ანიჭებს. მან ქრისტიანული ალმასენებლობა ეკლესიაზე, ერზე და მის საქმიანობაზე ღვთის მადლის გარდამოვლენის საიდუმლოს უწოდებს. სწორედ სარწმუნოებისა და ეკლესიის როლსა და მნიშვნელობაზე მსჯის შეკამერო ალნაშნულ წიგნში მეთხუთმეტ ელის ყურადღება. რადგან „არსი ძირითადი ბუნებისა უცვლელია... ნიუანსები, დეტალები იცვლება, მაგრამ არ იცვლება უმთავრესისადმი ერთგულება დამეტრე პირველის, ეიორგი მესამის, თამარ მეფის დროს“. (ჯ. ფეიქრელია). — მათ „ბნელ“ კოსებს, წერს ავტორი: „ღრმად აქვთ შეხწვალილი ამგვარი არსებობის საიდუმლო და აქოთენ მოეწოდებენ ქვეყანას.“ მაგრამ მთლიანი სისტემის, რომელიმე მნიშვნელოვანი რგოლი რომ ყურადღების გარეთ არ დარჩეს, უნდა ვიცოდეთ „რა ფასი აღეფს ყოველ წინადადებას, ყოველ ფრაზას, რაოდენ ტტკბილია ყოველი მთგანი“ (ჯ. ფეიქრელია). მაგალითად, დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი დავითთან დაკავშირებული მოვლენების მხოლოდ არსებით აზრს გადმოგვცემს. ამ არსებითისადმი მწერლის დამოკიდებულებას განსაზღვრავ დავითისა და მისი ეპოქის სულის გადმოსაცემად დაწერილი წიგნის სათაური — „სული ალმაშენებელი.“ — ეს ეპითეტი თითქოს ყოველთვის იგულისხმებოდა დავითის მიმართ, თითქოს იგი მუდამ არსებობდა და ვიცნობდით, მაგრამ ალმოჩნდა რომ, სიტყვაში მისი რეალიზაცია მხოლოდ ახლა მომხდარა! — „სული ალმაშენებელი,“ — აკ კონკრეტული ცნების უსაზღვრო შინაარსი ამხოლეტურად დასრულებულ ფორმაშია მოცემული და მის უკან მთელი კონცეფცია ივარაუდება თავისი მეკანონზებითა და მეკანონზებიდან მეკანონზებით (ჯერეის კანონიკის თვალსაზრისით). სულისა და ალმშენებლობის ცნებათა დაკავშირება, საგნებსა და მოვლენებს შორის „სულ სხვა სივრცისა და დანიშნულების“ (ჯ. ფეიქრელია) კონტაქტებს გულისხმობს. სწორედ ამ კონტაქტებს ემსაზღვრავან ღვთის ერგულთან დაკავშირებული წესები და კანონები, რომლებზეც „მარადიული განსხვავებულობისა“ თუ ალმშენებლობისადმი ქართველი კაცის მიდრეკილების „ფსიქოლოგიური ზემოქმედების,“ (ჯ. ფეიქრელია) დუმილით შერიხსვის, პატიებისა თუ სასტიკი სასჯელის სისტემაა ადგენილი — იგი ემსახურება მხოლოდ ერთ უმაღლეს მიზანს... „სული ალმაშენებლის“ ავტორი ბაზს უსვამს, რომ შემთხვევითი არ არის გარემოება, რომლის ძალითაც დავითის ისტორიკოსი კონცენტრირებულია მხოლოდ უმთავრესზე: „ისტორიკოსი დარაკობდა ალმაშენებლის ყოველ ნაბიჯს და რა შეუმცდარი გუმანით მიაკვლევს იგი ამ ნაბიჯებიდან ყველაზე ძირითადს, რომლის გადადგმაც სულ სხვა მდგომარეობას უმზადებს ქვეყანას.“ ეს ნიშნავს: დავითის საქმის სტრუქტურაში ბევრი რამ, დროისა და პირობების შესაბამისად, შეიძლებოდა სხვაგვარიც ყოფილიყო, მაგრამ უმთავრესი — არასოდეს იცვლება! თვით რეფორმა-ურბნისის კრების ფილოსოფიური და რელიგიური შინაარსი საღვთო განწესებათა უცვლელობას გულისხმობს... რადგან განწესებათა რღვევა ადამიანის და აკედან მთლიანად ერის სულიერ ორგანიზაციაში კავშირების წყვეტას იწვევს... და არ

გადმოდის ღვთის მადლი... თუმცა, ამაზე ქვემოთ ვიტყვი.

„სული აღმაშენებლის“ ავტორი არ წავიდა, ვინ იცის, როდიდან ტრადიციად დამკვიდრებული გზით, როცა დავითისა და თამარის ღრმად ქრისტიანულ ეპოქაზე მსჯელობენ ისე, რომ არ ითვალისწინებენ თვით ამ ეპოქების ეთიკურ შინაარსს, რომლის ერთგულებაც საქართველოს უპირველესი მახასიათებელი იყო მთელი ისტორიის მანძილზე, იგი საგნებსა და მოვლენებში დავითის უცნობი მეცნიერული საორიენტაციო კრიტიკებს აზიარებს, რითაც მწერალმა საკუთარი შემოქმედებითი დამოკიდებულების არსობრივი ობიექტურობა უზრუნველყო. მან დავითის ეპოქის სოციალური, პოლიტიკური თუ ზნეობრივი სურათი თვით დავითისა და მისი თანამედროვე ისტორიოსის საზრიანი პოზიციებიდან წაიკითხა და გვიჩვენა ერის ერთი ისტორიულად განსაზღვრული არსი, რომლის ფორმები, წესები და კანონები არასოდეს იცვლება. მათშია აღმაშენებელთან დაკავშირებული ფრიცხვი არარეალურებიანი ბაგნია და მოვლენის გასაღები, უცნობ ისტორიკოსს თავისი ბუნებით რთული და მრავალწახნაგოვანი ისტორია ერთ არსობრივ საფუძველმდე დაპყავს და ქრისტიანული კრიტერიუმებით ზომავს ნებისმიერი სირთულის მოვლენას თუ ფაქტს. ჯ. ღვინჭილია აღნიშნავს, რომ ისტორიკოსისათვის არ არის საინტერესო და საჭირო ის უთვალავი დეტალი, რომელიც ომებისა და აღმშენებლობის ურთულეს ორგანიზაციას სჭირდებოდა და რომელიც პირობების ცვალებადობასთან ერთად იცვლება. მთავარია ის არსი, რომელიც სტატიკური მოძრაკი სამუკარის მიმართ.

„არსობრივი, არსობრივი, მზოლოდ არსობრივი შეცნობა იძლევა უნივერსალურ ცოდნას, რომლითაც შესაძლებელია წინ იძრძოლ ადამიანის გონება საერთოდ და, ცხადია, ერთგული გონიც (ჯ. ღვინჭილია). ...როცა ოპერირების ობიექტი არის არა ილუზორული, მსწრაფლწარმავალი სახე გარე ბუნებისა, არამედ ამ სახის, როგორც სიმბოლოს ამანენტური შინაარსი.

საქართველოშ თავისი არსებობის მანძილზე უველაზე მაღალი ღირებულებების რეალიზაცია დავითის დროს მოახდინა. ეს ის ღირებულებებია, რომელიც მარადიულ შინაარსად გამოარჩია ხალხმა თავისი ისტორიული მოძრაობის გზაზე“ (ჯ. ღვინჭილია). — სხვა მიზანს, სხვა ფუნქციას, სხვა კანონებს ბეშმარიტების გაგებასა და აღიარებაში, ჯაროვნებისა და ცხოვრების ფორმაში ვერ იპოვის და ვერ გაიადილებს საქართველო. მითუმეტეს, თუ ისინი დავითისა და თამარის ეპოქებიან არიან დადასტურებულნი: „როცა ამ „ისტორიულ გზაზე დავით აღმშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა არსებობდა, ქართველ კაცს არავითარი უფლება არ რჩებოდა დიდი ეროვნული მისია დაკარგნოდა და საშვენ სიმაღლეს მოწუენტოფალ (ჯ. ღვინჭილია). მისიის დავწუეება და ...ილეს მოწუენტა ამ მისიისა და სიმაღლის შინაარსისა და აზრის დავიწუებასაც შეშნავს, რაც ქართველი მორალური კატასტროფის ერთ-ერთი წინაპირობაა და სრულიად გვწუენტს ქართველი სულიერი ინტერესების სფეროს. ღრმად მორწმენენ ქრისტანის საბოლოო მიზნისა და ამ მიზნის მისაღწევად არსებულ ანონიკურ საშუალებათა გაუთვალისწინებლად არავის ძალუძს ამოხსნას იმ სულიერი წესთის, იმ ფსიქიოლოგიური მდგომარეობის, იმ საარზოვნო არისეცეპტების საიდუმლო, რომელშაც ქვეყნ საქართველო ასეთი მაღალი მდგომარეობით უზრუნველეყო. ქრისტიანულად — ბედნიერებისა და უბედურების, აღზევებისა და დაცემის პროცესები ცოდვა-მაღლის დონეებთა და ხარისხებით წარიმართება, რაც ქართველი კაცისთვის სრულიად დასაშვები და სამართლიანი თვალსაზრისი ყოფილა მთელი ისტორიის მანძილზე, „კარგად ვიცით დანგრეული იყო „ეოველი შენებულობანი“ — დანგრეული მერანა და გაუგონანი მიწისძვრისაგან. მეგობანიე ღვთის წყრომად მიიჩნეს ამ უზარმაზარი ძალის მოწისძვრას, ქართველთა მიერ ჩადენილი ცოდვის პასუხად ესახება იგი.“ — წერს ჯანსულ ღვინჭილი და იმის დასტურად, რომ მხოლოდ აღნიშნული ეპოქა არ ფიქრობდა ასე და ამ შეგონების სიმართლე დამოუკიდებელი დროისგან, მწერალი სხვა საუკუნეების პარალელებს მიმართავს: „ასევე ხსნის მეთვრამეტე საუუუნეში ქეეუნის გაუბედურების მიზეზს დავით გურამიშვილი.“ „ეროვნული შინაგანი სრულფასოვნების რღვევისა და თავს დატეხილი უბედურების მიზეზები ქართველი კაცის შეგნებაში მუდამ ერთმანეთს უკავშირდნოდ“ (ჯ. ღვინჭილია). — ამაში თავისთავად არაფერია ახალი, სანამ ცოდვისა თუ სრულფასოვნების ზოგად მცნებათა მიღმა არ იგულისხმება კონკრეტული საგნები და მოვლენები... როცა ადამიანური შემეცნების საზღვრებში სამყარო ქვიშის ბოლო მარცვლამდის სიკეთისა და ბოროტების თვალსაზრისით არის შესწავლილი და გაკოფილი. ღვთის რჯულის თანაზმად, „რაც არ არის სჯულიერი, ის უეშეველად არის უსულო,“ — მისგან გამომდინარე შედეგებით.

„სული აღმაშენებლის“ ავტორი, აზიარებს რა დავითის ისტორიკოსის ფილოსოფიურ მრწამსს, თავის მხრივ, ჯაროვნების, ცხოვრებისა და შრომის დავითისეული ფორმების შესახებ მსჯელობას კვლავ სხვა ეპოქის მსოფლმხედველობაში აზუსტებს: „ეი, როგორი იყო ქართველი კაცი თავისი ბუნებით მე-18 საუკუნეში, როდესაც ვახუშტი ბაგრატიონი მოღვაწეობდა: „ხოლო კაცნი ამის ქვეყნისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი რომელთა მიიღეს ჰრმთო ეშმა დიდის კონსტანტინესისა

და სილიბისტროსსა წესსი და რიგსი ძველსი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისთა და ზვიდის კრებათა უპერიოვთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მოიქცოს, ოდეს იცის ეამი, კეთილად ეგების ქრისტიანედ შემნანე". საგულისხმოა და დამფიქრებელი, რომ მე-18 საუკუნის საქართველო, ადერქრისტიანული, IV საუკუნის მოძღვრის ბასილი კაბადუკიელის „წესთა და რიგთა მტკიცედ მპყრობელი. ალუნიშნავი არ დარჩენია ჯანსულ ღვინჯილიას, რომ დავითის თუ საერთოდ საქართველოს სულიერ შემეცნებაში, ქართულ ფსიქიკურ სტრუქტურებში წმინდა სიძველისადმი ერთგულება და, ამ თვალსაზრისით, მაქსიმალაზი ერის ისტორიული თვისებაა, რომლის სიკეთეც ჭეშმარიტი მწუემსის ხელში არაერთგზის გამოჩენილა. ქართველთა ბუნებაში სიძველისადმი გარკვეული რადიკალური დამოკიდებულების არსებობაზე, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა მიერ მართლმადიდებლობის უღალატობა მეტყველებს. მართლმადიდებლობისა, რომელიც სწორედ სიძველის ერთგულების ნიშნით არსებობს და სწორედ ამაშია მისი სწავლებისა და ეკლესიის ჭეშმარიტება. „ვვიდის კრებათა უპერიოვთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მოიქცოს, ოდეს იცის ეამი, კეთილად ეგების ქრისტიანედ შემნანე." ამ ოქროს წესთა, რიგთა და კანონთა ზედმეწევნით დაზუსტებაში დევს რეის-ურბნისისა და, აქედან, დავითის საქმის თავგარი სიდიდეო. რჯულის კანონთა კრებულის შესახებ რეის-ურბნისის კრების დადგენილება ერის ერთი სულიერი და გონებრივი საყრდენის გარდა ღვთის მადლისა და წყალობის მიღების საიდუმლოს გულისხმობს: „ეს არის წმინდა და საკეთილო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლესის გარეშე. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ პყრობა მართებს ყველა ქრისტიანული მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელთმთავარს, მღვდელებსა და დიაკვნებს, ჩვენ შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზონებს და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას", ხოლო თვით რჯულის უალტარსანტიკო სწავლებით: „მამათა მოძღვრების საშუალებით ერი იმენს ცოდნას თუ რა უნდა მიიღოს, რას შეაკეთოს ზურგი, როგორ უნდა შეცვალოს და წარმართოს თავისი ცხოვრება სიკეთისა და უმჯობესისაკენ, არ გიიბრწყნას უფეცრების ვნებით, არამედ იმ ძველი მოძღვრების დახმარებით გიმიხეოს თავი. რათა არ შეეშთხვეს მას ვნება, ცოდვა და ჯეროვნად მოიქცეს მომავალი ტანჯვის „შაშით" (ეეეკანე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონი 19), და თუ ერი თავისი ცხოვრებით ეწინააღმდეგება რჯულის ზნეობრივ სისტემას, იგი კარგავს ღვთის მადლს და სასჯელითვის შიშვლდება. წყალობისა და სასჯელის ზღვარი ცოდვა-მადლის ხარისხის მიხედვით უმოკლეს დროში გადაიკვეთება. მადლი თავისთავად გულისხმობს შეუქცევლის შესაძენელად ქცევას, „ზეადამიანური ცნების ზეადამიანურ გადაკვეთას: „როდესაც დავით აღმაშენებელმა იორშუნა, უმოკლეს დროში რომ იყო მოსაბდენი დიდნი საქმენი, რაღაც ზეადამიანური ითხოვა ამ ზეამოცანამ." „ისტორიოლოგმა მდგომარეობამ დავით მეფეს უმძიმესი ტვირთი დააკისრა — შეუქცევლებელი ექცია შესაძენელად" (ჯ. ღვინჭილია). ვინც დავითის მოდგაწეობის მასშტაბებზე, მისი საქმის ხასიათსა და აზარზე დფიქრებელა, უთუოდ იცის, რომ დავითთან მიმართებაში სიტყვები — „ხასწაუოენი," „ზეადამიანური," „ღვთაებრივი" გარკვეული რეალური მოვლენების ამსახველნი არიან, და, რაც კიდეე უფრო მთავარია, ისინი თვით დავითისა და მისი ეპოქის მიერ აღიარებულ სარწმენოებაში ივარაუდება, როგორც აუცილებელი პირობა. „ისტორიკოსი ძალიან ზზრიად აშვილიებს დავით აღმაშენებლის თვისებათა დახასიათებისას სიტყვა „ღვთაებრივს," დიახ, იგი ღვთაებრივ ნებას ჭვრეტს დავითის მოქმედებასა, მოძრაობასა და აზროვნებაში" (ჯ. ღვინჭილია). ამთავითვე უნდა ითქვას, რომ, სამოციქულო ეკლესიის მამათა სწავლებით, ერთი რიგის მოვლენები დამახასიათებელნი არიან ადამიანური ქმედებისთვის, მაგრამ არსებობენ მეორე რიგის მოვლენები, რომლებიც ღვთაებრივი ძალა გამოხატული. ბუნებრივი მოვლენები ბუნებრივი გზით ვითარდებიან, ხოლო ღვთაებრივი მოვლენების დროს ზებუნებრივ ფაქტებთან გვაქვს საქმე, თუმცა ღმერთი მონაწილეობს მოვლენების ბუნებრივ მსვლელობაშიც და ბუნებრივს ყოველთვის თან ახლავს ზებუნებრივი — ღვთაებრივი. — ეს ყოველივე ზოგადად, ხოლო რაც შეეხება ადამიანის შეგნებულ კავშირს ზეადამიანურთან, ღვთაებრივთან, იგი შესაძენელია მხოლოდ და მხოლოდ სათანადო წესებისა და კანონების საშუალებით. ეს წესები და კანონები არ იქმნებიან და არ იცვლებიან კაცთა მიერ, ისინი საღვთო განწესებანი არიან და თაობიდან თაობას გადაეცემიან. სწორედ ორთოდოქსალური ეკლესიის სწავლებაში მოცემული იდეალური ზეზია და ნიმუშის მიხედვით წარმართა დავით აღმაშენებელმა თავისი საქმე. „მან ირონში მიიტანა მთელი ერის სულიერ წყობაზე და მისი მაქსიმალური დახვეწა, გარდაქმნა, სრულყოფა მოიწადინა" (ჯ. ღვინჭილია), რა თქმა უნდა, ქრისტიანული იდეალების შესაბამისად, რომელშიაც ადამიანის მიმართ სამყაროს უმაღლესი „ცენტრალური სისტემის" მარადიული ნებაა გამდელეზენული. თვით დავითის მიერ შექმნილ გარკვეულ საეკლესიო და საერო პირობებში მისივე მეშვეობით „...რაღაც უსაზღვროდ მაღლა მდგომი, თავის უნივერსალურ ნებასა და გონებას გადმოშლიდა" (ჯ. ღვინჭილია). უნივერსალური გონების ქრისტიანულ რჯულში მოცემულ ნებას დავით აღმაშენებე-

ლი ყველაზე მკაცრად საკუთარ პიროვნებას უუფლებდა, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ძალი სრული რადიკალიზმი, სიმკაცრე, კატეგორიულობა, მოსწონდა თუ არა ეს სამწუ-ს, სრული სამართლიანობის ბეჭედს ატარებდა. „ხალხს მხოლოდ ღმერთისა და მეფის სწამდა“ (ჯ. ღვინჭილია), მეფისა, რომლის პიროვნულ თვისებებში ღვთისმოშიშებას არაერთგზის უსვამს ხაზს ისტორიკოსი. მეფის ღვთისმოშიშება კი ნიშნავს, რომ იგი ხალხის მიმართ ღვთის ნების აღმსრულებელია, ღვთის რჯულის იარაღია უფრაფლოთა დასაჯელად და რჯულერთა დასაჯილდოვებლად... ხოლო უმაღლესი სამართლიანობის წინაშე „განდრეიეთ“ მავალთა „ქვეგამხდადართა“ ფსიქოლოგიური პლატფორმა ყოველთვის სუსტია და დასამარცხებლად განწირული...

„უთუოდ, რაღაც განუსაზღვრელად დიდის რწმენა უნდა ჰქონოდა დავითს, რომ თავისი მიზნის აღსრულებისთვის ესოდენ გამოკვეთილი ნაბიჯები გადაედგა“ (ჯ. ღვინჭილია) და, თუ რწმენის საგანზე მართლმადიდებლის ჭეშმარიტ წარმოდგენებს არ დავარღვევთ, დავითმა ღვთის მადლითა და შეწევნით შესძლო „ეს დიდი საქმენი ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელი,“ სწორხაზოვნად და გამონაკლისების გარეშე წარმატებით წარიმართა. თუ დავითის რეალურ-ისტორიულ ფაქტში გამოვრიცხავთ ზეადამიანურ, ფეთაბრივ ფაქტორს, გაუგებარი დარჩება დავითის საოცარ ღვაწლში ერთი უმთავრესი, ქართველი ხალხის ელვისებური — „სულ სხვაგვარად ფორმირების“ (ჯ. ღვინჭილია) საიდუმლო.

კატეგორიულად ითქვა: „არ შეიძლება ასე ცხოვრება, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ!“ (ჯ. ღვინჭილია) და უმოკლეს დროში დაიბადა „ახალი ადამიანი“.

„როგორი ქართველობა დახვდა დავით მეფეს“ და როგორი ქართველობა დატოვა ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ? — აქ თვისობრივ, ძირფესვიან გარდაქმნაზეა საუბარი, რომელიც შორს სცილდება ადამიანის აღზრდისა და ფორმირებისთვის საჭირო დროსა და პირობებზე თანამდროვე წარმოდგენებს. აქ ემპირიულად აუხსნელ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ფუნდამენტურად იცვლება ადამიანი და, რაც მთავარია, წინასწარ მოცემული იდეალური ნიმუშის მიხედვით — რა თქმა უნდა, გარკვეულ დონეზე. „დაჯაბნებული და მოშიშარი მხედრობა“ სასწაულებრივად წარსდგა მტრული სამყაროს წინაშე ახოვანი, ამაყი, ლაღი, მკვირცხლი,.. რომლის დამარცხებაც პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან გარკვეული სისტემის შესაბამისად მოწესრიგებული ცხოვრების პირობებში „ხელი მაღლისა შეეწევოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას“.

დავითი ქრისტიანი მეფის იდეალური სახეა და მისი როგორც შინაგანი სამყარო, ისე ხელუფლება და საქმეში გამოხატული აზრი საქართველოს მიმართ უზენაესის გეგმას ანხორციელებდნენ. „ღმერთის ეს განუწყვეტელი თანადგომა... თავისთავად მიგვანიშნებს, როგორც გაცნობიერებული იყო დავითის მიერ მოღვაწეობის მიმართულება, როგორც შეჯერებული იყო იგი ღვთაებრივი მოლოდინის გრძნობასთან“ (ჯ. ღვინჭილია). სწორედ ამ „ღვთაებრივი მოლოდინის გრძნობას“ გვასწავლის ქრისტიანული რელიგია, რომელშიც ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის ცხოვრებისა და აზროვნების გზაა მოცემული. ამ გზაზე ერი „მარადიულად უნდა იდგეს“ (ჯ. ღვინჭილია). და თუ „მძლავრებით უკეთუ ვინმე მიიკცის, ოდეს იცის ფაში, კუალად ეგების ქრისტიანედ შეინანე.“ — ეს საკართველოს შინაგანი ხმაა, — გენეტიკური კოდში მოცემული პროგრამის არსია, რაც მხოლოდ და მხოლოდ ღვთის წყალობა შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენს თანამოქმედებას, ჩვენს სურვილს აუცილებლად გულისხმობს. „ადამიანი დიდი ღვაწლისთვის არის შექმნილი, ახე სწამდა დავითს“ (ჯ. ღვინჭილია). ხოლო ჭეშმარიტი ქრისტიანის „დიდი ღვაწლი“ ქრისტეს რჯულის კანონით არის განსაზღვრული: „ვინც ნათლისღებით ქრისტე შეიმოსა, მან აღიარა ქრისტეს ხორციელი მოქალქედის მიბაძვის სურვილი“ (მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონი 96).

მორალური და ფიზიკური ცხოვრების ის კანონები, წესები და პირობები, რომელიც საქართველოს, როგორც ფენომენის იდეალურ შინაარსში დევს, ჩვენთვისაც არიან ნაცნობი და მასშია საკართველოს სამომავლო ღირებულებაც... ამ შინაარსის, ამ კანონების გარეთ, გრძნობის, გონების, სიტყვის, მოქმედების ცდომილებებით შექმნილი ილუზორული სამყაროა, სადაც ეშეშარიტი კრიტერიუმების ნაცვლად სუროგატებს ეყრდნობიან, მიუხედავად იმისა, რომ სუროგატები ვერ უძლებენ სინდისის ელემენტარულ კრიტიკას.

წიგნში „სული ალმაშენებელი“ ფაქტობრივ მასალასა თუ ლიტერატურულ სამოსს მიემა მეთხეული გრძნობს ეი ხედავს ერის სულიერი სახის ტრანსფორმაციის მთელ პროცესს, მის მთავარ ელემენტებს, დიდი ზემოქმედების ძალას, რომელიც ადამიანის საკრალური დანიშნულების აღსასრულებლად აერთიანებს ეი ამოლანებს ერს. ამ საკრალურ დანიშნულებაშია „ჩაწერილი ჩვენი არსებობის მომხიბვლელი შინაარსი, მოქმედებისა და შრომის გრანდიოზული სტრუქტურა, რაც არასდროს არ იქნება დროის რომელიმე მონაკვეთის კუთვნილება“ (ჯ. ღვინჭილია).

„ისრალელის მეფეთა ვბაძეგდ“ — ამბობს დავითი და ბიბლიურ მეფეთა მიბაძვასა თუ

დავით მეფის შემოქმედებით ელემენტს მრავალი ასპექტი აქვს, არსობრივად კი ისრაელის მეფეებმა იცოდნენ მოსეს მიერ მოცემული უფლის სიტყვა: „უკეთუ ბრძანებათა ჩემთა ხელოდნეთ, და მცნებათა ჩემთა იმარხვიდეთ და პყოფდეთ მათ... მოვსცე მშვიდობანი ქუეყანასა თქუენსა და დაიძინოდით უშრუველად და არავინ იყოს მაშინებელ თქუენდა, და წარვაწყვიდო მხეცი ბოროტი ქუეყანისაგან თქუენისა და ბრძო�sა არა იყოს ქუეყანასა თქუენსა. და ხდეენდეთ მტერთა თქუენთა და დაეცნენ წინაშე თქუენსა მომწყდარნი მახვლითა. და წარიქცოს ხუთმან თქუენგანმან ასი და ასმან თქუენგანმან წარიქცოს ბევრეული და დაეცნენ მტერნი თქუენნი წინაშე თქუენსა მახვლითა“ (ლევ. 26, 3-6-7-8). და პირიკით „ღმერთი უძალონდეს ურჯულოს.“ — ერთ შემთხვევაში, დავით მეფის 56-61-თანასიანი ლაშქარი ხან საათში უმნიშვნელო დანაკარგებით 600 000 კოალიციურ არმიას ამარცხებს, და ეს არ არის ცალკე ფაქტი, გამონაკლისი, ეს დავით აღმაშენებლის მოქმედების სტილი, ღვთის რჯულის მტერთან საუბრის უკომპრომისო ენაა, „ურიცხვ მტერსაც კი იგი“ „რაღაც მანკანებით“ უმოკლეს დროში და საკვირველი მოულოდნელობით ამარცხებს“ (ჯ. ლეონიძილი). მეორე შემთხვევაში, როცა ადამიანის თუ ერის ცხოვრებაში ხდება საღვთო რჯულის კანონებისა თუ წესების დემონტაჟი, ერი კარგავს მობილურობას ზემოთ აღნშნული მორალური და ფიზიკური მოთხოვნებისადმი და „ამა სირცხვილიც — ჩინგის ხანის 12 000 მეფრნავე რაზმმა აქამდე უძლეველ ქართველთა 90 000 ლაშქარი დაამარცხა“ (ჯ. ლეონიძილი). აი, ანა ღვთის ნებისამებრ ცხოვრების ნაყოფი ქრისტანული კატეგორიებით მოაზროვნე ადამიანის წარმოდგენებში.

ხოლო, როცა მოკმედებენ დავითის ღონისძიებით გათვალისწინებული მექანიზმები „რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა ქართველ კაცში, რაღაც დიდმა და განუსაზღვრელმა გაიღვიძა“ (ჯ. ლეონიძილი), ადამიანში დიდისა და განუსაზღვრელის არაჩვეულებრივი გაღვიძება თავის თავში ზუსტსა და კონკრეტულ შინაარსს მოიცავს, რომელიც უფლის მცნებათა და კანონთა მეშვეობით მიიღება. — აი, უსარველეს ყოველსა, რას არ ღალატობდ მართლმადიდებელი ქართველი — „წესნი და რიგნი ძველნი ბერძენთა ბასილის კანაკეულიელისა და შვიდის კრებათა უპატრიარგი მტაცედ.“ — ამ ეზრით ერის კანონაკერი ცხოვრება უზენაესი მფარველობის მიღებისა და შენარჩუნების ერთადერთი საშუალება და გარანტიაა. ამ წესს აზუსტებს და ამკვიდრებს როგორც პირად, ისე ერის ცხოვრებაში, დავით მეფე. „სახელმწიფო მეხვეურისა და ბასილ ხალხის ცხოვრებისა და მოღაწეობის წესი მარადიოეს საფიქრალს წამოადგენს მისთვის. წესზე ფიქრი სწორედ ერის მარადიფული ვალია. ამ ფიქრისაგან [illegible] დახსნა ხალხს არ ეპატიება. ქეეყნის მეზეფეობის ზნეობრივი სიმრთელე არის უმარველეს საკრალური, რაზეც უნდა დიეშენოს ყველა დანარჩენი“ (ჯ. ლეონიძილი), დავითმა „ზნეობრივი სისპეტაკის ძალა რომ ირწმუნა, ეს არ არის შემოხვევითი. მთელი ერი ზნეობრივ დაცემას თვლიდა უმეფოების მიზეზად“ (ჯ. ლეონიძილი). ეს თავისთავად ცხადი და ნათელი აზრი მოალფილია პრაკტიკულ საკგებლობას, თუ „წესისა“ და „ზნეობის“ ცნებაში არ ვგულისხმობთ კონკრეტულ ფორმებს, რომლებიც უმალლესი მიზნის მისაღწევ საშუალებებს წარმოადგენენ.

თითქოს არ ახალია, რომ „ქრისტიანობამ გადაარჩინა ქართველი ერი... რომელსაც სულ ახსოვდა სადაც ეამალეთ ამ მოალენამ, რას გიემეზნა მისი წუალმითა, სად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი“ (ჯ. ლეონიძილი), მაგრამ თუ ქრისტანობაში არ ვგულისხმობთ მთელ კომპლექსს ეკლესიის სწავლებისა, რომელიც მოიცავს დოგმას, საადფელოს, საეკლესიო და საერო, ზნეობრივი და ფიზიკური ცხოვრების წესებს, ვერც წარსულში გავიგებთ ქრისტიანული აღმსარებლობის აზრს და ფუნქციას და ვერც მომავალში მიეკემნ საშუალებას საკითოთ უზარუნველგვყოს. და თუ წარსულს რაიმე აზრი აქვს მომავლისთვის ღვაწლში, „ეს არ შეიძლება წარსულში დარჩეს, თუ ის წარსულში ბარბა, ხალხი, ქეეყანა უნეგეშოდ გადაგვარებისთვის ყოფილა განწირული“ (ჯ. ლეონიძილი). რადგან ერთია ღმერთი და ერთია მისი სიუკარულის კანონნი... რომლის ეეშმარიტებაც გამოცდილია და დამტკიცებული ერთხელ და სამუდამოდ.

სწორედ საღვთო რჯულის მოთხოვნებისამებრ „გაუწყვეტლივ იხვეწებოდა ერის სული, მისი გარეგნული და შინაგანი სახე. ხალხი „სწავლობდა“ ქეეკვს, მოძრაობას, წესიერებას, ზნეობრივი კანონებისადმი ერთგულებას. მზოლოდ გაკვრით ხერხდება აქ ყოველივეზე საუბარი. სხვა სიტეყვა და დანაშნულებისა იგი“ (ჯ. ლეონიძილი). იმ ძალის გასაზომად და შესაცნობად, რომლითაც ერი კი არ ებრძვის — ადგობს, აორთქლეს დროის, მანძილის, სხეულის, თოვლის, ორპირობის,.. ათასობით დაბრკოლებას, საკრძოა იმ სისპეტკის გაზომვა და შეცნობა, თავისი ეეშმარიტი მრწამსის მიმართ რომ ჰქონდა დავითის სამეფო კარს, მართლმადიდებელთა მრწამსის თანაბამად, ზნეობრივი სისპეტაკე ერთი აუცილებელი პირობით აკავშირებს ადამიანს აბსოლუტურად უმაღლესთან, — ეს არის ღვთის მადლი, „ღვთის მადლის გარეშე არაფერი კეთილი გაკეთება არ შეგვიძლია.“ — ამბობს მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონი 113. ღვთის მადლი

კი, მხოლოდ რჯულის დამცველ ეკლესიას გაჩნია. სხვანი შორის, ეს იმ კანონთაგანია, რომელსაც დავით უკადურესი პედანტიზმით ჩხრეკს და ეძიებს, რისი წესლმობოდა ბიბლიოფილ მეფეთა მსგავსად საღმრთო გადმოცემის ეგზარატებას საკმით ადასტურებს.

თავის „უმადლეს, წმინდა დანიშნულებასა და მდგომარეობასთან ადამიანის მისასვლელი გზა ეკლესიაზე გადის. „ეკლესია უნდა ეთოფილიო ამ საკმეში უმთავრესი დასაყრდენი,“ წერს კანსულ ლვინჭილია. ეკლესიის სიწმინდის აღდგენა ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი საქმეა. — „ეს ამოცანა არაფრით არ ჩამორჩებოდა საერთოდ საკარიველოს აღდგენისა და გაერთიანების მოვლენას თავისი მნიშვნელობითა და სისრულით (ჯ. ლვინჭილია), რამდენადაც მისი განუფარიცეელებლობა „დიდი საქმის ჩაფუშვას მოასწავებდა“ (ჯ. ლვინჭილია). დავითის ეგზემპლიკა ეკლესია მთავარი ფიგურაა. არა როგორც ზემოქმედების ინსტიტუმენტი, არამედ როგორც ღვთის მადლის და ძალის რეალურად მატარებელი ორგანიზაცია... რადგან ეკლესიამ მოიცქუოთა ხელდასხმით თვით ქრისტესგან მიღები მღვდლების მადლი — „შეეკრისა“ და „გაბმნის“ ზეადამიანური ძალა და უფფება. ამ ძალას კარგავს ეკლესია ცდომილების სიღრმისდა მიხედვით. ეკლესიის მადლის აღდგენაშია რუის-ურბნისის კრების განუზომელი მნიშვნელობა, რამაც რადიკალურად შეცვალა ერის სულიერი ფონი. „ამ დიდი მოძრაობის გზაზე დევს რუის-ურბნისის კრება, როგორც ერთი უმთავრესი ნიშანსეტი“ (ჯ. ლვინჭილია).

დავით აღმაშენებელი უმცირეს ნიუანსებამდე სწავლობს საკულიონო და საერო კანონებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და, ძველი გადმოცემის თანახმად, რაც შეიძლება ღრმა წარსულიდან მოაქვს საეოველთაო ცხოვრებისა და ბრძოლების ნიმუშები. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კრებაზე საუბარი არ ეოფილა ახალი კანონების გამოგონებაზე, კრება „რჯულის გამოსაძიებლად“ და უძველესი ნიმუშის აღსადგენად იყვნოდა, რაზეც შემთხვევით არ ამბობენ ეუოდადებას „სული აღმაშენებლის“ ავტორი: „არ მგავდა ქართველი ეკლესია ახლანდელ — გრიგორ ხანძთელის ეკლესიას. მის მადალ ზნეობრივ სამსჯავრის. მეფეს და ერს რომ კარნახობდა სულის მოლიონობას და მაკსიმალურ სიწმინდეს“.

ბუნებრივია, ეკლესიის მეტაფიზიკური ფუნქცია დავითმა კარგად იცოდა. ამიტომ დაეძებს რა ეროვნული უბედურების მიზეზებს, როგორც ტახტის მპყრობელი, ეკლესიასთან ურთიერთობას იწუენს იმით, რომ ამოწმებს წმინდა კანონის თანახმად მოქმედებს თუ არა ეკლესია. პასუხობს თუ არა ღვთისმსაზურთა პიროვნული ღირსებები უმადლეს სიწმინდესთან ურთიერთობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს?.. სიწმინდედაკარგული ეკლესია, როგორც ეოქვეთ, ვერ ახორციელებს განწმენდის და „მიტევების ზეგუნებრივ ფუნქციას. ქრისტეანეობა ლის მისალებად ერთადერთი გზა ზეიდან სანდუოლოს მოქმედებაში მოუვანია, რაც მხოლოდ თვით ქრისტეს მიერ კურთხეული კანონებითა და წესებით არის შესაძლებელი (არ ითვლება გამონაკლისები. მათ არა აქვს კანონის ძალა და უფლება). „ეროთი ნაბიჯიც არ შეიმჩნევა აღმაშენებლის მიერ გადადგმული, მისი სახელწმენდოებრივი სტრუქტურით რომ არ იყოს ნაკარნახევი“ (ჯ. ლვინჭილია). რუის-ურბნისის კრების მნიშვნელობაში ჩასაწვდომად დაკაკვერდეთ, რა ფრო და ენერგიათა გადებულია კრების სასურველი გზით წარმართვისთვის. „გაგიხსენოთ რუის-ურბნისის კრება და დაკავკვერდეთ სიტყვებს „დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულეთითა კეთილად გამოძიებეს და ყოველი ცდომა განმართეს.“ ვის ჰკონდა დავითის დარად დაძაბული ცხოვრება, ვის ეჩქარებოდა უფრო მეტად საქმის დროული მომთავრება,“ (ჯ. ლვინჭილია). მაგრამ, იცოდა რა ეკლესიასთან დაკავშირებული ამა თუ იმ დეტალის ფასი, რომელიც მალიან სისტემას ქმნიან, „მეფე მიდგოდა ყოველ ფაქტთან, სინჯავდა, აზუსტებდა...“ (ჯ. ლვინჭილია).

„გაჭარდა საეკლესიო რეფორმა, რამაც ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში ზნეობრივი კანონების სრული გამარჯვება მოიტანა,“ — წერს კანსულ ლვინჭილია, რაც წესების, კანონების, წეს-ჩვეულებათა გამოწულოვანი ძიებით იწყება — რა არის ძველი და სწორი, რა არის უკანონოდ მოყალეული ან შემაცდენელი, რადგან „არაფერი უკანონოდ და უწესოდ შესრულებული არ შეიძლება კანონიერად და სწორ-ლიერად დამტკიცებულზე უმჯობესი იყოს“ (ეოსებკანონიოალის ორგანული კრების კანონი 7). „...იგულისხმება ცხოვრების ყველა დეტალი და ნიუანსი. როგორ ზედებოდა იგი ნაცნობებს თუ უცნობებს გზაზე, როგორი ზრდილობით ესალმებოდა, რა თავმდაბლობას ამეღვებდა, რა გულისხმიერებით ამოუდგებოდა ჭირში...“ (ჯ. ლვინჭილია), როგორ იცმენდა და იბურავდა, როგორ ეამდა და ხვამდა, როგორ ლოცულობდა და მარხულობდა... რადგან ყოველივე ეს ქალაქლისწინებულია ქრისტიანულ რჯულში. ისტორიოსი, რომელიც მხოლოდ მთავარ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, საგანგებოდ აღნიშნავს: „მონასტერნი და საეპისკოპოსნი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოველად შვენიერსა და დაწესებულსა, კეთილწესიერებასა ლო-

ELIBRARY.GEORGIAN.GEORGIA

�oba da barebnebs..“ gamonaclebis “ar arian ai tsqalsabrdisnisa, psixologiurad da morcelobrad damzadebulnarad dakvirvebuli xarcvi ki: „xolo saubdzakvne sindzisisa, xaborebsa, da gaeqidrebsanan da gnebsa rdmertsa sadzulebeli da yovlisani uflebsa, mtsirebnebi iqna cxrebsaTa shina mitxra cxrebistsa mas shina sindzisebsa enasa xaxisebsaxa, xeoneriqa cxova shina mqmeTa shrisa.“

roca sazarTvelsani saoxsena kanonis dacdmarnia da „yovlisani caqcna iqna rwsiobrivad, yovlisani kanon, yovlisani xaqcnilebsa,“ aRldeba mxaxuflsa sinebsaxi kadenirebs uflebsa mcdebrebsaxi xaxmxebsebsa da mxiaxebsaxa. rs mcdebrebsaxi unda zelnaqdi kaqcn, mxuqn arc uflebna, arc uqmxna da arc uqtarebna sindarmesaxi uflebsa, magram xebzdarebebisaxebsa xazadebuli xaxna gamrgebaqvnaxna. roca, rogorac mcrebaqa f. rcxnisaxebna wers: „eriqnedan mcrebaqa gadadebi, gadaaxlebqna, maqmqi mcrebaqvna da xelsaxebna unerebna.“ rometi mcrebaqvebdebanaqa sazarTvelna ki arc gaaqsebi istoriaqvna kanonebna mcrebaqvebuqvebi gzasa, iqna xaxebna da kanonebmcrebaqebi da gadaqgazaqa erna qaxtaxebaqvna xaxaxi, romelebnaqa maqmaxebarna xaxi dadebulqvna dromna, xsrqvna, qvnqvna dazmebaqvna xelsaxna da xromna dabrqvlebna da, xrazebqvna aRlrqvebsaxna ai, rac mcrebaqvebna mqmrqvebna.

„tqvaxebrna gankxilqna daazgzarna is sazarTvelsanebna gankxna. rna gazmqi mcrebaqi sazgaqvna kqnaqvebmebqvna rwsiobrivad aRmqidebna“ (f. qvnxilena). ai „gankxilqna“ rwsiobrebsaxi mqaqebna gazmxebaqa, daxmebaqxna da gankxnagazaqa... rnaxna qxqna qxebsaxi gaqxqna xaxa xazebqvebsazaqa erxnaxulebsaxi sazarTvelsa — rna sazebsaxna xarcxna arsebnaxi qrisxebna aRmxarebsaxna xqebzarebsaxna mazarTvelna — mazarTvelazaqazebna. rwsiobrebsaxi qrebsaxi xqebzarebsaxi xorxrebebsaxna aRebzarebna, rna xqebzarebsaxi xqebzar

ესრეთი განსწავლა ბუნებივე საგრძნობელნი, და შეიჩუენდა შაშინა ღმერთისთა, ხედვა, ენოსვა, სმენა, გემოს ხილვა და შეხება, და ულენჯნაგდ სატანას და გუელის მიმართ" („სული ალმაშენებელი." გვ. 466).

ყოველი დაკერობილი სიმაღლე, ყოველი გადალახული სიღნელე და, საერთოდ, ალმაშენებლობისა და ომების მთელი სისტემა... უპირველეს ყოველისა, მწუემნისა და სამწყსოს სულიერ ორგანიზაციაშია დაძლეული, რადგან „გარეგნულნე დიადი ყოველთანს ის შინაგანი, რაც ზედაპირე არ დევს, ის მუდამ უფრო ძლერია, უფრო მაღალი" (ჯ. ღვინჭილია). ის არის დავითთან დაკავშირებული უჩვეულო ფაქტებისა და მოვლენების სახეთა განმსაზღვრელი ძალა. როგორც მწერალი ამბობს: „ეს უჩვეულობა წარმოსდგება სწორედ უნივერსალური სრულყოფის განცდით." ახეთი სრულყოფის განცდას საეკიალური კანონებით ცხოვრება ქმნის. დავითი ჯერ საკუთარ და შემდგ ხალხის სულში „შენებს და ამკვიდრებს თავისი შინაარსით, ძალით, ფორმით, ფუნქციით განსაზღვრულ და დასრულებულ ერთეულ თუ ქსენრნს... ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო წარმატებები სულიერი დისციპლინის მატერიალიზაციაა: „უშოკლეს დროში დადასტურდა, რომ საფრთხის უჩვეულო მასშტაბების მიუხედავად კანონზომიერი სწორედ შინაგანი ალმაკლების მაგისტრალური გზა იყო" (ჯ. ღვინჭილია).

დავითის სულის ღრმა და ფაკეში შრეების მოძრაობა არსობრივ სიმარტივეამდე რომ დაკეიკვანთო, იგი კარგსა და ცუდს შორის გადაულახავი ზღვარის აღმართვეს, მაგრამ ჯერ ხმაურაშინ არსებული ურიცხვ საგანსა და მოვლენაში კარგისაგან ცუდის გამორჩევა და გამოყოფა ხდება, რის შედეგად ღმერთშემოსილი მეფე უკომპრომისოა ყოველივე ამის მიმართ, რაც რჩულის თანაბმად საკეთის მოთხოვნების ეწინააღმდეგება.

„სული ალმაშენებლის" ავტორს არ უცდია XII საუკუნის მოვლენები მეკანეცობის კანონებით ეხსნა და ემპირიული ინტაგრუმენტით შეეხებოდა ამას, რაც თვით დავითისთვის ხელშეუხებლობისა და სიწმინდის საგან წარმოადგენს და ღვთაებრივი საიდუმლო სფერის ეკუთვნის. მწერალი ქრისტიანული ხასიათის საგნებსა და მოვლენებში ქრისტიანული კატეგორიებით ოპერირებს, რაც საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავიხედოთ ძველი ქართველის სულიერ სამყაროში, რომელიც ქრისტიანული რჩულის კანონებითა და პრინციპებით აზროვნებს და მოქმედებს. „ალმაშენებელი აკეთებს იმას, რასაც ბანეეზა კარნახობს (ჯ. ღვინჭილია). ის, რაც დავითმა თავისი მადლცხებულობის, სიწმინდის, „მარადიული განსაბრძოლობის" და სხვა მრავალი სიკეთეთა შედეგად პიროვნულად იცის და ვრძნობს, ანალიზისთვის მოუხელთებელია, მაგრამ დავითმა რომ ზედმიწევნით იცის და ემოციონალურად ჩრდილ — ცხადია, და ეს მორჩილება, ანუ მთავარი ნიშანი ქეშმარიტად ქართული ფენომენისა. და თუ ქართულ ცნებას კვლავ უნერია თავისი ნამდვილი შინაარსი დაიბრუნოს, ეს იქნება მთავარი ნიშანი სამომავლოდაც.

დავით ალმაშენებლის მიერ გადადებული ყოველი ბრძოლა, ეს იქნება მორალური თუ ფიზიკური, როგორც „სული ალმაშენებლის" ავტორი აღნიშნავს, ხასიერულ გულისსახმობა, მაგრამ ისინი ცალ-ცალკე, ფრაგმენტულად, დავითის მთლიან სისტემაში მათი ადგილისა და მნიშვნელობის გაუთვალისწინებელად, ვერ ქმნიან ობიექტურ წარმოდგენებს თვით დავითის სისტემის შესახებ, რომელშიაც უფუნქციოდ არ არის არცერთი დეტალი. მწერალი მსჯელობს: „ჩემი აზრით, დროული იქნება, თუ წყარობანა და ისტორიულთა შრომებზე დაყრდნობით ალმაშენებლის მიერ წარმოებული ბრძოლების ცოცხალ ერთ დიდ ომად გამოცხადებდა... ამ ოცდაბუთწლიანი ომის ვეფრეინს დიდგორის ერანდიოზული მასშტაბის ბრძოლა წარმოადგენს". ამ ომს თვით დავითმა ქრისტეს რჩულის დასაცავად ბრძოლა უწოდა, იგი ერთგვარ სიმბოლოდაც აღიქმება სულიერ თუ ფიზიკურ სიბრტყეზე თავისი რჩულისა და სიწმინდის მტერთან დავითის ვაზუნუკუტელ ბრძოლებში, სადაც წარმატება, უპირველეს ყოველისა, არა რაოდენობის ან სამხედრო ხელოვნების, არამედ ეშმპრიტების მიმართ შინაგანი სიწმინდის, შინაგანი წესრიგისა და მზადყოფნის მხარეზე. „ხალვინ ომი, რომელიც ორ სამყაროს შორის უნდა გამართულიყო განსაკუთრებულ შინაგან მზადყოფნას ითხოვდა. ცხადია, უპირველეს ყოველისა, საკარიელოვნის შინაგანი მზადყოფნა გვანეტრებს. გვანეტერესებს ერის სულიერი და ფიზიკური ძალების მდგომარეობა. რა სახით იდგა იგი ფმიმე გამოცდის წინაშე. რამ შეეშალა ეს შინაგანი სახე, რამ შეანივთა ის განსაკუთრებული მდგომარეობა", (ჯ. ღვინჭილია). რომელშაც ფაქტიურად დაარღვია მოვლენების ბუნებრივი გზა.

ერის სულიერი წესრიგის ქრისტიანული გაგება ფიზიკურ სამყაროზე ძლიერი ზემოქმედების საშუალებასაც გულისხმობს: „საგანგებო განალაზება გვმართებს იმ დეტალებისა, რომლებიც სულ სხვაგვარად ფორმირებულ ქართველი ხალხის ბრძოლისა და შრომის უნარზე მეტყველებენ" (ჯ. ღვინჭილია). კვლავ გავიხსენოთ წმინდა კრების კანონი, რომლის აზრიც ერთმანეთზეველოვანია: „ღვთის მადლის გარეშე არაფერი კეთილის გაკეთება არ შეგვიძლია." „პოლიტიკური მეთოდებითა და მეფური სიმტკიცით ეამოეკმ გაერთიანებული ქეკეკნა ახსოვდა ქართველობას, მაგრამ ორგანული დაახლოება და ერთასულ და ერთხორც ქეკეკ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რიგი ამოცანა გახდეთ“ (ᲘᲐ. ᲥᲣᲠᲥᲘᲠᲘᲐ). — დიდი და როული დასაბული მიზანი, მაგრამ ღვთის მადლი მარცხს გამორიცხავს, ოღონდ კი ადგილნელ და შენარჩუნებულ იქნას ეგი. რასაც ეარეკეთო ᲨᲠᲘᲐᲜᲘᲡ, სულიერი. ᲒᲝᲜᲘᲡ მდგომარეობის აღდგენა და შენარჩუნება სჭირდება. „საეკლესიო რეფორმა თავისი განფენილი სისტემის წყალობით თავისთავად ნიშნავდა ყოველი კეთილის და მბარის სულიერი სადაგებების ზელნა ადებას“ (ᲘᲐ. ᲥᲣᲠᲥᲘᲠᲘᲐ). ᲗᲝᲚᲘᲡ ეს სადაგებები ამიტომ უნდა. სჭერიდან ზელნა, რათა ეშარია ეგი სწორედ ღვთის ნებისა და გეგმის მიხედვით. დაკით ადამშენებელი უფლის სახლის ᲒᲐᲜᲨᲘᲗ ᲘᲔᲠᲘᲗᲘᲐᲜᲘᲡ საკართველოს, რადგან აკ არის ღვთის ძალისა და გონის მატარებელი ანგელოზი, რომელიც ᲔᲠᲘᲡ ᲔᲜᲘᲗᲕᲘᲡ თვით უზენაესის მიერ. ამგვარად, დავით ადამშენებელი არაკეკის ავადმყოფობის არა სიმპატიაზს, არამედ ამ ავადმყოფობის ფესვს, მაზეზს და ᲨᲔᲠᲘᲡᲐᲜᲘᲡ თუ ᲒᲝᲜᲘᲐᲠᲘᲡ მტერსაც თავის არსობრივ ცოდვასა თუ შეცდომაში უწონის ხანკალს.

ᲪᲐᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ არის დაკავშირებული განაალების ნამდვილი მნიშვნელობისაკენ: „დიდად განაალებულნი რომ იყვნენ, ამიტომ ამაალდნენ დავით ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, მაგრამ მესამე... ამიტომ მოიწვია მაგრამ მეოთხეთ გიორგი მოაწვინდელი და ამიტომ აშენებდა გიორგი ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ სეფეცხოველს“ (ᲘᲐ. ᲥᲣᲠᲥᲘᲠᲘᲐ). არსობრივად, ამ თვალსაზრისით „...ფარნავაზ შეფე, ვიტაანა გორგასალი და დავით ადამშენებელი საოცრად გვაანან ერთიმანეთს“ (ᲘᲐ. ᲥᲣᲠᲥᲘᲠᲘᲐ), რაც დროის მიმართ უფრაე და მარად გასაოცარსანრნელად ორიენტირებუნ მეტკეველებს.

„სანამ საკართველო ᲒᲠᲔᲛᲚᲘᲡᲐ და ᲪᲘᲗᲮᲘᲡ ᲔᲠᲘᲡ მისდევედ დავით ადამშენებელმა რომ დაუდო ნიშვნაკ, მის ძლევამოსილებას არაფერი ეშეკრებოდა. შეეძლებელი იყო რაიმე დამუკრებოდა ასეთი შინაგანი სრულფასოვნების მატარებელ სახელმწიფოს, ასეთი კანონებით განმტკიცებულ ხალხს სელს.“ (ᲘᲐ. ᲥᲣᲠᲥᲘᲠᲘᲐ). — ასეთია ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲜᲣᲚᲘ ᲠᲔᲠᲔᲚᲘᲐ, რომელსაც დავით ადამშენებელი ეკრნდნობოდა...

დავით ადამშენებლის ეკოკეის ანალიზში მწერალს არ გამორჩენია ერთი უმნიშვნელოვანესი გარეშეობა: „არ უნდა წარმოვიდგინოთ ადეალური, უნაკლო მდგომარეობა, სწორედ დავით მეფე არ უშვებდა ამ ფიქრს. მარადიული სიფხიზლეც ამიტომ მოიხმო.“ „არ უნდა წარმოვიდგინოთ ადეალური, უნაკლო მდგომარეობა,“ რომ ამ მოვლენებისადმი ობიექტურობის გრძნობა არ დაკკარგოთ და საოცარი სიმაალეკნის მაუხდადვედ. დავითის ეკოკეა არ წარმოვიდგინოთ ᲛᲔᲠᲔᲜᲗᲨᲘᲡᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲚᲔᲑᲚᲘᲡᲗᲐᲜ მაკსიმუმად, „სწორედ დავით მეფე არ უშვებდა ამ ფიქრს.“ „ᲐᲜᲐᲖᲔ მეტკეველებს თუნდაც დავითის მონანიების — გაანშენდის წერილობით შემეზნის ფაკტი. ცდება, ვინც ᲒᲐᲜᲐᲐᲚᲔᲑᲘᲡ დავით ადამშენებელს ცოდვებს ᲐᲠᲐᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘ... მონანიება ᲨᲔᲠᲘᲡᲘᲠᲘᲐᲜ ცნება და ᲡᲘᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲜᲐᲒᲠᲘᲠᲝᲜᲐ... — ერთის მხრივ, ᲛᲝᲚᲔᲠᲘᲡ მხრივ, განვლილი ენით ᲐᲣᲬᲘᲠᲔᲚᲘᲔ და ᲒᲝᲜᲘᲡᲐᲜᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲔᲓᲛᲝᲚᲘᲔ სირთულის გზა. შეძენილია ᲨᲠᲐᲒᲐᲜᲐᲚᲘᲡᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ და დავით ადამშენებელი „გალოანაში სინანულისანთ“ ᲬᲐᲠᲜᲔᲑᲐ თავისი ᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ, როგორც ᲛᲝᲫᲔᲪᲘᲐᲠᲘ მოძღვარი და საუკუნეთა ბოლომდის უზუსტესი შინაარსის ᲨᲠᲘᲐᲠᲘᲡᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ მისცა.

გონიერების პირობებში ისტორია გაკეთილია და მოშველისთვის სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალებაა. უსარეველი დასკვნა, რაც დავითის ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲠᲔᲜᲐᲓ უნდა გამოვტანოთ, სათაურშივე გაგვიმეღვანა ᲛᲬᲘᲠᲔᲚᲘᲡ, რომ „დავითის ᲦᲐᲜᲬᲘᲚᲘᲡ მთელი სიმძიმის ცენტრი სულზე გადაიტანა. სულიერი იყო საკართველის ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ და ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲔᲠᲘᲗᲘᲡᲐᲚᲔᲗᲘᲡ“ მაღალ დანშულებას ასრულებდა. და თუ ᲪᲘᲛᲨᲘᲠᲐᲢᲘᲡᲐ ᲩᲐᲜᲔᲚ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ თქმული: „ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲒᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ და თუ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲚᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲘᲠᲝᲕᲔᲚᲘᲐ და ᲣᲛᲫᲘᲛᲝᲑᲘᲡ სრული რეალიზეცია, თუ ალსდგება ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲔᲚᲗᲐ სულიერი აზრი, ᲩᲕᲔᲜᲘ სულის, გულისა და გონების ᲬᲐᲠᲛᲘᲗᲕᲘᲚᲘ ძალა კაკლავე ის სული იქნება, რომელიც ადაშენებს. ᲕᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ სიტყვებით — „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲔᲪᲘᲠᲔᲑᲐ“ არსობრივად შეკმნილია: „ᲣᲠᲛᲔᲓᲐᲠᲘ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲒᲕᲜᲐᲗᲔᲑᲓᲐ ᲤᲜᲐᲕᲐᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲮᲚᲔᲠᲔᲚᲘᲔ ᲨᲣᲥ. იქით მიგვიხედნს, სადაც ᲦᲠᲔᲚᲘ სული სპეტაკი და ᲒᲠᲫᲝᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲔᲑი ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲑᲘ. ამ წესით შედეგად იგი ᲪᲔᲚᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ამ წესით ᲝᲠᲘᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲘᲗ, ამ წესით ᲪᲮᲝᲠᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲙᲠᲔᲚᲘᲗ, ამ წესით ᲜᲗᲘᲗᲐ ᲛᲐᲜᲗᲠᲐᲜᲐᲗ, ამ წესით მაღლდებოდა სამეფო კარზე, არა გვაკეს უფლება მთელი სისრულით არ გაწეიცადოთ მისი ᲑᲐᲮᲘ, რადგან სხვაგვარად ᲕᲔᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲛ ᲓᲐᲙᲠᲐᲜᲔᲚᲘ სიმაღლეს შეეიცნობთ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ და ᲕᲔᲠᲘᲒ ᲓᲔᲪᲘᲗᲕᲔᲚᲘ საკართველოს ᲩᲐᲕᲣᲧᲠᲗ ᲑᲐᲚᲐᲕᲣᲠᲘ“

თავისი ღვთაებრივი მოვალეობის მიმართ გამოეცხადება ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ და ᲐᲮᲚᲘ ᲐᲫᲚᲘᲗᲘ, ადამიანის როგორც სიკეთეზეს, ისე სიკეთიდ.. რაშიც გამართლდება და ᲐᲜᲐᲬᲔᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲘᲗᲘᲡ და ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ მსგავსი ᲗᲕᲘᲗᲛᲫᲚᲝᲑᲐ. ᲕᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ წერს: „სიკეთილთან მისი შეხვედრა ერთი უმთავრესი საკანია ფიქრისთვის. რაოდენ ᲫᲚᲘᲐᲠᲘ კარ უნდა იყოს სიკეთილ-სიცოცხლის ᲬᲚᲘᲠᲑᲚᲘᲗ გადაბეჭეტა, ამ მოვლენაში მაინც საკარაუდებელია შეემჩნეველი ᲐᲠᲘᲠᲜᲔᲑᲐ და სიმსუბუქე და მისი გაწყვეა მზოლოდ მათ ხელეწიფეზათ, ვინც საამქვეყნო ენერგია სრულად გასცა და ᲐᲮᲚᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲬᲣᲠᲐ თავისი დანიშნულება.“

გრიგოლ რობაქიძე

ზეინაბ

ადამიანის ტრაგედიას სხვათა შორის ისიც წარმოადგენს, რომ მსოფლიო არსთა შორის არ არსებობს ერთნაირი გაგება; ისინი მრავალსაფეხურად იყოფებიან და თვითეული მათგანი მხოლოდ შემდგომ ნაწილად შედის ერთს დიადს სხეულში. კიბე კი, გრძელი და რთული, სულ მაღლდება და მაღლდება, და იქ, უსაზღვრო სივრცეში, უერთდება მსოფლიოსა. ქვემდგომი საფეხური ვერ სწვდება ზემდგომ საფეხურს, თუმცა ზემდგომი საფეხური ეყრდნობა ქვემდგომსა. და იმართება ერთგვარი გაუგებრობა: დაბალ საფეხურზე მდგომი ვერ იგებს მაღალ საფეხურზე მყოფს, თუმცა მაღალ საფეხურიანი სწვდება დაბალ საფეხურიანსა: ადამიანი უფრო იგებს ცხოველსა, ვიდრე პირუტყვი მეტყველსა. ეს მოვლენა ჰქმნის ტრაგიულს გაუგებრობას. კაცობრიობას მოევლინა განმათავისუფლებელი მესსია, კაცობრობამ ვერ გაიგო და ჯვარს აცვა იგი; მაგრამ მესსიამ გაიგო კაცობრიობა, გაიგო მისი გაუგებრობაც, და ჯვარსცმულმა მისი მიტევება სთხოვა უფალსა. ეს არის მსოფლიო სიმბოლო, რომელიც ობოლ ვარსკვლავად ევლინება კაცობრიობის წყვდიადით მოცულს ისტორიასა...

და ეს გაუგებრობაა სწორეთ ზეინაბის გასამართლება. ზეინაბ ღალატობს ქმრად მიჩნეულსა და საქართველოს დამპყრობელს სოლეიმან-ხანს, ღალატობს ოცი წლის განმავლობაში თავის დამცირებით, ცბიერობით, ტყუილით, სიცრუვით, სხეულის შეურაცხყოფით, ღალატობს მისთვის, რომ იხსნას თავისი დამონებული ერი. მან ამ ღალატით თავისი კერძო პიროვნება მსხვერპლად მიიტანა სამშობლოს საკურთხეველზე, იგი ამ მსხვერპლით უკვე გამართლებულია; მაგრამ მრავალნი, ყოველდღიური თვალსაზრისით აღჭურვილნი, ვერა ხედვენ ზეინაბის ზეადამიანურს მსხვერპლს და საშინელ დანაშაულად უთვლიან მას ამა ღალატსა. და სწორედ ეს მაძიულებს ავხადო საიდუმლოების ფარდა ზეინაბის ტანჯვით აღვსილს დიადს სულსა...

დედოფალი ზეინაბ თვითონ ტანჯვაა, მისი ბორკეული ყოფა. ძვირად მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში ისეთი მაღალი ტრაგიული გმირი, როგორიც არის ზეინაბ. მშვენიერია სოფოკლის ანტიგონა: მან გადალახა ადამიანის მიერ შექმნილი კანონი და აღასრულა ღვთაებრივი მოვალეობა: უარჰყო ყველაფერი, რომ საფლავისთვის მიებარებია ველად მიგდებული ცხედარი მოღალატე მაგრამ საყვარელი ძმისა; მან არად ჩააგდო პირადი სიტკბობა გემონთან სიყვარულისა და სასჯელად ამისა საშინელს გამოქვაბულში დალია თავისი მშვენიერი სული. მშვენიერია იბსენის — ნორაც: მან უარჰყო დამმონებე-

ლი ოჯახი და იხსნა თავისი ქალური პიროვნება; მან უკე აგდო უზრუნველყოფილი ცხოვრება და გაუდგა ეკლით მოცული ახალს გზას. მშვენიერია მრავალი სხვა გმირიც, მაგრამ ყველაზე უფრო დიადი თავის ტანჯვით დედოფალი ზენაბია. ყოველი სხვა გმირის ტანჯვა უფრო ინდივიდუალურია, ვიდრე მსოფლიური; ზენაბის ტანჯვა კი ტანჯვაა მთელის ერის, მთელის სამშობლოს, საუკუნოებით ტანჯულისა და წამებულის.

რომ უფრო ნათელ-ვყოთ მისი საშინელი ტანჯვა, შევადაროთ მას ღრმა და ნარნარი ტრაგიზმი შექსპირის ჰამლეტისა. ვინ არის ჰამლეტ? დანიის პრინცი, რომელსაც ისეთი სამშის ასრულებას აკალებენ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეტად დიადიცაა და მეტად მდაბალიც: ეს არის სისხლის აღება მამა მისის მკვლელისა, ჰამლეტის ბიძისა. ჰამლეტ ოცნების მოტრფიალეა, და მას სამოქმედოთ უხმობენ; იგი პოეტია ბუნებით, და მას საბრძოლველათ იწვევენ. მან სრულებით არ იცის, რა ჰქნას და მისი შეშლილობა სწორედ მასში მდგომარეს, რომ იგი იგონებს შეშლილობას. ბრუტი იხვევდა გარს შეშლილობას, რომ მასში დაეფარა ხმალი თავის გაზრახვისა, სანჯალი თავის ნებისა; ჰამლეტის შეშლილობა კი მხოლოდ მასკაა, რომლის ქვეშ მხოლოდ ნების სისუსტე იმალება. ხუმრობასა და გრიმასებში იგი გადაწყვეტის გადადებას ხედავს, — და განაგრძობს თამაშს მოქმედებასთან, როგორც მხატვარი თეორიასთან. იგი ხდება ჯაშუში საკუთარის ქცევისა, და აკვირდება რა თავის სიტყვებს, იმცნევს, რომ ეს მხოლოდ „სიტყვებია, სიტყვები, სიტყვები...“ იმის მაგიერ, რომ სინჯოს გმირად გახდეს თავის საკუთარი ისტორიისა, იგი სცდილობს იყვეს მაყურებელი თავის საკუთარი ტრაგედიისა. აი ტრაგიზმი ჰამლეტისა, უაღლის მართალი დახასიათებით! ტრაგიზმი იგი მეტად ღრმაა და ძალზე ნარ-ნარი, მაგრამ იგი ინდივიდუალურის სულის საზღვრებს მაინც ვერ სცილდება. ზენაბის ტანჯვა სხვაგვარია: იგი სცილდება ჰამლეტულს საზღვრებს და იტევს ერეკლეს ვაებასა!

ვინ არის ზენაბ? სოლომან-ხანმა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო პატარა საქართველო, მოჰკლა მეფე თეიმურაზ და მის ტახტზე თვითონ ავიდა მფლობელად. მეფის ცოლი ზენაბი კი „მოღალატე თავადიშვილებმა მორთეს დედოფლად, მისცეს ხელში ოქროს სინი და ზედ დასდვეს გასაღები უკვე აღებული ციხისა; ჩაჰკიდეს ხელი, გაიყვანეს გარეთ და იქ დააჩოქეს მტვერში“. ხალხში ამ დროს სხვა რამე ხდებოდა... როცა გამხეცებულნი სპარსნი ზედ ასდებოდნენ ქართველთ სიმაგრეს, ანანია გლახა ამ დროს მტკვრის პირას ფრიალ-კლდეზე მიფორთხავდა: ხელში ბავშვი ეჭირა და გაჯირვებით აღწევდა დედოფალის სარკმელს... სოლომან დაე ძებდა მოსაკლავად ტახტის მემკვიდრეს, — და აი, ანანია, ეს ღვიძლი შვილი ხალხისა, საკუთარს შვილს აძლევს ზენაბს, სოლომანის ცხენის ფეხთ ქვეშ გასაყრელად, ხოლო მემკვიდრე ტახტისა გიორგი, ეხლა ერეკლედ გადარქმეული მას აღსაზრდელად ანანურში მიაყავს. აი საშინელი მამულიშვილური მსხვერპლი! აქ მარხია საიდუმლოება ზენაბის ოცი წლის ტანჯვისა. ამბობენ, სასწაული არ ხდებაო, მაგრამ სულმა ბევრი რამ იცის სასწაულის მგზავსი. ხალხმა ანანიას ბავშვის სახით მსხვერპლი მიუტანა დედოფალსა, და დედოფლის სულს, ღრმასა და ძლიერს, ნათელსა და ნორჩს, რაღაც ახალი რამ, მთელი ბუნების გარდამქმნელი, უნდა ეგრძნო. და იგრძნო კიდეც: „როგორც სვეტი ნათლისა, ისე მინათებდა ეს ამბავი ჩემს სიცოცხლეში, — ამბობს დედოფალი; მან მასწავლა, როგორ უნდა იცხოვროს ქვეყნად კაცმა ადამიანურად“. მსხვერპლი და მსხვერპლის შეწირვა, — აი, რა ისწავლა დედოფალმა ადამიანის სიცოცხლის გარდასაქმნელად. მას ღრმა მსხვერპლი მიართვა, და ეხლა დედოფალი თვითონ სწირავს თავის თავს და

სრულიად გარდაიქმნის. ხოლო თავის გაწირვა მას ამ საზიზღარსა და საშინელს სინამდვილეში ღალატით უხდება.

რაშია მისი ღალატი? სოლეიმანის ნდობის მოსაპოვებლად თვითონაც იმისთანა გახდა. იგიც ჩაგვრასა და სისხლის ღვრას თხოულობდა. მისი ახალი სახელი უფრო საშინელი შეიქმნა მის სამშობლოში, ვიდრე სახელი მისი ჯალათისა. ულამაზო არ იყო და მისი სილამაზე მტარვალმა თავის გულისთქმათა სათარეშოდ გაიხადა. სახელი, პატივი, სიყვარული, მეფური დიდება, — ყოველივე ტალახში ამოსვარა არაბისტანის გადმოვარდნილის საამებლად. მიეჩვია, ისწავლა ტყუილის თქმა, და სტყუოდა პირი-სახით, ხმით, გულისთქმით, მთელი არსებით... გადოიდა დრო და იღუპებოდნენ ნათესავნი, მეგობარნი, ერთგული ყმანი და მსახურნი. გაიქვავა გული, ამოიგნოჭა გულიდგან გრძნობა ვისიმე შებრალებისა. შებრალებაც, სიყვარულიც და სინდისის ქენჯნაც, — ყოველივე დაითრგუნა, ჩაკვდა მის გულში. აღარავინ უყვარდა უკვე: აღარც ნათესავი, აღარც მეგობარი... აღარც ღვიძლი შვილი... ისიც კი ამოირეცხა გულიდგან. აი საშინელი უარისყოფა.

იგი უარისყოფა ზოგიერთს შეუძლებლად ეჩვენება, მაგრამ თუ ზეინაბის ტანჯვით განდიდებულ სულს ჩაუკვირდით, დავინახავთ, რომ მას არა თუ შეეძლო უარისყოფა, არამედ კიდეც უარ უნდა ეყო ყველაფერი. ვისაც ჩემი გამოყოლა სურს, მან უნდა დაუტეგოს ყველაფერი, — წარმოსთქვა დიდებულმა ნაზარეველმა; ვისაც უნდა რაიმე იდეა განახორციელოს, მან ამ იდეასათვის ყველაფერი უნდა უარჰყოს. და ზეინაბისათვის ამგვარ იდეად მისი ტანჯული სამშობლო წამოიჭრა წინ: და უარჰყო მან ყველაფერი, რომ მხოლოდ ერს კუთვნებოდა. ამოირეცხა გულიდგან ყოვლის სიყვარული, გახდა შეუბრალებელი. რისთვის? მისთვის, რომ მას უყვარდა მხოლოდ ერი, მისი ტანჯული და წამებული, ღარიბი და ღატაკი ერი. ახლობელისათვის გული ქვავა, რომ შორეული უფრო ყვარებოდა. აქ მან ნიცშეს იდეა შორეულის ყვარულისა განახორციელა. ახლობელი მისთვის მონურია, ვით ოთარბეგი, — და სასტიკადაც ეპყრობა იგი მას: აღვიძებს მას მკვეთრი თვალ-გაყრით თავისუფლებისათვის; შორეული მისთვის თავისუფალია, ვით უძლეველი სული თითქმის აჩრდილად ქცეულის ისახარისა, — და ლმობიერი სიყვარულით შესცქერის მას. და აი, ამ დღეს, იდეას სამშობლოს ხსნისას და განთავისუფლებისას, შესწირა მან მსხვერპლად სახელი, პატიოსნება დედოფლისა და დედაკაცისა, ალალმართლობა გულისა, ხსნა მისი უკვდავი სულისა.

აი, საშინელი სისხლით დაწერილი ფურცელი შემზარავი ტრაგედიისა: მას განმარტება არ სჭირდება: იგი თვითონ ცოცხლად გვისახავს ოცი წლის ტანჯვა-წამებასა. შეიძლება იკითხოს ვინმემ ოთარბეგისაგან: ნუ თუ არ შეეძლო დედოფალს შური ეძია და გაეგმირა გული მტარვალისა? დიახ, რომ შეეძლო, მაგრამ, თვითონ დედოფალის სიტყვის არ იყოს, ვის რას მოუტანდა მისი სიკვდილი! განა, ცოტა ჰყავდა შაჰს სოლეიმანისთანა ქმნილებანი, კიდევ უფრო მოსისხარნი, კიდევ უფრო გაუმაძღარნი სისხლის მსმელნი? არა, შურისძიების მოლოდინში არ იყო იგი მხოლოთ. იგი ელოდა იმ დღეს, როცა რისხვა ერისა ზღვასავით დაგუბდებოდა, როცა იგი რისხვა მოსქდებოდა მთის ადიდებულ წყალივით, როცა თვითეული მონა იგრძნობდა, რომ იგიც ადამიანია და თავისუფალი უნდა იყოს; იგრძნობდა და აღსდგებოდა მტარვალთა დასამხობად! და მისი შვილი წინ წაუძღვებოდა სილაღის მოწყურებულ მეომართა! მაშინ მისი შვილის ფეხთა ქვეშ, მის განსაკად მიიტანდა იგი თვის ცოდოსა და თვის შერცხვენასა...

ასეთია ტანჯვა ზეინაბისა, ასეთია მისი მსხვერპლი: საშინელი და განმწმენდელი... და ჩვენს წინაშე პირველ ყოვლისა ასეთი კითხვა იბადება: შეუძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა ადამიანს თავისი პიროვნება მსხვერპლად შესწიროს სამშობლოს განთავისუფლებას? არის თუ არა სამშობლო ისეთი უზენაესი ღირებულება, რომლის სახსნელად თუ საჭიროა პიროვნებაც უნდა დაჰკარგოს გმირმა ადამიანმა? დიახ, დიადია სამშობლო და ღრმაა მისი გრძნობა; წმინდაა მისი საკურთხეველი და განმწმედელი მასზე შეწირული მსხვერპლი.

ყოველი ჩვენთაგანი მხოლოდ ორგანიული ნაწილია სამშობლოს სხეულისა, რომლის გარეშე ჩვენ სიცოცხლე არ შეგვიძლია. ჩვენ ვიტანჯვით, — იგი ტანჯვა მშობლიურ სიტყვაში უნდა გამოვხსნათ, რომ გამოთქმაში ვაქარავოთ მისი სიმძაფრე. ჩვენ წყლული გვაქვს, — მას მშობელის საყვარელი ხელი უნდა მიეკაროს, თორემ მისგან სისხლი ითქრიალებს. ჩვენ სისხლი მოგვხეთქეს წყლულისაგან, — იგი სისხლი მშობელის ცრემლმა უნდა ასველოს, რომ მისი დენა უტკივრად ხდებოდეს. მშობლის ძუძუ უფრო ტკბილია, ვიდრე ნექტარი უკვდავებისა; დედის ნანა უფრო გულჩამწვდომია, ვიდრე სიმფონია ბეტჰოვენისა. და განა მარტო ეს, სულიერი, გვიყვარს სამშობლოში?! ჩვენ გვიყვარს თვითონ მისი სხეულიც, მშობელი მიწა. ჩვენ გვიტაცებს თავისუფლად გაშლილი ველი, რომლის სივრცეს ღრმა ფიქრებს გავაყოლებთ ხოლმე. ჩვენ შევფრფინავთ ამაყად ამართულს კლდეს, რომლის ნაპრალიდან გაისმის არწივის ყივილი. ჩვენ გვიყვარს ყრუ ღელენი და მაუდრო ჭალები, რომელთა დუმილს მხოლოდ-და მწყემსის სალამური არღვევს. ჩვენ ვუსმენთ მოით გადმოხეთქილს ბინულს და მის ვერცხლისფერ ჩქერში ენატრობთ გრძნობათა განბანას... ჩვენ ვეტრფით მოღიან მოცულს კორდს დასასვენებლად, და მწვანე მდელო გვიშლის ვარდსა და ყვავილს, მომხიბლავს და მათრობელსა... ასეთია სამშობლოს სიყვარული: ძლიერი, სტიქიური. ძნელი არის მის გარე-ყოფნა: გული ნაოვლით ივსება და სული კაეშნითა. რა აღტაცებას იგრძნობს გარდახვეწილი, თუ მას შორით უეცრად მშობელი მოსავა მოესმა: იგი უთუოდ ... ლსაც დაღვრის აღტაცებითა. ძნელი არის სამშობლოს დაკარგვა. მთელი ერის დაობლება. ვერავინ აღწერს იმ ნაღვლითა და ბოღმით სავსე ღიღინს ებრაელისას, რომელიც მზის ჩასვლისას და ბუნების მიუუჯების ჟამს გაისმის განმარტოებით: იგი ნაღვლობს აღთქმული ქვეყნისათვის, იმა ღიღინში საუკუნობა ჩამარხული, და რა ვერ ნახულობს, ჰქრება ნელინელ უდაბნოში დღისით ანთებული ალივითა. ვერა რა სიმი ჩაიქსოვს სამშობლოს ტანჯვის ნარნარ გრძნობას; ვერა რომელი მელოდია გამოსთქვამს მისი სულის ობლობას. შეიძლება თარმა გვამცნოს იგი, მაგრამ ეს ხომ მუსიკა არაა: ეს ყელს მომდგარი ქვითინია, დაკარგული ახნი, რომელიც დედას დაეძებს და ვერ მოუნახავს...

აი, რა არის სამშობლო და რას შესწირა ზეინაბმა მთელი თავისი არსება. იგი არ არის უბრალო პიროვნება, სული მისი აღარ არის ინდივიდუალური: იგი ქცეულა სამშობლოს პიროვნებად, მასში სახიერებულა საქართველოს სული. ზეინაბ აღარ არის ზეინაბ: იგი მხოლოდ სიმბოლოა ობოლი სულის; მაგრამ სიმბოლო უფრო ნამდვილი და ხორცსხმული, ვიდრე პიროვნება კერძო ადამიანისა. მაგრამ, განა შესაძლებელია ნამდვილი არსის სიმბოლოდ ყოფად-ქცევა? იკითხავს ვინმე და სრულად სამართლიანად. შესაძლებელია, მაგრამ საძნელო... სამშობლო სული ერთია და შეიძლება რომელიმე მისი მხარე ერთს პიროვნებაშიაც განხორციელდეს. ეს ხორციელება იქნება სიმბოლო განხორციელებულისა. ზღაპარი გამოსთქვამს ხალხის ნაზრახს, მითი სახავს ხალხის ფიქრს, ლეგენდა ასხამს ხალხს ნააზრს. და სწორედ ამნაირად შეიძლება რომელიმე მომადლებულმა შვილმა მშობელი ერის სახის რომელიმე მხარე განახორციელოს. შოთა რუსთაველმა გამოსახა ქართველობის შემოქმედებითი ძალა და ჩამოასხა მისი ნიჭი საოცარის მეტყველებისა. ზეინაბიც

ასეთი პიროვნებაა: ვინ გამოსახა ქართველის სული, მონობაში ტანჯული და ტანჯვაში მებრძოლი. და ღირს-აღსანიშნავი ფაქტიც: რამდენათ უფრო ახორციელებს რომელიმე შვილი ერის კოლექტივიურ სახეს, იმდენად იგი საკუთარ სახეს სცილდება, ჰკარგავს მას, ან უკეთ რომ ვთქვათ, ისხამს ახალს სახეს, იდეამალს, სიმბოლიურს. შოთა ჩვენთვის ყოველდღიური პიროვნება არაა: იგი იდეამალი სახეა ქართველთა პოტენციალური ძალისა. იგი ლანდია, აჩრდილი; მაგრამ ყოფის ღრმა კუნჭულში ნაგრძნობი, იგი ლანდი, ხორცსხმული არსია, იგი აჩრდილი მკვეთრი ინდივიდუალობა. ასეთია ზეინაბიც: იგი აღარაა ყოველდღიური კერძო პიროვნება: იგი, ასე ვსთქვათ, მითია და ლეგენდა, მხიბლავი ზღაპარი, წარმტაცი პოემა... და ეს პოემა და ლეგენდა უხილავი სახეა საქართველოს მონობაში ტანჯული სულისა. ქვეყანაზე არც კი არსებობს ისეთი ტანჯული ერი, როგორიც არის ქართველი ერი. ისტორია მისი ერთი დიდი ტრაგედიაა, საშინელი და შემზარავი მერტიროლოგია. სიცოცხლე და სიკვდილი, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა, თავისუფლება და დამონება, მორჩილება და განთავისუფლება, — აი სიხსლით გასმული ხაზი იმა ტრაგედიისა. ამას ქვითინებს ქართლის დედა, ამას მოსთქვამს ქართველი მგოსანი, ეს გაისმის მეზრის სევდიან ღიღინში... და ყველა ეს ერთი ჰანგით არის ამუსიკებული, გულჩამწყდომი ჰანგით, რომელიც თითქო წყვდიად ბნელეთში დაკარგული და აქვითინებული დაეძებს მშობელს მუსიკას. და, აჰა, იმა ჰანგმა მოსახა იგი დედა, ზეინაბ, მწუხარე და საშინელი სახე დამონებული ერისა...

ზეინაბ ემორჩილება სოლეიმანს არა მისთვის, რომ დაემონოს, არამედ მისთვის, რომ სამშობლო დაიხსნას. იგი თავს ამცირებს: სული რომ განადიდოს... იგი ფეხს ეგება მტარვალს, რომ ერი აღამაღლოს... მან მისცა მას ყოველი: დიდება და პატივი, სხეული და ვნება, ხორცი და ტკბობა. მაგრამ არ მიუცია მას მტარვალისათვის თავისი სული, ტანჯული და წამებული სული, რომელიც სულ სხვას ლამობდა, სხვას ოცნებობდა... ზეინაბმა უარყო თვისი სხეული-პიროვნება ხოლო სული-პიროვნება ერის სახსნელად აღზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აქ იმართება საშინელი ტრაგიული ბრძოლა: მსხვერპლი და მსხვერპლის შეწირვა... ვანა, შეიძლება „სხეული-პიროვნების“ გაწირვა, თუ გინდ უმაღლესი იდეალისათვის? იკითხავს წარმართი და მისი მზგავსი თანამედროვე ესთეტი-ინდივიდუალისტი. ყველაფერი სხეულია, ყოველი ვნებით სცოცხლობს. არ არსებობს უკვდავება, მაგრამ არც სიკვდილი არსებობს. ერთის სიკვდილი მეორის სიცოცხლეა. მეორის სიცოცხლე სხვისი სიკვდილი; მაგრამ ყველა ერთად ერთ-სხეულნი არიან, მსოფლიო სიცოცხლეს ზიარებულნი... და აი, ადამიანის სხეული მისთვის წმიდათა წმიდა უნდა იყოს... ადამიანი სხეულით ასხამს თავის პიროვნებას, — და ის, ვინც ჰყიდის თავის სხეულს, იგი ჰყიდის პიროვნებას; ვინც ამცირებს სხეულ-ყოფას, იგი ამცირებს თავის არსებას. და მართლაც: ძნელია სხეულის შეურაცხყოფა, საშინელია მისი ძალდატანება, შემზარავია მისი გაყიდვა. ამას მოწმობს კაცობრიობის გრძნობა, ამხედრებული ამგვარი ქცევის წინააღმდეგ... ყველა ეს მართალია, — და სწორეთ აქ ღრმავდება ადამიანის ტრაგიზმი...

ქვეყნიერება ისეა მოწყობილი, რომ ყოველი მაღალი იდეა თავის განსახორციელებლად მსხვერპლსა თხოულობს. ჩვენ გვსურს გამოვსთქვათ შვენიერი ჰანგი?! ხე უნდა მოვსჭრათ, ცხოველი უნდა მოვკლათ, ხისაგან ჭიანური გამოვთალოთ, წელი მას სიმად გავაკრად, — და მხოლოდ შემდგომ შეგვიძლია გავაგზმაუროთ იგი ჰანგი. ესევე ხდება ადამიანის ცხოვრებაში, რაიც შემზარავად ხდის მის ტანჯვასა.... და სწორეთ ეს შემზარავი მხარენი ახლავენ ზეინაბის ტრაგედიასა. იტანჯვის ქრისტე, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ტანჯვაში ვერ ნახულობთ ადამიანურს ნაკლს; იტანჯვის ზეიმად, და თქვენ მის ტანჯვაში დანაშაულსაც ჰპოულობთ. აქ მარხია საშინელი სინამდვილე: ზეიმებს თავის მსმენელი სინამდვილეს: ზეიმებს თავის მსმენელთან რაიმე ძვირფასი უნდა დაეკარგა... და დაკარგა კიდეც: თავისი სხეული, თავისი ემპირიული პიროვნება... მაგრამ, ვის შეუძლია სთქვას, რომ მან ყველაფერი დაკარგა?! არავის! არ დაუკარგავს მას ერთი რამ, რაიც ყოველს დაკარგულზე მაღლა სდგას: ეს მისი სული, მონობაში ტანჯული და ბრძოლაში განთავისუფლებული. და აი, ამ მძლავრი სულით მან თავისი ნამდვილი პიროვნება იმ სიმაღლემდე აღიყვანა, რომ იქცა შეუდარებელ ზე-ქალად...

ადამიანის ბუნება ორი „მეს“ სახიერებაა: ემპირიულის და ზეემპირიულის, წარმავალის და წარუვალის, აჩრდილისებურის და ნამდვილის, ადამიანის „მე“ ყოველთვის ერთი და იგივე არ არის: იგი მუდმივ იცვლება: და ცვალებაში ახორციელებს იგი თავის მეტაფიზიურს სახეს. საკითხავი მხოლოდ: სად ხდება მისი ნამდვილი ხორციელება, სად ამყარებს თავს მისი ნამდვილი არსება? ძნელია ამის პასუხი, მაგრამ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იგი დამყარება არ მოხდება მსოფლიოსგან გამოყოფილს კერძო პირადობაში. ამაყია ბაირონი, კაენითა და მანფრედით თვით განგების ხმალში გამომწვეველი; წარმტაცია ფრ. ნიცშე, ზარატუსტრას პირგამეხებული სახით თვით ღვთაების წინაღმდეგ ამხედრებული; მძლავრია დოსტოევსკის ივ. კარამაზოვი, არმიმღები და უარმყოფელი არსებული ქვეყნისა; მატყვევებელია მათი ზე-კაცური განმარტოება, — მაგრამ საკმაო ათ გარშემო მოსპოთ თუ გინდ ერთი წუთით მსოფლიო სიცოცხლის სუნთქვა, და ისინი, ვით ედგარ პოეს ტატანი, კვარცხლ-ბეკითგან ჩამოვარდებიან და ინაღვლებენ იმა სიცოცხლის სუნთქვისათვის... დიახ, არ მოხდება დამყარება ადამიანის ნამდვილი პიროვნებისა მსოფლიოსგან გამოყოფილს კერძო პირადობაში! ადამიანმა უნდა უარყოს თავი თავისი, რომ აცხონებელი ... ლი თვისიო, — წარმოსთქვა ... ბულმა ნაზარველელმა, და მის შემდგომ მრავალი გენიოსი იმეორებს ამ იდუმალს მაგრამ სამართლიანს აზრსა. რას ნიშნავს ეს? უარისყოფას მისას, რაც რომ ყოველდღიურია და წარმავალი, შემთხვევითი და დროული; უარისყოფას მისას, რაც რომ ვიწროთ გამოკრილია და ხშულ ბნელეთით მოცული; უარისყოფას ვიწრო პირადი „მე“-სას, რომელიც სხვის უარყოფას ცდილობს შორით, ღვარძლით, მძულვარებით. ადამიანი ამ მხრივ მუდმივ სწირავს მსხვერპლსა და უნდა სწირავდეს კიდეც. არის ერთი მომბიბლავი ლეგენდა, აღმოსავლეთის წიაღში შობილი. ღმერთმა შეჰქმნა ქვეყანა, მაგრამ შექმნის დროს თვითონ გაჰქრა მის წიაღში: მან ისე შეიყვანა ქვეყანა, რომ მსხვერპლად იქცა მისთვის; ამიერთგან ყოველი არსი ქვეყნისა ცდილობს ეზიაროს ღვთაებრივობას და სიკვდილით, სიცოცხლის შეწირვით, ერთვის მსოფლიოსა. ადამიანი „იდეაა“, უსხეულო სახე, ჯერ კიდევ განუხორციელებელი. და სწირავს იგი ყველაფერს, რომ იგი იდეა სრულად განასახიეროს: აქ ჩამოისხმის მისი ნამდვილი, მეტაფიზიური „მე“. იგი სხვას უნდა შეერთოს სიყვარულით. რომ იხსნას საკუთარი პიროვნება. და შეერთვის მხოლოდ მაშინ, თუ უარჰყო თავისი ვიწრო „მე“, კერძოებით დახშული. ასეთია სიყვარული, რომელიც მუდმივ მსხვერპლსა სწირავს: იგი თვითონ უზენაესი მსხვერპლია. ადამიანი სიყვარულით ანთებული. სწირავს ყველაფერს: დროულს, შემთხვევითს, წარმავალს, სწირავს თვის თავს, თავის წარმავალ „მეს“, რომ საყვარელ არსში მონახოს თავისი ნამდვილი მეორე „მე“ და მით განახორციელოს თავისი ნამდვილი წარუვალი არსება. ასეთია სიყვარული, მუდმივ მსხვერპლის მწირველი... ეს არის თავის თავის უარჰყოფა სულის ხსნისათვის. განა, იგივე თავის უარყოფა არაა ეგრეთ წოდებული თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყება?! ჩვენ ვუჭვრეტთ ბუნების მშვენიერებას, მთვარით განათებულს, და ვერთვით მის იდუმალს სულთქმასა; ჩვენ ვისმენთ გულჩამწყდომ ჰანგს, და ვთვრებით მისი იდუმალი გულისთქმითა; ჩვენ ვერთვით ყოველს მშვენიერს, ჩვენ ვეზიარებით ყოველ უმშვენიერს, და თავი გვავიწყდება, უარვყოფთ თავის თავსა... მაგრამ სხვასთან შერთვა ხომ არ არის სულიად უარყოფა თავის თავისა?! ჩვენ უარვყოფთ მხოლოდ ყოველდღიურს, წარმავალს, შემთხვევითს: როცა ვთვრებით, ვეკრობთ მხოლოდ ფხიზელ „მესა“; მაგრამ ნამდვილ „მეს“, სადღაც კუნჭულში მიმალულს, ჩვენ არა თუ არ უარვყოფთ ამ თავდავიწყებაში, არამედ პირიქით ვნახულობთ მას, ვნახულობთ უხილავ ძაფს, ჩვენის მსოფლიოსთან მაერთებელს, ჩამქსოველს, გადამმბელს... ასეთია მსხვერპლით თავის თავის უარისყოფა.

სწორედ ამ სახით ერთვის ზეინაბიც ქართველობის სხეულს. მან უარჰყო ის, რაც წარმავალია, რაც ყველას ეკუთვნის, რაც შესახებელია, რაზედაც შეიძლება ძალა იხმარო, — და ეს უარყოფილი არსება, მისი სხეული, მოტყუებითა და ცბიერობით მისცა სოლოლემიანსა. ხოლო სული, წარუვალი და ნამდვილი, ფორმის მქმნელი და შეუხებელი, სული, ეს დაუმორჩილებელი ენტელეხია, ნამდვილი მეტაფიზიკური არსება, მან საქართველოს სხეულს ჩაუქსოვა და მით უკვდავჰყო თავისი პიროვნება. აქ მან ნამდვილათ დაამყარა თავისი „მე“ ნამდვილ სინამდვილეში. აქ არის მისი უზენაესი მსხვერპლი... მან უარჰყო სხეული, რომ სული ეხსნა; მან უარჰყო ნამდვილი „მე“, რომ წარუვალი პიროვნება მოეხახა. მან მსხვერპლად შესწირა თავისი პიროვნება საქართველოს, შესწირა მის წმინდა საკურთხეველზე. და ღრმა ტრაგიზმით სავსე თვითონვე იყო მსხვერპლიც და შემწირველიც. და მით მისი არსება სრულიად გარდაიქმნა, ადამიანს გასცილდა, იქცა ზე-ქალად...

ყოველი მსხვერპლი გარდაიქმნის, ამას ფიქრობს ადამიანი და ახვევ-მოსვამს მითსა და ლეგენდაში. და მოგვითხრობს ერთი საუცხოო ლეგენდა. ტიალს მინდორში უფსკრულითგან ცეცხლი ამოდიოდა და მაღლა-მაღლა მრავალფერ ალად იშლებოდა. ბრძენნი ფიქრობდნენ: ვინც ცეცხლის შუაგულში ჩავარდება, იგი გარდაიქმნის და ღმერთად იქცევაო. მაგრამ ვერავინ ბედავდა შიგ ჩავარდნასა. იყო კეთროვანი, საზიზღარი და შემზარავი. ერთმა ღმერთმა ურჩია მას იმა ალში გადავარდნა. და გაბედა მან შიგ ჩავარდნა, და გადავარდა იგი იმა ალში, და დაიშალა მისი სხეული. ამ დროს მოფრინდა ძძლავრი არწივი, თავს დაეცა ცეცხლის კოცონს, წარიტაცა ალის ბურთი, კეთროვანით აღტკურვილი, ცას აიტანა იგი, და იქცა იგი ბურთი ცეცხლისა მზედ, ბრწყინვალე მზედ.

დიახ, მსხვერპლი გარდაიქმნის, — და ზეინაბ, ეს უზენაესი მსხვერპლი, ვით კეთროვანი ცეცხლში, სრულიად გარდაიქმნა... მან სძლია ვიწრო-პირადი ადამიანობა და იქცა გაცისკროვნებულ ზე-ქალად; მან უარჰყო თავი თვისი და გარდაიქმნა ჩვენი სულის სახედ; იგი სდუმს, მაგრამ იგი უხმო გამოთქმაა ტანჯული სულისა. იგი უკვდავია და მოქმედობს. ქართველთა ველზე მას საბა ბერი ჰყავს, რომელიც ნერგავს სამშობლოს სიყვარულსა; ანანურში მას ჰყავს მოხუცი ანანია, რომელიც ზე-ქალს შვილს უზრდის; შეიძლება იგი შვილი ვერ გამოდგეს ნამდვილი მამულიშვილი, მაგრამ იქვე დათოც არის, ანანიას შვილი, ხალხის შვილი, რომელიც გადმოიჭრება, ვით მოწყვეტილი ირემი, და მძლავრი ხელით ხმალ-ათამაშებულით, თავზარს დასცემს მტარვალს სოლეიმანსა... ზეინაბს თქვენი გამართლება არ სჭირდება: საუკუნოთა იდუმალს ცვლაში იგი უკვე გამართლებულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სულხანიშვილი

მოგონებები შეფიცულთა რაზმზე

სხვათა შორის, სროლა გვქონდა დაახლოებით ორმოცდაათ მეტრზე. ამ ბრძოლაში ჩვენ ვიყავით ოცდაერთი თუ ოცდაორი კაცი, მაშინ როდესაც ისინი ორმოცდაათიდან სამოც კაცამდე აღწევდნენ. მათში ისეთებიც ერივნენ, რომლებიც ჩვენიანები იყვნენ. თუმცა ჩვენ გაფრთხილებული ვიყავით ამის თაობაზე, მაგრამ ამისთანა ორომტრიალში როგორ გაარჩევ შენიანს, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა არც პირადად იცნობ, მაგალითად, ასეთი ამბავი შემემთხვა პირადად მეც: როცა გაფანტული მილიციონერებიდან ზოგი არხში იწვა და ზოგი კიდევ ბუჩქებში იყო შემძვრალი, მე ერთ ბუჩქს მივადექი, სადაც ვიდაც მილიციონერი თუ პარტიული მიმალულიყო. ჩემს ბრძანებაზე: „ასწიე ხელები მაღლა! გამოდი მანდედან!“ მეთქი, ის იმ წამში გამოვარდა და მომძახა: „არ მომკლა, ჩოლოყაშვილო, თქვენი ვარ“-ო. „მე ჩოლოყაშვილი არა ვარ“-მეთქი და ჩემი გვარი ვუთხარი; იმანაც მითხრა თავის გვარი — ბახსოვდა ნამდვილად; ის დასავლეთ საქართველოდან იყო. მას თოფი გადაეგდო და რევოლვერსაც მე მაძლევდა. ვუთხარი, ეგ შენ გქონდეს-თქო, რაზედაც შეშინებულმა მიპასუხა: „არა, შენი ჯირიმე, წაიღე, თორემ ამის გულისათვის დამხვრეტენ“-ო.

ამასობაში შეფიცულები დაყრილ იარაღს და ტყვეებს აგროვებდნენ. მათ ერთ მხარეს გაეყვანათ ექვსი თუ შვიდი კაცი. მათ შორის ლადო ერთ ტყვეს მივარდა ყვირილით: „ეს შენ ხარ ყოჩაღი ვაჟკაცი?! დედაკაცებს დაერივ; მათ სცემ; ოჯახი ამიწიოკე და დამღუპე“-ო. მე მოშორებით ვიყავი და, ეს ლაპარაკი რომ შემომესმა, მაშინვე მათკენ გავეშურე. სანამდე მივიდოდი, მისი პასუხიც გავიგონე: „არა, ლადო, მართალი არ არის“-ო. „როგორ არა“-ო, შესძახა ლადომ, ამ სიტყვებთან ერთად ჭკა თოფი და გადაკეცია ეს მშვენიერი შესახედაობის, ასე ოცდაათ-ოცდათხუთმეტი წლის მხარბეჭიანი ვაჟკაცი. ეს სურათი, რომელიც სხვებმაც იხილეს დღესაც წარმომდგება ხოლმე თვალწინ: ძმა ძმას ჰკლავს, მეზობელი — მეზობელს! აი, რა მდგომარეობა შეგვიქმნეს რუსებმა. რათა? რისთვის? რა უნდათ რუსებს ან სხვა ეროვნებას ჩვენს მიწა-წყალზე? ეს საკითხები მუდამ გულსაკლავი იყო ჩემთვის.

ქიზიყელი რაზმელების მეშვეობით ჩვენ ვიცოდით, რომლები იყვნენ მოსაშორებლები და აი, ასეთ სურათს შევესწარი: ის ექვსი თუ შვიდი კაცი, რომლებიც მოსაშორებლები იყვნენ, ქაქუცას გადაურჩენა. ისინი ცალკე გაეყვანათ სერგო მაისურაძესა და კიდევ ორ შეფიცულს; როცა ერთმა მათგანმა დაინახა, რომ ლადომ თავისი ოჯახის დამღუპველი მოჰკლა, ალბათ გადაწყვიტა, მეც მომკლავენო, და უცებ ეტაკა სერგოს, შესაძლოა, ამ მძლავრ ახალგაზრდა კაცს ადვილად წაერთმია და საკუთა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ცისკარი № 10,11

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი იარაღითვე მოეკლა ის, რომ მე არ მიმეცხრო, უმაღ მივვარდი: გაუშვი, თორემ მოგალავ-მეთქი, მაგრამ რას გაუშვებდა! მას ისე ოსტატურად ეჭირა სერგო, რომ სროლასაც ვერ ვახერხებდი. საითაც მე მიეტრიალდებოდი მასაც იქით მიატრიალებდა, ასე ვიტრიალეთ ერთხასს, ვიდრე დროს მოვიხელთებდი სასროლად. როგორც იქნა, მომეცა ხელსაყრელი მომენტი, ვესროლე ზუსტად და იქვე გადაიქცა ეს ვეებერთელა ვაჟკაცი. მე ძალზე საწყენად დამრჩა, რომ ამ ამბავს შევესწარი, ვინაიდან საშინლად მეძნელებოდა ადამიანის ასეთნაირად მოკვლა, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა გამოსავალი არა მქონდა, რადგანაც ბეწვზე ეკიდა ამხანაგის სიცოცხლე!

ამგვარად, ასეთი იყო უზუნდარას ხევის შერკინების შედეგი: ჩვენი მხრიდან ერთი შეფიცული დაიჭრა ელიზბარის ჯგუფიდან, ვ. ვაჩნაძე; მოწინააღმდეგეთაგან ექვსი თუ შვიდი დაიხვრიტა; ოთხი თუ ხუთი დაიჭრა; ათი-თორმეტი კაცი ბრძოლისას დაიხოცა. ხოლო დანარჩენები კი ტყეედ ჩაგვივარდნენ. ქაქუცამ ასეთი დამრიგებლურ-განმარტებითი საუბარი ჩაუტარა მათ: „ჩვენ რუსებს ვებრძვით; ქართველ ხალხს თუ კომუნიზმი სურს ჩვენ არ დაეუშლით, ოღონდ რუსის ჯარი გაიყვანონ; საქართველო დამოუკიდებელი უნდა იქნეს; ამიტომ, ნუ შეხვალთ მილიციასა და პარტიაში; აი, ხომ ხედავთ, დღეს ჩვენ, ქართველები, ერთმანეთსა ვხოცავთ; რისთვის? ნუთუ იმისათვის, რომ რუსების ინტერესები დავიცვათ?..“

ამ საუბრის შემდეგ მთელი იარაღაყრილი ტყეელები გავათავისუფლეთ.

●

იმ დროს თუქურმიშაში რუსის ჯარი იდგა, მთელი ათასეული. აქამდის თუ მხოლოდ მილიცია დაგვდევდა, ახლა რამდენიმე ასეულმა შეგვიკრა გზები იმ მიზეზით, რომ თელავის მაზრისკენ არ გაეკეშვით. თუ ქიზიყშივე მოგვიფწყვდევდნენ, უფრო გაუადვილდებოდათ ჩვენი დევნა, ხოლო თელავის მაზრაში გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა ბოლო ჩვენს წინააღმდეგ, რადგან იქ ეროვნული ვალი ადგილებია და ხშირად ეურ დავდნენ ჩვენთან შერკინებას. ჩვენ ვიცოდთ, რომ თელავის მაზრისაკენ მიმავალი მთავარი გზები შეკრული იყო; მიტომ არ ვეჩქარობდით და ისევ ახლომახლო მომცარო ტყეებში მივიკუნქეთ. მეორე ღამით დიდი სიფრთხილით, შეუმჩნეველად გადავლახეთ საგულდაგულოდ შეკრული გზა და სოფელ ჯუღაანის მახლობელ ვენახებში დავბანაკდით. უზუნდარას ბრძოლის შემდეგ საშინლად გაგვიჭირდა ორი დღე სანოვაგის მხრივ. ახლა ამ ვენახებში, საქმელი კი ადვილად მოგვიტანეს. მაგრამ სიცხემ შეგვაწუხა ძალიან, რადგან ვაზების ჩრდილი ვერ გვფარავდა. იქვე მყოფ მუშებს კოკებით მოჰქონდათ წყალი და მით გვაგრილებდნენ. ამასობაში რუსების ასეული სულ ახლო იყო ჩვენთან: მათ ჩვენ ტყეში ვეგონეთ მაშინ, როდესაც მზის მსურვალე აბაზანებს ვიღებდით ვენახში!

დაღამებისას მაჩხაანის მიმართულებით გავეშურეთ, სადაც შალიკო ფავლენიშვილი უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან და ჩვენ მახლობელ ტყეში უნდა დავბანაკებულიყავით. ვინაიდან გვითენდებოდა კიდეც ადგილამდე მისვლას ვერ მოვსწრებდით და ამიტომ სიკომ ერთ სულ პატარა გზისპირა ტყეში მიგვიყვანა მაჩხაანის ბაზრის მახლობლად, საიაც გზიდან კარგად გვესმოდა ბაზრისაკენ მიმავალი ხალხის ლაპარაკი. ერთ პატარა, თორმეტიოდე წლის ბიჭს დატვირთული სახეადარი მოჰყავდა. მან გულიანად შეუტია გრძელყურას: „ჰაჩი, ვირო“-ო, და შეუკურთხა კიდეც: „შენი პრაკენინეიც“-ო. მე სიცილი წამსკდა და თავს ვეღარ ვიმაგრებდი; პირზე ხელს კი ვიფარებდი, მაგრამ ხმას მაინც ვერ ვახშობდი. ბოლოს ქაქუცამ ეეღარ მოითმინა და შემომცინა: გაჩერდი, გზაზე ჰხარს გიგონებენო!

როგორც იქნა, ვაი-ვაგლახით დავაღამეთ ის დღე. ამაოდ ველოდით მთელი დღე შალიკო ფავლენიშვილს და,

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

რახან საშველი არ დაადგა მის გამოჩენას, შეღამებისას ალაზნისკენ გაეწიეთ. ჩვენ საკმაოდ გრძელი გზა გვქონდა გასავლელი, რის გამოც ჩქარი ნაბიჯით მივუყვებოდით ალაზნისპირა მინდვრებს, ხოლო ამასობაში კი ტყის ბილიკებში გვაყვდა ჩასაფრებული ჩვენი მდევარი...

უზუნდარის სროლის შემდეგ, სანამ ქიზიყის ახლო-მახლო ტყეებში ვიყავით მიკუნქუულნი ორი დღე და ღამე, ერთ ღამეს ქაქუცამ გაგვგზავნა საქმეზე მახლობელ სოფელში მე, ლადო, და კარგა აღარ მახსოვს, მგონი კურდღელა. საშინელი ღამე იყო განუწყვეტელი ჭექა-ქუხილით და შხაპუნა წვიმით, გზა კი შორიდან უნდა მოგვეველო. როგორც იქნა, დილით ბინაში დავბრუნდით დაღლილნი და თავით ფეხამდე დასველებულნი. აუტანლად დამქანცველია ლაფში უგზო-უკვლოდ სიარული. ჩვენმა თანმხლებმა პირებმა ტანისამოსი გაიხადეს, გაიშრეს, ისევ ჩაიცვეს და დაიძინეს, ხოლო მე კი მასლაათს გავუყევი რაზმელებთან. ბაასში ცოტაოდენ შევშრი ცეცხლთან მხოლოდ ზემოდან და ისე დავწექი დასაძინებლად. სამიოდე საათი თუ მეძინა, რომ უცბად გამომეღვიძა. ვეღარც კი ვსუნთქავდი. ღამის არის ვიხრჩობოდი და ვეღარც რიგიანად ვლაპარაკობდი. შეეწუხდი და ბარბაცით წამოვდექი. ამხანაგებს ეგონათ, ვითომდა ვხუმრობდი, მაგრამ ბოლოს რომ დაინახეს სახუმაროდ არ მეყრებოდა, ქაქუცამ ცეცხლის დანთება ბრძანა. ბინის ორივე მხარეს. ორ ცეცხლშუა კარგა მოშორებით გამიშალეს ნაბადი და დამაწვინეს. ყველა მიხვდა, რომ სველმა ტანსაცმელმა გამაცივა ძილში. თანდათან უფრო მიპირდა სუნთქვა. ასე მეგონა სადაცაა სული ამომძვრება-მეთქი. ქაქუცამ მოიოხოვა, ჭიქები თუ გაქვთ, მოიტანეთ, ბანკები უნდა მოვკიდოთო. რა თქმა უნდა, ჭიქები კი გვქონდა, მაგრამ სულ დაიმტვრა და მხოლოდ ერთი ცალიღა გადარჩენილიყო. აბა, ის რა საკმარისი იყო ამ მიზნისათვის, მით უმეტეს რომ არც სპირტი გვქონდა. მაგრამ ხომ გაგიგიეთ, ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა! ქაქუცამ გაზეთის პაწია ნაგლეჯს მოუკიდა, ჭიქაში ჩააგდო და მომკიდა, სადაც საჭირო იყო. ასე მომკიდა ჭიქა ოთხ თუ ხუთ ალაგას. ამ ადგილებში კანი მთლად ამერეჯა, მაგრამ საბედნიეროდ, ძალიან მარგო. მერე თბილად დამახურეს და ასე ჩამეძინა ორ ცეცხლშუა. საღამომდე გვარიანად გამოვიშუშე. ამ ხნის განმავლობაში სულიერად ვიყავი აფორიაქებული იმის ფიქრში, ვაი თუ სროლა მოგვიდეს; ამხანაგებს ვერ მივყვები; ტყვედ ხომ ვერ ჩაუვარდები ხელში ჯალათებს; მაშ რაღა დამრჩენია იმის მეტი, რომ ტყვია დავიხალო-მეთქი. მაგრამ ღვთის მადლით, საღამომდე წამოვხტი. ასეთია ახალგაზრდობა! იმავე ღამით თხუთმეტ კილომეტრზე მეტის გავლა მოგვიხდა, მაგრამ არც კი მემჩნეოდა, რომ წინა ღამით კინაღამ სული ამომხდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, უზუნდარას ბრძოლაში ვ. ვაჩნაძე დაგვეჭრა ყბაში. ვინაიდან მაშინ მისი წაყვანა არ შეიძლებოდა, იქვე მოვაწყეთ ერთ ოჯახში. ქაქუცამ უთხრა: ეს არეულობა რომ ცოტა მიწყნარდება, წაგიყვანთ; მანამდე კი სახლიდან ნუ გამოხვალო. მაგრამ საუბედუროდ, ორი თუ სამი დღის შემდეგ მას თავშეხვეულს უვლია გარეთ; რაღა თქმა უნდა, რომ ეშვი მიუტანიათ, დაუტუსაღებიათ და ყველაფერი უთქმევინებიათ. მიუხედავად ამისა, ის მაინც აწამეს კარგა ხანს და ბოლოს დახვრიტეს. ამ ჯეელი ბიჭის დაჭერამ და ყველაფერში გამოტეხვამ ძალიან ბევრი ხალხი დააზარალა. მეტად არადროული იყო ჩემი გაცვეებაც, რომლის გულისთვისაც ერთი დღე დავკარგეთ.

სიღნაღის მაზრაში დიდ საფრთხეში ვიყავით, რადგან იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ტყეებია და იმ მიდამოებში დარჩენა სერიოზულ ხიფათს გვიქადდა. ამიტომ აუ-

ცილებლად უნდა გავსულიყავით თელავის მაზრაში, სადაც მიუვალი ადგილებია. ჩვენ ისე უნდა მოგვეხერხებინა გასვლა, რომ კვალი არ დაგვეტოვებინა ამისა, თუ საით წავედით; სხვარიგ, ძალიან როცა გვინდოდა, მაშინ გავდიოდით. მილიციისა და პარტიულების გარდა ხუთასამდე რეგულაციური რუსის ჯარი დაგვდევდა. მათ არაერთი ადგილას ჰქონდათ შეკრული გზები. ამის გამო იმ ღამესვე უნდა გავმძარალიყავით იქიდან, რათა კვალი აგვერია მათთვის, ამისათვის სწრაფი სიარული იყო საჭირო, რომ ღამითვე მიგვეყოლნო მისკენ საიმედო ადგილს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, უგზოდ, ხოლო ალაგ-ალაგ ლამის სირბილით მივდიოდით სიბრძნისამებრ: შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო! რადგან სულელები ხომ არ ვიყავით რომ შეკრულ გზებზე გვევლო და ჩვენივე ნებით გავბმულიყავით მახეში. მიუხედავად ამგვარი დიდი ძალის დადგომისა, თავს ისე კარგად ვგრძნობდი, რომ ჩემი ავადმყოფობის ნასახიც აღარ დარჩენილა. საბედნიეროდ, გათენებამდე მივაღწიეთ ერთ მაგარ და მიუდგომელ ადგილს, თუმცაღა საშინლად დაქანცულებმაც და დამშეულებმაც.

მეორე ღამეს ერთ ნანგრევ ეკლესიასთან დავბანაკდით სოფელ კისისხევის ტყეებში. სასტიკად დაღლილებსა და მშიერებს უთამბაჭობა გვტანჯავდა ყველაზე მეტად. შაქრო ბადურაშვილის სახლს რომ ახლოს გავუარეთ, შევატყობინეთ სად ვიქნებოდით, რომ სანოვაგე ამოეტანა ჩვენთვის. იმ ღამეს ისე გაავღრდა, თითქოსდა ცა ჩამოიქცაო. საშინელი ადიდება იცის კისისხევმა. ეს მდინარე ცივის მთიდან იღებს სათავეს და დიდი ავდრისას სახიფათოა მასში გასვლა, ვინაიდან დიდი სიჩქარით მოაგელვებს არა მარტო უზარმაზარ ქვის ლოდებს, არამედ ძირიანად ამოგლეჯილ ხეებსაც. ამის გამო, ავდრიან ამინდში განსაკუთრებით საფრთხილოა მასში ცხენით გასვლა, რადგან ის ადვილად მოსტეხს ცხენს ფეხს.

ჩვენი ბინა ახლო იყო იმ ხევთან, ისეთი ხმაური იდგა, რომ ძლივს [illegible] მოდა ერთმანეთის ლაპარაკი. ამ [illegible] მოების გამო ყველას გადაგვეწყვა იმედი, რომ სანოვაგეს და თამბაქოს მივიღებდით, რადგან ვიფიქრეთ, ამისთანა ამინდში შაქრო როგორ გაბედავს ამოსვლასო. საქმე ის არის, რომ ერთ ალაგას ის ამ მდინარეში უნდა გამოსულიყო და ვშიშობდით: რანაირად გადმოლახავს ამ აზვირთებულ ნაკადს, ანდა როგორ მოგვაგზავნს ამისთანა კუნეთ ღამეშიო. ასეთ ფიქრებში ჩაფლულნი, ჩვენ მას მაინც დიდხანს ველოდით მოუთმენლად, მაგრამ ბოლოს, ილაჯგაწყვეტილებსა და იმედგადაწყვეტილებს, ყველას ისე ჩაეძინა, რომ ყარაულიც არ გვედგა; გვეგონა ამ კუნაპეტ ღამეში ვინ მოვა, ანდა ვინ რა იცის, რომ ჩვენ აქ ვართო. რატომღაც, მხოლოდ მე და ქაქუცას არ გვეძინა; ვისხედით ცეცხლთან და ვსაუბრობდით. ანაზდეულად, იქნებოდა ასე ათი საათი რომ ძახილი შემოგვესმა. მე უმალ გავეპასუხე, მაგრამ მას ჩემი ხმა არ სწვდებოდა, რადგან ხევის პირას მოდიოდა და წყალს იქ ისეთი ხმაური გაჰქონდა, რომ ადამიანი საკუთარ ხმას ვერ გაიგონებდა. გარდა ამისა, სიბნელის გამო ის თურმე ვერც ჩვენთან ამოსასვლელ გზას პოულობდა. ჩვენ დაველოდეთ. კარგა ხნის შემდეგ ისევ დაგვიძახა. მაშინღა მივხვდით, რომ გზას ვერ იგნებდა და მასთან მიახლოება იყო საჭირო. რაზმელები იმდენად იყვნენ დაღლილები, რომ ჩემს ყვირილზე თვალიც არ დაუხამხამებიათ. მაშინ ქაქუცას ვუთხარი: მე წავალ-მეთქი შესახვედრად. „არა, გაალვიძე ვინმე და გაიყოლე“-ო, მითხრა მან, მაგრამ მე ძილი არავის დავუფრთხე და მარტო წავედი შაქროს ძიმართულებით, მე ბრძასავით მივდიოდი იმ წყვდიადში. ხანგამოშვებით აქედან მე ვყვიროდი, ხოლო შაქრო იქიდან მაწვდიდა ხმას. როგორც იქნა, ოდნავ მივუახლოვდი, მაგრამ სანამ მას შევხვდებოდი, თურმე ერთ კლდეს მივდგომოდი, უცაბ, ერთი ნაბიჯის გადადგმაც და პირდაპირ დაბ-

ლა გადავეშვი, ერთ ნამზღვლევზე დავეცი, ხოლო იქიდან კი ჯიქურ ხევში ჩავვარდი! საშინლად დაბეგვილი და დაბორიალებული, ერთხანს გაუნძრევლად ვიჯექი ტლაპოში. ხევში ნიაღვრის წყალი მოთქრიალებდა და მუქით ამ ლაფიანქვიშიანი წყლის სმა დავიწყე. ამან ცოტაოდენ მომამსულიერა. ამ დროს ხელახლა შემომესმა ყურთ შაქროს ძახილი: მეც გავეპასუხე და თანაც შემეშინდა, რომ ისიც არ ჩამოვარდნილიყო ამ ხევში. ამიტომ საჩქაროდ უნდა ავსულიყავი საიდანაც ჩამოვვარდი. ამ მიზნით სასწრაფოდ ზევით ასასვლელის ძებნას შევუდექი. როგორც იქნა ბობღვიია და დიდი წვალებით ავედი მაღლა და კიდევ გავძახე. შაქრო სულ ახლო მომდგომოდა. თუმცა მას ჩემი ძახილი გაუგონია, მაგრამ გზა ვერ გამოუგნია. ჩვენ ერთმანეთს მივესალმეთ და, რახან ისიც დაღლილიყო, ცოტა შევისვენეთ და მერე გავწიეთ ბინისაკენ მაგრამ დახეთ ღმეულ ეშმაკს: გზას ვერასგზით ვპოულობდით და, რადგან სხვა გამოსავალი არა გვქონდა, პირდაპირ ტყეთ წავედით. იმ ადგილს წვრილიანი ტყე იყო და ამდენად, ორი გატენილი ხურჯინით ზურგზე აკიდებული ცხენის გატარება გაგვიჭირდა. ამიტომაც, ალაგ-ალაგ ხანჯლით მიხდებოდა გზის გაკაფვა. რომ ცხენს გაევლო. ასე ვუახლოვდებოდით ჩვენს სამყოფელს ნელ-ნელა. ამასობაში ქაქუცას სამი რაზმელი გაეღვიძებინა და ჩვენს მოსაშველებლად გამოეგზავნა. მართალია, ძალიან შორს აღარ ვიყავით ბინიდან მაგრამ მაინც შეგვაშველეს ხელი. ბოლოს მთლად დათითხნილებმა და ჩახოცილებმა მივაღწიეთ ჩვენს საფარს. ჩემი კარაბინი ტლაპოთი იყო სავსე და, ამგვარად, რომც დამჭირებოდა, ვერც კი მოვიხმარდი.

ჩვენი მისვლა და რაზმელთა წამოშლა ერთი იყო. მათ წამში გააჩაღეს ცეცხლი და იქვე თავი მოხსნეს ხურჯინებს, შიგ უხვად აღმოჩნდა სანოვაგე, თამბაქო და ტიკჭორაკე. თვალის დახამხამებაში გაიწყო პატარა სუფრა. გადაიღო წვიმამაც, მაგრამ მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ღრიალებდა აღშფოთებული კისტახევი და ქვებს ისეთნაირად აჯახებდა ერთმანეთს ორეზე, თითქოსდა ზარაბანი გრიალებსო, ამასობაში რაზმელები კი გვარიანად შენაყრდნენ, მაგრამ მე იმდენად ვიყავ დაბეგვილი, რომ ჭამის თავიც კი აღარ მქონდა. სამი წელიწადი მოგვიხდა ტყე-ღრეში ყოფნა, მაგრამ ამისთანა საძაველი ღამე არ შემხვედრია. ის მანძილი, რაც მე და შაქრომ გამოვიარეთ ჩვენს ბინამდე, რიგიან ღამეში მხოლოდ ნახევარი საათის დასაფარავი იყო, ხოლო ჩვენ მთელი ორი საათი დაგვჭირდა.

იმ ღამეს თვალი აღარავის მოუხუჭია. ყველა შაქროს შეეჩერებოდით პირში, რომელიც გვიამბობდა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე ჩვენმა პატარა ბრძოლამ უზუნდარაზე, მას თურმე ხალხი აღეფრთოვანებია. წამში გავარდნილა ხმა ვითომდა ჩვენ სიღნაღისა და თელავის მაზრებში ას კაკამდე ამოვხოცეთ! ასეთია ხალხის მასა: ისინი ყველაფერს აზვიადებენ!

შაქრო ბადურაშვილი დილამდე დარჩა ჩვენთან. დილით ქაქუცამ რამდენიმე დაავალება მისცა მას; მერე კი იგი გამოგვიშვიდობა და წავიდა. ცხადია, ეშშარიტად ღრმა პატრიოტი უნდა იყოს ადამიანი, რომ მან ამგვარი მძიმე საქმის შესრულება იდოს თავს. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ განსვენებული შაქრო ბადურაშვილი. დაუვიწყარიმც იყოს მისი ხსოვნა!

ის დღე იქ დავაღამეთ, კარგა დავისვენეთ, მოვკანინადით და შებინდებისას ისევ გზას გავუდექით. რაც შეეხება სიღნაღის მაზრას, იქ ჯერ კიდევ შეკრული ჰქონდათ გზები და ამასთან ერთად ხალხის დაწიოკებაც დაიწყეს.

●

იმავე ხანებში მოხდა ასეთი ამბავიც: თბილისიდან რამდენიმე კაცი უნდა ჩამოეყვანა ჩვენთან არჩილ ვაჩნაძეს, რომელსაც ჩვენი კაცი უნდა შეხვედროდა დათქმულ ალგას. მიახლოვებისას მას მოშორებით დაუტოვებია თბილისიდან ჩამოყვანილი და მარტო მისული დათქ-

მელ ადგილას, სადაც მას ჩვენნაირად გადაცმული ჩეკისტები დახვედრიან. მათ ჩვენი პაროლიც ცოდნიათ, რომელიც უზუნდარას ბრძოლაში დაკრილ და მათ მიერ დაჭეული ვ. ვაჩნაძეს გაუცია. ამგვარად, ჩეკისტებმა არჩილიც დაატუსაღეს და მის მიერ ჩამოყვანილნიც, რომელნიც არ ყოფილან შეიარაღებულნი. სიმართლე რომ ვთქვა, კარგად აღარ მახსოვს ვინ იყვნენ მათ შორის, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ერთი მათგანი კოტე ჩოლოყაშვილი იყო და მასთან კიდევ ორი-სამი სხვაც. შალიკო ფავლენიშვილი ვერ გამოჰყოლია არჩილს, რადგან მას დავალების შესრულება ვერ მოუსწრია და აი, ამის წყალობით გადარჩა. ჩვენ, რასაკვირველია, ვაპირებდით ტყვეების გათავისუფლებას, მაგრამ შეუძლებელი შეიქმნა ჩვენი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

აშკარაა, ამ პირთა დატუსაღება დაჭერილი ვ. ვაჩნაძის გამტეხვის პირდაპირი შედეგი იყო, თუმცაღა სხვასაც მიუძღოდა ამაში ბრალი და აი, რატომ: ვაჩნაძეს არც პაროლი უნდა ცოდნოდა და არც ის, თუ სად უნდა შეხვედროდნენ არჩილს, მაგრამ გაუფრთხილებლობით თუ გამოუცდელობით, ვიღაცამ წამოაყრანტალა ეს საიდუმლო, რასაც ასეთი სამწუხარო შედეგი მოჰყვა.

არჩილ ვაჩნაძე ბევრი სტანჯეს, მაგრამ მისგან ვერაფერი გაიგეს, რადგან მან არ იცოდა, რა ხდებოდა რაზმში. ბოლოს მასაც დახვრიტა ხვდა წილად ჯალათთა ხელისგან. იმყამად თბილისში მთავარი ჯალათი შუღმანი გახლდათ, რომლის გვარიც მთელ საქართველოს ეკერა პირზე. თბილისიდან ჩემმა მოულოდნელმა და ნაადრევად გასვლამ დიდად დაგვაზარალა, რადგან იქ არაერთი ახალგაზრდა დარჩა, რომელთაც ჩემთან ერთად უნდოდათ წამოსვლა, მაგალითად, სუსლიკა ანდრონიკაშვილს, სიმონიკა ბაგრატიონს და მათ გარდა კიდევ მრავალ სხვას. შემდგომ სუსლიკა ანდრონიკაშვილს სამი კაცით დადაუწყვეტია ჩვენთან წამოსვლა, მაგრამ ისიც გაუცია და სულ მალე დაუპატიმრებიათ. ბევრი კი აწამეს იგი, მაგრამ მისგან ვერაფერი გაიგეს. შუღმანთან მოხვედრილ დაკითხვისას, მის კაბინეტში მას ერთი დიდი ლურსმისათვის მოუკრავს თვალი კედელზე. იგი იმ ლურსმანს მივარდნია, კედლიდან ამოუძგერია და შუღმანისთვის დაუკრია კისერსა თუ ყბაში. შუღმანის ყვრილზე კარისკაცები შეეცვენილნან. სუსლიკა იმათაც სცემია იარაღის წასართმევად, მაგრამ ვერ მოუსწრია, რადგან ისინი რამდენიმე ყოფილან და იქვე მოუკლავთ იგი.

მძიმედ დაჭრილი შუღმანი მოსკოვში წაიყვანეს საექიმოდ. მას იქ დიდხანს მკურნალობდნენ და იმის შემდეგ კი ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვეღარაფერი გავიგეთ იმის შესახებ.

●

როდესაც რუსებმა ფეხი მოიმაგრეს საქართველოში, მათ ხელი მიჰყვეს ეკლესიების ძარცვა-ნგრევას. ისინი მათ მერე საწყობებად და წიგნსაცავებად იყენებდნენ. ხოლო შემდგომ ზოგი კომკავშირელთა დარბაზებად გადააქციეს და ზოგიც კლუბებად. ღვთის გმობა და მკრეხელობა გადაიქცა იმათ პირდაპირ მოწოდებად. ამ მაგალითად, წინანდლის ქვემო ხოდაშენისა და კისისხევის რაიონებში იყო ერთი კომისარი, ვინმე ზულიაშვილი, რომელმაც დედაბუდიანად აფორიაქა ამ რაიონების მოსახლეობა. ამ რაიონებიდან ხშირად მოდიოდნენ ჩვენს რაზმში წარჩინებული თავკაცები, რომელნიც ამ თხოვნით მიმართავდნენ ქაქუცას: „ეგენის როგორმე მოგვაშოროთ ეს კაცი; აგვიწიოკა მთელი სოფლები“-ო.

ზულიაშვილს და იმის თანაშემწეს ხალხის თანდასწრებით გამოჰქონდათ ეკლესიიდან ხატები, საეკლესიო წიგნები, მღვდლის სამოსელი და მათ თვალწინ სწვავდნენ ამ წმინდა ნივთებს. ერთხელ მან განაცხადა: „მე თვითონ მოვხსნი ჯვარს გუშმათიდან და, აბა, ღმერთი მე რას მიზამს“-ო. დანიშნა დღე, რომ

ალექსანდრე სულხანიშვილი
მოგონებანები შეფიცულთა რაზმზე

ყველა მოსულიყო და საკუთარი თვალით ენახა ჯვრის მოხსნის პროცესი, რომელიც ორი თუ სამი დღის შემდეგ უნდა შემდგარიყო. ეს ამბავი ფიცხლად შეგვაჯუობინეს ჩვენ. ქაქუცამ სთქვა: „ეს საუკეთესო დროა, რომ ჩვენ ხალხის სურვილი ავასრულოთ: ის ზედ გუმბათზე უნდა მოკიდეს“-ო. მან ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად მე და ბადური ამოგვარჩია, რადგან აუცილებელი იყო იმ ეკლესიის ადგილმდებარეობის კარგად ცოდნა. პირადად მე თავის დღეში არ ვყოფილვარ იმ რაიონში, ხოლო ბადური იქ იყო დაბადებული და გაზრდილი და ამდენად, იმან ჩინებულად იცოდა იქაური გზა და კვალი. ამის გარდა, ჩვენ კაციც გვყავდა, რომელიც რაც შეიძლება ახლო მიგვიყვანდა ეკლესიასთან. წასვლისას ქაქუცამ გზა დაგვილოცა და თან მოგვაძახა: „თუ არ მოგიკლავთ თვალით არ დამენახოთ“-ო. თუმცაღა ხუმრობით იყო ნათქვამი ეს სიტყვები, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: ის ხუმრობა შევარცხვინე, რომელშიაც ნახევარი სიმართლე არ ერიოსო! და ჰეშმარიტად იყო ჩატანებული სიმართლე ამ სიტყვებში.

მე და ბადური ერთი დილით ადრე მივედით ადგილზე. წინაღამით გულდასმით დავათვალიერეთ ეკლესიის შემოგარენი. ჩვენმა გამყოლმა მარჯვედ გვაჩვენა და გაგვაგებინა ყველაფერი. იმავე დანიშნული დღის წინა ღამით მან ერთ მოხერხებულ ალაგას მიგვიყვანა ეკლესიისთან. ჩვენ მოუთმენლად ველოდით გათენებას. ბოლოს ეს დროც დადგა. ხალხმაც თავი მოიყარა, და, სანამ ისინი წყვეტა-კრულვით უყურებდნენ ამ ურჯულო სანახაობას, ზულიაშვილი იარაღებით მიეახლოვა გუმბათისაკენ ჯვრის მოსახსნელად. აი, ის მიუახლოვდა კიდეც ჯვარს და, როგორც კი მას დაუწყო ჩაქუჩით ცემა, იმავე წამს გავარდა ორი თოფი და ღვთისმგმობი ზულიაშვილი გორვა-გორვით წამოვიდა ძირს! ტყვიაც რომ არ მოხვედროდა, იმ სიმაღლიდან გადმოვარდნილ ადამიანს მაინც არ შერჩებოდა პირში სული. ამ სურათის მხილველ ხალხში შეიქმნა ერთი წყვილ-ყვილი. რა თქმა უნდა, სიხარულისა! ბევრი იძახდა: „აკი ამბობდა, ღმერთი ვერაფერს მიზამს!“-ო. ჩვენ ამ მომენტს დაპმოული ნერვებით ველოდით და, რახან ყველაფერმა კარგად ჩაიარა, პატარა გულზე მოგვეშვა. ამის შემდეგ ჩვენი იქ ყოფნა აღარც შეიძლებოდა, და ამიტომ დინჯად, ფეხკაჟეფით გავწიეთ ტყისკენ. ასე მივდიოდით ერთხანს და ამასობაში კი ხალხის სიხარულის ქვილ-ხივილი კიდევ კარგა დიდხანს გვწვდებოდა შორიდან.

ბინაში რომ მივედით, ქაქუცამ და მთელმა რაზმმა უკვე იცოდა რჯულისა და სამშობლოს გამყიდველის შესაფერისი სიკვდილის ამბავი. რჯულის შეურაცხყოფელის ღირსეული სასჯელით გახარებულნი იყვნენ არა მარტო წინანდლის, კისისხევისა და ქვემო ხოდაშენის რაიონებში, არამედ თითქმის მთელ საქართველოში. ხოლო ჩვენ კი გვლოცავდნენ მისი დასჯისთვის: „ღმერთმა მარჯვენა შეგარჩინოთ“-ო.

1922 წლის ხევსურეთის ამბოხება

1922 წლის ივლისში ჩვენი რაზმი დუშეთის მაზრაში ტრიალებდა. გიორგი გვერდწითელის მეთაურობით ქარიოლიდან იქ შემოგვიერთდა რვა კაცი, იმათ შორის ბაღდუა კახუაშილი და სხვები. გორის მაზრაში მათ უკვე გაკეთებული ჰქონდათ კომუნისტების საწინააღმდეგო პატარა საქმე მაშინ, როცა ჩვენი რაზმი ქიზიყში იმყოფებოდა. აქვე შემოგვიერთდნენ ქომბარი, კურდღელი და გაბო ოზიაშვილი. ჩვენი რაზმის რიგები შეავსო სვიმონ ყიფიანმაც, რომელიც დამკომმა გამოგვიგზავნა ობილისიდან რაზმის დღიურის საწარმოებლად. ეს გახლდათ ხანშიშესული კაცი, არაჩვეულებრივი პიროვნება. დუშეთის მაზრიდან ჩვენ მოულოდნელად მოგვიხდა აყრა გარკვეული მიზეზის გამო, რასაც აქვე მოგახსენებთ.

ერთ დღეს ჩვენი ბინიდან კარგა მოშორებით შალიკო კანდელაკი ერთ რუს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეკისტს წაეწყდა, რომელიც თავის ძალღლით ვითომდა ნადირობდა, თუ გვზვერავდა ღმერთმა უწყის. შალიკომ მოჭალა ის ჩეკისტი და თავის ძაღლიც ზედ წაეკლა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ იქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა და ამის გამო გამოვიცვალეთ ბინა.

იმ ხანად ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ხევსურეთისკენ გაგვეწია, რადგან იქ აგვისტოს პირველამდე ამბოხება უნდა დაწყებულიყო, მოკავშირეთა მეშვეობით იქ უკვე მოწყობილი იყო საქმე, მაგრამ ახლა ჩვენი უშუალო ყოფნა იყო იქ საჭირო. ამისათვის გვინდოდა რომ ერთი კვირით ადრე მაინც ავსულიყავით ადგილზე. ჩვენ დღისით მივდიოდით ხევსურეთისაკენ, ვინაიდან არაგვის ხეობაში არც იმდენად ბევრია მოსახლეობა გზად უნდა გაგვევლო ერთი პატარა სოფლის მახლობლად, რომელსაც ორთვალი ჰქვია. იქ თურმე ქართველი ჩეკისტები ყოფილან და იმ ადგილას სროლა მოგვიხდა. მთაგან ერთი მოვკალით, დაჭრილი დავიჭირეთ ორი, ხოლო დანარჩენები კი ტყეებში შეძვრენ და ცხენები უკან მოიტოვეს, ამ ჩეკისტებისგან მარტო ცალხელა კომისარმა ჭურღულიამ მოასწრო ცხენზე შეხტომა და გაქცევა. ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა ამ სძაგელი ქართველის ხელში ჩაგდება, მაგრამ საუბედუროდ, იმ დღეს კიდევ გაგვიხსნტა, ამის შემდეგ იქ დიდხანს გაჩერება აღარ შეიძლებოდა და ამიტომ პირდაპირ არაგვის ხეობაზე გავწიეთ. ამ დროისთვის კი ეგარიანად მომრავლდა ჩვენი რაზმი და უკვე სამოცდახუთ კაცს ითვლიდა.

მაღაროსკარს რომ მივაღწიეთ, ჩვენ იქ დავბანაკდით ვაჟა-ფშაველას მიერ დაარსებულ სკოლაში, რომელიც საკმაოდ კარგი შენობა გახლდათ, მაგრამ უპატრონობა ეტყობოდა: აღარც ფანჯრები შერჩენოდა იმას და აღარც კარები, სამაგიეროდ ხეხილით იყო გაშენებული დიდი ეზო, რომელსაც გარშემო ყორე აქვს შემოვლებული. დასავლეთით ეზო ოდნავ დაფერდებულია და იქავე არის ძველი ეკლესიის ნანგრევი „ნინი“. ეს, ეს სკოლა მოხერხებულად ძევს ბიდ-ია, ეს სკოლა მოხერხებულად ძევს ბიდ-ია, ეს სკოლა მოხერხებულად ძევს ბიდ-ია

გაშლილ ეზოს დაპყურებს. რასაკვირველია, ჩვენი ბინაც ხელისგულივით მოჩანდა იქიდან. ყარაულმა გვიან შეამჩნია მდევარი. თავდაპირველად მას ისინი მგზავრები ჰგონებია, ხოლო როდესაც კარგა გაერკვია, გამოიქცა და, რომ არ დაეგვიანა, გაისროლა. სროლის გაგონებისთანავე წამოეცვივდით ადგილების დასაკავებლად, ამ დროს ბინაზე სულ თორმეტი კაცი ვიყავით. მდევრის ერთი ნაწილი, რომელიც ჯიქურ ჩვენზე მოდიოდა გაღმიდან, უკვე ადგილზე მოსულიყო და ჩვენ წამოშლისთანავე აგვიტეხეს სროლა. მომენტიც ხელსაყრელი შეესწროთ, ვინაიდან მათ ტყე ფარავდა მაშინ, როცა ჩვენ სკოლის ღია ეზოში ვიყავით. მიუხედავად ამისა, ჩვენ მარდად და დაუბნეველად დავიკავეთ მოხერხებული ადგილები და გაფაციცებით ვთვალიერებდით თუ საიდან მოდიოდა უფრო მეტი ძალა. ახლა გზის მხრიდანაც მოგვადგა მდევარი. მათ სკოლის ყორე დაიკავეს გზისპირას და გაიმართა კიდევ მაგარი სროლა. ჩვენი მთავარი სიმაგრე, რომელიც მათ დაიკავეს, სკოლის დასავლეთით მდებარე სიმაღლე გახლდათ. პირველად, სანამ ტყეში მიმფარტყული რაზმელები ტყვიების ბათქა-ბუთქს გაიგონებდნენ და ჯამოგვეშველებოდნენ, შეტევა ბინაში დარჩენილმა შეფიცულებმა შევაჩერეთ, ამ ცხარე ბრძოლაში სულ მთლად გამომნელდა სიცხეცა და ავადმყოფობაც ისე, რომ იმის შემდეგ ცოებას მე თავის დღეში აღარ გავუხსენებივარ.

ჩრდილო დასავლეთით მდებარე ეკლესიასთან ქაქუცა იდგა, რადგანაც იქით იყვნენ წასული რაზმელები. ისინი უკვე გულხეთქებით მორბოდნენ და ის მათ ანაწილებდა, საითაც საჭირო იყო. ჩემს ზურგს უკან ერთი ბილიკი ჩამოდიოდა; სამი კაცით ქაქუცამ ელიზბარი გაგზავნა იქით. ამ ბილიკზე ისინი ავლაბრის კომისარს შეეფეთნენ თავის მილიციით. მათ კომისარიც მოჰკლეს და კიდევ ორი მილიციონერიც, ხოლო დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ამ ქაქუცამ კიდევ სამი რაზმელი მიაშველა ელიზბარს და მან ექვსი [illegible] ზუსტად ის სიმაღლე დიკავა, [illegible] არაგვზე გადებულ ხიდს დაპყურებს. ახლა იმათ იქიდან დაუწყეს სროლა ხიდზე უკან მიმწყდარ მტერს და იქაც გამოუყვანეს წირვა რამდენიმე კაცის. ბოლოს მათ ამავე ხიდიდან გადაუძახეს მდინარეში მათი ტყვიამფრქვევიც.

თანდათანობით სულ უფრო და უფრო ფიცხელ ხასიათის იღებდა ბრძოლა, მით უმეტეს რომ საბოლოოდ ყველა შეფიცული ჩაება მასში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ქაქუცა რჩებოდა ერთად-ერთ ღია სამზნოდ და ისინი, ვინც ჩვენ გაღმიდან გვესროდნენ, თვალნათლივ ხედავდნენ, რომ ის არაფერს ეფარებოდა. მე იგი გავაფრთხილე, ამოეფარე-მეთქი რამეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც არ იშლიდა თავისას და საქმეში გართული კვლავ მოუფარებლად ტრიალებდა დაბალი რცხილის ქვეშ. უცებ ტყვიამ პატარა ტოტი მოკვეთა ზუსტად იმის თავთან. მაშინ ხელახლა დაეუყვირე გაბრაზებულმა: მანდ ნუ დგახარ-თქო. ახლა კი იკადრა გაგონება და ამოეფარა. მისი ამგვარი დაუდევრობის მიზეზი ის ყოფილა, რომ თურმე იგი აზრზეც არ იყო, თუ გაღმიდან გვესროდნენ.

რაც შემეხება მე, ამ ბრძოლაში ჩინებული მარჯვე ადგილი მეჭირა სამხრეთ დასავლეთით, ყორის კუთხეში იქ სვიმონ ყიფიანი მოვარდა ჩემთან, სათვალეები გაიკეთა და მომძახა: „აბა, საშა, საით ვესროლო“-ო. მე დავინახე, რომ ის მოტიტვლებულ ადგილს იღგა გაუფრთხილებლად, ხელი წავავლე, ჩემ მახლობლად დავაყენე და მეკუთითე: „აი, იქით“-თქო, და სვიმონმაც წამში აამუშავა თავისი იარაღი. ცოტა ხნის შემდეგ გვერდში ამომიდგა ახალგაზრდა ხევსური დათვია. მე ჰაასაც ვუთხარი, რომ გზისპირა ყორეს ამოფარებულთათვის აეტეხა სროლა. პირადად მეც მათ ვესროდი უმეტესწილად და, ამგვარად, ჩვენ ორი საშუალებას არ ვაძლევდით ყორეს ამოფარებულებს, რომ მიზანში ამოეღოთ ვინმე. რამდენი მათგანიც წა-

მოყოფდა თავს, იმდენს უპობდა ტყვია შუბლს იქვე!

თბილ'ზე წასული რაზმელებისგან შალიკო კანდელაკი და გიორგი გვერდწითელი, რომელთაც უკანასკნელებმა მოირბინეს, ქაქუცამ ძარღვენა ფრთაზე გაგზავნა მომხდურთათვის შესატევად. მტერმა ადვილად მიაკელი ინამთ და გიორგი ნიკაბში დაჭრეს, ხოლო შალიკო კი — ბარკალში. სამოლოო ჯაჭში, თუმცა ისინი ჩვენ გვიპირებდნენ რკალში მომწყვდევას. მაგრამ მათი ერთი ნაწილი ჩვენ მოვიქეცეთ ალაგში. ნელ-ნელა სროლა შეწყდა. ზოგნი დაიხოცნენ, ზოგნი კი ტყვედ ჩაგვივარდნენ, როდესაც სროლა მთლად ჩაწყდა. რამდენიმე კაცი იმათი მიმართულებით წავედით მოსასინჯად, მეტად სანიფთო იყო ყორის ის ნაწილი, რომელიც მათ ეკავთ; ამიტომ ძალიან ფრთხილად მოვსინჯეთ იქაობა: ზოგი მკვდარი, ზოგი დაჭრილი და ზოგი კი შიშით მობუზული გართხმულიყო მიწაზე. სათითაოდ ყველა მათგანს. მკვდარს თუ დაჭრილს, ტყვია ან თავში ჰქონდა მორტყმული ან მკერდში. ამის მერე მე და სერგო მაისურაძე არაგვის პირას გავედით, სადაც დავინახეთ, რომ იქ ერთ ბეკმობს ექვსი კაცი ამოფარებოდა. ისინი მუცლამდე წყალში იდგნენ, თოფები გადაეკარათ და მხოლოდღა ერთ ახალგაზრდა პატრუულს ეჭირა მაუზერი. დავუკვირე თუ არა ახალგაზრდას, გადმოაგდე-მეთქი მაუზერი. იგი მყის დაეშორნილა ჩემს ბრძანებას და შერეღა ამოვიყვანეთ ისინი წყლიდან. ამ მდევრისგან მოკლული იქნა თხუთმეტიდან ოც კაცამდე; ათითორმეტი დაიჭრა, ხოლო ტყვედ ჩაგვიგდეთ თხუთმეტი თუ თვრამეტი მათგანი. ამ ბრძოლაში ჩვენი მხრიდან სამოცდათუთი რაზმელი იღებდა მონაწილეობას მაშინ, როდესაც მათი მხრიდან ოთას ორმოცდაათი კაცი იყო თვით მათი ცნობით. ეს მდევარი წარმოადგენდა ნარევს, რომელიც შედგებოდა პარტიიელებისა, ორი მწყობრი რუსის ჯარისა და ავლაბრის კომისრისაგან, თავის მილიციით. აი, ეს ვაკბატონი თურმე დიდი კეეხნით წამოსულა, რომ ქაქუცა თავს ჩამოვიტანო, მაგრამ მოხდა ... რომ ვერც თავისი საკუთარი წამოიტანა!

ამ ბრძოლაში შემოგვემატა სამი ხეესური, რომლებიც გამგელებულნი იბრძოდნენ, და რამდენიმე ფშაველი, რომელთაგან ერთი, მიხა ხელაშვილი, მუდმივად დარჩა ჩვენს რაზმში. სამ ხეესურს შორის იყო ჩემი კარგი ნაცნობი ამიკა ჭინჭარაული, დიმიტრი ჭინჭარაულის სოფლიდან და მგონი, თვით მისი ნათესავიც, ამიკა ჩვენთან დარჩა რაზმში.

ამ ბრძოლაში ჩვენ დიდძალი იარაღი ჩაგვივარდა ხელში, რომელიც შემდეგ ფშაველებს გადავეცით.

●

დაკითხვის და გამოძიების შედეგად მათ შორის, ვინც ჩვენ ტყვედ ჩაგვივარდა, ექვსი კაცი უნდა დახვრეტილიყო. მაგრამ სანამ განაჩენს სისრულეში მოვიყვანდით, ჩვენ იმ დღესვე გამოვიცვალეთ ბინა და უფრო ზევით, ორწყალისკენ წავედით. ორწყალი ჭკვა იმ ადგილს, სადაც ხეესურეთისა და ფშაველს არაგვი ერიდება. მეორე დილითვე მე ერთი კაცით წავედი იმ მიდამოების დასათვალიერებლად. რაზმში უკან დაბრუნებისას დავინახე, რომ ელიზბარს, მიშა ნაცვლიშვილსა და კიდევ ორ რაზმელს ექვსი ტყვე მოყავდათ, როცა მოგვიახლოვდნენ, ელიზბარმა მითხრა: ამათ მოუარე; მე ახლავე დავბრუნდებიო. მე არ ვიცოდი რაში იყო საქმე, როგორც გამოირკვა, ჩემი იქ არ ყოფნისას ქაქუცას მათი დახვრეტა გადაეწყვეტია. გულახდილად უნდა ვთქვა, საშინლად მძაგდა კაცის დახვრეტა, მით უმეტეს ქართველისა. ასეთივე იყო ელიზბარიც. ამიტომ ქაქუცასთვის ნათხოვი მჭონდა, რაგინდ ბნელ საქმეზე გამგზავნე, ოღონდაც დაჭერილ კაცს ნუ დამახვრეტინებ-თქო. აი, რატომ მომატყუა ელიზბარმა! ბინაში რომ შევედი, მე მას წავედავე: რად მომატყუე; ის მაინც გეთქვა, რომ მათ დახვრეტა ჰქონდათ-

მეთქი გადაწყვეტილი. ელიზბარს მხოლოდ სიცილი წასკდა პასუხად

იმ დასახვრეტ ტესლებში ერია ის ჩეკისტიც, რომელსაც წინა დღით მაუხერი გადმოვაგდებინე წყლის ნაპირიდან. ალბათ ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა ეს მშვენიერი შესახედი ახალგაზრდა. იმან დინჯახა და გაიგონა კიდეც, რომ ელიზბარმა ტყვეები მე ჩამბარა. იგი მაშინვე გვერდზე ამეკარა და ლაპარაკი დამიწყო: ნუ დამხვრეტთ და თქვენთან წამოვალო. რამდენჯერმე გაიმეორა მან ეს სიტყვები. მე ვუპასუხე: არავინ არა გხვრეტავს-მეთქი. „როგორ არა"-ო, სთქვა თუ არა, უცებ გადმოხტა ჩემს მხარეს, სადაც კარაბინი მეჭირა იღლიაში, ხელი დაჭარა კარაბინის ლულას და იარაღის წართმევა მომინდომა. სიმარდე არც მე მაკლდა და, სანამ ის ჩემს კარაბინს ხელს ჩაავლებდა, ტყვია დავაბალე და იქვე გადაიქცა ის მშვენიერი შესახედაობის ახალგაზრდა ვეაკაკი. ამსობაში შეფიცულებმაც დაუშინეს დანარჩენებს და ადგილზევე ამოხოცეს ყველა მათგანი.

მე რომ ჩემი ტყვეიან განგმირულ ჯაბუკს გადავხედე, გული მომიკვდა და გავიფიქრე: „აი, რა უბედურებაში ჩაგვყარეს რუსებმაც და იმ მოღალატე ქართველებმაც, რომლებმაც რუსებს მისცეს ხელი და ამნაირად ძმას ძმას აკვლევინებენ"-მეთქი. სიმართლე უნდა ითქვას, თვით ქაქუცაც უკიდურეს შემთხვევაში თუ გადაუწყვეტდა ხოლმე ტყვეს დახვრეტას, რადგან მასაც დიდად ემძიმებოდა სიოცლის მოსპობა ადამიანისათვის! მაგრამ ის ჩეკისტი, რომელიც მე შემომაკვდა, კარგად სცნობია ერთ-ერთ რაზმელთაგანს; თურმე ის საძაგელი პიროვნება ყოფილი და ამდენად, თვითონ მკითხველმა განსაჯოს, რამდენადაა დასანანი...

ამის შემდეგ იქ აღარ დავყოვნებულვართ და იმავე დღეს გავემგზავრეთ ხევსურეთში. ჩვენი მოკავშირე ფშაველისგან გაგებული გვქონდა, რომ ვითომდა ოთხმოცი კაცისგან შემდგარი რაზმი მოდიოდა თიანეთის მხრიდან იმ მიზნით, რომ ორწყალის სიმაგრე დაეკავებინათ, რათა ჩვენ ხევსურეთში არ შეეღწევინა ორწყალი უთოსავით წამოწვდილი უზარმაზარი კლდეა. ამგვარად, ვინც კი მას დაიკავებს, თამამად შეძლებს გზის გადაკეტვას, რომ ხევსურეთში არავინ შეუშვას, ამიტომ, ქაქუცამ წინასწარ გაგზავნა ელიზბარი ხუთი კაცით, რომ მათ ის სიმაგრე დაეკავებინათ, ვიდრე იქ წოლების რაზმი მიასწრებდა თიანეთიდან. რა თქმა უნდა, ელიზბარმა კი დროულად დაიკავა ის სიმაგრე, მაგრამ არავის არავითარი ოთხმოცი კაცი არ უხილავს თვალით და ეს ცნობა მხოლოდდა სოფო ძალოს ჭორები გამოდგა!

ამგვარად, ჩვენ დაუბრკოლებრივ ჩავედით ხევსურეთის პირველ სოფელ ბარისახოში და იქვე დავბანაკდით. აქ ვცდილობდით დაგვეშალა, რომელი იყო ჩვენში ქაქუცა. რაც შეეხება იქაურ წარჩინებულ თავკაცებს, რასაკვირველია, ისინი მას იცნობდნენ: აბა, რანაირად შეიძლებოდა მისი პიროვნების ასე უნდობლად დამალვა მათ წინაშე!

სანამ ჩვენ იქ ჩავიდოდით, უკვე მთელმა ხევსურეთმა იცოდა ჩვენი ბრძოლის ამბავი მაღაროსკარში, ხევსურეთში ტელეფონი არ არის საჭირო; ერთი მთიდან მეორეზე გადაჰკივლებენ და ცნობა ელვისებური სისწრაფით ედება ყველა კუთხე-კუნჭულს! მართლაც საკვირველია, რანაირად ესმით, თუ რა გადასძახეს, რადგან მთიდან მთამდე ხომ ძლიან სწვდება ხმა. ბევრი კი ვეცადე, მაგრამ ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო იმათ საიდუმლოს. თვით ხევსურებს კი ხელად ესმით ერთმანეთისა და პასუხსაც იქვე იძლევიან.

ბარისახოსა და იმის რაიონებში ჩვენი მთავარი მოკავშირეები გოგოთური და აპარიკა იყვნენ. გოგოთური გახლდათ დაახლოებით ორმოცდაათ-ორმოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი, უაღრესად შეგნებული და ჭკვიანი კაცი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა პირაქეთ ხევსურეთში. შედარებით უფრო ახალგაზრდა იყო აპარიკა: დაუცხრომელი ენერგიის პატრონი, უაღრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი პატრიოტი, რომელიც კომუნისტებისა და რუსების დაუძინებელი მტერი გახლდათ.

ხევსურეთი სამ ნაწილად იყოფა: პირიქეთი, პირაქეთი და არხოტი. იმ ხანებში მთელი ხევსურეთი მოიცვა გამალებულმა საქმიანობამ: გოგოთური და აპარიკა გზავნიდნენ შიკრიკებს ყველა მხარეს. თანდათანობით იყრიდა ხალხი თავს და ამასობაში ჩვენც საგულდაგულოდ ვემზადებოდით, ვინაიდან ვიცოდით, რომ მაგარი ბრძოლები მოგველოდა.

●

სანამ დუშეთის მიდამოებში ვტრიალებდით, ჩვენთან ჩამოვიდა ზალიკო ფავლენიშვილი, პირველი ცხენოსანი ათასეულის ყოფილი ოფიცერი, რომელიც თავიდანვე თანაშემწედ ჰყავდა ამორჩეული ქაქუცას, თუმცა რაზმში არ იყო მაშინ, რადგან ჯერ კიდევ შეეძლო მოძრაობა ლეგალურად. ამის წყალობით, ის ქაქუცას დავალებით მუშაობდა ზოგიერთ რაიონებში, განსაკუთრებით მოხევეებში. აი, ამ უკანასკნელი ჩამოსვლისას ჩამოუტანა მან ქაქუცას ათ ასსროლიანი თოფი ავტომატი, რომელიც ერთი მეტრიც კი არ იყო სიგრძით. მას მაუზერის ტყვიებიც უდგებოდა. ამისთანა იშვიათი ავტომატი ორად ორი ცალი იყო მთელ საქართველოში, ისინი სომეხი ტერორისტებისთვის ჰკონდათ წართმეული და მე ეს თოფი წინათაც მჭონდა ნანახი.

დუშეთიდან ზალიკო ისევ თბილისში დაბრუნდა. თავის დროზე იქიდან იგი მოხევეებში უნდა წასულიყო. სადაც ჩვენ ხალხი გვყავდა მომზადებული, ხოლო მერე კვლავ ჩვენ უნდა დაგვკავშირებოდა, ბარისახოში კაცი მოგვივიდა ზალიკოსაგან: იგი დანიშნულ დროს, დათქმულ ალაგას, კაცის გაგზავნას თხოულობდა საიდუმლო ჰაკეტის მისაღებად და მოსალაპარაკებლად. ქაქუცამ მე დამნიშნა. მან თან გამაყოლა ხევსური, რომელმაც იცოდა ის ადგილი, სადაც ზალიკოს უნდა შეეხვედროდი. ცხენებით მივედი დათქმულ ადგილას, მაგრამ არავინ მოვიდა, დანიშნულ დროს კიდევ ორი დღე გადავამტკიცეთ ლოდინში, თუმცაღა ამაოდ. მე დღესაც არ ვიცი, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ მას ვერ შეეხვედი. ზალიკოს დავალებას შეადგენდა სამხედრო გზის შეკვრა, რომ რუსები არ შემოშვა საქართველოში. მერე კი, რახან მისი მოსვლის იმედმა ჩაილურის წყალი დალია, მე იქ მეტი ლოდინი აღარ შემეძლო და ხელცარიელი დავბრუნდი ბარისახოში.

იმ ხანებში დიდი მზადება მიმდინარეობდა ხევსურეთში. ახლოდგებოდა მათი დიდი უქმე — ხახმატის ჯვარობა. თარიღი აღარ მახსოვს. ვიცი მხოლოდ, რომ აგვისტოშია. მოწინავე ხევსურები მოითხოვდნენ, რომ ქაქუცა ნაწილი რაზმელებით მაინც წასულიყო ამ დღესასწაულზე, სადაც ხალხი მთელი ხევსურეთიდან იყრის თავს სალოცავად. ისინი მომზადებულნი მოდიან საკლავებით; იმართება ლხინი, ჯირითი და ნიშანში სროლა. გოგოთურს და აპარიკას სურდათ, რომ ქაქუცა პირადად ენახა ხალხს თავის რაზმით, რადგან ეს მათში აღფრთოვანებას გამოიწვევდა. ხევსურეთი კარგად იცნობდა ჩოლოყაანთ გვარს მამა-პაპიდან. იქ დღემდე ლეგენდად არის შემორჩენილი, რომ ჩოლოყაშვილები ხევსურთა ჩამომავალნი არიან. ამ ლეგენდის თანახმად, ბრძოლაში დაჭრილი ერთი სახელგანთქმული ხევსური მეომარი დაოჯახებულა; ამიტომ, „ჩოლოხა“ დაურქმევიათ მისთვის, ხოლო მეფეს კი თავადობა უბოძებია ქველობისათვის და ის ბარში გადაუსახლებია იქ, სადაც ჩოლოყაანთ ციხეა სოფელ მატანში. ასე და ამგვარად, როგორც ჩანს, ჩოლოხა ხალხს გადაუკეთებია ჩოლოყაშვილად.

აბდურაშმან ავტორხანოვი

სტალინის სიკვდილის საიდუმლო

(ბერიას შეთქმულება)

აბდურაშმან ავტორხანოვი 30-იან წლებში მუშაობდა სკკა ცენტრალური კომიტეტის აპარატში. 1937 წელს რეპრესირებული იყო, პატიმრობიდან განთავისუფლდა 1942 წელს, რის შემდეგაც მოსახლეობა იმიგრაციაში წასვლა, იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მან ხმა ნაჭრომთან ერთად საზღვარგარეთ გამოსცა „სტალინის სიკვდილის საიდუმლო“.

ამ წიგნში ავტორი გვთავაზობს თავის დაკვირვებებს სტალინიზმისა და ავტორიტარული რეჟიმის შინაგან მექანიზმზე.

მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ „სტალინის სიკვდილის საიდუმლოს“, რომელსაც ბალე გამოსცემს მოსკოვის ერთ-ერთი გამომცემლობა.

წინასიტყვაობა

საბჭოთა პარტოკრატიული პირამიდის მწვერვალზე ერთდროულად ვერ მოთავსდა ორი ბოროტი გენია — სტალინი და ბერია. ადრე თუ გვიან ერთ-ერთს უნდა დეეთმო თავისი ადგილი ან ურთიერთბრძოლაში ორივე უნდა დალუპულიყო. ერთიც და მეორეც თითქმის ერთდროულად მოხდა. წინამდებარე ნაწარმოები ეხება სტალინური მმართველობის ბოლო ხუთ წელს (1948—1953). ეს წლები იმ ისტორიული პროცესის რეკონსტრუქციის წლებია, რამაც სტალინიზმი შექმნა.

ტირანული რეჟიმის პირობებში პოლიტიკა ინტრიგათა დახლართვის ხელოვნებაა. კარისაცები ინტრიგებზენ, რათა ტირანს დაუახლოვდნენ, ხოლო ტირანი — რათა ისინი ერთმანეთს აუმხედრის, სისტემატიური კიბელობის პირობებს უკმნის, რითაც კარისაცებს მეუფის წინაალმდეგ შეთქმულების ორგანიზაციის საშუალებას ართმევს. მსგავსი ხასიათის ინტრიგებში სტალინსა და მის ხროვას ბადალი არ ყოფილა.

სტალინმა შემოიკრიბა ადამიანები, რომელთა ერთგულებაც ნაკარნახევი იყო არა საზოგადოებრივი იდეალებით, არამედ კარიერისტული მოსაზრებებით. ყოველი მთავანი სტალინისთვის იბრძოდა, რადგან სტალინი თვითონ არის ხელისუფლება, და ამ ხელისუფლების მოსასვლებლად მის წინააღმდეგ რომ არ გიერთიანებულიყვნენ, სტალინი თანამშრომლებს შორის ურთიერთ სიძულვილის ბადეს ქსოვდა. ამ მეთოდს კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა: როცა სტალინს თავისი ხროვიდან ვინმეს „გაბაღება“ სჭირდებოდა, ის ამას აკეთებდა დამბეზღებელთა წყალობით, სხვათა ენთუზიაზმისა და დანარჩენთა უსიტყვო თანხმობის პირობებში.

ბოლშევიკური მმართველობის ელიტას ატროფირებული ჰქონდა საკუთარი ნებისმიერ ელიტის ან თუნდაც საკუთარი თავის გადახარჩენად კოლეგიალური სოლიდარობის ელემენტარული გრძნობა. ამით ისარგებლა სტალინმა ერთპიროვნული ტირანის გზაზე, ამით ხარგებლობდა იგი ომის შემდეგაც. სანამ თავის მასწავლებელს ამ გადაკვრაში უნიჭიერესმა მოწაფემ — ბერიამ.

თუ სტალინური პოლიტბიუროს რომელიმე წევრი მოკვდა ან მოკვდება თავისი სიკვდილით, ამას მათ მიერვე მოკლულ ბერიას უნდა უმადლოდნენ: და თუ არ შედეს მერე, „ეეოუშანაზე“ უფრო სასტიკი „დიდი წმენდა“, და თუ ასეთელ ათასობით ადამიანი გადაურჩა ჩეკისტის ტყვიას, მილიონები კი საკონცენტრაციო ბანაკებს, კვეუანა ამას ისევ ბერიას უნდა უმადლოდეს, თუმცა ეს არ იყო მისი მიზანი. ეს მისი უნებური დამსახურება გახლავთ.

როცა სტალინმა „ახალგაზრდა გვარდიაზე“ (მალენკოველები), დაურწმენით თავისი „ძველი გვარდიის“ (მოლოტოველები) განადგურება გადაწყვიტა, ბერიამ პირველმა ამოიცნო მისი სტრატეგიული გეგმა — 20-იანი და 30-იანი

ნლების შაბლონის მიხედვით უნდა განადგურებულიყო პოლიტბიუროს ყველა წევრი: „ძველი გვარია“, „ახალგაზრდა გვარიაო“ მეშვეობით, „ახალგაზრდა გვარია“, „ვიდვიღეცებისა“, ხელით. მაგრამ სტალინი შეცდა. მას ახლა გარს ეხვია არა 20-იანი წლების იდეური მიამტები, არც 30-იანი წლების პოლიტიკური საჯურისები, არამედ მისივე კრიმინალური აზროვნებისა დ მოკმედების ნიმუშზე აღზრდილი სულიერი ორეულები, თუმცა თვით სტალინის კრიმინალური ხელოვნების სიმაღლეზე ერთადერთი ბერია იდგა. ღმერთმა სწორედ მაშინ ეუმდერია და დაუბნელა გონება სტალინს, როცა მისი რისხვა ბერიას შეეხო.

სტალინმა გაუფუჭარი წინდაუხედაობით გასცა თავისი თავი, როცა ფორშელრება პისკა კრემლის „ეკიპ-შეოკმეულთა“ ბრალდებას: საბჭოეთის უშიშროების უმაღლესი ორგანოების მთელი ჭალლისადმი „შეთქმულთა“ მაშვებაში ბრალის წაუყენა პირდაპირ ბერიას წინააღმდეგ. გამოსცა: იყო. ბერია ძალიან კარგად იცნობდა როგორც სტალინს, ისე თავის წინამორბედთა ბედს და არც დაუწყია ილუზიების შექმნა. სტალინს ახლა მისი თავი სჭირდებოდა, ხოლო ბერიას გადარჩენის სხვა გზა, გარდა ამისა, რომ თვით სტალინი დაეტოვებინა საკუთარი თავის გარეშე, არ ჰქონდა.

ასე მოეწყო სტალინიზმის წინააღმდეგ სარკოული უმაგალითო, შესარულების ტექნიკით ბრწყინვალე ბერიას შეთქმულება. შეთქმულების ორგანიზატორმა დაამტკიცა, რომ მან გადააკეთა სტალინს იმაში, რაშიც ის კორიფედ ითვლებოდა: პოლიტიკური მკვლელობის ორგანიზაციის ხელოვნებაში!

ბუნებრივია, სტალინის მთელი ძალაუფლება ბერიას ხელში გადავიდა. პოლიტბიუროს წევრებმა, რომელთა ბედსაც ახლა ბერია ... ნაგებდა, ძალაუფლების წართმევა ... ვიღეს, მოეწყო მეორე, თავისი ლენინობით განუმარტებელი შეთქმულება ბერიას წინააღმდეგ ხრუშჩოვის სელმძღვანელობით. ეს შეთქმულება თავისი ხასიათით ზუჩვიდან სრულიას ბგავდა. ახეთივე იყო ხრუშჩოვის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზაცია. — იმ სხვაობით, რომ ხრუშჩოვი ცოცხალი დატოვეს.

სტალინის, ბერიასა და ხრუშჩოვის წინააღმდეგ მოწყობილი სამივე შეთქმულება იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა რეჟიმს არ შეუძლია ხელისუფალი ლეგალური მეთოდებით შეცვალოს.

არა: ანბატარკტულ [საეკულიაციას] ან ხელოვნურ კონსტრუქციებს, არამედ არაპირაპირი მბრძანებლების ჯაჭვს, რომელსაც იურისპრუდენციაში სამბილს უწოდებენ, ახეთ დასკვნამდე მიეუყვართ: სტალინი მოკვდა შეთქმულების შედეგად. ეს შეთქმულება არ იყო ობპრიფაზეცია, ეს იყო ომის შემდგომი ტრაგედიის ბოლო აქტი, სადაც მსახიობებმა თითქოს როლები შეიცვალეს: დასაღუსად განწირულმა გმირებმა მოკლეს „უკვდავი“, რათა საკუთარი სიცოცხლე ეხსნათ, — ეს უდავო. სხვა საკითხია, როგორ მოკლეს სტალინი? კოლაფსი, როგორც პოლიტბიუროს სხდომებისაგან მიღებული ზოკის შედეგი, რომელსაც მავნებელური მკურნალობა დაერთო თუ ბერიასაგან მიღებული ხანგრძლივი მოქმედების ზზაი? ამ კითხვის პასუხსაც ჩემს მიერ შეგროვილი მასალები მკითხველის სამსჯავროზე გამომაქვს.

Ა. ავტორხანოვი

სტალინის „შიდა კაბინეტი“

სტალინის ტირანიის ერთ-ერთი საფუძველი მისი თავდაცვის არაჩვეულებრივი ინსტინქტი იყო, რაც თანამშრომლებისა და პირადი დაცვის უშეცდომო შერჩევაში გამოიხატებოდა. თუ სტალინს თავისი თანამშრომლის კანდიდატურის გარეშეა თავაზობდნენ, იგი ამ რეკომენდაციას არასოდეს ღებულობდა, თუნდაც მის უკან პოლიტიკური პოლიციის ან პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოები მდგარიყო. თავის შტაბს სტალინი პირადად აკომპლექტებდა. მხოლოდ სტალინმა უწყოდა თუ რა ნიშნით ირჩეოდა თანამშრომელი, რომელიც გამოსაცდელ პერიოდს სტალინის დავალებებსა და მისი უშიშროების მეთვალყურეობის ქვეშ გადიოდა. ის, ვინც ამ გამოცდას ამაბრუნებდა, სამუდამოდ სტალინის „შიდა კაბინეტის“ „ცოცხალი ინვენტარი“ ხდებოდა. ამ კაბინეტზე დაურწმუნიათ მოიკოვა სტალინმა ის უსაზღვრო ძალაუფლება, რომლის შესახებაც ლენინი თავის „ანდერძში“ აღნიშნავდა.

„შიდა კაბინეტს“, რომელსაც შიდაპარტიულ დოკუმენტებში „ამხ. სტალინის სამდივნო“ ეწოდებოდა, თავდაპირველად ხელმძღვანელობდა ძველი რევოლუციონერი ივანე პეტრეს ძე ტოვსტუხა. 1905 წლის რევოლუციამდე იგი სხვადასხვა, ერთმანეთთან დაპირისპირებულ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებში ტრიალებდა, — უმეტესწილად მენშევიკურში, ხოლო რევოლუციის დამარცხების შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნებულმა, მკვეთრად მოუუბია მარცხნივ. საფრანგეთში ემიგრანტად ყოფნისას, 1912 წელს ტოვსტუხა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პარიზის ლენინელთა ჯგუფში“ ჩაეწერა. ეს იყო მარჯვე და გამიდელი ეტაპი, რომელიც არ

იზიარებდა პოლიტიკური პრძოლაში „რაინდულ ცრუშორსშუნეობას“ (1912 წ.); პრაღის კონფერენციაზე ლენინის ხაზი — მენშეოიეტებთან საბოლოო განხეოკეოლება — მიეხადაო მის სულიერ მდგომარეობას. ტოვსტუხამ თავისი რევოლუციური კრიეის ლენინის საკმეს დადეკვაშრა. იგი სხვადასხვა ლენინურ გამოცემებში თანამშრომლობისას ამედლენედდა სანაკეგნო, ლენინს ეზრით „განსაკუთრებულ“ უნარს არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ლიტერატურაშიც. ტოვსტუხამ მოსკოვის ოქტომბრის გადატრანსლეებაში აჭკიური მონაწილეობა მიიღო და გამოჩენილ საბჭოთა მოღვაწედ იქეა, 1919 წელს კი სტალინმა იგი საბალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად მიიღო და თავისი კანცელარიის გამგედ დანიშნა.

(1921 წ.) პარტიის X ყრილობაზე ლენინმა „ხალეო მდგომარეობა“ შემოიღო (ჭეუფების, ფრაკციის, ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტიბიუროს ხაზის კრიტიკის აკრძალეა) და გადაეაეენა ცენტრალური კომიტეტის მთელი ძველი სამდივნო (ვერსენინეკი, პრეობრაეენსკი, სერებრიაკოვი,), რომელმაც პროფკავშირული დისკუსიის დროს ლენინის, ზინოვიეეის, სტალინის წინააღმდეგ ტრიბუკის და ბუხარინს დაუჭირა მხარი, სამდივნოს სათავეში ჩაედგა სტალინის დაწინაურებული მოლოტოვი, ბოლო მის თანაშემწედ რეკომენდაციი მისცა თავის მდივანს ტოვსტუხას. ამგვარად, მოლოტოვი და ტოვსტუხა, სტალინის „გენშდივნობამდე“ ერთი წლით ადრე, როგორც სტალინის ერთგული „სადაზვერვო რაზმი“, ცენტრალური კომიტეტის აპარატის სათავეში მოეკუნენ.

ტოვსტუხას შესახებ ამბობდნენ, ლენინის შრომები თვით ლენინზე უკეთ იცისო. სწორედ ამიტომ დანიშნეს იგი ლენინის თხზულებათა კრებულის გამოცემისას ხ. ბ. კამენევეის თანაშემწედ (1920 წლის IX ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად). ამ გარემოებათა ძალით, ტოვსტუხას ხელში აღმოჩნდა ლენინის არა მარტო გამოქვეყნებული ნაწარმოებები, არამედ მთელი მისი პირადი არქივი. მოგვიანებით, როცა სტალინი გენერალური მდივანი გახდა, ყველაფერმა, რაც ტოვსტუხას ფლობიდლობაში იყო, მის ხელში გადაინაცვლა.

ისარგებლა რა თავისი მდგომარეობით, სტალინმა ტოვსტუხა იძულებული გახადა პარტიულ-სახელმწიფოებრივი დანაშაული ჩაედინა, რისთვისაც ორივე ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდებოდა, ლენინი რომ კანმრთელი ყოფილიყო. საბედნიეროდ ეს ბრალდება ომის დროს ლენინის მიერ გერმანული ფულის ბილეთის ფაქტზე. ცნობილია, რომ დროებითმა მთავრობამ ლენინს ბრალი დასდო გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის. ... ... განეცალვან ფულის მიღებაში, რაზეეეც ... მა განაცხადა, რომ არაფერი სიერეო არ ჭკონია და არც ამგვარ აქეს განეცალთან, რომელიც პროკურატურის შეტყობინებაში მოხსენიებულია, როგორც ლენინისა და სტალოლმში გერმანიის მთავარი აგენტის — დოკტორ პარვუსის დამაკავშირებელი. 1917 წლის 22-26 ივლისს ლენინი პროკურორის შეხსენებ ენიდან: „პროკურორი პარვუსის „განეცალთან, ხოლო განეცალს ლენინთან მოკავშირეობაზეე თამამშრის, მაგრამ ეს პირდაპირ თაღლეთური ილეეთია, რადგან ეველამ იცის, რომ განეცალის პარეუსთან ჭკონდა ფულთან დაკავშირებული საქმეები, ხოლო ჩვენ განეცალთან არა ვეთანაო“ (ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 44, გვ. 41). პარტიაც ლენინის იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ დროებითი მთავრობა ლენინს ცილს სწამებდა პოლიტიკური მიზნებით. თუმცა, პარტიის ეიწრო ზედაეენენამ იცოდა ის, რაც ამდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პუბლიკაციიდან მოელმა მსოფლიომ იცის („Oxford Vniversity Press" (Germany and the Revolution in Bussia 1915-1918, ed. Z. A. Zeman).). ცერძოდ: ლენინმა ნამდვილად მიიღო მრავალი მილიონი რუსეთში რევოლუციის ორგანიზაციისათვის, რათა ამით რუსეთი ომიდან გამოთიშულიყო. გამოცმადებულიეეე

ნენ და, ბუნებრივია, იცოდნენ, რა თანხებით იცემოდა ეს გაზეთი) კარგად უწყოდა ამ კავშირის შესახებ.

მაგრამ აი, 1922 წლის ბოლოდან სტალინი ავადმყოფობ ლენინისაგან არასანდამოვნო ცნობებს ღებულობს: თავის სტატიაში „ნაციონალური რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" შესახებ, ლენინი სტალინს „ეროვნულად დერეფნიერად" უწოდებს. ამას გარდა, ლენინის „ანდერძში" აღინიშნა, რომ სტალინმა ხელში ჩაიგდო განუსაზღვრელი ძალაუფლება და რომ იგი არ მოერიგება ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. ამას დაემატა 1923 წლის 4 იანვრის წერილი, პარტიის მოძველებული XII კონფერენციიდან სტალინის „ეგზემპლიარიდან" მოხსნის თაობაზე. დაბოლოს, სტალინისადმი ლენინის პირადი წერილი მასთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ (1923 წ. მარტი). (ყველა ეს დოკუმენტი XX კონფერენციის შემდეგ „ტანადნა ლენინის თხზ. სრულ კრებულში, გვ. 45). ახლა სტალინმა კარგად იცოდა, რომ ლენინის გამოკვანძრულების პირველი ფიდე ენმდინარის თანამდებობაზე მისი ყოფნის ბოლო დღე იქნებოდა, მაგრამ ლენინის წინაშე კანონტერიბაზე წამითაც არ უფიქრია. სტალინმა გადაწყვეტა შეტევაზე გადასვლით დაეცვა თავი. სწორედ ეს გამოადგა მას ტროცკიზმზე. ტროცკუნამ ლენინის პირად ბრეშნი მოიძია ბოლშევიკთა ლიდერის, როგორც ეროვნული ფეტის, მადისკრედიტირებელი დოკუმენტები. ასეთი ხასიათის ჭალილდები უთუოდ ბევრი აღმოჩნდებოდა, მაგრამ სტალინმა გადაწყვიტა, გამოეყენებინა სწორედ ის მასალები, რომლებიც ამხელდნენ ლენინის განცხადების სიცრუეს იმის თაობაზე, რომ მას განეცალისაგან არავითარი თანხა არ მიუღია და რომ საერთოდ არ ჰქონია მასთან კავშირი. სტალინის დავალებით ტოვსტუნამ გამოაკვეთა ორი წერილი: 1) 1917 წლის 12 აპრილს ლენინი პეტროგრადიდან სტოკჰოლმში განეცალია და რადეკს სწერს: „ძვირფასო მეგობრებო! აკამდის არაფერი, სრულიად არაფერი არც პაკეტები, არც ფული თქვენგან არ არის მიღებული... იყავით განსაკუთრებით აკურატული და ფრთხილი ურთიერთობებში"; 2) 1917 წლის 21 აპრილს ლენინი განეცალს წერს: „კოზლოვსკისგან ფული მივიღეთ (კოზლოვსკი — პეტროგრადელი ადვოკატ-ბოლშევიკი, შემამავალი სტოკჰოლმ-პეტროგრადის სადაზვერვო ფირმებს შორის — ა. ა.)... მთლიანად გამოიხს თხუთმეტამდე ბოლშევიკური გაზეთი" (ეს „ანგარიშია ფულის მიმცემის წინაშე. — ა. ა.). ეს ორი წერილი გამოქვეყნდა: (1923 წ. სეკტემბერი, № 9), რა თქმა უნდა, ლენინთან შეთანხმების გარეშე ეურნალში „პროლეტარული რევოლუცია", რომელსაც თავად ტოვსტუნა რედაქტორობდა. პუბლიკაციის მორალი ასეთი იყო: მუდმივი ეშმაკობა, ტერმანიის აგენტი და მატუფარა ... პარტიისა და რსდმპ ცენტრალური კომიტეტისგან დაფარულად ეერმანელებისაგან ღებულობდა ფულს. ახლა მას სურს მუდმივი ორგანიზატორისა და რუსეთის იარაღ-კეფეზ ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელის კობა სტალინის ლიკვიდაცია. ბუნებრივია. ამ პუბლიკაციამ ლენინისა და მისი ახლოსლების აღშფოთება გამოიწვია... ტოვსტუნას წინააღმდეგ. რომ არ გასხნილიყო ამ ანტალენინური ინტრიგის მთელი მეკანიზმი, სტალინი იძულებული გახდა ტოვსტუნას შელეოდა. იგი ცენტრალური კომიტეტიდან განთავისუფლებულ იქნა. მისი ადგილი ა. ნ. პოსკრებიშევმა დაიკავა. ტოვსტუნას უოფილი თანამეგზავრს პოსკრებიშევის სახით, სტალინმა საკმის ღირსეული გამგრძელებელი ინოვა. ალეკსანდრე ნიკოლოზის ძე პოსკრებიშევი თითქმის მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში იყო სტალინის მეორე „მე". ამ „კანცელარიტის" ძალაუფლების მაშტაბებზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ გარკვეული დროის შემდეგ პირველ „მესთან" — სტალინთან მისასვლელი გზა მეორე „მეზე" — პოსკრებიშევზე გადიოდა. იგულისხმება არა სტალინის კანონტრაბანდა (თუმცა ესეც პოსკრებიშევის კონტროლს ექვემდებარებოდა), არამედ მისი ბაზრავნების ლაბორატორიაში შედწევა. როცა ცენტრალური კომიტეტის და თვით პოლიტბიუროს წევრებს სურდათ გეგეთი თუ რას ფიქრობდა ან როგორ იფიქრებდა სტალინი, ისინი პოსკრებიშევის აზრს ეეზოლობდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ თვით სტალინი „მთავარს" უწოდებდა მას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოსკრებიშევი კარნახობდა, როგორ უნდა ემოქმედა სტალინს ამა თუ ან სიტუაციაში. მაგრამ იგი თითქმის ყოველთვის წინასწარ ხვდებოდა, როგორი იქნებოდა ეს მოქმედება და გავლენასაც ახდენდა მასზე.

პოსკრებიშევი ცენტრალურ კომიტეტში სწორედ ამ დროს მოვიდა, როცა სტალინი ვენმდგომენი გახდა და ძველი, ტროცკისტული ცა-ნა ბანუფოთვებასა და ახალი, სტალინური ალპარატის შექმნას შეუდგა. პოსკრებიშევი სტალინზე 12 წლით უფროსი იყო, მაგრამ უკვე ბნიშვნელოვანი „დამსახურებანი" გააჩნდა: პოსკრებიშევმა, როგორც ბარანჩინის „სოციეპის" თავმჯდომარემ და ეკატერინოგრადის „სოციეპის" წევრმა, 1918 წ. 16 ივლისს ხელი მოაწერა ნიკოლოზ II, მისი მეუღლისა და მცირეწლოვანი ბავშვების დახვრეტის განაჩენს. გაიარა რა პირველი რევოლუციური ნათლობა მეფის ოჯახის მკვლელობით, პოსკრებიშევმა აირჩია ჭალათის პრო-

ფესია. დასაწყისში, როგორც თურქესტანის საგანგებო კომის ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა, თურქესტანის „ბურჟუაზიული ნაციონალისტების“ მოსპობაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ, როგორც კ. ზლატოუსტის და უფის საგანგებო რეკომის თავმჯდომარე, ადმირალ კოლჩაკის მომხრე ციმბირელ ჯლეზის ფიზიკურად ანადგურებდა.

მალე გაირკვა, რომ პოსტერნშეკი არის არა უბრალო დამსჯელი, არამედ, დიდ უნარით დაჯილდოებული პარტიული ორგანიზატორი, სწორედ ამიტომ დაინიშნა პარტიის „უფის „გუბკომის“ საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. ხიდანაც წამოიყვანა იგი სტალინმა ცენტრალური კომიტეტის კანცელარიაში. ყმაწვილი თავისი „პატრონის“ თვალწინ ჩამოაყალიბდა მელოდ. გასიებული. გულღვარძლიან, ყოველისშემძლე მოხეცად.

II. ყრილობას ხრეშჩოვმა აუწყა, რომ სტალინი თავის გვერდით ითვლიდა ერთადერთ ადამიანს — „თავის ერთგულ საბუნებელმტერესველს — პოსტერნშეკს“. წიგნში „ხრეშჩოვი იგონებს“ ავტორი აზუსტებს ამ დახასიათებას: „პოსტერნშეკი, „სტალინის ურთიერთები ლეკი, ან იყო სული და თავის ხელში ისეთ ძალაუფლებას მოუყარა თავი, რომ გაიბღინძა კიდეც. იგი, კეფაჩალობდა ყველას ენაზე და დაუფარავად უსვამდა ბაზს თავის სიძულვილს პროზიდიუმის (პოლიტბიურის) ყოველი წევრისადმი, რომელიც ადარ სარგებლობდა სტალინის კეთილგანწყობით. მაგალითად, იგი ბორობად უღრენდა ბოლოტნიკოვ და ბოგოიანს მას შემდეგ, რაც მათ სტალინი შეიმენეს. პოსტერნშეკი ეშინოდა ადამიანად აკრძალული იყო. იგი სტალინთან ახლოს იმყოფებოდა, ისინი წყალობისთვის ჩვენზე ადრე გებულობდა, ვის ბიადგა სტალინური ეშვინა და უკმაყოფილების ჩრდილი. ამიტომ ითვლებოდა, რომ ის, ვის წინააღმდეგაც ამბეგრდებოდა პოსტერნშეკი, მორიგი მსხვერპლი იყო“.

ამის გაგება თუ როგორ თამაშობდა ეს ოდენ დიდ როლს ადამიანი, რომელიც არც პოლიტბიუროს, არც ცენტრალური კომიტეტის წევრი არ ყოფილა, მხოლოდ სტალინის პირად ძალაუფლების მექანიზმის ანალიზით არის შესაძლებელი.

თუ სტალინის ბიოგრაფი არ გააანალიზებს სტალინის „შიდა კაბინეტს“, რომელიც შედგებოდა „ამს. სტალინის სამდივნოსა“ და „ვანსაკეთრებული სექტორისაგან“, ვერ გაიგებს რაში პიროვნული დიქტატორის ჭეშმარიტ ფუნქციონალური წარმატების საიდუმლო.

„შიდა კაბინეტი“ სტალინის უმნიშვნელოვანესი გამოგონებაა, რომელიც ჯერ კიდევ ლენინის ხანაში ჩამოყალიბდა. „შიშის ადამიანად“ ბელ დიქტატორად ითვლებოდა არა ერთი, ორი, არამედ კოლექტივი — პოლიტბიუროს გამოგონების ფუნქციონალური მოგმარიობა. ამაში, რომ პიროვნული დიქტატურა შენიღბული იყო ყოველგვარი გარეგნული გამოყენისგან. ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს წევრები ვერ ხედავდნენ სტალინის ვერავითარ „ბრძანებებს“, იყო მხოლოდ ტექნიკური კანცელარია, რომელიც ჩვეულებრივი ტექნიკური ინსტიტუციებისგან შედგებოდა. თუმცა ლენინს სტალინის „კანცელარიაში“ ამოოცითხა რაღაც უფრო მეტი: „ამს. სტალინმა, გახდა რა გენერალი, თავის ხელში განუყარეს ძალაუფლებას მოუყარა თავი“ (ლენინი, ოხმ. სრული კრებული, ტ. 45, გვ. 345-348). გაიაზრა რა, თუ როგორ შეიძლებოდა გამოეყენებინა სტალინს ეს „განუსაზღვრელი“ ძალაუფლება, 1928 წლის 4 იანვრის ზემოთ აღნიშნულ „ანდერძში“ ლენინი მოითხოვს სტალინის გენერალური მდივნის თანამდებობიდან გადაყენებას. სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ სტალინი შენიღბვის დიდოსტატი იყო. პოლიტბიუროს წევრებმა იმდენად დაიჯერეს სტალინისა (ტროცკი: „სტალინი სახელმძღვანელი ფენომენია“), რომ ლენინის მოთხოვნა მისი ადგილიდან გონების ფუნდამენტად შერაცხეს.

„პირადი კაბინეტის“ იდეას სტალინი უთუოდ ნიკოლოზის ეპოქას დასესხებს. დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ, თავისი მთავარი დასაყრდენი — თავდაზღვარობით იმედგაცრუებული ნიკოლოზ პირველი ბიუროკრატიას დაეყრდნო. პირველი ნაბიჯი იყო „მისი უდიდებულესობის, იმპერატორის პირადი კანცელარიის“ შექმნა, რომელიც ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პირადი „პირველი განყოფილება“ და „მესამე განყოფილება.“ „მესამე განყოფილებაში“ თავმოყრილი იყო პოლიტიკური პოლიციისა და ხელფაფარმი კორპუსის ხელმძღვანელობა. რაც ბოლშევიზმის მთავარმა საყრდენმა — ძველმა ბოლშევიკურმა ელიტამ სტალინს იმედი გაუჩინა, მან მისი გადაგდებება გადაწყვიტა, ოთა შეეკმნა ხელისუფლების ახალი საყრდენი ახალი პარტიული ბიუროკრატიისაგან, რომელსაც შემდეგ პარტაპპარატისტებს უწოდებდნენ. ლენინის ცნობილი ფორმულა: „მოგვაეცით რეოლუციონერთა ორგანიზაცია და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს“ — სტალინმა სიბეჯითე რუსეთში გამოიყენა: „კადრები სწყვეტენ ყველაფერს!“

ახალი კადრების შერჩევა დავალებულნი ჰქონდ „შიდა კაბინეტის“ ორ წევრს: ეიოს და მალენკოს.

„შიდა კაბინეტის“ როლის გასაგებად უნდა

ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა მისი ორი შემადგენელი ნაწილი: „ამბ. სტალინის სამდივნო“ და „ცკ-ის განსაკუთრებული სექტორი.“

სამდივნოს, ორგბიუროს, პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის არც ერთი გადწყვეტილება, სხვ. უმაღლესი სამეთო არც ერთი ბრძანებულება არ მიიღებდა „ამბ. სტალინის სამდივნოში“ განხილვის გარეშე. ამიტომ ეს სამდივნო წარმოადგენდა სტალინის „შიდა კაბინეტის“ ნაწილს, რომელიც როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში მაღლეკვალიფიციური ჩინოვნიკ-ექსპერტებით იყო დაკომპლექტებული. — ახეთი იყო „პირველი განყოფილება“ სტალინის პირადი კანცელარიისა.

სტალინური „შესამე განყოფილება“—„ცკ-ის განსაკუთრებული სექტორი“, რომელიც ემორჩილებოდა იმავე პოსკრებიშევს, დიქტატორისა და დესპოტიზმის ისტორიაში უარეცნენდენტო ორგანიზაცია იყო (საკმარისია აღვნიშნოთ, რომ „ბისკაკურებულ სექტორში“ დაწინაურდა სახელმწიფო უშიშროების სამეფე მომავალი მინისტრი — ბაბაკეოფი, მერკულოვი და სეროვი). „განსაკუთრებული სექტორი“ სტალინის პირადი პოლიტიკური პოლიციის სისტემის აღმნიშვნელი სიტყვიერ კოდს წარმოადგენს.

„განსაკუთრებული სექტორის“ შესახებ პირველი ინფორმაცია პარტიულ დოკუმენტებში 1934 წელს გამოჩნდა, მაგრამ დოკუმენტებში გაშიფრული არ იყო მისი ფუნქცია. აქ იყო ორაპარდაპირი მინიშნებები, რომ ეს უბრალოდ, უწინდელი ცენტრალური კომიტეტის „სიიდუმლო ქვეგანყოფილებაა“, რომელიც ახლა „განსაკუთრებული სექტორი“ ეწოდა. მაგრამ უწინდელი „სიიდუმლო ქვეგანყოფილება“ სრულიად ნორმალური სამსახური იყო, რომელიც პარტიული კადრების პიროვნულ აღწერას აწარმოებდა და პარტიისა და სახელმწიფოს სიიდუმლო დოკუმენტებს ინახავდა. რადგან ეს ფუნქციები ნამდვილად გადაეცოდა ახალ სექტორში და პარტკაპატის სისტემაში ძველი „სიიდუმლო ქვეგანყოფილებები“ ახლა ცენტრალური კომიტეტის ნაოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური კომიტეტების „სპეცსექტორებად“ იწოდებოდნენ, ეველა ფიქრობდა, რომ მიხდა უბრალოდ სახელების შეცვლა და მეტი არაფერი.

1935 წელს, ცენტრალური კომიტეტის მაინის პლენუმზე, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატ ჭერნოვ იაგოდან და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანმა ახეილ ენუკიძემ პლენუმს მოახსენეს ისეთი ფაქტები, რომელთა მნიშვნელობაც კარგად თვითონაც არ იცოდნენ.

ეი, რაში იყო საქმე: კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებით დაიწყო პარტიისა და მთავრობის უმაღლესი დაწესებულებების ფაქტიური წმენდა. მაშინ დაატყობინეს ენუკიძეს ლაპარაკობდა, ჯერ მხოლოდ მთავრობის დაწესებულებებიდან „სოციალურად უცხო ელემენტების“ დათხოვნა ხდებოდა. — ცკ-ის სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა კრემლის შტაბი. კრემლში ცხოვრობენენ და მუშაობდნენ: პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები თავიანთი ოჯახებით, საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სკოლის „ყურსანტები“ (სინამდვილეში დაცვის ბატალიონი, რომელსაც „სტალინური ბაბალიონი“ ეწოდა) პარტიისა და მთავრობის უმაღლესი დაწესებულებების, კრემლის მუზეუმის მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალი...

ცენტრალური კომიტეტის კომისიამ მაინის პლენუმს მოახსენა, რომ კრემლის ტექნიკური პერსონალის უმრავლესობა „ელსაბრძოვად უცხო ელემენტია“. ბევრი მათგანი ნიკოლოზ II დროს სასახლეებს და კრემლის ღირსშესანიშნაობებს ემსახურებოდა. კომისიიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დუდგენრობაში დასდო ბრალი, ხოლო სსრკ ცკ-ის სამდივნოს, რომელიც ამ პერსონალის დანიშვნის და განთავისუფლების საქმეს განაგებდა, — ფორმალიზმში.

ენუკიძემ ბრალდება უარყო ამ მოტივით, რომ ადამიანები, რომელთაც კრემლს ემსახურებიან, თვით ლენინის მითითებით დატოვეს, როგორც „ბურჟუაზიული სპეციალისტები“ (რადგან მხოლოდ მათ შეეძლოთ კრემლის ღირსშესანიშნაობათა მოვლის ორგანიზაცია). ხოლო რაც შეეხება ახალ თანამშრომლებს, მათ ნიშნავდა ცკ-ის „განსაკუთრებული სექტორი“. იაგოდა და ენუკიძე მხოლოდ აფორმებდნენ მათ.

ეს განცხადება პლენუმისთვის სრულიად ახალი ამბავი აღმოჩნდა: კრემლის მოსამსახურეთა შემოწმება ხდება არა შსსკ-ის, არამედ კრემლის კომენდანტის მიერ, რომელსაც განაგებს არა იაგოდა, არამედ „განსაკუთრებული სექტორი“! ასე გაიგო პირველად ცკ-ის პლენუმმა, რომ სტალინს თავისი პოლიტიკური პოლიცია შეუქმნია, რომელიც არ ემორჩილება სახელმწიფო უშიშროების ორგანოს.

თანდათან გაირკვა „განსაკუთრებული სექტორის“ საერთო ფუნქციებიც: კრემლის, სტალინის ადარაკების და მასთან მიბასწელი გზების დაცვა, სტალინის საკუთრებელი ზედაბუდეველობა, კონტროლი სტალინის სამედიცინო მომსახურებაზე), ასევე პოლიტიბიროს და მთავრობის წევრთა უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზაცია.

„განსაკუთრებული სექტორის“ უმთავრესი ფუნქცია მდგომარეობდა არა იმდენად პოლიტბიუროსა და მთავრობის „ხალხის მტრე-

ბისაგან" დაკავში (ჩვენ ვიცით, როგორ „იცავდა" სტალინი ეროოს), რამდენადაც მოსალოდნელი შეიქმოდა ბასაგან თვით სტალინის დაცვაში. ამიტომ იყო, რომ „პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობას" არა მარტო არ ჰკონდა უფლება თვითონ შეერჩია თავიანი დაცვა, არამედ მათ შინაბოსამსახურებს, ექთნებს, მებადილებსა და პარიკმახერებსაც კი „განსაკუთრებული სექტორი" ნიშნავდა.

ცკ-ის ომავე პლენუმზე გახდა ცნობილი „განსაკუთრებულ სექტორთან" „ტერროსტრაციის სამსახურის" არსებობა. მას ცკ-ის და მთავრობის მიწერ-მოწერაზე უფრო მკაცრი ცენზურა ჰქონდა დაწესებული, ვიდრე მეტრონიმის ცნობილ „შავ კაბინეტს" ავტორია-უნარეული მთავრობის წევრთა ფოსტაზე.

უკვე ადვნიშნე, რომ „განსაკუთრებულ სექტორს" გააჩნდა თავისი ჯსელი — სალეკო, სამბარეო და რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტების „სპეცსექტორები." „სპეცსექტორების" უფროსებს უშუალოდ ცკ-ის „განსაკუთრებული სექტორი" ნიშნავდა და ფორმალურად ემორჩილებოდნენ ზემოთ აღნიშნული კომიტეტების პირველ მდივნებს. პარტიული კომიტეტების ზონობებში „სპეცსექტორებს" იზოლირებული ნაწილი ეკავათ, სადაც მხოლოდ პირველ მდივანსა და საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ჰქონდა შესვლის უფლება. ყოველი „სპეცსექტორის" უფროსს „ყავდა სპეციალური შტატი, რომლის ცენტრალურ კომიტეტთან კავშირის კოდიც ხშირად იცვლებოდა — ზსსკ-ის სპეციალურ საფელდეგერო სამსახურს განსაკუთრებით საიდუმლო დირეკტივებისა და ინფორმაციის მოსკოვში ჩატანა და მოსკოვიდან წამოღება ევალებოდა.

„სპეცსექტორის" უფროსი აგენტურასაც განაგებდა, აგენტები პარტიულ ენაზე „პარტინფორმატორად" იწოდებოდნენ და მოეცა-მული ოლქის ან რესპუბლიკის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ჯაშუშობდნენ. კიდევ ერთი დეტალი — ბიუროს ხსდომებზე ოლქის შემდგენელი მდივნის მოვალეობას ყოველთვის „სპეცსექტორის" უფროსი ასრულებდა. ამგვარად, „განსაკუთრებული სექტორის" ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს ემატებოდა „სპეცსექტორების" ანალოგიური სადაზვერვო სამსახური ადგილებზე. ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ, როგორც სალეკო, ისე „დიდი ბელადებიც".

რა თქმა უნდა, ამ მოვალეობას ზსსკ-იც ასრულებდა, რომელმაც 1935 წლიდან დაიწყო პარტიაში საკუთარი სეკსოტური ჯსელის შექმნა (ლენინის ამის წინააღმდეგი იყო, რადგან თვლიდა, რომ ყოველი კომუნისტი შტატგარეშე ჩეკისტია). მაგრამ სტალინის აზრით, ადგილობრივი ჩეკისტები საკუთარ ტერორს ახორციელებენ დაახლოებულ-ნაცნობებსა, ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობასთან, რის გამოც ცენტრში დროზე ვერ აწყდებიან ცნობას ადგილობრივი „ხელპარტიზანის" შესახებ. რაც შეეხება „განსაკუთრებულ სექტორს" იგი არავისთან არ იყო და კავშირებელი და მხოლოდ მოსკოვს ემორჩილებოდა. პრაქტიკულად „განსაკუთრებულ სექტორს" ეკვემდებარებოდა არმიის სადაზვერვო ჯსელი („განსაკუთრებული განყოფილება", „პოლიტგანყოფილებები" და ზსსკ-ის „საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილებანი") ხელმძღვანელებიც კი.

პარტიის ელიტაში იდეალურად ორგანიზებული შპიონური სტალინს საშუალებას აძლევდა, სადაც უნდა ყოფილიყო, ზუსტად და აუშეცდომოდ ცოდნოდა, რას ფიქრობდა და რას აკეთებდა ნებისმიერი მისი „თანამებრძოლი" ცენტრში თუ ნებისმიერი ხალხის პროვინციაში. სტალინს არასოდეს არ შეეშინებოდა ის, რაც, მაგალითად, ხრუშჩოვს შეეშინა 1964 წლის 13 ოქტომბერს კ. სოკშნი. ლიკალის ერთი დაკერილი სტალინი ითლად ააფეთქებდა პოტენციურ შეთქმულთა საკრებულის ჯერ კიდევ შეთქმულებამდე.

თავისი რეჟიმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკმაზი სტალინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკური პოლიციის ორგანიზაციას. აკ სტალინი მაკიაველის პრძანულ შეგონებას იზიარებდა: „უშიშრობის მხოლოდ ის ზომებია კარგი, საიმედო და ხანგრძლივი, რომლებიც მხოლოდ შენზე და შენს უნარზე არიან დამოკიდებულნი." ბოლშევიზმის ლიდერთაგან არავის, ლენინის ჩათვლით, არ ჰკონდა მსოფლიოში საუკეთესო პოლიტიკური პოლიციის — შეკის პოლიციის ძლიერი და სუსტი მხარეების პრაქტიკულად შესწავლის სტალინისოდენა გამოცდილება. სტალინმა ხომ თავისი რეკოლუციამდელი ბიოგრაფიის ოცდათვრამეტი წლიდან ოცი წელი პოლიტიკური პოლიციის მოკმედების სფეროში გაატარა: იგი ან პატიმარი იყო ან ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა (ზვიდჯერ დაპატიმრეს და ზუთჯერ გადასახლეს).

სტალინი ლენინის რეცეპტით შექმნილი „პროფესიონალი რევოლუციონერი" იყო, ლენინი კი ამბობდა რომ პარტიის „პროფესიონალებმა რევოლუციონერებმა" კონსპირაციული ტექნიკის ხელოვნებაში უნდა ჯოჯონ თავის მგერს — რუსულ საიდუმლო პოლიციასო. სტალინი-კობა სწორედ ასეთი „პროფესიონალი რევოლუციონერი" იყო და მან საკმით დაამტკიცა თავისი უპირატესობა პოლიციაზე, როგორც შეიარაღებული ძალაცვების ორგანიზატორმა კავკასიაში (მათ რიცხვშია თბილისის

საბჭოის ცნობილი შეიარაღებული ძარცვა 1907 წ.), რომლის დროსაც მრავალი ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა. ამ ძარცვის შედეგად კობა-სტალინმა საზღვარგარეთ ლენინის საფარიანში გაგზავნა 800 000 მანეთზე მეტი. მას შემდეგაც კი, რაც ძარცვებთან დაკავშირებით, დაპატიმრებული იქნა სტალინის უშუალო დაბმბარე — ხიმები კამო და სხვა მონაწილენი, სტალინი ეშვიბოტანელი დარჩა, რაც ნიშნავდა, რომ პოლიციურ ტექნიკას სტალინი თვით რუსულ პოლიციაზე უკეთ ფლობდა.

სრულიად ბუნებრივია, რომ, როგორც 1912 წლიდან ცკ-ის წევრი, რუსეთის ბოლშევიკური პარტიის მთელი კონსპირაციული მეკანიზმის სათავეში სტალინი იდგა. ასევე ბუნებრივია, რომ სტალინი იყო ცკ-ის პოლიბიუროს ერთადერთი წევრი, რომელიც ოქტომბრის გადატრიალების წინა დღეს შეიღუკვანენ ჟანენების კონსპირაციული ცენტრის შემადგენლობაში — „სამხედრო რევოლუციურ ცენტრში." გადატრიალების წარმატებით განხორციელებისთანავე ჩამოყალიბდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია. სტალინი, როგორც ცკ-ის წარმომადგენელი, კომისიის მმართველი კოლეგიის შემადგენლობაში შევიდა. ამ საბჭოები დაწესებულების შექმნის პირველი დღიდან, სტალინს, თავისი საკადრისის დღემდე, ხელიდან არ გაუშვია მისი მართვის სადავეები.

სტალინი რამდენადაც თავის პირად უსაფრთხოებას სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან აიგივებედა, მიეიდა დასკვნამდე, რომ მმართველობის საბჭოთა სისტემის სიმტკიცე მისი პირადი ძალაუფლების სიმტკიცის და უფლებების შედეგია. აჭედან დაიბადა ცკ-ის სისტემაში სრულიად უწესიანი „ამხ. სტალინის სამდივნოს", ანუ სტალინის პირადი კანცელარის ორგანიზაციის იდეა, რისი წყალობითაც ცკ-ის აპარატის ტექნიკური ორგანო, პრაკტიკულად, ცენტრალურ კომიტეტზე და სახელმწიფოზე მაღლა იდგა. ეს ერთ დღეში არ მომხდარა: სტალინის ტექნიკური კანცელარიის პარტიაზე გაბატონების პროცესი 15 წელიწადს გრძელდებოდა (1922—1937).

ომის პერიოდში, ...როცა სტალინმა დროებით უარი თქვა ყოველგვარ ძალაუფლებაზე, „შიდა კანონები დაუშარალდა", რისი წყალობითაც პოლიტბიუროს და ცკ-ის სამდივნოს კვლავ დიაბრუნა წესდებით განსაზღვარული ძალაუფლება. მაგრამ გარდაბეგისა და ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სტალინმა ვადაწყვიტა კვლავ დაბრუნებოდა სახელმწიფოს მართვის ფეელ პრაკტიკას. თუმცა მაღე დარწმუნდა, რომ ეს არც ისე იოლი საქმე გახლდათ: უპირველესად ბერიასა და მალენკოვის გაზრდილი უფლებების გამო. სხვა ეტაპზეც, შემდგომი აბერსფეროდ: ომმა, გაზარდა და ჰაბოალალმა სხვაგვარი ადამიანებიც, რომელ სტალინი არ იქნებოდა სტალინი თუკი იგი თავისი მზაკვრული ნება-სურვილის აღსრულებას არ ეცდებოდა.

სტალინმა სიძმიანის ცენტრი, ინსტიტუციიდან („შიდა კანონები") დროებით, პიროვნებებზე გადადატანა. იგი სახელმძღვანელი პოსტებიან ხსნიდა „პოლიტიკოსებს" და პირველი რანგის მხედართმთავრებს (თუმცა ისინი მისი ერთგულები იყვნენ), მაგრამ სტალინი ვერ იტანდა მათ, რადგან ომის დასაწყისში მათ სტალინის ნამდვილი სახე იმოეს). მათ ადგილებზე ინიშნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი პოლიტიკური და ბოჰაბარტისტული ამბიციებისაგან თავისუფალნი იყვნენ და არ წარმოადგენდნენ „პიროვნებებს". თუ რას ფიქრობდნენ მის შესახებ უფლებაჩამორთმეული სამხედრო ლიდერები, — ეს სტალინს არ ადარდებდა. რაც შეეხებათ „პოლიტიკოსებს", სტალინი მათ ძალაუფლების მოპოვების საშუალებას უსპობდა და თავის „მოადგილეებად" ნაბიჯებდა (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი უპორტფელო მინისტრებად აქცია).

ამის შემდეგ სტალინმა თანდათანობით დაიწყო „შიდა კანონების" ძალაუფლების აღდგენა, რასაც პოსტერენშეიის და ვლასიკის ძველი ბნიშნეულობისა და ფუნქციის აღდგენა მოჰყვა. სულ მალე ამ ორი ადამიანის გვერდის ავლით თვით პოლიტბიუროს წევრებსაც კი არ შეეძლოთ სტალინთან შედწეა. სტალინი ამ ორი პიროვნების მეშვეობით არა მარტო მართავდა მიმდინარე საქმეებს, იგი მათ თავის პირად უსაფრთხოებასაც ანდობდა. სტალინის პიროვნების ხელაოფა მხოლოდ ამ იდეალური სამსახურის კრიზისის შემთხვევაში იყო შესაძლებელი. სხვა სიტუაციით რომ ვთქვათ, ვერაფერ შეეხებოდა სტალინს, თუკი ეს ორი ადამიანი თავის ადგილზე იქნებოდა, მათი მოშორება კი მხოლოდ სტალინის უფლებებში შედიოდა.

პოსტერბიშეეი ჩვენ უკვე დავახასიათეთ. რას წარმოადგენდა მეორე შედოეე — ვენერალი ვლასიკი? ეს იყო ერთ პიროვნებაში განხორციელებული ანაკრეეი და რასეტანი: „უსულგულო სადდაფრანი და უეშმაკესი გლეხუეეა. რუსული და საბჭოთა არმიის ისტორიაში, ალბათ, ერთადერთი შემთხვევაა, როცა გაუნათლებელი, რიგითი ჯარისკაცი, ყოველგვარი კურსებისა და სკოლების გარეშე, გენერალიტეტამდეა ხდება, ეს კიდეე რაა, იგი ყოლტერის ხაკთხებზეზე სტალინის მოსაზრებათა ამხსნელ-განმმარტებლის როლში გამოდიოდა. ვლასიკმა მოხსნა ყველა რეკორდი სტალინთან თანამშრომლობის ხანგრძლივობაში — იგი ერთადერთი იყო, რომელმაც შესძლო 1919

წლიდან თითქმის სტალინის სიკვდილამდე. შენარჩუნებინა თავისი მდგომარეობა.

საინტერესოა სტალინის ქალიშვილის სვეტლანა ალლილუევას მიერ ვლასიკის დახასიათება; „გეორგს მეორე გენერლის — ნიკოლოზ სერგის-ძე ვლასიკის მოახსენება, რომელმაც ძალიან დიდხანს, 1919 წლიდან შეინარჩუნა მდგომარეობა მამაჩემის გვერდით. ის იყო დაცვისთვის მიმაგრებული ნოიელარმიელი, რომელიც იქცა დიდი ძალაუფლების მქონე პიროვნებად კულისებს მიღმა. იგი მეთაურობდა მამას მთელ დაცვას და თავის თავს მის უახლოეს ადამიანად თვლიდა. წარმოუდგენლად გაუანთლებელი, უხეში და ბეკრე (? — ა. ა.), ბოლო წლებში იქამდის მივიდა, რომ ხელოვნების მოღვაწეებს „ამხანაგ სტალინის გემოვნებას" კარნახობდა... მოღვაწეები კი უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ მის რჩევა-დარიგებებს... მის თავხედობას ხაზღვარი არ ჰქონდა... კარგი იქნებოდა, საერთოდ არავის გახსენებოდა იგი — ბეკრს მოუწამლა ცხოვრება, მაგრამ იმდენად ყოლორიტული პიროვნება იყო, რომ გვერდ ვერ ავუვლიდი. დედის სიცოცხლეში (1932 ე. ... დე — ა. ა.) იგი სადღაც უკანა პლანზეა... პირადი მცველის მოვალეობას ასრულებდა... მუდამ კუნცევოში, მამამთან იმყოფებოდა და იქიდან „მართავდა" მის უყველა დანარჩენ რეზიდენციებს, რომლებიც დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ... ვლასიკისათვის მიცემული ძალაუფლებით უყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა" (სვეტლანა ალლილუევა. „ო�p წერილი მეგობარს". ლონდონი, 1967, გვ. 121-122).

ჩეჩნები ამბობენ: „მგელი, რომელიც მთის მწყერვალების უთამამდება, საფრთხეში იგდებს თავს". ახე დაიღუპა ბეკრი „სტალინელი მგელი" — ოვით სტალინის ხელით. მაგრამ სწორედ რა ისეთ მგლებს, როგორიც, პოსკრებიშევი და ვლასიკი იყვნენ, სტალინმა არ იცოდა, რომ პირველად სიცოცხლეში სხვისი ნება-სურვილის შემსრულებელი ხდებოდა.

თუ როგორ მოხდა ეს, წიგნის მომდევნო თავებში ვნახავთ.

თარგმნა ზურაბ ნარმანიამ

გაგრძელება იქნება

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, მარკსის ქ. № 1.

გადაეცა ასაწყობად 21. 11. 89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 02. 90 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. სიგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 2512 უე 07814 ტირაჟი 47 000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წოდების ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი მილოცვა

ლადო სულაბერიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

50 წლისანი გახდნენ ბესიკ ხარანაული და რევაზ მიშველაძე.

„ცისკრის“ რედაქცია, თავის მკითხველთან ერთად, ულოცავს ძვირფას მწერლებს ამ თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

მათი ახალი ნაწარმოებები იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში.

ლადო სულაბერიძე

დაიბადა 1919 წელს სოფელ შუამთაში (ვანის რაიონი). პირველი წიგნი — „ყირიმული ლექსები“ — გამოსცა 1948 წელს. პოეტის ძირითადი კრებულებია: „წარწერა კლდეზე“ (1957 წ.) „ჩრდილები მღერიან“ (1968 წ.) „რჩეული“ (1971 წ.) „რჩეული ლირიკა“ (1980 წ.), პოეტის ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ფრანგულ, პოლონურ, უნგრულ ენებზე.

ცხოვრობს თბილისში.

ბესიკ ხარანაული

დაიბადა 1939 წელს სოფელ თიანეთში. 1962 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

პირველი. ლექსები გამოაქვეყნა 1954 წელს. პირველი წიგნი კი გამოსცა 1969 წელს, მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიო ხალხთა მრავალ ენაზე. ცხოვრობს თბილისში.

რევაზ მიშველაძე

დაიბადა 1940 წელს სოფელ ბაბუშერაში (სოხუმის რ-ნი). დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. არის ამავე უნივერსიტეტის პროფესორი 1978 წლიდან.

პირველი წიგნი გამოსცა 1964 წელს. დღესდღეობით მრავალი ნოველებისა და კრიტიკული წერილების კრებულის ავტორია.

მისი ნოველები თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა, აგრეთვე — ჩეხურ, პოლონურ, იაპონურ, ვიეტნამურ და სხვა ენებზე.

ცხოვრობს თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ